

# VOYAGER


BY  
SOLO



ავსტრია

გაბითარი 2/2016

გამომცემი: სს "საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა" - ქ. თბილისი, ვ. ჯანაშიას ქ. 100



# VOYAGER <sup>2/2016</sup> BY SOLO

# VOYAGER <sup>BY SOLO</sup> რედაქციისაზან

Voyager by Solo ამჯერად ავსტრიაში სამოგზაუროდ გეპატიჟებათ.

თავდაპირველად – ვენაში, არშიებიან დედაქალაქში, სადაც ყოველ საღამოს კლასიკური მუსიკის კონცერტებზე 10 000 ბილეთი იყიდება და წელიწადში 400 მეჯლისი იმართება; ქალაქში, რომელიც ცხოვრების ხარისხით მსოფლიოში საუკეთესოა მწვანე ნარგავების და გასართობი ადგილების რაოდენობის, სასმელი წყლისა თუ ჰაერის სისუფთავის გამო.

ქალაქში, სადაც ისტორია ცოცხალია და წარსული ყველგან იჭყიტება დღევანდელობაში; რომელსაც მხრებზე მითების მძიმე ტვირთი აწევს, მაგრამ თან ვალსივით უდარდელია და ვენური სკამივით კომფორტული.

მუსიკის, ყავის და ამრების უცნაური ნაზავის ქალაქში, სადაც მემკვიდრე პრინცი ანტისახელისუფლებო სტატიების ავტორი იყო ყველაზე პოპულარულ გაზეთში და სადაც მეოცე საუკუნის მთავარი იდეოლოგიები დაიბადა.

ფრანგულ ენაში არის სიტყვა Viennoiserie (ვენურობა), რაც

უგემრიელეს ტკბილეულობას ნიშნავს. ვისაც საიმპერატორო საკონდიტრო „დემელის“ პირველ სართულზე ვაშლის და ყაყაჩოს თბილი შტრუდელი მიურთმევია ნაღებით და კარამელით, ადვილად მიხვდება, რატომ არის ეს ქალაქი შეუცვლელი გასტრონომიული სამოთხე.

კაფე „ჰაველკაში“ 30-იანი წლების ვენური კაფეების ატმოსფერო გხვდება, დროის რეალურ აღქმას კარგავ და ელოდები, როდის შემოვა ყავა „მელანჟის“ დასალევად დოქტორი ფროიდი.


ვენაში არ არის ლონდონური სოჰოს მსგავსი ხმაურიანი ქუჩები, აქ ვერ წახვალთ პარიზული „ლე ბარონის“ მსგავს გლამურულ წვეულებებზე... ის იმპერიული ხარისხით და სიმშვიდით, რომანტიკით და კლასიკური მუსიკის წარმოდგენელი სიყვარულით გიზიდავთ, რადგანაც „ვენაში ჩასვლის გარეშე, მისგან ძალიან შორსაც, ამ ქალაქის ხსენებისას ჩაგვსმის მელიოდიები, შემოქმედებითი ხმაური, რომელიც, ცხადია, გულისხმობს იმ მუსიკას, დიად და გასაოცარ მუსიკას, რომელიც ამ ქალაქში,

თუ ამ ქალაქისთვის იშვა. ეს იშვიათი ასოციაციაა, ეგებ ერთადერთიც მსოფლიოში“.

თუ მთაში დასვენებისა და თხილამურებით სრიალისთვის დროს გამონახავთ, ავსტრია საუკეთესო არჩევანია. ავსტრიელისთვის თხილამურებით სრიალი იგივეა, რაც ბრაზილიელისთვის – ფეხბურთი. სწორედ მათ შექმნეს „თეთრი ხელოვნება“ – თხილამურებით სრიალი თავისი კულტურით – და წმინდა სიამოვნებად გადააქციეს.

თუ ახალი გამოცდილება, ექსკლუზიურობა, კომფორტი და ოპტიმალურად გონივრული არჩევანი გაინტერესებთ, ტრადიციულად გეპატიჟებით სოლო მოგზაურობაში: მიჰყვით თქვენთვის საგანგებოდ შექმნილ ვენის რუკას და შეარჩიეთ, რომელ სპექტაკლს, რესტორანს, ბარსა თუ სასტუმროს ეწვიოთ, სად დაისვენოთ და რა დააგემოვნოთ. რაც არ უნდა ხანმოკლე იყოს თქვენი სტუმრობა ვენაში, ყოველთვის გექნებათ აქ დაბრუნების სურვილი.

Gute Reise.



მთავარი რედაქტორი  
**თეა სხიერელი**

არტდირექტორი  
**ნინო დარასელი**

რედაქტორი  
**სალომე დადუნაშვილი**

დიზაინერი  
**ნინო ყაველაშვილი**

მხატვარი-ილუსტრატორი  
**მაია სუმბაძე**

სტილის რედაქტორი  
**ნინო ლურსმანაშვილი**

ავტორები:  
**აკა მორჩილაძე**  
**მარგარიტა ანთიძე**  
**ბიძინა ბარათაშვილი**  
**ნიკოლოზ ჩხაიძე**  
**მარიკა შალიკაშვილი**  
**ალექსანდრე ბახუტაშვილი**  
**ზაზა ჟილაძე**  
**მზია ჩიხრაძე**  
**მარინა ყიფშიძე**

ფოტოგრაფი  
**ზინკა ბარნოვი**  
**Shutterstock**

ადმინისტრაციული  
თანამშრომელი  
**გიორგი ვასაძე**



გამომცემელი: შპს „სოლო“  
ვებგვერდი: www.solo.ge  
ტელ.: +995 32 2 44 44 00  
ISSN: 2346-8130

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი  
**ეკა დუჩიძე**

პროექტის კონსულტანტი  
**ნინო გეგეშიძე**  
SOLO-ს ბრენდმენეჯერი  
**ქეთი ნიკოლეიშვილი**

დაბეჭდილია  
სტამბაში:  
Bauer Medien Productions-&Handels GmbH  
მისამართი: Baumannstrasse 3/19,  
A – 1030 Vienna, Austria  
e-mail: office@bauermedien.at  
www.bauermedien.at

ბეჭდვის  
მენეჯმენტი:  
Ctrl P  
მისამართი: თბილისი 0186,  
ქავთარაძის 27  
ტელ.: +995 32 2 381 908

სარეკლამო გაყიდვების  
მენეჯმენტი:  
FIRST FLOOR GROUP (FFG)  
მისამართი: თბილისი 0186,  
ქავთარაძის 27  
ტელ.: +995 32 2 381 908  
+995 568 369 911

ჟურნალში გამოყენებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას.  
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# VOYAGER

BY SOLO

## VIENNA VOYAGER

სოლო მოგზაურობისთვის

- Cafe Sacher ტორტი მარტი
- Gerstner K&K Hofzuckerbäcker საკონდიტრო
- Palmenhaus პალმის
- Cafe Central კაფე ცენტრალი
- Cafe Demel ჰოტელი
- Wiener Apfelstrudel ვაშლის შტრუდელი
- Wiener Melange ვენური ფეა მელანჟი
- Mozart Chocolate შოკოლადი
- Souvenir aus Wien კლემტი
- Morillenschnaps შნაპსი
- The No.14 chair ვენური სკამი
- Wiener Eisraum ვენის მუზეუმის მუზეუმი
- Figlmüller ვენური შნაპლი
- Plachutta რესტორანი
- Spare Ribs შუშგარი ხაჭაპური
- Loos American Bar ბარი
- Rudolf Scheer & Söhne ფერისაღმართი
- Knize & Comp სარეზინი
- Zur Schwäbischen Jungfrau თეთრი ღვინო
- Blühendes Konfekt დამკრული თეი
- Schlumberger შამპანი
- Skrein სამკაული
- Frey Ville სამკაული
- Meinl am Graben ფლავორები
- Carriage Stand კარეჯა
- Albertino მუზეუმი
- Palais Coburg სასველი
- Dorotheum აუქციონის სახლი
- Therme Wien სპა
- Villon ღვინის მარანი
- Mozarthausvienna მოცარტის მუზეუმი
- Wiener Staatsoper ოპერა
- Hofburg Palace ჰოფბურგის სასახლე
- MuseumsQuartier მუზეუმების უბანი
- Hundertwasserhaus მულდრეისერის სახლი

სასტუმრო/სპა  
 კაფე/რესტორანი  
 კლუბი/ბარი  
 ბანაკი/აუტდორინგი  
 ღვინო/სარეზინი  
 დანიშნულების  
 აქსესუარები  
 აქსესუარები  
 აქსესუარები  
 აქსესუარები  
 აქსესუარები

**6 / 39**

სტატისტიკა  
 ავსტრია ვიზიტორები

**40**

კანადელი

**42**

ქანაქი  
 უჩვეულო გასაღრმავება ვენის  
 ბერძენი ნიქაიასთან ერთად  
 ვენური სკამი  
 დიდი ქანაქის დიდი აგებული

**44 / 53**

არქიტექტურა  
 ვენის არქიტექტურული მემკვიდრეობა

**54**

ოპერა  
 ბავოვების ევოლუცია  
 ანუ ნუ ავოცდებით  
 ფარდაზა დირექტორია ადრე

**62**

ბანატი  
 ყინულის დედოფალი თბილი  
 დიდი

**68**

მხატვრობა  
 ოქროსი მოქცეული ფარები

**72**

ბენედიქტინი  
 BERGGASSE 19

**76**

TOP SECRET  
 ანსაში კაფე

**82**

ისტორია  
 კანაქა დედოფალი  
 ტრადიციული მემკვიდრეობა  
 ავსტრიელი  
 მემკვიდრეობის მემკვიდრეობის  
 უჩვეულო ფარები

**86 / 97**

ბენედიქტინი  
 ბენედიქტინის მემკვიდრეობა  
 კონსტანცია  
 თარგმანი ნაწილი და სპა –  
 საუკეთესო რეკონსტრუქცია

**98 / 103**

ზამთარი  
 ავსტრია – საბოლოო-სამთავრო  
 კარგობების ქვეყანა  
 TIROL  
 SALZBURG  
 ZELL AM SEE/KAPRUN  
 KITZBUEHEL  
 SAALBACH HINTERGLEMM  
 MAYRHOFEN  
 LECH

**104 / 119**

კინო  
 ფონ ტრადიციის  
 ნაწილი აგებული

**120**

ბენედიქტინი  
 სიმონსონის სიმონსონის  
 ფონსონი

**126**





## ZACHER

სასტუმრო ვენის ოპერის პირდაპირ დგას; და კიდევ, სწორედ აქ მოიგონეს შოკოლადის ტორტი „ზახერი“ – ავსტრიული საკონდიტრო ხელოვნების ნამდვილი სიამაყე. ერთი ულუფის ფასი 5.30 ევროა. ყველაზე სასიამოვნოა, თუ მას აქვე მიირთმევთ, აქაური დარბაზის რომელიმე მაგიდასთან. დარბაზის კედლებზე მუქი წითელი ქსოვილია გაკრული და ბოლო 80 წლის განმავლობაში ამ 149-ნომრიანი სასტუმროს მფლობელი გიურტლერების საოჯახო კოლექციის ნახატებია გამოფენილი.

სასტუმრო 1876 წელს გაიხსნა, 2011 წელს კი სრულად განაახლეს. აქ უცხოვრიათ ჯონ კენედისა თუ ინდირა განდის; დღესდღეობით სასტუმრო „ზახერში“ საოპერო მომღერლები თუ რიანას დონის პოპ-ვარსკვლავები ჩერდებიან.

149 ნომერი, მათ შორის – 55 ლუქსი, კლასიკურ სტილშია გაწყობილი. ყველგან კიდია ბროლის ჭაღი და მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული, XIX საუკუნის კლასიკური მხატვრობის ნიმუშები.

რესტორანში „ანა ზახერი“ შეფ-მზარეული ვერნერ პიკლმა-იერი მხოლოდ ფერმერებისგან მოწოდებული ნაწარმისაგან ამზადებს კერძებს (ექვსდასახელებიანი შეკვეთის ფასი 84 ევროა).

„ზახერის“ კაფეში კი აუცილებლად მიირთვით შოკოლადის ტორტი. სასტუმროში სხვა რესტორანიცაა – „როტე“, სადაც ავსტრიულ სამზარეულოს გაეცნობით; ასევე, თქვენს განკარგულებაშია სნეკ-ბარი, Sacher Eck და ბარი „ბლაუე“. მავიდა რამდენიმე დღით ადრე უნდა დაჯავშნოთ, რადგან ვენის ოპერაში სპექტაკლზე მიმავალი ხალხი, როგორც წესი, ჯერ აქ მიირთმევს ხოლმე აპერიტივს.

„ზახერის“ სასტუმროების ქსელი ცხოველებისადმი განსაკუთრებით გულითად დამოკიდებულებას იჩენს. ცნობილია, რომ ამ სასტუმროს უკვე ლეგენდად ქცეულ მეპატრონეს, ანა ზახერს მზე და მთვარე ამოსდიოდა ფრანგული ჯიშის ბუღდოგებზე. აქ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ კომფორტული გარემოს შექმნას არამარტო ორფეხა, არამედ ოთხფეხა სტუმრებისთვისაც.

Philharmoniker Str. 4



## PALAIS COBURG

„არასრულებული სურვილი რაღა სურვილია!“ – სწორედ ასეთი დევიზი აქვთ ვენის შუაგულში, უძველეს სასახლეში 2003 წელს გახსნილ სასტუმრო Palais Coburg-ში. ქალაქის მთავარი პარკის გვერდით მდებარე ნეოკლასიკური სტილის ეს ორსართულიანი შენობა ჯერ კიდევ 1845 წელს აიგო.

დღეს აქ სასტუმროა, რომელსაც განსაკუთრებით ახალდაქორწინებული წყვილები ეტანებიან. 34 ლუქს-ნომრის ფართობი 54-იდან 165 კვ. მეტრამდე მერყეობს; ამ ნომრებიდან 22 – ორსართულიანია და ყოველი მათგანი ღია ფერის ავეჯითაა გაწყობილი; იატაკებზე სქელი ხალიჩები აფენია, კედლებს კი ვარაყიან ჩარჩოებში ჩასმული სარკეები ამშვენებს. სასტუმროში ორი რესტორანია. მიშლენის მიერ ორგზის გამორჩეულ „სილვიო ნიკოლსში“ უნდა გასინჯოთ იხვის პაშტეტი (ხუთ-დასახელებიანი შეკვეთა 148 ევრო დაგიჯდებათ). რაც შეეხება



რესტორან „კლემენტინს“, აქ აუცილებლად უნდა იგემოთ ღორის ხორცის სტიკი გოგრითა და ავოკადოთი (ფასი – 24 ევრო).

„სილვიო ნიკოლსში“ მუდამ ხალხმრავლობაა და ადგილებიც წინასწარ უნდა დაჯავშნოთ. სასტუმრო-სასახლეს აქვს ულამაზესი ბაღი უძველესი მგნოლიებითა და ჭადრებით, ქვიშის ბილიკებით, აუზითა და გარეული იხვებისთვის განკუთვნილი საგუბრით.

სასტუმრო გთავაზობთ მთლიანად ავტომატიზებულ, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სადღეღამისო სეიფებსაც, რომელთა სარგებლობის წლიური საფასური 300 ევროა. ნომრის ფასი: 495 ევროდან.

Coburgbastei 4



## ZACHER-ის სპა

დაიკმაყოფილეთ შოკოლადის სურვილი „ზახერში“ და თანაც – გრამი წონის მოუმატებლად! განსაკუთრებული მეთოდით ჩატარებული შოკოლად-თერაპიის უნიკალური პროცედურებით „ზახერის“ სპაში სულსაც და სხეულსაც გაიჯანსაღებთ. კანის დასარბილებლად და გადასაჭიმად ნაღებიანი შოკოლადი, განსაკუთრებით კი კაკაოს კარაქი, მყისიერ და ხანგრძლივ შედეგს იძლევა.

## PALAIS COBURG-ის სპა

ღვინის ექსტრაქტის გამოყენებით, ერთსაათიანი საუკეთესო მასაჟი სასტუმროს სპა-ცენტრში 120 ევრო დაგიჯდებათ; სახის პილინგი და ნილაბი კი – 229 ევრო. ინტენსიური მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურების დროს ღვინის ძალა განსაკუთრებით სასიკეთოდ ზემოქმედებს თქვენს ორგანიზმზე. თუმცა მანამდე აუცილებლად ისარგებლეთ ნაზი, ეთეროვანი არომატებით გაჯერებული თურქული ჰამამით. უარი არ თქვათ არც გამაახალგაზრდავებელ პროცედურებზე, რაც, გვერ-წმუნეთ, საოცარი სასიცოცხლო ენერჯით დაგმუხტავთ.



## IMPERIAL

ვენის სასტუმრო „ოტელ იმპერიალი“ მუდამ მხატვრების, კომპოზიტორებისა თუ მწერლების შეხვედრების საყვარელი ადგილი იყო და ეს კულტურული ტრადიცია მის კედლებში დღესაც იგრძნობა. აქ სტუმრებს მართლაც მეფურად ხვდებიან და მზად არიან, ნებისმიერი სურვილი აუსრულონ. ეს სასტუმრო ერთადერთია მთელ ავსტრიაში, სადაც პირადი ლაქის მომსახურებით შეგიძლიათ ისარგებლოთ, რომელიც დამატებითი გასამრჯელოს გარეშე მუდმივად მზადაა სტუმრის მოთხოვნების შესასრულებლად: შესახლება, ფეხსაცმლის გაპირალება, ტანსაცმლის გაუთოება. თუ საჭირო გახდა, ის საყიდლებზეც წამოგყვებათ და გზადაგზა ნებისმიერ დახმარებასაც გაგიწევთ. სტუმრებს განსაკუთრებით იზიდავს თანამედროვე ლაუნჯ-ბარი 1873 HalleNsalon, სადაც სამშაბათიდან შაბათის ჩათვლით კლასიკური მუსიკის მოყვარულები იყრიან თავს. ორადგილიანი ნომრის ფასი 450 ევროა.



Kärntner Ring 16



## MELIA VIENNA

ფრანგი არქიტექტორის, დომინიკ პეროს პროექტით სულ ახლახან აშენებული ეს სასტუმრო ქალაქის საცმიან რაიონში, დუნაის სანაპიროზე აღმართულ ცათამბჯენშია განთავსებული. ეს ცათამბჯენი ვენაში ყველაზე მაღალი შენობაა (250 მეტრი). სასტუმრო განსაკუთრებით იზიდავს ბიზნესმენებს. მინიმალისტურ სტილში გაწყობილ 253 ნომერს პანორამული ფანჯრები ამშვენებს. 57-ე სართულზე მდებარე რესტორანში – Restaurant 57 შეფ-მზარეული ზიგფრიდ კრეფელი გრილზე ამზადებს საქონლის ხორცის რიბაის (ფასი – 33 ევრო). ბარში კი საფირმო კოქტეილ სენტენარიოს შემოგთავაზებენ (ფასი – 14 ევრო). ავსტრიული სამზარეულოთი ცნობილი კიდევ ერთი რესტორანი პირველ სართულზეცაა; იქვეა ბარი Flow. სასტუმროს აუზში ცურვის მსურველს დღეში დამატებით 48 ევროს გადახდა მოუწევს.

Donau-City-Strasse 7

## SANS SOUCI WIEN

სასტუმრო ორიოდე ნაბიჯშია სამუზეუმო უბნიდან, ეგონ შილეს კოლექციით ცნობილი Leopold Museum-იდან. „სან სუსი“ განსაკუთრებით ახალგაზრდებს იზიდავს – თანამედროვე ხელოვნებისა და დიზაინის მოყვარულებს. 63 ნომრის ინტერიერის გაფორმებაზე ფილიპ სტარკის ლონდონურმა სტუდია Yoo-მ იმუშავა. ავეჯი თეთრია, კედლები – იისფერი.

რესტორან „ლა ვერანდაში“ თავი კერძის, მაგალითად, უგემრიელესი, ნიგვით შეკამაული კურდღლის ფასი 16 ევროა. ბარში კი მსურველებს სამი სახეობის შამპანურს სთავაზობენ (ფასი – 19 ევრო). ნომრებში რთი ლიხტენშტეინის, ალენ ჯოუნზისა თუ სტივ კაუფმანის ორიგინალუბია გამოფენილი. გათვალისწინეთ, რომ მინი-ბართით სარგებლობისათვის წინასწარ უნდა გქონდეთ 200-ევროიანი დეპოზიტი. ნომრის ფასი: 284 ევროდან.

Burggasse 2



## THERME WIEN

როცა ღირსშესანიშნობათა დათვალიერება და საყიდლებზე სიარული დაგლით, შეგიძლიათ რელაქსაციისა და გარეგნული სილამაზისათვის ვენის დღის სპა-სალონებს მიაკითხოთ, რომლებიც სიმშვიდის ნამდვილი ოაზისებია ხმაურიანი ქალაქის შუაგულში.

ვენის გოგირდოვანი, სამკურნალო წყლები ჯერ კიდევ რომაელთათვის იყო ცნობილი. დღეს ავსტრიის უდიდესი თერმული აბანოები 26 აუზს, 24 საუნასა და ორთქლის კაბინას მოიცავს და ერთდროულად 2500 ადამიანის მომსახურება შეუძლია.

**ნუ დაზავიხდებით აუცილებელი ვიზიტი: ნავისიერ სპა-სალონი წინასწარ უნდა ჩაენართ.**

სხვადასხვა დანიშნულების ცალკეული სივრცე კლდოვან კუნძულებადაა გაბნეული იმ ნაკადულში, რომელიც თერმული აბანოების მთელ ტერიტორიაზე მიედინება. აქ ნახავთ: სილამაზის კუნძულს, მოსვენების კუნძულს, თავგადასავლების კუნძულს, საუნა-კუნძულს და ფიტნეს-კუნძულს. ამ ყველაფერს შორის კი თერმული აბანოს ორი დიდი ღია სივრცე მდებარეობს – როგორც ღია, ისე დახურული აუზებით, შემთბარი მერხებითა თუ ინდივიდუალური მოსასვენებელი კაბინებით.

ალსანიშნავია წყლის აუზებიანი სურნელოვანი ოთახი, რომანტიკული მღვიმე, ცეცხლოვანი ლაუნჯი, აუდიოვიზუალური ლაუნჯი და კინოდარბაზი. ათასნაირი გასართობია გათვალისწინებული ბავშვებისათვისაც – წყლის ოთხი სხვადასხვა სასრილო, სამი წყალში სახტომი კოშკურა, სატყუშპალაო აუზი, თოჯინების თეატრი თუ კარაოკეს დარბაზი.

გოგირდის შემცველობა საშუალოდ 63 მილიგრამია ერთ ლიტრზე, რაც მათ სამკურნალო თვისებებს ევროპაში საუკეთესოდ წარმოაჩენს. ფეხით სეირნობის მოყვარულთათვის კი შეუდარებელია თერმული აბანოების ირგვლივ გაშენებული პარკი, სადაც შეგიძლიათ ყვავილების ლაბირინთში ან აბაზონურ ბაღში გასეირნოთ.

Kurbadstrasse 14

## დღის სპა

ინდივიდუალური სპა-პაკეტით შეგიძლიათ ისარგებლოთ ვენის სასტუმრო **THE RING DAY SPA**-ს გამაჯან-საღებელ-სარელაქსაციო ცენტრში და თან ამ დროს ქალაქის მშენიერი ხედით დატკბეთ. აქ შესაძლებელია დაძაბულობის მოსახსნელი საგანგებო პროცედურის (Anti Stress Dreamland) ჩატარებაც.

სალონი **SO SPA** ექსკლუზიური ვენისის ზონაა სასტუმრო Sofitel Vienna Stephansdom-ში. აქ მთელი მსოფლიოს გამოცდილება და ტრადიციული მეთოდები ფრანგული კოსმეტიკის ტექნოლოგიურ სიახლეებსა და დახვეწილობასთან არის შერწყმული. სალონში ერთდროულად ორი ჰამამი მუშაობს.

სწორედ ვენის შუაგულში, სასტუმრო Ritz-Carlton Vienna-ში მდებარეობს ავსტრიაში პირველი „გერლენის“ სალონი **GUERLAIN SPA**. ამ მომხიბვლელ გარემოში ერთმანეთს ავსებენ ავსტრიული სტუმართმოყვარეობა, ამერიკული ნოუ-ჰაუ და ფრანგული კოსმეტიკის გამოცდილება.

სალონი **BELLA VITAL SOFRI SPA & BEAUTY CENTER**, რომელიც კოლმარკტის სიახლოვეს მდებარეობს, სხეულსა და სულზე ზრუნვის ერთიან კონცეფციას შემოგთავაზებთ. აქ მხოლოდ საკუთარი სავაჭრო მარკის, SOFRI-ს პროდუქტებს იყენებენ, თითოეული კლიენტისთვის კი მკურნალობის ინდივიდუალურ მეთოდებს შეიმუშავებენ.

სალონი **THE SPA EXPERIENCE BEI NÄGELE & STRUBELL** გრაბენის ქუჩაზე მდებარეობს. აქ სახისა და სხეულის გამაჯანსაღებელი და სარელაქსაციო პროცედურების დროს ლეგენდარული La Mer-ის ნაწარმი გამოიყენება.

ამიური ფუფუნებით გამორჩეულ სალონი **BOUTIQUE-SPA AISAWAN**-ში, რომელიც წმინდა სტეფანეს ტაძრის სიახლოვეს მდებარეობს, მრავალფეროვანი პროგრამა შეიმუშავეს: სახის გამაჯანსაღებელი სხვადასხვა მასაჟი, წყლის პროცედურები, ჰამამი და, ასევე, კოსმეტიკური მკურნალობა.

სალონი **1ST BEAUTY SPA** აუცილებლად გაგოცნებებთ უმაღლესი კლასის 14 სხვადასხვა სახის პროცედურის ჩამონათვალთ. აქ გამოიყენება ბევრი ინოვაციური და ეფექტიანი თერაპიული მეთოდი, მაგ., რადიოტაღდღური სისშირისა თუ იმპულსური თერაპიის პროცედურები.

## ყავის სმის ვენური ისტორია

მართალია, ვენის ყავახანების განსაკუთრებული კულტურა დღეს უკვე მთელ მსოფლიოშია აღიარებული, ეს ქალაქი მაინც არაა პირველი, სადაც ყავახანები გაჩნდა. ისინი ჯერ კიდევ XII საუკუნეში არსებობდა მექაში, ევროპაში კი პირველი ასეთი დაწესებულება ვენეციაში გაიხსნა 1647 წელს. ინგლისში პირველი ყავახანები 1650 წელს გაჩნდა, თავად ვენაში კი – მხოლოდ 1683 წელს.

ამის მიუხედავად სწორედ ავსტრიის დედა-ქალაქში ჩამოყალიბდა ყავის სმის იმგვარი ტრადიცია, როგორცაც მსოფლიოს ვერც ერთი სხვა ქალაქი ვერ დაიკვებინს.

*ვენის ყავახანა – იდეალური ადგილი ადამიანებისთვის, რომელთაც მანერობისთვის საზოგადოება სთირდება.*


ვენა მართლაც არავის უთმობს პირველობას თავისი ყავითა და ყავახანებით. აქაური ყავახანების კულტურული ტრადიცია უკავშირდება ე.წ. „ვენის ალყის“ დასრულებას 1683 წელს: გადმოცემის თანახმად, აქაურმა მოქალაქემ, ვინმე გეორგ ფრანც კოლშიცკიმ პირველმა მოიპოვა ქალაქში ყავის გაყიდვის უფლება – სწორედ ალყის დროს გამოჩენილი გმირობის საზღაურად. მისი საქმიანობის წარმატება კი თურქების მიერ დატოვებულმა ყავის მარაგმა განაპირობა.

მერე ვენის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა და ამ ქუჩის კუთხეში მისი ძეგლიც დადგეს. თუმცა უშუალოდ ყავახანა პირველად ერთმა ეროვნებით სომეხმა (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ჯამუშმა), გვარად დიოდატომ გახსნა. ის ვენის საიმპერატორო კარზე მსახურობდა და დიდი იდუმალებით მოცული ვინმეც იყო. ეგ კია, ყავაში მშვენივრად ერკვეოდა და ამ სასმელსაც სამშობლოში ნასწავლი წესისამებრ ამზადებდა. იოჰანეს დიოდატოს პარკი ვენაში სწორედ მისი სახელობისაა.

ჯერ კიდევ პირველ ყავახანებს რამდენიმე ისეთი თავისებურება გამოარჩევდა, რომლებიც დღემდე სწორედაც რომ ყავის სმის ვენური კულტურის მახასიათებლად ითვლება: მიმტანს ფინჯან ყავასთან ერთად უთუოდ ჭიქა წყალიც უნდა მიერთშია კლიენტისთვის და ყავახანებში სტუმარს ყავის სმის გარდა ბანქოსა თუ ბილიარდის თამაშზე შეიძლო.

1720 წელს ვენის შუაგულში მდებარე კრამერშესის ყავახანაში პირველად დაიწვეს სტუმრებისთვის გაზეთების შეთავაზებაც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ასეთ დაწესებულებებში ცხელი კერძებისა და ალკოჰოლის შემოღებაც.

1814-15 წლებში, ვენის კონგრესის შემდეგ, ყავახანების კულტურა ამ ქალაქში ხელახლა აღორძინდა. ბიდერმაიერის პერიოდში სწორედ ვენური ყავახანა იქცა ზოგადად ევროპული, დახვეწილი ცხოვრების წესის ერთგვარ სინონიმად. ვენურ „თარგზე მოჭრილი“ ყავახანები მერე და მერე უკვე პრაღაშიც, ზაგრებშიც, ვერონაშიც, ტრიესტსა თუ ვენეციაშიც გაჩნდა. ყავახანის აუცილებელ მახასიათებლად მოზრდილი დარბაზები, მეწამულ ხავერდგადაკრული სავარძლები თუ მდიდრული ჭალები იქცა. 1856 წელს საბოლოოდ მოიხსნა აკრძალვა, რაც ყავახანებში ქალების დასაქმებას უშლიდა ხელს, თუმცა მანამდეც, მოღარეებდა მაინც მხოლოდ ქალები მუშაობდნენ.



### ლიტერატურული კაფეები და კაფეების ლიტერატურა

1890 წელს კაფე „გრიენშტადლი“ ლიტერატორთა იმ ჯგუფის შეკრების მუდმივ ადგილად იქცა, რომელსაც „ახალგაზრდა ვენა“ ეწოდა. სწორედ აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს მაშინ ჯერ კიდევ დამწყები მწერლები – ჰუგო ფონ ჰოფმანშტალი, კარლ კრაუსი და არტურ შნიცლერი. შეიძლება ითქვას, რომ მათმა შეხვედრებმა დაუდო სათავე „კაფეების ლიტერატურას“.

1900-იან წლებში მწერალთა მთელი წრე სწორედ ყავახანაში დადიოდა ერთმანეთისთვის საკუთარი იდეების გასაზიარებლად; უფრო მეტიც, მას თავიანთ სამუშაო ადგილადაც მიიჩნევდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, პეტერ ალტენბერგმა საყვარელი ყავახანის სახელი საკუთარ სავიზიტო ბარათზეც დაწერა, როგორც საცხოვრებელი და საფოსტო მისამართი. ამის გამო კაფე Central-ში ამჟამად მისი ძეგლი დგას.

*2011 წელს ვენური ყავახანები იუნესკო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. ვენაში ამჟამად 2500 ყავახანაა, რომელთაგან 800 აჭფა-რეხტორანი, 680 ქსკრასლ-ბარი და 120 კაფე-საკონდიტორია.*

მწერლებზე ადრე ყავახანების ხიბლი მუსიკოსებმა აღმოაჩინეს. მაგალითად, ორივე იოჰან შტრაუსი, ვაუიშვილიც და მამაც, სწორედ ყავახანაში წარუდგენდნენ ხოლმე პირველად მსმენელს თავიანთ ახალ ქმნილებებს. მოცარტის და ბეთჰოვენის ზოგიერთმა ნაწარმოებმა სწორედ ყავახანებში მოიპოვა პოპულარობა. კაფე „მუზეუმი“ კი, თავის მხრივ, მხატვართა თავშესაფრის ადგილად გადაიქცა.

მეტწილად მომგრო ბინებში მცხოვრები ვენელები ყავახანებს საკუთარი სასტუმრო ოთახის გაგრძელებად, ანდა სულაც მეორე სახლად მიიჩნევდნენ, სადაც ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრა და დროის საამოდ გატარება შეეძლო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქში საცეკვაო კაფეებიც მომრავლდა, სადაც მაშინ უკვე პოპულარულ ამერიკულ ჯაზურ მუსიკას უკრავდნენ. XX საუკუნის 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ყავახანებმა ერთგვარი სავაჭროების დანიშნულებაც კი შეითავსეს, სადაც ბევრი რამ სულაც დახლს ქვემოდან იყიდებოდა.

1938 წელს ნაცისტებმა ერთიანად დახურეს ებრაელების საკუთრებაში არსებული ყავახანები, რომლებიც ებრაელი ინტელექტუალებისა და ხელოვანთა თავშესაფრის ადგილად იყო ქცეული. ტრადიცია 1983 წელს აღორძინდა, როცა ვენის ყავახანებმა თავიანთი არსებობის მე-300 წლისთავი აღნიშნეს და ქალაქის ბევრმა მცხოვრებელმა კვლავ გაიხსენა მათი ერთ დროს საყვარელი თავშესაფრის ადგილების გამოჩენილი ხიბლი. ვენელებმა ყავის სმა დამოუკიდებელ კულტურად აქციეს.

ყავახანაში შედიხარ, რათა ყოველდღიურ ქაოსს გაემიჯნო. შესასვლელი ბილეთი კი – ფინჯანი ყავაა, აირჩიე, რომელიც გინდა: პატარა შავი ყავა, ათქვეფილი ნაღებით თუ მელანჯუი...



**CENTRAL**

ეს ტრადიციული კაფე ჯერ კიდევ 1876 წელს გაიხსნა და XX საუკუნის დასაწყისში უკვე ხელოვანთა და ლიტერატორთა თავშესაფრის საყვარელ ადგილად იქცა. აქ დადიოდნენ არტურ შნიცლერი, ზიგმუნდ ფროიდი, პეტერ ალტენბერგი, ლეო ტროცკი და სხვანი. უნიკალური არქიტექტურა, უმაღლესი ხარისხის ყავის ფართო არჩევანი, კლასიკური ვენური სამზარეულო და უგემრიელესი, ხელით დამზადებული ნამცხვრები აქ სტუმრობას თქვენთვის დაუვიწყარ მოგონებად აქცევს. ტრადიციულ ავსტრიულ ნამცხვრებთან ერთად, როგორცაა ვაშლის შტრუდელი თუ ცნობილი კაიზერშმარნის ღვეზელი, „ცენტრალში“ კიდევ უამრავი სხვა სახის ტკბილეულითაც გაგიმასპინძლებიან – ზღაპრული შოკოლადით, ნუშისა თუ კენკრის ორცხობილით – და ეს ყველაფერი მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ადგილობრივი ნედლეულითაა დამზადებული.

corner Strauchgasse / Herrengasse



## MOZART

ამ ადგილას პირველი ყავახანა ჯერ კიდევ 1794 წელს გაიხსნა, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ. აქ მდებარე კაფე „კაცმერი“ მწერლების, მსახიობებისა და მხატვრების შეკრების საყვარელი ადგილი იყო ბიდერმაიერის ხანაში. 1882 წელს ბაროკოს სტილის ეს ნაგებობა დაანგრეს, მის ადგილას კი ამჟამინდელი შენობა ააგეს და 1929 წელს კაფე „მოცარტი“ დაარქვეს. სწორედ აქ წერდა 1947 წელს გრემ გრინი „მესამე კაცის“ სცენარს. კლასიკად ქცეული ამ ფილმის მოქმედება ხსენებული კაფეს შემოგარენში ხდება.

Albertinaplatz 2



## DIGLAS

„დიგლასი“ ერთ-ერთი ტრადიციული ყავახანაა და ის ვენის შუაგულში მდებარეობს. კაფე მთელი წლის მანძილზე, ყოველდღიურად, დილის რვა საათიდან ღამის თერთმეტის ნახევრამდე მუშაობს. აქ შეგიძლიათ მრავალფეროვანი საუზმე შეუკვეთოთ, წაიკითხოთ ახალ-ახალი გაზეთები და ცხელი ყავაც დააგემოვნოთ.

დესერტად სახელგანთქმულ Scheiterhaufen-ს მოგართმევენ, მენიუში ღირსეული ადგილი ჩაშუშულ გარგარსა და ქლიავსაც უკავია. ბებიების რეცეპტით გამომცხარი Jause ყოველდღიურად სულ ახალ-ახალი იფინება „დიგლასის“ დახლებზე. ამ ყავახანის ერთგულმა სტუმრებმა კარგად იციან, რომ მოსვლა არ უნდა დაავიანონ, თუ სურთ ჯერ კიდევ თბილ-თბილი სუფლე იგემონ და ვერც მასთან ერთად მორთმეულმა ბანანის ნაჭრებმა მოასწრონ გამოშრობა. საღამოს შვიდ საათზე პიანისტიც იკავებს ადგილს როიალთან.

Wollzeile 10



## KUNSTHISTORISCHES MUSEUM

თალოვანი დარბაზი და შავ-თეთრი მარმარილოს იატაკი საუკუნოვანი მოვლენების ხსოვნას ინახავს. აქ არა მხოლოდ ვენაში ჩამოსული დამთვალიერებლები იკრიბებიან, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც შეხვედრების პოპულარული ადგილია.

Burgring 5



## SPERL

1880 წელს გახსნილი ეს კაფე ვენის ყავახანების კულტურის ერთგვარი სინონიმია. მე-19 საუკუნის ინტერიერი, ბილი-არდის მაგიდები და გაზეთების დიდი არჩევანი საუკეთესო კულინარიასთან ერთად Sperl-ის სავიზიტო ბარათია.

Gumpendorfer Straße 11

## JUSTIZCAFE

იუსტიციის სამინისტროს სახურავზე განთავსებული კაფედან ქალაქის საუკეთესო ხედი იშლება. ორშაბათიდან პარასკევამდე, დილის შვიდი საათიდან შეგიძლიათ ყავა უგემრიელეს საუზმესთან ერთად მიირთვათ, საღამოობით კი რესტორანი პრემენტაციებისა და დღესასწაულებისთვის, მათ შორის, ქორწილებისთვისაც კი საუკეთესო ადგილია.

Schmerlingplatz 10



## HAWELKA

თუ მგრძობიარე ყნოსვა გაქვთ, ღამის 10 საათის შემდეგ ამ კაფედან გამომავალ ყავისა და ახალგამომცხარი ჯემიანი ნამცხვრების სურნელს ადვილად შეიგრძნობთ. არაჩვეულებრივი ხიბლის წყალობით კაფე Hawelka ხელოვანთა თავშეყრის საყვარელი ადგილია.

Dorotheergasse 6

## SCHWARZENBERG

კაფე „შვარცენბერგი“ უძველესია მთელ რინგმეტრასზე. აქ იმთავითვე უფრო მეტად საქმიანი ხალხი იკრიბებოდა, ვიდრე ბოჰემა; ხუროთმოძღვარ იოზეფ ჰოფმანს მანცდამანც ამ კაფეში უყვარდა გაზეთის კითხვა და ბევრი თავისი მონახაზიც სწორედ აქ გაუკეთებია. დღეს კაფე „შვარცენბერგი“ ერთადერთია რინგმეტრასზე, სადაც პირვანდელი სახითაა შენარჩუნებული ვენური ყავახანების ძველი განწყობა და იერი. კაფეში არც ჩაის მოყვარულები დარჩებიან გაწბილებულნი.

Kärntner Ring 17



## LANDTMANN

1873 წელს, როცა ფრანც ლანდმანმა ვენაში ყველაზე დიდი კაფე გახსნა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ვენური კაფეების „ინსტიტუტს“. აქაურობას სტუმრობდნენ ზიგმუნდ ფროიდი, მარლენ დიტრიხი, რომი შნაიდერი, პოლ მაკარტნი, ჰი-ლარი კლინტონი... Landtmann-ის საკონდიტროში დამზადებულ ნამცხვრებს ვენის სხვა კაფეებშიც ხშირად შეხვდებით.


Universitätsring 4



## SACHER

„ზახერი“ ის ისტორიული კაფეა, სადაც ვენური ყავახანების ტიპურ ატმოსფეროს გთავაზობენ. ზუსტად ვენის ოპერის პირდაპირ მდებარე ამ კაფეს ერთხელ მაინც უნდა ეწვიოთ ზახერის ნამდვილი ტორტის და ვენური მეღაწის დასაგემოვნებლად. ზაფხულში ღია ტერასაც იხსნება და შეხვედრების საუკეთესო ადგილია. შესანიშნავი ტკბილეულის გარდა, აქ უგემრიელესი სალალები და ვენური შნიცელიც კი შეგიძლიათ მიირთვათ.

Philharmonikerstrasse 4



## ზახერ-ტორტი

სასტუმრო „ზახერის“ მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელს თუ უნახავს თვალთ ზახერ-ტორტის 1832 წელს შედგენილი ის თავდაპირველი რეცეპტი, რომელიც დღესდღეობით ტყვიავაუმტარ სეიფში ინახება. მთავარი საიდუმლო კი შოკოლადის ნაირსახეობებია – რამდენიმე განსხვავებული დასახელების მუქი შოკოლადი საგანგებოდ ამ ტორტისთვის მზადდება და მერე უკვე „ზახერისავე“ საცხობში ხდება მათი შერევა ასევე განსაკუთრებული რეცეპტის მიხედვით.

თუმცა უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტების უზადო შეზავება მაინც მისი მხოლოდ ერთი მხარეა: მთელი პროცესი 34 საფეხურისაგან შედგება და ყველაფერს – ტორტის ულაამაზეს ხის ყუთებში დაბინავების ჩათვლით – ზუსტი, მკაცრად გაწერილი თანმიმდევრობის დაცვა სჭირდება. ავსტრიასა თუ სხვა ქვეყნებში ყოველწლიურად დაახლოებით 360 ათასი ეს უგემრიელესი ნუგბარი იყიდება.



ვენაში პირველი ცივი დღეების დადგომისთანავე ყველა პატივცემული ცნობილი ქალბატონი თავს ვალდებულად მიიჩნევს „დემელის“ საკონდიტროს ესტუმროს და ერთი ფინჯანი ცხელი შოკოლადი მიირთვას. საკონდიტრო „დემელი“ იმთავითვე შეხვედრის საყვარელი ადგილი იყო როგორც დიდგვაროვანთათვის, ისე ბურჟუაზიის წარმომადგენლებისთვისაც.

ბუსტად ისევე, როგორც 200 წლის წინათ, სტუმრებს აქ მესამე პირში მიმართავენ და ცდილობენ, ყველა სურვილი აუსრულონ. დღესაც, ისევე როგორც წარსულში, მომსახურე პერსონალი ქალებისგან შედგება, რომელთაც თერთით გაწყობილი შავი საფირმო სამოსი აცვიათ. ეს ყველაფერი 1786 წელს დაიწყო, როცა ვიურტემბერგელი მეკონდიტრე ლუდვიგ დენე ვენაში ჩამოსახლდა. თავიდან იგი მხოლოდ ნაყინს ყიდდა, თუმცა მალე უფრო გაშალა ფრთები და უკვე ტკბილეულით, მურაბიანი ფუნთუშებით, კრემიანი ღვეზელებითა და სხვა ნუგბარით ვაჭრობასაც მიჰყო ხელი.

ცოტა ხანში აქაურობა იმდენად მიმზიდველ და თან „გემრიელ“ ადგილად იქცა, რომ ახალგაზრდა კავალრები სწორედ დენესთან უნიშნავდნენ პაემანს ვენელ ლამაზმანებს. ლუდვიგის ვაჟმა ავგუსტ დენემ კი მამისეული საკონდიტრო თავის პირველ შეგირდს, ქრისტოფ დემელს მიჰყიდა 1857 წელს.

სისხამ დილით თუკი შოკოლადის ან ნამცხვრის ნაბი სურნელი მთელ სახლს მოედო, ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმარკტის ქუჩაზე მეკონდიტრეებს სამუშაო დღე დაუწყიათ. დემელის სამეფო-საიმპერატორო საცხობის რამდენიმე სართულზე მცხობელ-კონდიტრები ახლაც ისევე ქმნიან „დემელის“ გამორჩეულ

Kohlmarkt 14  
 დია ყოველდღე,  
 დილის 9-იდან  
 საღამოს 7 სთ-მდე.



ნაწარმს, როგორც ბოლო 200 წლის განმავლობაში ქმნიდნენ; მათი ნაწარმი კი მოიცავს კრემიან ნამცხვრებს, ჩაიზე მისაყოლებელ სხვადასხვანაირ ბისკვიტსა თუ ორცხობილას, ისევე როგორც შინაური რეცეპტით მომზადებულ ჯემებსა და მურაბებს. ეს ყველაფერი კი, ტრადიციულად, მხოლოდ ხელით მზადდება.

პირველ სართულზე ერთგვარი საჩვენებელი საცხობია გამართული, სადაც ყავახანების ცნობისმოყვარე სტუმრებს შეუძლიათ საკუთარი თვალით იხილონ აქაური ოსტატების ხელოვნება. საცხობში ალიონიდან შუადღემდე ცხვება და იფინება ვაშლის შტრუდელები, ზახერის ტორტები თუ სხვა მრავალი ნუგბარი.

რასაკვირველია, თითოეული მათგანის მოსამზადებლად საგანგებოდ შერჩეული ბუნებრივი შემადგენლები გამოიყენება.

იმპერატორის მეუღლეს, სისის ჭკუა ეკეტებოდა სამეფო კარის საკონდიტროში დამზადებულ ტკბილეულზე. რა თქმა უნდა, დედოფალი თავად არ დაიარებოდა სავაჭროდ კოლმარკტზე მდებარე საცხობში – ის თავისთან, ჰობსბურგის სამეფო სასახლეში იბარებდა პირადად ბატონ დემელს და სხვა ნუგბართან ერთად, პირველ რიგში, იის ნაყენზე დამზადებული კანფეტის მიტანას სთხოვდა.

დღესაც, „დემელის“ საცხობ-საკონდიტროს პირველ სართულზე გამართულ ისტორიულ დარბაზებში ნებისმიერ ჩინოსან თუ უჩინო სტუმარს შეუძლია უამრავი სხვადასხვა ტკბილეული იგემოს, რომელსაც აქ უკვე 200 წელია აცხობენ, ხარშავენ თუ ახვევენ და თანაც – მხოლოდ ხელით.

## VOYAGER ქამანბარი

საკონდიტრო „დემელის“ კარს დილაუთენია მივადექით. ვიტრინაში, ლაჟვარდოვანი ცის ფონზე, ქოლგას გამოკიდებული ნამცხვრის გოგონა ფრიალებდა და ბედნიერი სახით დაჰყურებდა ნამცხვრისავე სამყაროს. პატივცემული მეცნიერის, პავლოვის საბრალო ძაღლებივით გაძლიერებული ნერწყვება-მოყოფის მიუხედავად ჩვენთვის საკონდიტრო, რა თქმა უნდა, დადგენილ დროზე ადრე არ გაიხსნა. შავ, მკაცრ და რესპექტაბელურ პიჯაკში გამოწყობილ ქალბატონს, რომელიც შიგნიდან კარის გაღებას შეუდგა, შუშაზე ცხვირმიჭყლეთილები დახვდით მე და ჩემი მეგობარი – ჩემსავით მსუნავი არსება.

საკონდიტრო „დემელი“ ბავშვური ზღაპრული ოცნების ასრულებას ჰგავს, იმ ზღაპრისა, რომელშიც შოკოლადის მდინარეები ნამცხვრის კალაპოტებში მიედინება. მრავალფეროვნება იმდენად დიდია, რომ ამ საოცარ სამყაროში აღმოჩენილებს, მკაცრი რეალობა ახალ გამოცდას გვიწყობდა: არჩევანის წინაშე დავდექით! ყველაფერს, მიუხედავად დიდი სურვილისა და მენტალური მზაობისა (რაც 3 კილოს მყისიერი მომატების საშიშროებას მოიცავდა), ფიმიკურად ვერ გავსინჯავდით. არჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. ბავშვური კომპარის იმ კითხვათა კატეგორიიდან: „დედა უფრო გიყვარს თუ მამა?“ ისე მოვიქცეთ, როგორც სამაგალითო ბავშვები, ვუბასუხეთ: „ორივე“.



უფრო სწორად, სამივე, არა, ოთხივე ნამცხვარს გავსინჯავთ. გამყიდველმა ქალმა, რომელიც აშკარად მიჩვეული იყო ვიტრინასთან მსგავსი ტანჯვის ყურებას, პატარა ფურცელზე რაღაც დაჯაბნა და საკონდიტროს სიღრმისკენ მიგვითითა. მიუხედავად იმისა, რომ მისივე პირველები გამოცვხადლით, მაღაზიის თვალიერებამ იმდენი დრო წაგვართვა, კაფეში შესულებს მაგიდებთან მოკალათებული გამოცდილი „დემელელები“ დაგვხვდნენ, რომლებიც უკვე ტრადიციულ, შაბათის ტკბილ საუზმეს შეეცქოდნენ.

ოფიცინტმა ჩვენი არანორმირებული შეკვეთა მოიტანა: შოკოლადის ტორტი, ვაშლის და ხაშხაშის კექსი... პრინციპში, ამ მომენტიდან ჩემი თხრობა უნდა შეწყდეს, იმიტომ რომ ლიტერატურულმა ჟანრმა ადგილი მუსიკალურს უნდა დაუთმოს. გემოთა საოცარი სიმფონია ვენის ისედაც შვიდივე ოქტავის ნოტებით და ვანილის სურნელით გაჯერებულ ჰაერში იშვა, პატარა მარმარილოს მაგიდის თავზე დატრიალდა და ჩვენი ხმაშეწყობილი გასტრონომიული ღმუილით დაგვირგვინდა.

### Coffee Guide



**MELANGE**  
 ეს ყველაზე ტიპური ვენური სასმელია, ჩვეულებრივ ესპრესოს დამატებული აქვს ათქვეფილი რძე, ზემოდან კი რძის ქაფით არის მორთული.



**FRANZISKANER**  
 მელანის მსგავსია, ოღონდ ზემოდან რძის ქაფის ნაცვლად ათქვეფილი ნალეხი. სუფრაზე მიაქვთ ყავის დიდი ფინჯით (1/3 ესპრესო, 1/3 რძე, 1/3 ათქვეფილი ნალეხი).



**KAFFEE VERKEHRT**,  
 ლატე მაკიატო გერმანულიდან ითარგმნება, როგორც „კადაბრუნებული“: მასში ყავაზე მეტი რძეა. მის მოსამზადებლად მაღალ ბოკალში ასხამენ ერთ მესამედ ცხელ რძეს, ერთ მესამედ რძის ქაფს და ერთ ესპრესოს უმატებენ.



**BRAUNER**  
 ჩვეულებრივი ან ორმაგი ესპრესოა, რომელიც სუფრაზე ნალეტან ერთად მიაქვთ (ნალეხი ცალკე სარძევეშია).



**VERLANGERTER**  
 ეს არის ერთი ულუფა ესპრესო დიდ ფინჯანში, რომელსაც უმატება ცხელი წყალი მაშინვე ან შემდეგ, თქვენი სურვილისამებრ. სუფრაზე მიტანა შესაძლებელია რძესთან ერთადაც.

### ALT WIEN KAFFEE

ყავა ისეთ კავშირშია ვენასთან, როგორც რძის ქაფი – მელანთან. ვენაში ყავას არა მარტო სვამენ, არამედ ხალავენ კიდევ. Alt Wien Kaffee თავის კლიენტებს არომატებით გაჯერებული ხვდება – ყავას პირდაპირ მაღაზიაში ხალავენ ყოველდღიურად, მცირე პარტიებით (12 კგ-ს ერთ ჯერზე). პროცესის დასრულების შემდეგ, ძველი ტრადიციის თანახმად, მოხალულ ყავას ხელით ახარისხებენ და შემდეგ დანიშნულებისამებრ იყენებენ.

Schleifmühlgasse 23

### T. R. THE ROAST

იმის ნახვა და გაცნობა, როგორ ხალავენ ყავას მელან-ქისთვის, შეგიძლიათ The Roast-ში – აქ ჩვეულებრივი მოსახალი ღუმელი პირდაპირ კაფეს ცენტრში დგას.

Auguste 21







### ბტრუდელი

ერთ-ერთი უცნობილესი ავსტრიული დესერტი – ვენური ვაშლის შტრუდელი განსაკუთრებით გემრიელია შაქარ-ყინულთან და ვენურ ყავასთან ერთად. მართალია, ამ ნამცხვარს დღეს ყველა იცნობს, მაგრამ ცოტას თუ ახსოვს, რა გზა გამოიარა თავის დროზე არაბეთიდან, ოტომანთა იმპერიის გავლით, ვიდრე საბოლოოდ ავსტრიის დედაქალაქში დაიდებდა ბინას. ნამდვილი შტრუდელის მოსამზადებლად საჭიროა: ვაშლი, შაქარი, ქიშმიში, რომი, ღვინის წვენი, მიხაკ-დარიჩინი, კარაქი და კვერცხი. მაინც, სად მზადდება საუკეთესო ვენური შტრუდელი? სად და, ან შონბრუნის საიმპერატორო საცხობში, ანდა კაფე „მოცარტსა“ და კაფე „ჰოფბურგში“.

Albertinaplatz 2



### დატაბილული ყვავილები

ავსტრიაში ყვავილების ტკბილეულითა და დაშაქრული იებით შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში ისიამოვნოთ. ვარდები, კესანები და კალენდულა – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ „ნედლეულისა“, რომელსაც მიხაელ დივალდისის საწარმო Blühendes Konfekt-ი იყენებს. 10 წელზე მეტია, ვენელი თვითნასწავლი კონდიტერი ველურ ყვავილოვან მცენარეებს აგროვებს და მათგან დაშაქრულ კანფეტ-პრა-ლინებს ამზადებს. დივალდისი სემონის მიხედვით სხვადასხვა ტკბილეულს გვთავაზობს. კანფეტები ისეთ ეგზოტიკურ ინგრედიენტებს შეიცავს, რომელთა შესახებ ალბათ არასდროს გსმენიათ.

Schmalzhofgasse 19



### ნაყინი

ვენაში ნაყინით პირის ჩატკბარუნების მყარი და უძველესი ტრადიცია არსებობს. ქალაქს პირველად მეცხრამეტე საუკუნეში ეწვივნენ ნაყინის იტალიელი მწარმოებლები და ტკბილ ჯადოქრობას შეუდგნენ. დღესდღეობით ევროპაში სანაყინე კაფეების ყველაზე დიდი ქსელი ვენაშია.

ქალაქი თავს იწონებს ნაყინის უმაღლესი ხარისხითაც. სანაყინეების უმეტესობას იტალიელი ემიგრანტების შთამომავლები ფლობენ. ცივი ტკბილეული თაობიდან თაობაზე გადაცემული უძველესი რეცეპტებით მზადდება, თუმცა ნაყინის დედაქალაქი თანამედროვე ტენდენციებსაც არ ჩამორჩება.

Rotenturmstraße 14




### OBERLAA

თუკი ნამდვილი ყავის გემო და განსაკუთრებული ნამცხვარი მოგენტრათ, კაფე „ობერლას“ ესტუმრეთ და იქიდან წამოსულებმა, ხელს თქვენზე არჩეული შოკოლადის კოლოფიც გამოაყოფეთ. იოლი ასახსნელია, რატომაც ასე გემრიელი ყველაფერია, რაც კი „ობერლას“ სახელს უკავშირდება: საიდუმლო მის ხარისხში იმალება!

საუკეთესო შოკოლადი, უმაღლესი ხარისხის კარაქი და დაშაქრული თხილი, ნუში თუ ხილი – ყველაფერს საკუთარი ხელით ამზადებენ, დაშაქრული ფორთოხლისა და ნუგის ჩათვლით. „ობერლას“ მარმელადი 72% ნატურალურ ხილს შეიცავს. „ობერლას“ ნაწარმში კონსერვანტები არ გამოიყენება – იმ ნამცხვრებშიც კი,

სადაც ალკოჰოლია აუცილებელი, ვერაფერს ნახავთ ხარისხიანი ვისკის, კუანტროს, გრან-მარნიესა და ამარეტოს გარდა. ჩვენი რჩევაა, აქვე მიირთვათ საუზმე, დააგემოვნოთ ნუგაშიუფერლი, ზაფხულობით კი – შინაური ნაყინი. „ობერლას“ ტკბილეული საუკეთესო საჩუქარია, სასაჩუქრე შეფუთვა იმდენად ხარისხიანი და ლამაზია, რომ გემრიელი ნობათის გახსნაც კი ერთი დიდი სიამოვნებაა.

Neuer Markt 16



### სუფლა

ეს მსუბუქი და ფუმფულა ჩაროზი შეიძლება ზოგს ზალცბურგის მთის თოვლიან მწვერვალებს აგონებდეს. სიმართლე რომ ითქვას, ის ნამდვილად დიდი ცდუნებაა პირის გემოს მქონე ადამიანებისთვის.

გადმოცემის თანახმად, ზალცბურგის მთავარი და რაიტენაუს არქიეპისკოპოსი თავის სატრფო სალომეს სწორედ ამ უბადლო „ზალცბურგული სუფლეთი“ მოუხიბლავს.

მსუბუქი და ფუმფულა სუფლეს მოსამზადებლად აუცილებლად დაგჭირდებათ ცოტათუდენი რძე, ვანილი, ლიმონი, კვერცხი, მარილი, შაქარი, შაქარყინული, კარაქი და, ცხადია, ფქვილიც.



### GERSTNER

ეს ტრადიციული კაფე და საკონდიტროა ვენის შუაგულში, სადაც 1847 წლიდან ხელით ამზადებენ საკონდიტრო ხელოვნების გემრიელ ნიმუშებს.

სავაჭრო სახლის პირველ სართულზე სტუმრები Gerstner-ის მანუფაქტურის საკონდიტრო ნაწარმს, ასევე, შამპანური ღვინოების ქარხნის, Schlumberger-ის პროდუქციის მთელ ასორტიმენტს აღმოაჩენენ.

Kärntner Straße 13-15



### ბტრუდელ-მოუ

„შეუკვეთეთ ჩვენი ზღაპრული ვაშლის შტრუდელი, ახლად ათქვეფილ ნალებთან და ქაფიან ყავასთან ერთად“, – ასე გეპატიჟებათ შონბრუნის სასახლე საიმპერატორო საცხობში. განიერ კიბეს რომ ჩაათავებთ, ისტორიულ, თაღებიან ოთახს მიადგებით, სადაც საუკუნეთა მანძილზე უამრავი გემრიელი რამ მზადდებოდა. აქ ყოველ საათში ერთხელ ისეთი მოვლენა ხდება, უთუოდ ნერწყვს რომ მოგადენთ – კერძოდ, შტრუდელ-მოუ!

საკუთარი თვალთ შეგიძლიათ ნახოთ, როგორ აცხობენ ტრადიციულ, ვენურ ვაშლის შტრუდელს: ახლად



მოკრეფილი ვაშლის დაჭრიდან, ცომის ისე თხლად გაბრტყელებამდე, რომ მის ქვეშ დადებულ გაზეთსაც კი წაიკითხავს კაცი.

ეს განუმეორებელი სანახაობა არ უნდა გამოტოვოთ – მით უმეტეს, რომ მთელი ამ ჯადოქრობის ბოლოს შეგიძლიათ იქვე დააგემოვნოთ ახალ-გამომცხვარი შედეგები...

ღია: დილის 11-იდან  
ნაშუადღვის 4 საათამდე.  
ფასი – შემთხვევითი.

Café Residenz, Schloss Schönbrunn, Kavalierstrakt 52

### KAISERSCHMARRN

კაიზერშმარნი (კაიზერის ანუ საიმპერატორო ომლეტი) ავსტრიული, კერძოდ, ვენის სამზარეულოს ტკბილი ცომეული კერძია.

მის მოსამზადებლად გამოიყენება ტკბილი მაჭკატებისთვის განკუთვნილი ცომი, რომელსაც გახურებულ ტაფაზე ასხამენ და წვავენ მანამ, სანამ ქვედა ნაწილი არ გამოცხვება; შემდეგ, ცხობის პროცესში, ორი ჩანგლით ან



გადასაბრუნებლით ანაწევრებენ პატარა ნაწილებად და ხრახუნა ქერქის მიღებამდე ბრაწავენ.

კაიზერშმარნს შაქრის პუდრს აყრიან და სუფრაზე ვანილის სოუსთან ან ხილფუფასთან (ტრადიციულად, ქლიავის) ერთად მიაქვთ. შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც – მაგალითად, მომზადებისას ქიშმიშის, ნუშის, კაკლის, თხილის და ა. შ. დამატება.

ლეგენდის თანახმად, კაიზერშმარნი იმპერატორ ფრანც იოზეფ I-ის საყვარელი კერძი ყოფილა და აქედან მოდის მისი დასახელება.

მეორე ლეგენდის მიხედვით კი, იმპერატორს ძალიან ჰყვარებია ტკბილი მაჭკატები. როდესაც ისინი ზედმეტად სქელი გამოდიოდა ან მომზადების პროცესში იხეოდა, სამეფო კარის მზარეული მოსამსახურეს აძლევდა კაიზერშმარნის ფორმით, რადგანაც იმპერატორის სუფრისთვის ისინი აღარ გამოდგებოდა.

### საიმპერატორო ტორტი

ნარჩევი ბუნებრივი ინგრედიენტები საიმპერატორო ტორტს განუშორებელ სურნელს ანიჭებს, რაც სწორი შენახვის პირობებში ორი თვის მანძილზე შეიძლება შეუნარჩუნდეს. კაკოს უმსუბუქესი ნალები, ნუში, მარცპანი და შოკოლადი ამ უგემრიელესი ტკბილეულის ასევე აუცილებელი შემადგენლებია. მერე ულამაზეს ხის ყუთებში ჩალაგებული ეს საიმპერატორო ტორტი მთელ მსოფლიოში იგზავნება – როგორც გულითადი მოკითხვა ვენიდან!

Kärntner Ring 16





## STEIRERECK

გურმანების ოაზისი არამარტო მსოფლიოში საუკეთესო რესტორნების სიაში იკავებს საპატიო ადგილს, ის დიზაინის მხრივაც სანიმუშოა. არქიტექტორების ჯგუფმა PPAG-ის ბიუროდან ააშენა ნაგებობა, რომელიც ქალაქის პარკთან მდებარეობს.

ლითონის გარე ფასადზე პარკის გამოსახულება აირეკლება, კარგ ამინდში კი ფანჯრები ვერტიკალურად იღება. შენობის ამ თავისებურების გამო ინტერიერში თანამედროვე დიზაინისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქე იგრძნობა, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს დუნაის კენჭებისგან დამზადებული იატაკი და ღია ფერის მუხით მოპირკეთებული კედლები. თავისი არსებობის მანძილზე Steirereck-მა „მზარეულის ჩაჩის“ ოთხი უმაღლესი პრიზი მიიღო და ოთხივე დღემდე შეინარჩუნა.

დახვეწილი, უმაღლესი დონის საკვების – თანამედროვე ავსტრიული სამზარეულოს ავტორი გახლავთ შეფ-მზარეული ჰაინც რაიტბაუერი.

რესტორანთან შედარებით უფრო ლიბერალური გარემო და ხელმისაწვდომი ფასები დაგვდებთ Steirereck-ის Milk Bar-ში. თანამედროვე ნათელ გარემოში შეგიძლიათ გასინჯოთ კლასიკური ვენური კერძები, 120 სახეობის ყველი სხვადასხვა ქვეყნიდან, ცხელი ვენური დესერტები, ახალ-გამომცხვარი შტრუდელი და 4-კერძიანი მენიუ რესტორნის სამზარეულოდან.

Am Heumarkt 2a

## MOTTO AM FLUSS

შვედენულაგზე მდებარე ახალი რესტორანი გარეგნულად სწრაფმავალ ხომალდს მოგაგონებთ. აქ, დუნაის არხთან, ორ დონეზე, მეპატრონე ბერნდ შლახერმა ფართო გასტრონომიული ლანდშაფტი „განაღვა“, თუმცა ამ კულინარიული ორგანიზმის გული მაინც მეორე სართულის რესტორანში ფეთქავს. აქაურობა XIX საუკუნის 50-იანი წლების ვენეციურ სტილშია მოწყობილი – მრუდეფეხებიანი ავეჯი, შავ-თეთრი მეტლახი, ორიგინალური აბაჟურები და ჭალები.

რესტორნის მენიუშია ბიოპროდუქტებით დამზადებული ავსტრიული კერძები. რესტორნის გვერდით, ბარში კი უგემრიელესი სასმელები გელოდებათ. დესერტის მირთმევა ტერასაზე განსაკუთრებულ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

Schwedenplatz 2



## ZUM WEISSEN RAUCHFANGKEHRER

ეს შესანიშნავი რესტორანი („თეთრი საკვამურების მწმენდავი“) სტუმრებს სთავაზობს ტრადიციულ გარემოს, ავსტრიულ კერძებსა და ცოცხალ საფორტეპიანო მუსიკას.

აქ სადილობენ მეფეები, დედოფლები, საოპერო მომღერლები, ელიტური დიზაინერები და ბიზნესმენები, იორდანის მეფე აბდულა, დედოფალი რანია, ჯონ გალიანი. „ფალსტაფის“ რეპეტიციების შესვენებებზე ბერნშტაინი და ვისკონტი სწორედ ამ ადგილს სტუმრობდნენ.

აქვე მოდიოდნენ რუდოლფ ნურიევი და მარგო ფონტინიცი. რესტორანი თავდაპირველად ბუხრის მწმენდავთა თავშესაფრის ადგილი ყოფილა. ერთ-ერთ მათგანს მეზობლად, ფევილის სარდაფში გამოუძინია და დღით, ნაბახუსევზე, ფევილში ამოგანგლული დაბრუნებულა საუზმისთვის. ასე შეიძინა სახელი რესტორანმა.

Weihburggasse 4



## LEOPOLD

სამუზეუმო კვარტლის დამთავლიერებლებს შეუძლიათ დაისვენონ მოდურ ქალაქურ კაფეში, რომელშიც გვიან ღამემდე დატკბებიან ჩინებული ხედი, შეიგრძნობენ ცხოვრების ქალაქურ სტილს, მოუსმენენ კარგ მუსიკას და დააგემოვნებენ „ახალ ვენურ სამზარეულოს“.

კაფე ლეოპოლდის მუზეუმის შენობაში მდებარეობს, სადაც მრავალი ხელოვნების ნიმუშია გამოფენილი. აქ საღამოობით შესაძლებელია დაესწროთ კონცერტებსა და ექსპერიმენტულ კინოჩვენებებს, რომლებიც ხშირად იმართება. ულამაზესი ტერასა წელიწადის ცივ თვეებში ზამთრის ბაღად გადაიქცევა.

MuseumsQuartier, Museumsplatz 1

## MOTTO

უკვე 40 წელია ეს რესტორანი ვენის გასტრონომიული სცენის პოპულარული ადგილია. აქ მსოფლიო კინოს ვარსკვლავებსაც შეხვდებით. არაფრით გამოჩნეულ რკინის კარს მიღმა იმალება დახვეწილი სამზარეულო, ელეგანტური ინდუსტრიული დიზაინი.

სტილთა შეხამება და მწვანე ფერი არნახულ ოპტიკურ ეფექტს იძლევა. აქაური სამზარეულო შუალამის შემ-



## KUSSMAUL

ვენის ცენტრში 2014 წელს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური დაწესებულება გაიხსნა. ეს ვენის ერთ-ერთი საუკეთესო შეფ-მზარეულის, მარიო ბერნატოვიჩის იდეის განხორციელებაა: აქ ერთ ჭერქვეშ მდებარეობს რესტორანი, კაფე-საცხობი და ბარი.

Kussmaul-ის დიზაინის მთავარი ღირსება ღია სამზარეულო, მუხის ხის ინტერიერი და უჟანგავი ფოლადის სტელაჟებია, რომლებზეც სამზარეულო-სათვის მწვანილი იზრდება. რესტორანში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისაგან განსაკვირვებელ შინაურ და ექსკლუზიურ კერძებს ამზადებენ.

Spittelberggasse 12

Schönbrunner Straße 30



## GAULT MILLAU-ს რაიტი680

ავსტრიაში რესტორნების ღირსებები ორი განსხვავებული კრიტერიუმით ფასდება – მიშლენის და Gault Millau-ს კლასიფიკაციით. Gault Millau-ც ფრანგული ცნობარია, სარესტორნო მეგზური და კონკურენციას უწევს ცნობილ მიშლენის გამაძკვევს.

XX საუკუნის 70-იან წლებში რესტორნის ორმა ფრანგმა კრიტიკოსმა – ანრი გომ და კრისტიან მიომ შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამაძკვევე, რომლის სიმბოლოდაც მზარეულის ჩაჩი იქცა. დიდხანს მიმდინარეობდა დისკუსია იმის თაობაზე, თუ რომელი შეფასება უფრო მნიშვნელოვანია. Michelin-ი მეტად პოპულარული და გავლენიანი იყო,



GAULT MILLAU-ს სალაზო რესტორან MOTTO AM FLUSS-ს ორი ჩაჩი და 15 კუნძუნი აქვს. მიშლენის 2 ვარსკვლავს, 4 ჩაჩსა და 19 ქულას რესტორანი STEIRERECK-ი ფლობს. მიშლენის ერთ ვარსკვლავს, GAULT MILLAU-ს ორ ჩაჩსა და 16 კუნძუნი აქვს – რესტორანი DOMBEISL-ი.

მაშინ როცა Gault Millau უფრო უტყუარ რეცენზენტად მიიჩნეოდა. მას ჰქონდა შერჩევის სისტემა, რომელიც უშუალოდ სამზარეულოს ღირსებებს ემყარებოდა და არა ფასების, მომსახურებისა და ზოგადი ატმოსფეროს აღწერას.

Gault Millau-ს რეიტინგი ერთიდან 20-მდე პუნქტს მოიცავს. ამ ცნობარის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სრულყოფილება, საზოგადოდ, მიუღწეველია. დაარსების დღიდან Gault Millau-ს 20 ქულა არავისთვის მიუნიჭებია. რესტორნები, რომლებსაც 10-ზე დაბალი შეფასება აქვთ, გამაძკვევის სიაში არასოდეს ხვდებიან. ყველაზე მაღალი შეფასება 19,5-ია. საუკეთესო ავსტრიული რესტორნების რეიტინგებს ამ ვებგვერდზე ამოიკითხავთ:

www.gaultmillau.at



რესტორანი ვენის ისეთივე ღირსშესანიშნაობაა, როგორც წმ. სტეფანეს ტაძარი. მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ცნობილი ადამიანები „პლახუტას“ სტუმრობენ – აქაური ტაფელშპიცისა თუ, ზოგადად, კლასიკური ვენური სამზარეულოს საუკეთესო კერძების დასაგემოვნებლად. რესტორნის მთავარი ხიბლი და გამოსარჩევი ნიშანი მაინც ტრადიციულად, „ვენურად“ დამზადებული მოხარშული ხორცია.



ლია ყოველდღე, დილის 11:30-იდან ღამის 12:00 სთ-მდე; აუცილებელია წინასწარ შეკვეთა. 2 კაცზე სადილი 50€-დან დაიწყო – 60 ავრო

იმპერატორმა ფრანც იოზეფმა ის თავის უსაყვარლეს კერძად მონათლა. იოზეფ ვესსბერგმა, ავსტრიელმა ესესტმა და ცნობილმა გურმანმა, თავის დროზე ასეთი რამეც კი დაწერა: ვენაში კაცი კაცად არ ჩაითვლება, თუკი მოხარშული ხორცის ათ სხვადასხვა ნაჭერს მაინც ვერ შეაფასებს სათანადოდ, თუნდაც თვით იმპერატორმა უბოძოს „კარის მრჩევლის“ წოდება...

კერძის პოპულარობა ვენაში ერთი უცხოელი მოგზაურის ჩანაწერთაც შეიძლება განისაზღვროს, რომელიც ჯერ კიდევ წინა საუკუნეში წერდა: ეს „ჩაშუშული ხორცი ვენურად“ საგანგებო ქოთნებში მზადდება და ამისთანა გემრიელი, რბილი, ცვრიანი და სანატრელი რამ ცხოვრებაში არსად არაფერი მიგემაო!

ისიც სათქმელია, რომ ამ კერძს არამარტო ოჯახებში მიირთმევენ, არამედ საშუალო კლასის მიერ ამოჩემებულ რესტორნებშიც. „პლახუტამ“ სწორედ ეს ტრადიცია აღადგინა და კულინარიული შედეგის დონეზეც კი აიყვანა.

Wollzeile 38

## იმპერატორის საყვარელი კერძი „პლახუტა“ და ოჯახური კომფორტის სუნი

რაღაც უცნაური სიტყვაა „პლახუტა“, შერეულ ასოციაციებს იწვევდა ჩემში, სანამ თავად არ ვნახე. ვენის უკვე საშობაოდ მორთული, ულამაზესი ქუჩის თავზე მოციმციმე გირლანდებს ნიავი არხევდა და სინათლის მდინარეს ამსგავსებდა. რესტორანში ნაძვის სუნი ცხელი წვნიანის არომატს ერწყმოდა. სიმშვიდისა და ოჯახური კომფორტის სუნი – ჩემი პირველი შთაბეჭდილებაა „პლახუტაზე“.

ავსტრია-უნგრეთის იმპერატორის რჩეული საკვები უმარტივესია თავისი შინაარსით, თუმცა უდახვეწილესი – შესრულების მანერით. „ყველაფერი გენიალური მარტივია“-ს პრინციპით, ეს სხვა არაფერია, თუ არა საქონლის წვნიანი მჭლე ხორცის ნაზი ნაჭრებით, ცოტა სტაფილო, ცოტა დაფნის ფოთოლი და ყველა ძაღლისთვის საოცნებო, ტვინით დატენილი ძვალი.

„პლახუტაში“, უპირველეს ყოვლისა, ტაფელშპიცის გასასინჯად დადიან. ეს ფრანც იოზეფ პირველის საყვარელი კერძი ყოფილა.



კიდევ ერთი საოცარი აღმოჩენა, რომელსაც უთუოდ გამოვიყენებ, სოუსია – გახეხილი ვაშლისა და პირშუშხას ხილფაფა, რომელსაც მოხარშულ ხორციან ერთად მოგართმევენ. ძროხის ხორცის უნაზეს სტრუქტურას და მძიმე, ძლიერ გემოს ეს სოუსი საოცარ სიმსუბუქეს და პიკანტურობას მატებს. საგულისხმოა, რომ „პლახუტაში“ ყველა კერძი საქონლის ან ბატის ხორციით მზადდება. თუ ღორის შნიცელი გსურთ, სხვა რესტორანში მოგიწევთ წასვლა, რადგან „პლახუტაში“ შნიცელის მხოლოდ ტრადიციულ ვერსიას ამზადებენ, ხბოს ხორცი.

ოფიცინტმა ბატის პაშტეტის კრემ ბრიულეს გასინჯვა შემოგვთავაზა.

აქ მოსვლა მარტო ამ პაშტეტის გასასინჯადღაც ღირს. მგონია, რომ მისი საოცარი კრემოვანი სტრუქტურის საიდუმლო ათქვეფილ ნაღებშია, რომელსაც ვენელები ერთნაირი წარმატებით ამატებენ ყავაშიც, ნამცხვარშიც და წვნიანშიც.



## PALMENHAUS

არტ ნუვოს სტილით ნაგები ეს ყავახანა ალბათ ულამაზესია მთელ ქალაქში და აქ საუკეთესო საუზმე შეგიძლიათ მიირთვათ. Palmenhaus-ში ხვდება ერთმანეთს ვენის წარსული, იმპერიული ხიბლი და უახლესი ტენდენციები. ფოლადისა და შუშის ეს ნაგებობა თავისი დროის მართლაც გამორჩეული შენობაა; ადრე აქ თავად იმპერატორიც კი დადიოდა გასართობად თუ გულის გადასაყოლებლად. მას მერე ეს ადგილი ვენელებისა და ქალაქის

სტუმრებისათვის საყვარელ დაწესებულებად იქცა. კარგ ამინდში ამ მზიან ტერასაზე ჯდომას არც არაფერი სჯობს. ყოფილ ორანჟერეაში კი, ეგზოტიკური მცენარეების უცნაურ გარემოში, სტუმრები ყავასა და საოჯახო რეცეპტით დამზადებულ ნამცხვრებს შეეცქევიან. Palmenhaus-ში საუკეთესო საუზმის შემდეგ, გირჩევთ იქვე მდებარე Schmetterlinhaus-საც ესტუმროთ: პეპლების უჩვეულო მუზეუმს საუკუნეთა უჩვეულო სურნელი ასდის.

Burggarten 1

## საუზმე ვენაში

საჩაიე Haas & Haas-ში, წმინდა სტეფანეს ტაძრის უკან, მთელი მსოფლიოს საუკეთესო საუზმეულ კერძებს ამზადებენ. საუზმის მრავალგვარ შემოქმედებით ვარიაციას გთავაზობთ კაფე Français-ი. აქ ყველაფერია – ფრანგული ტოსტებით დაწყებული, თბილ-თბილი ფარშირებული ბაგეტებით დამთავრებული.

კაფე Joma სპეციალიზებულია კვერცხისაგან დამზადებულ საუზმეზე. საყოველთაო მოწონებას იმსახურებს ცნობილი ბირჟის მისული და ამარანტის ფაფა.

სენსაციურ საუზმეს ამზადებენ Meierei im Stadtpark-ში, რომელიც რესტორან Steirereck-ს ეკუთვნის. თუ ნოყიერი საუზმე გიყვართ, აირჩიეთ კვერცხი ბატის დაჭრილ ღვიძლთან ერთად, გულ-ფილტვისაგან დამზადებული კერძები ან გულიაში.

რესტორან Meini am Graben-ში, სადაც საუკეთესო დელიკატესები იყიდება, დახვეწილ საუზმეს მიირთმევენ ადრიან დილითაც კი – შამპანურით, ხამანწყებით ან საქონლის ხორცის ტარტარით.

მშვენიერი მცენარეებით მორთული სამყაროა რესტორან Hansen-ში, რომელიც უძველესი ბირჟის შენობაში მდებარეობს. აქ საუზმის მრავალფეროვანი მენიუა. პოპულარული კერძია ფარშირებული კვერცხები – ტრუფელით, ორაგულით ან გოგრის თესლის კარაქით.

## BITZINGER'S SAUSAGE




ტკბილი თუ ცხარე? – უთუოდ ამას გკითხავენ, როცა ვენაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე განთავსებულ ჰოთ-დოგის დახლთან მისული, მდოგვიან სოსის შეუკვეთთ. იმის მიხედვით, როგორი გემო გირჩევნიათ, უპირატესობას ან „კრემსერის“ მოტკბო ან „ესტრაგონის“ (ტარხუნა) უფრო ცხარე მდოგვს მანიჭებთ.

აი, „კაბერკრაინერი“ კი პირწმინდად ავსტრიული გამოგონებაა – ტრადიციული და კლასიკური, ოდნავ შებოლილი ღორის სოსის, რომელშიც 10-20% ყველიც ურევია.

ჰოთ-დოგების დახლებზე ვენური შემწვარი სოსისიც იყიდება და კიდევ არაერთი სხვა კულინარიული სასწაული, რასაც ათასნაირი სასმელი შეგიძლიათ მიაყოლოთ – კენკრის წვენი დაწყებული და ლუდიც დამთავრებული.

ვენაში საუკეთესოდ Bitzinger-ის დახლები ითვლება: ერთი – ალბერტინაპლაცზე, მეორე კი – ზუსტად ვებერთელა „ემშაკის ბორბლის“ სიახლოვეს.

## Figlmüller



**ფიგლმიულერის შნიცელი**, რომელიც განსაკუთრებული რეცეპტით მზადდება, ვენაში **საუკეთესოა**. მართალია, ლამის თეფშზე არ ეტევა – აქაური საშუალო ზომის **შნიცელის დიამეტრი** თითქმის **30 სმ-ია** – მაგრამ მის შესატყველად ნახევარი წუთიც საკმარისია. იმიტომ, რომ **უგემრიელესია**, პირში დნება და თან ხრაშუნა ქერქშია გახვეული.

1905 წელს იოჰან ფიგლმიულერმა ღვინის პატარა დარბაზი გახსნა ვოლცაილზე – ზედ წმ. სტეფანეს ეკლესიის უკან. იმთავითვე ეს ადგილი ვენის გამორჩეული ცხოვრების წესის განსახიერებდა იქცა: ისეთ რესტორნად, სადაც მართლა არაფერი სჯობდა მეგობრებთან მშვიდად საუბარსა თუ საზეიმო წვეულების გამართვას; აქაურობა კერძების დიდი მრავალფეროვნებითა და ადგილობრივი ნარჩევი ღვინოების სიმრავლითაც იწონებდა თავს. ფიგლმიულერთა უკვე მეოთხე თაობის წარმომადგენლები დღესაც დიდი წარმატებით აგრძელებენ ძველ ტრადიციას.

სწორი შეწვისას თითქმის არ შრება, შედეგად, აქაური შნიცელი ოდნავ დიდი ზომისაა, უფრო თხელი და მეტად ხრაშუნა, ვიდრე სხვა ნებისმიერ ადგილას. მისი ხრაშუნა გარსის მთავარი ხიბლი კი საგანგებო, „სამეფო“ ფუნთუშების ქერქია, რომელსაც სწორედ ფიგლმიულერისთვის აცობენ. ყველაზე მეტად მაინც რა უხდება ფიგლმიულერის შნიცელს? რა და, პირველ რიგში, ნაღდი ვენური კარტოფილის სალათა, რომლის განუმეორებელი გემოც საყოველთაოდაც ცნობილი. ფიგლმიულერთან უკვე რა ხანია წესად დაიდეს – ავსტრიული

**აუცილებელია ბაზილის ჭინასნარ დაჯავშნა.**  
**სადილი 2 კარსონაჯა თითო ჰიჰა თათრი ღვინით 40-50 ევრო დამიჯდაბათ.**



**Wollzeile 5**  
**ღიაა ყოველდღე 11:00 – 22:30 სთ**  
**სამზარაულო მუშაობს 11:00 – 21:30 სთ**

**Bäckerstraße 6**  
**ღიაა ყოველდღე 11:45 – 24:00 სთ**  
**სამზარაულო მუშაობს 11:45 – 23:00 სთ**

სამზარეულოს ესა თუ ის კერძი უთუოდ ავსტრიული ნედლეულისგან მზადდება.

რესტორნის მეპატრონე ფიგლმიულერები ღვინოსაც საკუთარს აყენებენ, საგანგებოდ შნიცელზე მისაყოლებელს, და ესეც კიდევ ერთი ძველი ტრადიციია. ამის შედეგია, რომ მენიუში Grüner Veltliner-საც ნახავთ, Welschriesling-საც და არც Blaufränkischer-ს მოისაკლისებთ. ეს ღვინოები კი თავად ფიგლმიულერთა სანახებიდანაა – ვენის მახლობლად, ვუსბერგის მთის კალთებზე თუ სამხრეთ ავსტრიაში გაშენებული ვენახებიდან.

„ფიგლმიულერს“ უკვე ვენის ოთხ სხვადასხვა ადგილას შეგიძლიათ ესტუმროთ! თუმცა უძველეს რესტორანს ვოლცაილზე ვერაფერი შეეძრება.



## ისტორია

ვენაში არ შეუქმნიათ, მაგრამ ამის მიუხედავად „ვენური შნიცელი“ უკვე დიდი ხანია ქალაქის საფირმო ნიშნად იქცა, წმ. სტეფანეს ტაძარსა თუ ვეება „ემპაკის ბორბალთან“ ერთად.

ვენური შნიცელი ხბოს ხორცისაგან დამზადებული კატლეტია, რომელსაც ფქვილში, კვერცხის გულსა და პურის ორცხობილის საფანელში ავლებენ, მერე კი ზეთში ან კარაქში კარგად ბრაწავენ. როგორც წესი, მასთან ერთად გაჭრილ ლიმონსაც მოგართმევენ, რომელიც შეგიძლიათ ზემოდან დააწუროთ.

ვენური შნიცელი იმთავითვე მხოლოდ ხბოს ხორცისაგან მზადდება, თუმცა დღესდღეობით უკვე ბევრ რესტორანში შემოგთავაზებენ სხვა ხორცის შნიცელსაც, რომელსაც ზუსტად იმავე წესით ამზადებენ; ოღონდ მას Wiener Art-ი ჰქვია – იმის ნიშნად, რომ რეცეპტის იგივეობის მიუხედავად ეს კერძი ხბოს ხორცისგან არ მოუმზადებიათ.

შნიცელის ისტორია ჯერ კიდევ VII საუკუნის ბიზანტიის იმპერიიდან იღებს სათავეს. გადმოცემის თანახმად, კეისარ ბასილის ოქროს ფურცლებში გამოხვეულ ხორცს მიაართმევდნენ ხოლმე. მალე ამ მაგალითს სხვა დიდგვაროვნებმაც მიჰბადეს, მაგრამ სიამოვნება ძვირი უჯდებოდათ და ოქრო შებრაწული პურის ქერქით შეცვალეს. დროთა განმავლობაში ხორცის ამგვარად „შეფუთვა“ მეზობელ ქვეყნებშიც გავრცელდა.

XIX საუკუნის დამდეგს კი მილანში მცხოვრებმა ავსტრიელმა, იოზეფ რადეცკიმ ახალი კერძი – Costoletta alla Milanese მოიგონა: კარაქში შებრაწული, პურის ქერქებზე მოთავსებული ხბოს კატლეტი.

რადეცკი იტალიაში განლაგებული ავსტრიის ჯარის სარდალი იყო და კაიზერს არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ ზოგჯერ კულინარიულ ინფორმაციასაც უგზავნიდა...

## ვენური შნიცელი

**VOYAGER**  
**კომანტარი**

„ფიგლმიულერი“ ვოლცაილზე ვენური შნიცელის სავანაა. აქ ეთაყვანებიან შნიცელს, ამზადებენ მას და თუ კარგად მოიქცევით და მაგიდას წინასწარ დაჯავშნით, თქვენც გარგუნებენ. ჩვენ კარგად არ მოვიქცევით და ამიტომ ის-ის იყო საოცარი სურნელებით გაჟღერებულ ჰაერს დავეწაფეთ გაყინული ცხვირებით, რომ მკაცრმა მერტდოტელმა კარისკენ მიგვითითა. თითქოსდა ასე ახლოს იყო ბედნიერება, მაგრამ რა გაეწყობოდა?! ერთი შანსილა დაგვჩინოდა – ნაკლებ ორგანიზებული მომხმარებლისთვის გახსნილი ამავე რესტორნის ფილიალი, სადაც შნიცელისადმი ლტოლვას წინასწარი ჩაწერის გარეშეც აკმაყოფილებენ.

ასრულდა ოცნება და ჩვენც ლეგიტიმურად მივუჯექით მაგიდას. ქათმის შნიცელს აქ არ ამზადებენ და, მგონი, არც ცნობენ, როგორც ერესს; სამაგიეროდ ღორისა და ხბოს შნიცელი აქვე საუკეთესოა.

კერძის შთამბეჭდავი ზომა რომ დავინახეთ მეზობელ მაგიდებზე, ჯერ კეკლუცად გავიფიქრეთ, რომ ერთ შნიცელს, თხილის გულივით, ორნი გავიყოფით, მაგრამ როცა დავინახეთ, რა მონდომებით ასუფთავებდა თეფშს მინიატურული ჩინელი გოგონა, ჩვენც ავიღეთ თავზე ხელი და ერთი ღორისა და ერთი ხბოს შნიცელი შევუკვეთეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ხბოს შნიცელი უფრო ტრადიციული მოვლენაა, მე ღორის ხორცისგან მომზადებული ვერსია უფრო მომწონს. ხორცი უნაზესია, სრულებით არ არის გამოშრალი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თხელი ნაჭერია, გარსი კი ხრაშუნა აქვს. მოკლედ, ნეტარებაა.

ვეგეტარიანელებისთვის ამ რესტორანში შესვლა საერთოდ არ ღირს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით უმარტივესი სალათა, რომელიც შნიცელთან ერთად მოაქვთ, უგემრიელესია.





## LOOS AMERICAN BAR

ცნობილი არქიტექტორებმა – ადოლფ ლოსმა, სერ ტერენს კონრანმა, ანა ლოკატონმა, ჟან ფილიპ ვასალმა და სხვებმა ვენაში ააშენეს ნაგებობები, რომელთა სტუმრობაც, თუნდაც მხოლოდ დიზაინის გამო, აუცილებლად ღირს.

ვენისათვის უკვე ტრადიციად იქცა დაწესებულებები არაორდინარული არქიტექტურით. ამ მხრივ, ლოს-ბარი კლასიკური ნიმუშია. ვენელმა არქიტექტორმა და მოდერნიზმის პიონერმა ადოლფ ლოსმა ასი წლის წინათ დააპროექტა შენობა და ამ პატარა ამერიკული ბარით შექმნა გარემო, რომელიც დროის სვლას არ ემორჩილება.

Kärntner Straße 10

## ALBERTINA PASSAGE

ეს ელევანტური, ბრწყინვალე კლუბ-რესტორანი ოდესღაც მიწისქვეშა გადასასვლელი იყო. დღეს აქ ფუტურისტული გარემო, გამორჩეული სამზარეულო, ამერიკული კოქტეილ-ბარი და ცოცხალი ჯაზური მუსიკა გელოდებათ. მსოფლიოს საუკეთესო ვენური კერძების კონცეფციის ავტორი ავსტრიელი შეფი რეინჰარდ ჰერერი. მაგიდები ულამაზეს კომფორტულ ნიშებში, სცენის გარშემოა განლაგებული.

Passage Opernring  
Operngasse



## ONYX BAR

ამ ბარში კოქტეილებიც შესანიშნავია და ხედიც – ზღაპრული. სწორედ აქ, ზუსტად წმ. სტეფანეს ეკლესიის პირდაპირ მდგომი ამ შენობის მესამე სართულზეა გახსნილი ბარი „ონიქსი“, რომელიც შებინდებიდან ვენის ლამის ცხოვრების ერთი ყველაზე გამოცხლებული ადგილია.

აქაურობის ხშირი სტუმრები პოლიტიკოსები და არტისტები არიან. ოღონდ სულ ერთია, ცნობილი ადამიანი ხართ თუ არა – აქ ნებისმიერი სტუმრისთვის სავალდებულოა ჩაცმულობის საგანგებო მოთხოვნების დაცვა. სრული სიამოვნებისთვის ბარში სივარების სურნელი ტრიალებს და დიჯეების მიერ შერჩეული საუკეთესო მუსიკა ისმის.

Stephansplatz 12 (Haas Haus)



## ღვინის უძველესი სარდაფები

დამთვალეობებს ეს ადგილები განსაკუთრებული შეთავაზებებითა და უჩვეულო ექსკურსიებით იზიდავს. ვენის ცენტრში მდებარე ვილონის ღვინის სარდაფს 500 წლის ისტორია აქვს.

მიწაში 16 მეტრის სიღრმეზე განლაგებულ 4-სართულიან ეგზოტიკურ სარდაფში სანთლის შუქზე საუკეთესო ღვინოებს, ასევე, მთის მინერალურ წყლებს გაგასინჯებენ და მრავალსაუკუნოვან ამბებსაც მოგიყვებიან.

Habsburgergasse 4

კობურგის სასახლის დიდებული ღვინის სარდაფი XVI საუკუნეში აშენდა. 755 კვ. მ ფართობზე განლაგებული ეს უნიკალური ნაგებობა ექვსი განყოფილებისგან შედგება, რომელთა შორისაა ღვინის არქივი და შამპანურის მარანი. მრავალი ჯილდოს მქონე არქივში 60 000 ბოთლი ინახება და რარიტეტული ღვინოების რაოდენობით ის მსოფლიოს საუკეთესო ენოთეკათა რიცხვს განეკუთვნება. დამთვალეობებს სადგეუსტაციოდ უნიკალურ ღვინოებს სთავაზობენ.

Coburgbastei 4

## ვენური ღვინო

ვენა ერთადერთი მეტროპოლისია, სადაც თავად ქალაქის ფარგლებშივეა საკმარისი ყურძენი ადგილობრივი ღვინის დასაწურად. აქაური ვენახების 700 ჰექტარი საკუთარ კვალს აჩვენებს როგორც ქალაქის იერს, ისე მისი ცხოვრების წესს – ყურძნის მოშენებას ვენაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ვენახების 80% თეთრი ღვინის ყურძნის ჯიშებს უკავია.

## WIENWEIN

ვენელი ღვინის მწარმოებლები: Christ, Cobenzl, Edlmoser, Fuhrgassl-Huber, Mayer am Pfarrplatz და Wieneringer – ექსტრა-კლასის ღვინოს შემოგთავაზებენ.

Stammersdorfer Straße 80

## WEIN& CO BAR

ქალაქის არაერთი ბარ-რესტორნის მენიუში წამყვანი ადგილი, ასევე, სწორედ ადგილობრივ ღვინოებს უკავია.

Linke Wienzeile 4

## SCHLUMBERGER

ღვინისა და შამპანურის მწარმოებელი, ყველაზე მდიდარი ტრადიციის მქონე ავსტრიული ბრენდია, პრემიუმ-კლასის ღვინისა და შამპანურის ბაზრის ლიდერი. ეს სასმელი თქვენს ნებისმიერ კერძს გააგემოვინებს.

Heiligenstädter Straße 43

## აზიური სამზარეულო ვენაში

### KIM

სოპი კიმის უმაღლესი კლასის რესტორანში მხოლოდ და მხოლოდ 10 ადგილია. წარმოშობით კორეელი შეფ-მზარეული 10-კერძიანი მენიუს შემოგთავაზებთ. სოპი კიმი უარს ამბობს ტრადიციულ გემოებზე. ამ რესტორანს მხოლოდ ინოვაციური და ექსპერიმენტული კულინარიული შთაბეჭდილებებისთვის უნდა ესტუმროთ.

Währinger Straße 46

### MOCHI

ედუარდ დიმანტი, რესტორნის მეპატრონე, მშვენივრად უხამებს ტრადიციულ იაპონურ სამზარეულოს მის თანამედროვე სახესხვაობებს და ყველაფერ ამას სახსებით მისაღებ ფასში გთავაზობთ. გირჩევთ, უარი არ თქვათ აქაურ ბლითებსა და გიოზას შეჭამანდზე, ტერიაკის საკესა და ტორი კარაგემე. მაგიდის დაკვეთა კი დღის 3 საათიდან შეგიძლიათ.

Praterstraße 15 | 1 | 44

### ON MARKET

აზიური რესტორნის, ON Market-ის მოდური დიზაინის ავტორი ბირგით ეშენლორია. ყურადღების ცენტრში მხატვარ რობერტ ტიერის მიერ შექმნილი უზარმაზარი ყვავილის ფორმის ჭალი ექცევა. ტექსტილისგან დამზადებული ხელოვნების ნიმუშების დახმარებით დიზაინერი ნიჭიერად უსვამს ხაზს ყვავილების თემას.

Linke Wienzeile 36

### HEURIGER-RESTAURANT MUTH

უძველეს ქალაქში, Grinzing-ის მახლობლად მდებარე ამ რესტორანში შემოგთავაზებენ რეგიონულ ავსტრიულ სამზარეულოს სეზონური კერძებით. ახლა ეს მყუდრო რესტორანია, თუმცა 1596 წლიდან ამ ადგილას Heuriger Mut-ის ღვინის მარანი მდებარეობდა. რესტორნის შეფ-მზარეული ამჟამად მოდური გასტრონომიული მოძრაობის – slowfood-ის მიმდევარია. სამზარეულოში კომბინირებულად იყენებენ ტრადიციულ და ეგზოტიკურ ინგრედიენტებს. ინტერიერი ტიპურ ავსტრიულ ტავერნას მოგაგონებთ, ხოლო ტერასაზე, ძველი ხეების ჩრდილში, სიჩუმე და მშვიდი გარემოა.

Probusgasse 10, Heiligenstadt



## ავსტრიული ღვინო

## მრავალფეროვანი სპექტრი და სურნაღი

10 წლის განმავლობაში ერთი ლიტრი საექსპორტო ღვინის საშუალო ფასი 3,5-ჯერ გაიზარდა, რაც ღვინის ექსპორტის კარადიშმის სწორი მიმართულებით ცვლილებაა მიუთითებს – გარმანის საექსპორტო ბაზარზე იაფი ღვინის საფასო სემანტიდან ხარისხიანი და ძვირადღირებული ღვინის გლობალურ დისტრიბუციასა.



### საუკეთესო წითელი ღვინოები

**BLAUER ZWEIFELT (ROTBURGER)** – ახასიათებს დატვირთული, ძლიერი ხილის სუნს, შოთხვისა და სუნელის მსუბუქი არომატი.

**BLAUFRÄNKISCH** – მიიმედ ხავერდოვანი, სასიამოვნოდ მჟავე, ტანინიანი ღვინო, მდიდარი ხილის არომატი.

**BLAUER PORTUGIESE** – ეს მსუბუქი, რბილი ღვინოა ხილის სურნელით, მცირე მჟავიანობითა და ალკოჰოლის ნაკლები შემცველობით.

**ST. LAURENT** – ხავერდოვანი, მშრალი, ხილის ფაქიზი ბუკეტი; ახასიათებს ტანინების ნაზი, სასიამოვნო გემო.

ვენახი ავსტრიული ლანდშაფტის, კულტურისა და ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ამ მიწაზე, სადაც მეღვინეობას ათასწლეულების წინ მისდევდნენ, არსებობს ყურძნის ჯიშები, რომლებიც მხოლოდ ავსტრიის რეგიონებში ხარობს. იდეალურ კლიმატურ-გეოლოგიურ პირობებში იზრდება საუკეთესო ავთენტური ჯიშები და იწურება მკვეთრად ინდივიდუალური ხასიათის ღვინოები.

ავსტრიული ვენახების მრავალფეროვნება ღვინის სახეობათა განსხვავებულ სპექტრს განაპირობებს: შუშუნა-მსუბუქიდან – ძლიერ თეთრ ღვინოებამდე; ქარიზმატული, ხილეულის არომატის მქონიდან – მძიმე, მრავალწლოვან წითელ, ასევე, დახვეწილ ტკბილ ღვინოებამდე. ავსტრიული „ღვინოების ზღვაში“ ორიენტრებისთვის რჩეული სახეობების დახასიათებას გთავაზობთ.

**EISWEIN** – „ყინულოვანი ღვინო“ იწურება იმ მტევნებისაგან, რომლებიც როგორც კრეფის, ისე დაწურვის დროსაც გაყინულია (25°KMW). ეს ტექნოლოგია სრულიად უნიკალურ გემოს აძლევს სასმელს.

**STROHWEIN** – „თივის ყვითელი ღვინო“ მზადდება ყურძნის იმ მტევნებისაგან, რომლებიც სულ ცოტა, სამი თვის განმავლობაში თივაში ინახებოდა და თოკზე აკინძული შრებოდა ჰაერზე (25° KMW).

**2015 წელს ავსტრიული ღვინის ექსპორტის ღირებულება 146 მილიონი ევრო; მოცულობა – 50 მილიონი ლიტრი**

**46000 ჰა ვენახი**

**GEMISCHTER SATZ** – ეს სხვადასხვა ჯიშის ყურძნისგან (მაგ., ვაისბურგუნდერი, რისლინგი და ა. შ.) შემდგარი კუპაჟია, რომლებიც ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე ხარობს. ისინი ერთად იწურება, რაც ღვინოს მრავალფეროვან არომატებს სძენს.

**STURM** – ყურძნის ახლად გამოწურული წვე-ნია, რომელიც სწრაფად იწყებს დუღილს. იგი ჩვენებურ მაჭარს მოგაგონებთ და სასიამოვნო ტკბილი გემო აქვს. ავსტრიელებს მიაჩნიათ, რომ შტურმი აუცილებლად ყველამ უნდა მიირთვას, რადგან იგი სიცოცხლეს ახანგრძლივებს. შტურმის დადუღების შემდგომ ახალი სასმელი წარმოიქმნება, რომელსაც შტაუბიგერი ეწოდება. მას უკვე ახალი ღვინის გემო აქვს.

**GESPRITZTER** – ასე უწოდებენ რამდენიმე სახეობის მომჟავო გემოს მქონე ღვინოებს – გრიუნერ ველტინერს, გემიტერ ზაცს ან ველშრისლინგს, რომლებსაც ზოგჯერ მინერალური წყლით აზავებენ. ეს სასმელი გამამხნევებლად მოქმედებს და ძალზე სასიამოვნო დასალევია.

**SPÄTLESE** – ეს ღვინოები ბოლომდე დამწიფებული ყურძნისაგან მზადდება (19°KMW).

**AUSLESE** – საგულდაგულოდ დახარისხებული, ბოლომდე დამწიფებული, გვიანი მოსავლისაგან დაყენებული ღვინოა (21° KMW).

### საუკეთესო თეთრი ღვინოები

**VELTLINER** – განსაკუთრებული სახეობის, ხილის მკვეთრად გამოხატული გემოთი დატვირთული, ახალი, ცოცხალი, ელეგანტური და ფაქიზი ღვინოა თაფლის არომატი.

**WELSCHRIESLING** – მსუბუქ, ჰაეროვან ღვინოს ვაშლის ნაზი სურნელი ახასიათებს. მას სასიამოვნო სიმჟავე დაჰკრავს.

**MÜLLER-THURGAU (RIVANER)** – რბილი ღვინის განუმეორებელ ბუკეტს მუსკატის არომატი და ყვავილების ნაზი გემო გამოარჩევს.

**WEISSBURGUNDER (PINOT BLANC)** – კაკლის გემო და ღრმად გამჭდარი არომატი აქვს, ის დაბალანსებული ღვინოა.

**RIESLING (RHEINRIESLING)** – სურნელოვანი, შესამჩნევი მჟავიანობის მქონე ღვინოა, ციტრუსისა და ატმის სურნელ-გემოთი.

**NEUBURGER** – ღვინოს ამშვენებს დაბალანსებული, ზომიერი, რომანტიკული არომატი თხილეულის გემოთი.

**სომელიე პატრიკ ჰოპფი** ავსტრიული ღვინოების საუკეთესო მცოდნეა და ყოველთვის სწორ რჩევას იძლევა. მით უმეტეს, რომ პატრიკი ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას სწავლობდა, მერე კი გადაწყვიტა, რომ ღვინის სამყაროში ყველაზე კარგადაა შესაძლებელი ამ ცოდნის გამოყენება და გამდიდრება.

**დაასახელოთ რამდენიმე ავსტრიული ღვინო, რომელიც, თქვენი აზრით, ყველამ უნდა გასინჯოს.**

ოჰ, ეს ძალიან რთული ამოცანაა. ავსტრიაში ძალიან ბევრი საინტერესო ღვინოა. თეთრებიდან აუცილებლად უნდა გასინჯოთ „ვაჰაუს გრუნელველტლინერი“. ასევე, შესანიშნავია „მუსკატელა“ შტირიიდან. წითელი ღვინით ბურგენლანდია ცნობილი („ცვაიგელტი“ ან „ბლაუერანკიში“). ამ რეგიონში შესაძლებელია მდიდარი, საინტერესო ხასიათის წითელი ღვინის ყურძნის ჯიშების მოყვანა. ამ თვალსაზრისით კარგი კონკურენცია შეგვიძლია გავუწიოთ ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ღვინოებს. შესანიშნავი ხარისხის ავსტრიული ღვინის ფასი 10-15-იდან 70-80 ევრომდე მერყეობს.

**რომელ ღვინოს გაუწევდით რეკომენდაციას ტრადიციული ავსტრიული სამზარეულოს გასინჯვისას?**

შნიცელი კარგად მეგობრობს „გრუნელველტლინერთან“. მარტივი, მაგრამ იდეალური წყვილია „რისლინგი“ ვაჰაუდან ბოიშელთან ერთად. ეს ტრადიციული ავსტრიული კერძია, რომელიც ხარის გულ-ღვიძლისგან მზადდება და მას „რისლინგის“ ძმრით აზავებენ – „რისლინგის“ ცოცხალი გემო ძალიან ამდიდრებს ამ კერძს. ნანადირევის ხორცს, რომლის სეზონიც ნოემბერში იწყება, ძალიან უხდება „ბლაუერანკიში“.

**რას იტყვით სხვა ტრადიციულ ალკოჰოლურ სასმელებზე, მაგალითად, ლუდზე ან შნაპსზე? ალბათ ისინიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ.**

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით – ლუდი. მე „ტრუმას“ ან „ცვეტლერს“ გირჩევდით. ეს სახეობები მაღალმთიან ავსტრიაში მზადდება და მიმანია, რომ საუკეთესოა. შნაპსს ნებისმიერი ხილისგან ამზადებენ, მაგრამ ვარგარი და მსხალი ყველაზე პოპულარულია. ასევე, ძალიან კარგია წითელი კენკრის შნაპსი. გირჩევდით „რაისელ ბაუერს“. აპერიტივზე „მუსკატელას“ სვამენ.

**შესანიშნავი ზამთრის კურორტები გაქვთ, რას ურჩევდით მოთხილამურეებს, რა თქმა უნდა, სრიალის შემდეგ?**

ამას ჩვენთან „აპრემის“ ეძახიან, რაც ნიშნავს: „სრიალის შემდეგ“. სრიალის დროს – „იაგერთი“, ჩაი ავსტრიული რომით, ძალიან პოპულარულია. გლუნტვანი კი დღის ბოლოს გასათბობად შესანიშნავია. ღამით, ცხადია, შუშუნა ღვინო. ავსტრიელებს ძალიან უყვართ შამპანური, მაგრამ ავსტრიული სახეობებიც ძალიან კარგია. მაგალითად, „ბრუნდელმაიერი“, „შტაინგერი“ და „სიკეტი“. ზაფხულის პოპულარული სასმელიც გვაქვს, „სომერ შპრიტცეს“ ეძახიან. ეს ღვინისა და ცივი მინერალური წყლის ნაზავია. მოსფიეტლში ვაშლის ღვინოს ამზადებენ, რომელიც, ასევე, პოპულარული სასმელია ზაფხულში. ძალიან უყვართ შტურმიც – ეს არის ღვინო ფერმენტაციის პროცესში. მას დაუხუფავ ბოთლებში ყიდიათ. შტურმის სეზონი მხოლოდ ზაფხულშია.



## MEINL AM GRABEN

ეს უპირველესი მისამართია ავსტრიაში გურმანებისათვის. აქ გაგასიხვებენ დახვეწილ ტკბილეულსა და კულინარიულ ნაწარმს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.

Graben 19



## CONFISERIE HEINDL

შესანიშნავი საკონდიტრო სტუმრებს ანებივრებს უნიკალური ვენური კანფეტებით: მოცარტის კუგელი, სისის ტალერი და იოჰან შტრაუსის ტალერი.

Rotenturmstraße 16



## STADTIMKER

ავსტრიის დედაქალაქი სიმწვანით გამოირჩევა, ამიტომაც ზაფხულობით აქ-ურობას დაახლოებით 200 მილიონამდე ფუტკარი დაბზუს.

აქაური ფუტკრები სრულიად უცნაურ და ძალზე ცნობილ ადგილებს ეტანებიან: მაგალითად, ფუტკრის სკები შეიძლება ნახოთ სახელმწიფო ოპერის, საბუნებისმეტყველო თუ ისტორიის მუზეუმების სახურავებზე; სხვათა შორის, რამდენიმე სკა ქალაქის რატუმის სახურავზეც კი დგას. გამონაკლისი არც სასტუმროებია: ფუტკრების მიერ გამოირჩეულ სასტუმროთა შორის შეიძლება დავასახელოთ Hotel InterContinental, Hotel Daniel, 25hours, Hotel Wienand, Hotel Wimberger, რომელთაც, მათი წყალობით, არასოდეს აკლიათ გემრიელი, ყუათიანი თაფლი.

თაფლის მოყვარულები ამ მუყაითი მწერების ნაწარმს ვენის არაერთ სპეციალურ მაღაზიაშიც მიაგნებენ – ამ მაღაზიათა ქსელს Wald und Wiese უძღვება და თაფლის გარდა მოშხმარებელს პროპოლისის აბებს, ფიჭას თუ ცვილის სანთლებსაც სთავაზობს. სახელმწიფო ოპერის სახურავზე დადგმული სკებიდან ამოღებული თაფლი კი ოპერისავე ბუფეტში შეგიძლიათ დააგემოვნოთ.

Christophgasse 4



## STAUD'S WIEN

უგემრიელესი ჯემები და სხვა დელიკატესები შეგიძლიათ მიირთვათ გურმანებისათვის განკუთვნილ მაღაზიებსა და ფეშენებელურ სასტუმროებში.



## ყველი

რესტორნებში გემრიელი ავსტრიული ყველის კერძების ფართო არჩევანია, მათ შორის, არომატული ყველის სუპი და ლეგენდარული „კემკნობფლე“, რომელსაც მთის ყველისგან, „ემენტალერისა“ და მწკლარტე ყველისგან (Rätkäse) ამზადებენ. ხაჭოსებრი ყველი ზეთისხილითა და ფინიკით, ცხვრის ყველის ბურთულები პესტოთი თუ კლასიკური დასაჭრელი ყველი – ეს პროდუქცია ტრადიციების ზედმიწევნით დაცვით მზადდება. ხარისხი და გულმოდგინე დამუშავება გამოარჩევს გაილტალის მდელის ყველს, რომელიც ადგილწარმოშობის სახელწოდების მხრივ ევროკავშირის მიერ დაცულ პროდუქციას წარმოადგენს.

ტრადიციული დელიკატესია Sauakas – ყველის სახეობები ცისფერი ობით, რომელიც სპეციალური დასავარგებელი ფერმენტის და სხვა დანამატების გარეშე მზადდება მოუხდელი ან უცხიმო რძისგან. ტიროლური ალპბახტალის ყველი დანამატების გარეშე თავისი ბუნებრივი არომატითაა განთქმული. ამასთან, ნატურალური პროდუქტი გარეგნულ სახეს და გემოს წელიწადის დროის მიხედვით იცვლის: ზამთარში, ყოდესაც ძროხები თივით იკვებებიან, ყველი უფრო ღია ფერისაა; ზაფხულში, როცა საქონელი მდელის წვნიან ბალახს შეექცევა, ყველი ოქროსფერ შეფერილობას იღებს.

## მომრის ზეთი

გოგრის თესლის ზეთს სამხრეთ შტერიის „შავ ოქროს“ უწოდებენ. ქალაქ ვაგნაში Pelzmann-ის საწარმო 70 წელია არსებობს. ოდესღაც პატარა ზეთის სახდელი დღესდღეობით უმსხვილესი მწარმოებელია, რომელიც მსოფლიოს ამარაგებს. ზეთის დასამზადებლად მხოლოდ შტირიული ცხიმოვანი გოგრის გასუფთავებული, მოხალული თესლი გამოიყენება, რაც პროდუქტს თხილის გემოს, კარამელის არომატსა და უჩვეულო მომწვანო-მოშავო ფერს ანიჭებს. Pelzmann-ის ზეთი ყოველგვარი დანამატების გარეშე, პირველადი გამოხდის შედეგად მიღებული კულინარიული დელიკატესია, რომელიც კერძებსა და დესერტებს სრულიად გამორჩეულ გემოს აძლევს.



## შპიკი

ხორცის, მარილის, ალპების ჰაერისა და სუნელების ურთიერთშერწყმის რეცეპტები ავსტრიაში გასაიდუმლოებულია. ღორის ან საქონლის ხერხემლის, მკერდისა თუ მენჯ-ბარძაყის ხორცისაგან დამზადებული უგემრიელესი პროდუქტები ავსტრიული სამზარეულოს მშვენიერება და უამრავ ვიტამინს, რკინასა და მინერალს შეიცავს.

გურკტალური შპიკი კარინტიდან გამოირჩეულ საკვებად მიიჩნევა. სხვადასხვაგვარი მარილითა და სუნელით დამუშავების შემდეგ შპიკს შებოლვის გარეშე, სუფთა ჰაერზე ამრობენ. ტიროლური შპიკის მოსამზადებლად შერეული მეთოდი გამოიყენება – ჩრდილოური (შებოლვის) და ხმელთაშუა ზღვის (მშრალი). აღმოსავლეთ ტიროლში, სადაც რჩეულ სუნელებსა და სუფთა ჰაერთან ერთად ცივ კვამლსაც იყენებენ, განსაკუთრებული დელიკატესი – ჰენკელე მზადდება საქონლის, ბატკნის, ირმის ან ტახის ხორცისგან. ინფირტელური მარილიანი შპიკის დამზადების საუკუნოვანი ტრადიციები არსებობს. ხერხემლის ხორცი სუფრის მარილითა და ნივრით უჰაერო სივრცეში იფრინდება, ხოლო შემდეგ სხვადასხვაგვარი სუნელით მუშავდება. შპიკი საკვებად ვარგისია ერთი წლის განმავლობაში და ინფირტერელები მას საუზმეულად იყენებენ.

## WIENER SCHNECKE

ალმოაჩინეთ ძველი ვენური კერძი-ვაზის ლოკოკინა და ლოკოკინის ხიზილალა გურმანებისათვის, რომელიც მხოლოდ გლეხურ მეურნეობებსა და სპეციალურად რეკომენდებულ რესტორნებში შეგიძლიათ მიირთვათ.

Rosiwalgasse 44



## STROTTARGA BIANCO


ავსტრიელმა ფერმერებმა გამოიგონეს კერძი, რომელიც 22-კარატიანი ოქროსა და უიშვიათესი თევზის – ალბინოსი ზუთხის ქვირითისგან შედგება. დელიკატესს „თეთრი ოქრო“ (Strottarga Bianco) უწოდებს. ერთი კილოს ფასი 300 000 დოლარია.



ერთი კილო „თეთრი ოქროსთვის“ 5 კილო ნედლი ქვირითია საჭირო, ამასთან, გამოიყენება არა ახალგაზრდა, არამედ ასაკოვანი თევზის ქვირითი, რომელსაც განსაკუთრებული გემო და არომატი აქვს.

თავდაპირველად ზუთხი-ალბინოსი კასპიის ზღვაში ბინადრობდა, თუმცა ახლა ბუნებრივ გარემოში ძალზე იშვიათად გვხვდება. ის 100 წლამდე ცოცხლობს. იდუმალი ავტორები არიან მამა-შვილი – უოლტერ და პატრიკ გრუელები. მათი თქმით, ავსტრიაში მსოფლიოში საუკეთესო ქვირითია, რადგანაც აქ წყალი სუფთაა.

ნედლ ქვირითს სითხეს აცლიან, რის გამოც ის წონის 80 პროცენტს კარგავს. შემდეგ მას ფხვნილად აქცევენ და 22-კარატიან ოქროს ურევენ. როგორც ცნობილია, მცირე დოზით ოქრო პოზიტიურად მოქმედებს ადამიანის იმუნურ სისტემაზე. მიღებული მასისგან მზადდება პასტა „თეთრი ოქრო“ ტოსტზე წასასმელად.



## HAAS & HAAS

ვენის ცენტრში მდებარე ტრადიციული ჩაის სახლია, რომელიც გთავაზობთ სურნელოვან ჩაის, ასევე, სხვა ექსკლუზიურ პროდუქტებს, რომელთა გასინჯვაც მეზობელ კაფეში შეგიძლიათ.

Stephansplatz 4

## NASCHMARKT

ვენა სახელგანთქმულია თავისი სასურსათო ბაზრებითაც, რომლებშიც შესაძლებელია არა მხოლოდ ავსტრიული ახალი ხილ-ბოსტნეულის, არამედ ეგზოტიკური უცხოური პროდუქტების შექენაც. ბაზარი Naschmarkt-ი მათ შორის უძველესია.

ის ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ბევრი შეფ-მზარეული სწორედ Naschmarkt-ში ყიდულობს სურსათს თავისი სამზარეულოსათვის. ეს არის საუკეთესო ადგილი იმ პროდუქტების გასაცნობად და შესაქენად, რომლებსაც ავსტრიული სამზარეულო იყუძნება.



## BEL ETAGE

თანამედროვე ხელოვნების მოყვარულს შეუძლიათ შეიძინონ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების გზაგასაყარზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშები.

მყიდველს ელის იოზეფ ჰოფმანის ვერცხლის სერვიზი, მიქაელ პოვოლნის კერამიკული ანგელოზები, ლოტცის სადაფის ლარნაკები, მისაღები ოთახისა თუ კაბინეტის ინტერიერის მორთულობა, რომელსაც თავის დროზე ვენის სახელოსნოებში აქაური მხატვრები ქმნიდნენ.

Mahlerstraße 15



## AUGARTEN

ვენის ფაიფურის საწარმო, ევროპის ორი უძველესი საწარმოდან ერთ-ერთი, 1718 წელს გაიხსნა. მას შემდეგ აქაურ „თეთრ ოქროს“ დღემდე მხოლოდ ხელით ამზადებენ, აძლევენ სათანადო ფორმას, ადებენ ჭიქურს და ხელითვე ხატავენ. „აუგარტენის“

თითოეული ნაკეთობა ახლაც ზუსტად ისეთივე გამორჩეული და თვითმყოფადია, როგორც იმ ძველ დროში. საწარმოს მნიშვნელოვანი მოვლენებით მდიდარი ისტორია აქვს. 1718 წლის მაისში იმპერატორ კარლოს მეექვსეს მაშინდელი მეპატრონე მთელ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში ფაიფურის ერთადერთ მწარმოებლად გამოუცხადებია და მისთვის პრივილეგიებიც მიუნიჭებია. დღეისათვის საწარმო 25 000-ზე მეტი დასახელების ნაკეთობას ამზადებს და მთელი ეს გასაოცარი მრავალფეროვნება სრულიად განსხვავებული ზომისა და დანიშნულების ულამაზეს ნივთებს მოიცავს.

Obere Augartenstraße 1

## ALBIN DENK

Albin Denk-ი ფაიფურის ნაწარმის პირველი სავაჭრო დაწესებულება იყო, რომელიც ვენის ცენტრში 1702 წელს გაიხსნა, 1878 წელს კი საკუთარი პროდუქციით საიმპერატორო სასახლის კარის მომარაგების საპატიო უფლებაც

მიიღო. მას შემდეგ აქაური ტურქელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს ვენის ბურჟუაზიასა თუ არისტოკრატის შორის. აქ არასოდეს გაგვირდებათ ისეთი საჩუქრის შერჩევა, რომელიც თქვენი ოჯახის წევრებსა თუ ნაცნობ-მეგობრებს აღაფრთოვანებს.

Graben 13

## MARIO MAURONER CONTEMPORARY ART (MAM)

თანამედროვე ხელოვნების გალერეა Mario Mauroner Contemporary Art (MAM) წარმოგიდგინთ ცნობილი ავსტრიელი და ესპანელი კონცეპტუალისტი მხატვრების ნამუშევრებს. აქ იხილავთ ავსტრიელი ფერმწერების – ჰერბერტ ბრანდლის, ბრუნო გირონკოლის, არნულფ რაინერის, ფრანც ვესტის ტილოებს. მათი ნამუშევრები იფინება გალერეაშიც Elisabeth & Klaus Thoman.

Weihburggasse 26 | Seilerstätte 7



## SUPPAN CONTEMPORARY

გალერეაში შეგიძლიათ იხილოთ დემიენ ჰერსტის, არნულფ რაინერის, ფრანც ვესტის და ბევრი სხვა გამოჩენილი არტისტის ნამუშევრები.

Habsburgergasse 5

## GALERIE MARTIN SUPPAN

ავსტრიული შედევრების, მათ შორის, კლიმტისა და შილეს ნამუშევრების ნახვა კი გალერეა Martin Suppan-შია შესაძლებელი.

Seilerstätte 3



## KUNSTHANDEL STEPHAN ANDRÉEWITCH

ავგვის, ძველი საათების, ფერწერული ტილოებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშების შესაძენად მიაშურეთ გალერეას Stephan Andréewitch, რომელიც შტალბურგასეს ქუჩაზე მდებარეობს. რაც შეეხება ტილოებსა და ნახატებს: გალერეა გთავაზობთ ბიდერმაიერის ეპოქის მინიატურებს, კლასიციზმის სტილში შესრულებულ პეიზაჟებს და ძველი ვირტუოზების მიერ შექმნილ ნამუშევრებს. აქვე იხილავთ ფაიფურის ლარნაკებს, შანდლებსა და მოოქრულ ბოკალებს.

Stallburggasse 2



## DOROTHEUM

„ხელოვნების დაფასება 300 წელია, ჩვენი ვნებაა“, – ამ არაერთმნიშვნელოვანი დევიზით Dorotheum-მა 2007 წელს 300 წლის იუბილე აღნიშნა.

„დოროთეუმი“ 1707 წელს იმპერატორ იოზეფ I-ის მიერ დაარსებული უდიდესი სააუქციონო სახლია ევროპაში, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით წამყვანი პოზიცია უჭირავს. ყოველწლიურად აქ 400 აუქციონი ტარდება 40 სხვადასხვა სფეროში.

„დოროთეუმი“ ყიდის ვენის კლასიკური მოდერნის პერიოდისა და 1930-40-იანი წლების დიზაინერულ ნამუშევრებს, მაგ., ადოლფ ლოოსისა და იოზეფ ჰოფმანის, როლანდ რაინერისა და კარლ აუბეკის ნაწარმოებებს. „დოროთეუმი“ 1901 წელს ამენებულ ნეობაროკოს სტილის დიდებულ რეზიდენციაში მდებარეობს.

Kärntner Straße 36



## WESTLICHT

ამ სახლის აუქციონები მთელ მსოფლიოში იმითაა ცნობილი, რომ შესაძლებელია შეიძინოთ უიშვიათესი ძველი ფოტოაპარატები. ორი წლის წინათ ორგანიზებულმა ამგვარმა აუქციონმა გაყიდვების ყველა რეკორდი მოხსნა. რამდენიმე წლის წინათ კი ჟურნალ LIFE-ის კორესპონდენტის, დევიდ ლუნიკანის ფოტოაპარატი (Leica) 1,68 მლნ ევროდ გაიყიდა.

Westbahnstraße 40

## იხილეთ სტატია

ეტლი ვენის განუყოფელი ნაწილია. მშვიდი ეკიპაჟით მგზავრობა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ქალაქის დასათვალიერებლად და მისი სილამაზის აღსაქმელად. ამ ქუჩაზე – Rue de Saint Fiacre – ეტლების სადგური-გაჩერება მდებარეობს. 1800-იდან 1900 წლამდე ვენაში 1000 ეტლი იყო. მეეტლეები ორიგინალური ადამიანები იყვნენ, რომლებიც ხშირად მომღერლის პროფესიასაც ითავსებდნენ.

განსაკუთრებით ფასდებოდა მეეტლეთათვის დამახასიათებელი კონფიდენციალურობა, რადგან მათ აუცილებლად უნდა შეენახათ დიდგვაროვანთა სასიყვარულო საიდუმლოებანი. ვენა დღესაც

ძნელი წარმოსადგენია მეეტლეების გარეშე. თუ გსურთ, განსაკუთრებულად მშვიდად, ყოველგვარი რისკის გარეშე ისეირნოთ, მეეტლეს ე.წ. „ფაიფურის ლაგამი“ უნდა შეუკვეთოთ – ოდესღაც ასეთი ნელი სვლით ვენის ქუჩებში ფაიფური გადაჰქონდათ. ძველ ქალაქში ექსკურსია მცირე წრეზე 55 ევრო ღირს, ხოლო დიდზე – 80 ევრო.



## RING TRAM

ტრამვაი შედენზლაციდან გადის 30-წუთიანი ინტერვალით და წრეზე მოძრაობს. ვაგონებში 31 დასაჯდომი ადგილია, საიდანაც მშვენიერ ხედებს დაათვალიერებთ. მთელი მარშრუტის მანძილზე თხევადკრისტალური ეკრა-

ნებიდან შეგიძლიათ ინფორმაცია მიიღოთ ღირსშესანიშნაობათა შესახებ. Vienna Ring Tram-ის ბილეთების შეძენა შეგიძლიათ უშუალოდ ტრამვაიში ან ვენის ნებისმიერ სამგზავრო ხაზზე.

## ყინულის ოჯახი

„ყინულის ოჯახი“ – ყოველდღიურად, დილის 9-იდან საღამოს 10 საათამდე, ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავბრუდამხვევი სისწრაფით, ანდა პირიქით, დახვეწილი სინატიფით ისრიალოს ყინულზე 80-90-იანი წლების ჰიტებისა თუ კლასიკური ვალსის თანხლებით. ვენის რატუმის რომანტიკულად განათებულ პარკში ათასნაირად გატოტილი, ზღაპრული ბილიკი მიემართება, რომელთა ნახვაც ერთნაირად აღაფრთოვანებს დამწყებ მოცი-

გურავეებსაც და გამოცდილ პროფესიონალებსაც. ღია ცის ქვეშ დადგმულ სხვადასხვანაირ კარვებში, ისევე როგორც თვითმყოფად მწყემსურ ქოხში, მსოფლიოს ქვეყნების კულინარიული საოცრებებით გაგიმასპინძლებიან. ცხადია, აქ გასათობად მრავალნაირ სასმელსაც შემოგთავაზებენ – სურნელოვანი ბიოპუნშით დაწყებული და ჩაით დამთავრებული. გამჭირავებელ პუნქტში წინდაწინ შემთბარი 1800 წყვილი საციგურაო ფეხსაცმელიც გელოდებათ.







## KNIZE & COMP

გრებენის ქუჩაზე 100 წელიწადზე მეტია მოდების სალონი Knize & Comp მდებარეობს. მე-19 საუკუნეში

ამ სამკერვალოს მომსახურებით ჰაბსბურგების გვარის ერცჰერცოგები სარგებლობდნენ, 1922 წელს კი „კნიზემ“ მამაკაცის თანამედროვე ტანსაცმლის მწარმოებელი პირველი მარკა დააარსა. უკვე დიდი ხანია, აქ მოდურ ეგზალტაციას თავს არიდებენ.

ატელიე თავისი კლიენტებისთვის შეკვეთით კერავს ფრაკებს, სმოკინგებსა და პიჯაკებს, კოსტიუმებსა და ქურთუკებს.

მათი დევიზია: „სტილი იწყება იქ, სადაც მოდა მთავრდება“.

აქ შეგიძლიათ სასურველი კოსტიუმის შეკერვა შეუკვეთოთ, რომლის შექმნაზეც ნიჭიერი სპეციალისტები დიდ დროს (10 დღე) ხარჯავენ. KNIZE-ს ნაწარმი ტოლს არ უდებს ლონდონისა და მილანის საკულტო მოდის სახლებს. ის ევროპაში მესამე სიდიდის ვარსკვლავად არის აღიარებული.

Graben 13

## KNIZE-ს პარფიუმერია

KNIZE ორიგინალური არომატების შესაქმნელად დიდ დროს უთმობს მამაკაცის მიერ სხვადასხვა სურნელის აღქმის თავისებურებათა შესწავლას. გასული საუკუნის 20-იან წლებში KNIZE-მ დაიწყო პარფიუმერული ხაზის, KNIZE TEN-ის წარმოება, რომელიც მსოფლიოში პირველი უნიკალური სერია იყო მამაკაცის პარფიუმერიის ისტორიაში. ეს ხაზი დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც 80 წლის წინათ.



## ZUR SCHWÄBISCHEN JUNGFRAU

სუფრის, საძინებლისა და აბაზანის ექსკლუზიურ თეთრეულს მალაზია Zur Schwäbischen Jungfrau დაგიზადებთ. ისიც გრებენის ქუჩაზე მდებარეობს. ამ ტრადიციულ ვენურ წარმოებას საფუძველი 1720 წელს შეაბმა სელით მოვაჭრემ ჩაუყარა. ის შემდგომში სამპერატორო კარის მსხვილი მომწოდებელი გახდა.

ატელიეში, რომელიც ვენის მერვე რაიონშია, შეკვეთით ამზადებენ მალაზხარისხიან შეკერილ ნაწარმსა და მონოგრამებს. მალაზიის კლიენტები არიან სამეფო კარის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან, მალაზიის მეფე კი ერთ-ერთი სახელმწიფო ვიზიტისას გრებენის ქუჩაზე მდებარე მალაზია Zur Schwäbischen Jungfrau-ს თავად ესტუმრა.

Graben 26



## THE VIENNASTORE

მალაზია The Viennastore-ის კრეატივა: მხოლოდ მაღალი ხარისხის დიზაინი. თაროებზე Lobmeyr-ის ბრენდის ბოკალების გვერდით იხილავთ Melone-ის სერვისის ზოლიან ყავის ფინჯებს. The Viennastore-ში სახალისო საჩუქრებსაც აღმოაჩენთ. მაგალითად, სამთეფშიან კომპლექტს სხვადასხვა საფანელისთვის, რომელიც ვენური შნიცელის დამზადებისას დაგჭირდებათ (წარწერებით: „ფქვილისთვის“, „კვერცხისთვის“ და „დაფქული ორცხობილისთვის“), ასევე, ღია ბარათებს ვინტაჟური ვენური მოტივებით. მალაზიის მეპატრონეები წიგნის გამოცემლობა Metro-ს ფლობენ, ასე რომ, Viennastore-ში ვენის შესახებ უამრავი წიგნი დაგხვდებათ.

Herrengasse 6



## VIENNA TO GO

პატარა მალაზიაში Vienna to go ნაშმარკტის ბაზრობაზე ვენის სამახსოვროდ ხელნაკეთ სუვენირებს შემოგთავაზებენ. მალაზიაში არის მოდური მაისურები, სამკაულები, რომლებზეც ყავა და ნამცხვარი მინიატურებითაა გამოსახული (Kaffeehaus am Ring-ის კოლექციიდან), ვენის სილუეტით დამშვენებული საჭრელი დაფები და მინის ჯამები, Mano Design-ის ფაიფური ვენის მოტივებზე, ტკბილეული Zuckerwerkstatt-ის საწარმოდან და, ასევე, Das goldene Wiener Herz-ის მარკის ბოკალები.

Linke Wienzeile 40



## BUCHERER

სავაჭრო სახლი Bucherer-ი ათწლეულების განმავლობაში უმაღლესი ხარისხის სინონიმია. კერძოდ შტრა-სებზე მდებარე სალონში აღმოაჩენთ ისეთი ცნობილი ბრენდების საიუველირო ნაკეთობებსა და საათებს, როგორცაა: Rolex, Patek Philippe და Gucci.

Bucherer-ის საიუველირო სახელსწრე კი ნიშნობის ბეჭდებს, ყელსაბამებსა და საყურეებს ამზადებს; აქ ძვირფასი სამკაულების პროფესიულ რესტავრაციასაც შემოგთავაზებენ.

Kärntner Straße 2



## WAGNER

ეს ლუქს-კლასის სამკაულების ყველაზე დიდი მალაზია ავსტრიაში, სადაც 700 კვადრატული მეტრის ფართობზე Wagner-ის სამკაულებთან ერთად წარმოდგენილია ცნობილი საერთაშორისო ბრენდების ნაკეთობებიც. ამ სავაჭრო სახლის ნამდვილი მარგალიტი Rolex-ის კერძო ბუტიკია.

Graben 21 / Tuchlauben 2



## GADNER

არქიტექტორ ჰანს ჰოლიანის პირველ მალაზიაში, რომელიც მან 1965 წელს გააფორმა და დღემდე მოდერნის არქიტექტურულ შედეგად მიიჩნევა, ამჟამად Gadner-ის ექსკლუზიური საიუველირო ნაკეთობების სალონია განთავსებული.

ყოველი ნივთი უმაღლესი ხარისხის მქონე უნიკალური ეგზემპლარია. არჩევანი მრავალფეროვანია: აქ შეხვდებით როგორც არტ-დეკოს, ისე თანამედროვე ტენდენციებს.

Kohlmarkt 10



## SKREIN

შპიველგასეს ქუჩაზე მდებარე ავსტრიის პირველი იუველირის სახელსწრე – Skrein-მა მთელი წარმოება ეკოლოგიურ ოქროზე გადაიყვანა.

ეს ნიშნავს, რომ აქ იყენებენ მეორად ოქროს, რომელსაც ეკოლოგიურად, ქიმიური დანაშაულების გარეშე ამუშავებენ.

Spiegelgasse 5

## BROTHERS' BARBERSHOP

ვენის ყველაზე გამოცოცხლებული უბნის, ნოუბაუს შუაგულში მდებარე ეს სადალაქო საუკეთესო მომსახურებასაც ვთავაზობთ და სასიამოვნო გარემოსაც – თავს ისე იგრძნობთ, თითქოს მამაკაცთა ერთგვარ დახურულ კლუბში იყოთ. აქ ის დრო ცოცხლდება, როცა სადალაქოები შეხვედრის, საუბრის, ამრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილი იყო, სადაც შეგეძლო ფინჯანი ყავაც დაგვლია და ერთი ჭიქა ვისკიც გადაგეკრა შენი რიგის მოლოდინში. კალიფორნიული სილაღითა და იტალიური ტემპერამენტით გაჯერებული ჯენტლმენტა ბრიტანული კლუბის განწყობა აქაურობას მიმზიდველ ადგილად აქცევს. წინასწარ დაჯავშნეთ ადგილი ტელეფონით ან ელ-ფოსტით.

Neubaugasse 81



## RUDOLF SCHEER & SÖHNE

„რუდოლფ შეერი და ვაჟები“ უძველესი ტრადიციის ბრენდია. 1816 წელს იოჰან შეერმა ვენაში ფეხსაცმლის სახელსწრე გახსნა, მისი შვილიშვილის, რუდოლფის კლიენტებს შორის კი თვით იმპერატორი ფრანც იოზეფი იყო.

1878 წელს მას „იმპერატორისა და სამეფო კარის მეწაღის“ ტიტული მიანიჭეს. დღესდღეობით ოჯახურ საქმიანობას ამ გვარის მეექვსე თაობა უძღვება და შეკვეთით ამზადებს ქალისა და მამაკაცის დახვეწილი დიზაინის მქონე ფეხსაცმელს.

Bräunerstraße 4



## DUKES FINEST ARTISAN

აქ უკვე კარგა ხანია ხელით ამზადებენ ტყავის აქსესუარებს და საფულეებს. ყოველი ნაკეთობა გაცემას იწვევს განუმეორებელი დიზაინით – თავისთავად უზადო ხარისხისა და ფერადონების ტყავის მასალა ხელოვნების ნიმუშადაა გადაქცეული. აქ ძველ, იშვიათ ნივთებსაც უცვლიან სახეს, ბუნებრივი ზეთებითა და საცხებით ასუფთავებენ, აპრიანებენ და საბოლოოდ სრულიად ახლებურ, განუმეორებელ იერს ანიჭებენ. რაც მთავარია, ყველაფერი ხელით კეთდება – ძველი ოსტატების ტრადიციების სრული დაცვით.

Jochingergasse 10



## SARTALE

Sartale-ში შეგიძლიათ ტრადიციის ერთგული იმ ბრენდების – Cesare Attolini, Simonnot-Godard, Finamore, Lardini, Artioli, Fioroni, Colombo, Silvano Lattanzi, Mandelli, Malo, Bontoni, E. Marinella, Loro Piana – პროდუქცია შეიძინოთ, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ბუნებრივ მასალას და ხელით ნაკეთობას, ისე უმცირეს დეტალებსაც.

იმისათვის, რომ სათანადოდ გამოიყურებოდეს, დღევანდელი ჯენტლმენი აქ ყველაფერს ერთ სივრცეში იპოვის – იქნება ეს ფეხსაცმელი, პერანგი, ყელსახვევი, პიჯაკი თუ სულაც ათასნაირი აუცილებელი აქსესუარი.

აქ შესაძლებელია უნატიფესი ბუნებრივი ნართით ნაქსოვი Bresciani-ს წინდების შექმნაც, რომელიც მთელ მსოფლიოში იყიდება საუკეთესო საფორმო მალაზიებში. ინდური კანაფის, სელის, ეგვიპტური ბამბის, მერიანოსის შალისა თუ ქაშპირის ნედლეულის გამოყენებით, Bresciani მხოლოდ საუკეთესო, შეუდარებელი ხარისხის ნაწარმს ამზადებს.

Rouhensteingasse 7

## PHILIPPE PERZI

ეს მალაზია ხარისხის დამფასებლებს მამაკაცის უმაღლესი ხარისხის სამოსის ფართო არჩევანით ანებივრებს – საფორმო პერანგებით, აბრეშუმის მრავალფეროვანი ყელსახვევებით, აქსესუარებით თუ ყოველდღიურად მოსახმარი ნაქსოვი და ტყავის სამოსით. Perzi-ს უზადო თარგის პერანგები მხოლოდ უმაღლესი ხარისხის იტალიური ქსოვილებისგან იკერება და მათ სრულიად თავისებური ხელწერა და სრულყოფილება გამოარჩევს.



მასალის მომწოდებელია „თომას მისონი“ – ჯერ კიდევ 1796 წლიდან ფართოდ აღიარებული უძველესი ფირმა, რომელთანაც კარგა ხანია თანამშრომლობენ ლონდონის სენტ ჯემის უბნის და ჯერმინ სთრიტის საუკეთესო თერძები. Perzi-ს პერანგები შეზღუდული რაოდენობით იკერება.

Spiegelgasse 25

## SPRINGER'S SPORTING CLUB

თუ საუკეთესო სამონადირეო კოსტიუმის და ალჭურვილობის შექმნა გსურთ, მაშინ Springer's Sporting Club-ზე უკეთეს ადგილს ვერ ნახავთ. აქ Patrick Mavros, Meindl Fashion-ის, James Purdey&Sons-ის და Habsburg-ის საუკეთესო ხარისხის ბრიტანულ ტანსაცმელს და James Purdey & Sons-ისა და Holland & Holland-ის საუკეთესო სანადირო თოფებსა და აქსესუარებს შეარჩევთ.

ეს ბრენდები ავსტრიაში მხოლოდ ამ კლუბშია ექსკლუზიურად ხელმისაწვდომი. კლუბი-მალაზია ყურადღებას ძირითადად მყუდრო, სოფლური ცხოვრების წესზე ამახვილებს და ცდილობს, ბრიტანული სავარაუდო კოტეჯის ხიბლი ქალაქ ვენაშიც გაგრძობინოთ. Springer's Sporting Club-ი გამოირჩევა უმაღლესი ხარისხით, უზადო გემოვნებით შერჩეული კოლექციებით და იმ მრავალფეროვანი აქსესუარების მშვენიერი არჩევანით, რომელიც მართლა უჩვეულო საჩუქარი იქნება „რამე განსაკუთრებულის“ დამფასებლებისთვის.

Hoher Markt 8-9



## BONPOINT

შესანიშნავი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ბავშვებისთვის საფრანგეთიდან – ჩვილებიდან დაწყებული, მოზარდებამდე.

Spiegelgasse 8



## PAGABEI

ფერად-ფერადი, მოსახერხებელი და უვნებელი ტანსაცმელი 10 წლამდე ბავშვებისთვის! აქ ყველაფერი უმაღლესი ხარისხისაა, ბუნებრივი მასალისგან მზადდება და უაღრესად მოსახერხებელია სატარებლად.

Josefstädterstraße 20

## KAKAO KINDERMODE



„კაკაო კინდერმოდში“ ბუნებრივი მასალისგან დამზადებული სამოსი იყიდება, BLOEMPJE-ში კი არამარტო ახალგაზრდა დიზაინერების მიერ ბუნებრივი ბამბის ქსოვილისაგან დამზადებულ ნახელავს შემოგთავაზებენ, არამედ ხელნაკეთ ნაჭრის სათამაშოებსა და საბავშვო წიგნებსაც კი.

Strozzigasse 23-25

## HERZILEIN

Herzilein-ის ხელნაკეთი საბავშვო კოლექცია ვენაშია დამუშავებული და შექმნილი.

Wollzeile 17



## INGRID FRANK

ბავშვის კანისთვის სრულიად უვნებელი სამოსისა და საცვლების ფართო არჩევანი! აქ მხოლოდ ეკოლოგიური მოთხოვნების მკაცრი დაცვით შერჩეული ნაწარმი იყიდება და, ასევე, დედებისთვისაცაა ცალკე განყოფილება მრავალფეროვანი კოლექციით.

Barnabitingasse 3



## PARNDORF

დიზაინერულ აუთლეტში – „პარნდორფში“ 130-ზე მეტი მალაზიაა თავმოყრილი: Armani, Burberry, Desigual, Gucci, Guess, Nike, Timberland, Tommy Hilfiger, Zegna და სხვა. ამ კომპლექსშივე აღმოაჩენთ 9 შესანიშნავ რესტორანს, ბარებს და საბავშვო მოედანს. დასვენების დღე მხოლოდ კვირა და დღესასწაულებია.

აუთლეტი ვენიდან ავტომანქანით 30 წუთის სავალზეა; იქამდე მისასვლელად შეგიძლიათ ავტობუს-შატლით ისარგებლოთ, რომელიც ვენიდან „პარნდორფში“ 11 საათიდან ყოველ ნახევარ საათში გადის. გაჩერება ვენის ცენტრშია, სახელმწიფო ოპერის შენობის (მთავარი შესასვლელის) მოპირდაპირედ. მისამართი: Opernring 3-5.

შატლით მგზავრობის ორი გზა 11 ევრო ღირს, 3-6 წლის ბავშვებისთვის – 4 ევრო. ბილეთი შეგიძლიათ შეიძინოთ აუთლეტის საინფორმაციო ცენტრში, ასევე, კლიენტთა მომსახურების ცენტრში.

„პარნდორფის“ აუთლეტში, წარმოუდგენელი ფასდაკლებების გარდა, კიდევ ერთი ბონუსით – ტექსტურის ადგილზე დაბრუნების სერვისითაც ისარგებლებთ. თუ არ დაიბარებთ და შოპინგის დაწყებამდე საინფორმაციო ცენტრში დარეგისტრირდებით, ხუთ შერჩეულ მალაზიაში დამატებით 10%-იანი შეღავათით ისარგებლებთ.

VOYAGER  
ქმნიან

ავსტრიაში Tax-Free-ს მისაღებად შენაძენის მინიმალური თანხა 75,01 ევრო უნდა იყოს. დაბრუნებული თანხის საშუალო ოდენობა დაახლოებით 13 პროცენტს შეადგენს.

დაბრუნება შემდეგნაირად ხდება: მალაზიაშივე ივსება გადასახადის დაბრუნების ბლანკი (მასში უნდა შეიტანონ მყიდველის გვარი და მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართი ევროკავშირის საზღვრებს გარეთ) და კონვერტი გადახდის ყველა პუნქტის

ჩამონათვლით. გადასახადის დაბრუნების ბლანკს უნდა დაერთოს ჩეკის ორიგინალი. ვენის აეროპორტში ჯერ რეისზე რეგისტრაციას გადინართ, თუმცა ბარგს იქ არ აბარებთ; თქვენივე ბარგით მიდიხართ საბაჟოს ოფიცერთან, რომელიც დოკუმენტებს ამოწმებს და ბეჭდით ადასტურებს. უკვე საზღვრის გადაკვეთის შემდეგ შეგიძლიათ თანხის უკან დაბრუნება. ტრადიციულად, სალაროსთან უზარმაზარი რიგია, ამიტომ შეეცადეთ ამ პროცედურაზე დამატებით საათ-ნახევარი მაინც გამოყოთ.

## შონბრუნის ზოოპარკი

1752 წელს იმპერატორმა ფრანც I-მა ლოტარინ-გიელმა დიდგვაროვანი სტუმრები შონბრუნის სასახლის პარკში, ახალმოწყობილ სამხედრო მიწებში მიიწვია. ვენაში მას შემდეგ არსებობს მსოფლიოს უძველესი ზოოპარკი.

ჯერ კიდევ 1906 წელს ადამიანის მფარველობითა და ზედამხედველობით აქ პირველად დაიბადა აფრიკული სპილოს ნაშიერი. შონბრუნის ზოოპარკი მსოფლიოში უძველესადაა მიჩნეული და უკვე ოთხჯერ აღიარეს ევროპაში საუკეთესოდ. შონბრუნი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ზოოპარკია მსოფლიოში, მისი ისტორიული მომხიბვლელობა მუდამ ხელუხლებელი რჩება. ფართო, კეთილმოწყობილი ვოლიერები ბუნებრივ პირობებთანაა მიახლოებული.

აქ 700-მდე სახეობის ცხოველი ბინადრობს, ციმბირული ვეფხვიდან – ბეჭემოთებსა და მარტორქებამდე. ზოოპარკის მთავარი ღირსშესანიშნაობები ტროპიკული სექტორი, სამხრეთამერიკული პავილიონი და ორანგუტანგერეაა.



2010 წლის გაზაფხულზე შონბრუნში თავგადასავლების მოყვარულთათვის „ბუნებრივი ბილიკები“ გაიხსნა, 2014 წლიდან კი – თეთრი დათვების ახალი პავილიონი, „ფრანც იოზეფის მიწა“ 1700 კვ. კმ-ზე. 2007 წელს აქ მსოფლიოში პირველად დაიბადა ბუნებრივად ჩასახული პანდის ბელი ფუ ლონგი, 2010 წელს – მეორე, 2013 წელს – მესამე. ამავე წელს სპილოებსაც გაუჩნდათ შთამომავლები.



**ცხოველების დაკურება ზოოპარკის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია, რადგან თითოეულ მათგანს განსაკუთრებული კვალითი საწირობები აქვს. მხოლოდ ექსკლუზიური ვიზიტისას, ზოოპარკის თანამშრომლის თანხლებით, შეძლებთ გამოკვამოთ ცხოველები.**

ექსკურსიების დროს შეგიძლიათ მოინახულოთ აკვარიუმი და ტერარიუმი, პოლარული პავილიონი, ტროპიკული ტყეები; ნახოთ ლემურები, გიგანტური კუები, პინგვინები, ინდური მარტორქები, კოალაები და სპილოები.

რამდენი ცხოველი ბინადრობს შონბრუნში? პასუხი გამაოგნებელია – 8500. ამიტომაც, შეუძლებელია ერთხელ სტუმრობისას ყველაფერი დაათვალიეროთ. ჯობს, ზოოპარკს დილით ესტუმროთ, რადგან ცხოველთა უმეტესობა ადრე იღვიძებს. თუ რომელიმე ცხოველის ნახვა გსურთ, მაგრამ იგი არ ჩანს, მოძებნეთ როგორც გარე, ისე შიდა თავშესაფრებში, რომლებიც მათთვის ბუნებრივ პირობებთან მიახლოების მიზნით შეიქმნა. შონბრუნში დაგხვდებათ საკონტაქტო პატარა ზოოპარკიც. აქ ბავშვები შეძლებენ მშვენიერ ბეჭვზე ხელი გადაუსვან ჯუჯა თხებს, რომლებიც მოედანზე თავისუფლად დასეირნობენ.



Tiergarten Schönbrunn  
Hietzinger Hauptstraße

**6 წლამდე ბავშვებისათვის ზოოპარკის დათვალიერება უფასოა.**

**6 წალს ზავით საბავშვო ბილითი 8 ევრო ღირს.**

**19 წლისაგან და მათზე უფროსებს ჩვეულებრივი ბილითი სწირდებათ (16 ევრო, ჯგუფთან ერთად – 14 ევრო).**



## შონბრუნის სასახლე

თუ გსურთ, თქვენმა პატარამ მეტი შეიტყოს საიმპერატორო ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, მაშინ შონბრუნის სასახლეს უნდა ესტუმროთ იმის გასაგებად, როგორ იშლებოდა საიმპერატორო სუფრა, როგორ ზრუნავდნენ ჰიგიენაზე იმპერატორის სასახლის კარზე, როგორ იცვამდნენ ფენა-ფენა სხვადასხვა სამოსს, რა სათამაშოებით თამაშობდნენ იმპერატორის შვილები... აქვე შეძლებენ, პრინცებისა და პრინცესების ძველი ტანსაცმელიც მოიხილონ!

Schonbrunner Schlosstrasse

## საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმი

ზუსტად შეიძლება გამოცნობა, ყველაზე მეტად რა მოეწონებათ ბავშვებს ამ ვეება მუზეუმში: დინოზავრის ჩონჩხი და ბავშვთა ოთახი. დინოზავრის დარბაზში დიპლოდოკუსის – ხმელეთის ამ უგრძესი ხერხემლიანის ჩონჩხის ხილვა ნამდვილად დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს.

Burgring 7, entrance Maria-Theresien-Platz

## ბაქლომონის მუზეუმი

„მინი“ დარბაზი ორიდან ექვს წლამდე ასაკის პატარებისთვისაა განკუთვნილი. როგორია სახანძრო მანქანის მართვა? ოდესმე უოცნებია პოლიციელობაზე? ეს დარბაზი ყველა ამგვარ სურვილს თუ ოცნებას შეუსრულებს: აქ შეიძლება ბავშვმა ყველაფერი მოსინჯოს – მუზეუმის დარბაზებში არაერთი სახანძრო გააოცებს, იქნება ეს ძველებური საფრენი აპარატები, ორთქლის ძრავები თუ პირველი ავტომობილები.

Marihilferstrasse 212



## THE SOUND MUSEUM

მუსიკის მუზეუმში კი, ვირტუალურად, ბავშვებს ვენის ფილარმონიის ორკესტრსაც შეუძლიათ უდირიჟორონ!

Seilerstätte 30

## MUSEUMSQUARTIER Museumsplatz 1



„მუზეუმების უბანში“ მდებარე ზუმის მუზეუმში ბავშვები თამაშ-თამაშ საინტერესო ამბებს შეიტყობენ: წყალქვეშა სამყარო იქნება ეს თუ ველური ბუნება. მუზეუმის სტუდიაში კი მათ გამოცდილი ოსტად-დამრიგებლები უამრავი რამის საკუთარი ხელით გაკეთებას ასწავლიან.

## პრაბარი

ვენის Wurstelprater-ი ყველაფერს გთავაზობთ – იქნება ეს საციგაო ტრასა, „ამერიკული გორაკები“ თუ „სამინელებათა რკინიგზა“. ვისაც უფრო მშვიდი გართობა ურჩევნია, შეუძლია კარუსელზე იტრიალოს, ანდა ვეება „ემპაკის ბორბალზე“ დაჯდეს, ვენის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას რომ წარმოადგენს. იქვეა პლანეტარიუმიც და მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმიც. რა თქმა უნდა, ვენის პრაბერ-პარკში მისული ბავშვები განსაკუთრებული ხალისით ისეირნებენ ძველებური ჯუჯა მატარებლით.

Haupteingang Riesenradplatz



ვენაში შოპინგისთვის უამრავი შესაძლებლობაა: დიდი მოდური ქსელებიდან – პატარა ბუტიკებამდე, დახვეწილი საფლაგმანო მაღაზიებიდან – ცნობილი ბრენდების მაღაზიებამდე.

ვენის სავაჭრო ქუჩებზე მაღაზიები, ჩვეულებრივ, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9-იდან საღამოს 7-ის

ნახევრამდე მუშაობს, შაბათობით – დილის 9-იდან საღამოს 5 ან 6 საათამდე. სავაჭრო ცენტრები კი, როგორც წესი, საღამოს 8 საათამდე ღიაა. კვირადღით და სადღესასწაულო უქმეებზე სასურველი ნივთები შეგიძლიათ შეიძინოთ სუვენირების ვიზუალებში, მუზეუმების მაღაზიებში, ვაგზლებსა თუ ვენის აეროპორტში.



ძველ ქალაქში (ვენის პირველი რაიონი) ნახავთ როგორც შოპინგ მოლებს, ისე ცნობილი ბრენდების საფლაგმანო მაღაზიებს:

Steffl Department Store  
Kärntner Straße 19

Ringstraßen Galerien  
Kärntner Ring 5-7

Peek und Cloppenburg  
Kärntner Straße 29-33  
Mariahilfer Straße 26-30

Gerngross  
Mariahilfer Straße 42-48

## ALEXA VON CANISIUS

მოდის ამ ავსტრიული სახლის პროდუქცია, რომელიც ძირითადად საზეიმო მიღებებისა და წვეულებებისთვისაა განკუთვნილი, უკვე არაერთხელ გამოჩნდა ჰოლივუდის წითელ ხალიჩაზე. აქ შექნილი სამოსით ისეთ ცნობილ ადამიანებს მოუწონებიათ საჯაროდ თავი, როგორებიც არიან: ენდი გარსია, ეივრილ ლავინი, კელი ოსბორნი, „გრემის“ ჯილდოს მფლობელი ესტელი, ეშლი კიტინგი. დიზაინერი ალექსა ფონ კანსიუსი ავსტრიულ არისტოკრატთა ოჯახში დაიბადა. მოდის სამყაროსკენ სწრაფვა და

სილამაზის აღქმის ნიჭი კი დუბაიში, ლონდონში, ვენაში, ნიუ-იორკში, მონრეალში გატარებულმა წლებმა გაუღვივა. ათწლეულების მანძილზე ის ისეთ ცნობილ ბრენდებთან თანამშრომლობდა, როგორცაა: „კრისტიან დიორი“, „ბულგარი“, „კარტიე“ და „ჰაროდის“; ამავე დროს, როგორც პროფესიონალი მრჩეველი, პირადად ზრუნავდა მსოფლიოს სხვადასხვა სამეფო ოჯახის წევრთა ჩაცმულობაზე, ვიდრე ბოლოს მოდის საკუთარი სახლი არ დააარსა.

Prinz Eugen-Straße 48

## MÜHLBAUER

ბრედ პიტს, მადონას და იოკო ონოს უყვართ ვენის შლაპების მანუფაქტურის – „მიულბაუერის“ გამორჩეული სტილის შლაპები. ტრადიციული საწარმო ვენის შემოგარენში არსებული პატარა საგალანტერეო სახელოსნოს განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე შლაპების პოპულარულ მოდურ ბრენდად, რომლის სახელი დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილია.



1903 წლიდან აქ სხვა ელეგანტურ თავსაბურავებსაც ქმნიან ხელით. დღეისათვის, სხვადასხვა ვარიაციის შლაპებთან ერთად, საწარმო ქუდებს, კეპებს, ჩაჩებსა და თმის გადასაჭერებსაც ამზადებს.

Mühlbauer Headwear  
Seilergasse 10



## SUSANNE KITZ

აქ ნახავთ ექსკლუზიურ ჩანთებს ტყავისგან და უნიკალურ მორთულობას ნახევრად ძვირფასი ქვების, სადაფისა და რქისაგან.

Weinburggasse 7

## RUNWAY VIENNA

გულდაგულ შერჩეული კოლექციები მხოლოდ ავსტრიელი დიზაინერებისგან ექსკლუზიურ ატმოსფეროშია წარმოდგენილი.

Goldschmiedgasse 10

## TIBERIUS

მგრძობიარე-პროვოკაციული მოდა მამაკაცებისა და ქალებისთვის დევიზით: „ტყავი აბრეშუმის შიფონთან ერთად გვხვდება“.

Lindengasse 2

## WABI SABI

თეთრ, ნაცრისფერ და შავ ტონებში გადაწყვეტილი კოლექცია იაპონური ლაკონურობის გამოხატველია.

Lindengasse 20

## EMIS

აქ იაპონელი დიზაინერების – ემი იამა მოტოს, კომ დე გარსონის და ისეი მიაკეს ტანსაცმლის და აქსესუარების შექმნა შეიძლება.

Wildpretmarkt 7

## AGENT PROVOCATEUR

ლონდონური საკულტო სახლის ფილიალი ქალის თეთრეულის საუკეთესო არჩევანს გვთავაზობს.

Tuchlauben 14

## EDITION-K

მოდის ზუსტი გრძობა მშვენივრად ესადაგება დახვეწილი, გამოკვეთილი პიროვნულობის მქონე ქალების მოთხოვნებს.

Seilergasse 1

## FRACK & CO

Frack & Co-ს სმოკინგები, პიჯაკები, ჟილეტები, შარვლები და პერანგები მხოლოდ უმაღლესი ხარისხის, ბუნებრივი ქსოვილისგანაა დამზადებული.

Hanuschgasse 3

## ANITA MÜNZ

ანიტა მიუნცი ელეგანტურ გულსაბნევეს, სამაჯურებს, ძეწკვებს, თმის სამაგრებს თუ საყურებს მხოლოდ რქისგან ამზადებს.

Bauernmarkt 11

## AND-i

იუველირ ანდრეას ებერჰარტერის უჩვეულო მორთულობა განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდა ვარსკვლავებში, მისი აქტიური მომხმარებელია ლედი გაგა.

Hohlweggasse 11/2

## SCHELLA KANN

ეს არის მოდა ელეგანტურობასა და გახსნილობას შორის, ტრენდსა და არათანადროულობას შორის.

Spiegelgasse 15

## CALLISTI

ტანსაცმლის ხაზი ქალებისა და მამაკაცებისთვის, რომელიც ყოველთვის აქტუალური ელეგანტურობით გამოირჩევა.

Weihburggasse 20

## INA KENT

მოდური ტყავის ჩანთები ინა კენტისგან ფუნქციურობითა და ხაზგასმული სისადავით გამოირჩევა.

Siebensterngasse 50

## WOLFENSSON

უჩვეულო გარემოში წარმოდგენილი ავანგარდული მოდა ძირითად ტენდენციებს სცილდება. აქედან ხელცარიელი არ წავლენ არც ის მამაკაცები, რომლებიც მოდში ერიკვევიან.

Habsburgergasse 1A

## CALEO CASHMERE

ანა ფრანცს და ელიზაბეთ ბაუერს მოდის გაუნელებელი სიყვარული და დღევანდელი უტყუარი ადლო გამოარჩევთ.

Caleo Cashmere-ი მათ 2013 წელს ერთობლივად დააარსეს და მთავარ ამოცანად მაღალხარისხიანი, გამძლე ნაწარმის შექმნა დაისახეს; ცდილობენ მაღალ მოთხოვნებსაც აუწყონ ფეხი, ამავე დროს, მათი ნაქსოვი პროდუქცია რაც შეიძლება მეტისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

Scharnsteiner Straße 23

## SISI VIENNA

ეროვნული სამოსი ისევ მოდშია. ავსტრიულ ნაციონალურ კაბას თუ ტყავის შარვალს დიზაინერული იდეები ახალ სივრცეს აძლევს. მოდა იმპერატორ ელიზაბეთის სტილში კარგად ეხამება თანამედროვე ნაციონალურ კოსტიუმს ვენის ცენტრში მდებარე მაღაზიაში: Sisi Vienna მსურველებს სთავაზობს ელეგანტურ კაბებს ვენის სტილში. სალონის მოდური სამოსი მჭიდროდ უკავშირდება უძველეს ტრადიციას, თუმცა სულაც არ გამოიყურება მოძველებულად და უგემოვნებოდ.

ექსკლუზიურ სალონში იყიდება ავსტრიელი მოდელიერების და ადგილობრივი მარკების მაღალხარისხიანი ტანსაცმელი (მოდელიერი ულრიკე ზეი-ბახერი, მოდის სახლები: Mothwurf, Wallmann, Geiger). აქვე არის მოდური შლაპები და ზონლაიტნერის სამკაულები. მაღაზიის დახვეწილი გარემო ცნობილმა არქიტექტორმა გრეგორ აიხინგერმა შექმნა.

Sisi Vienna /  
Annagasse 11

Dirdlherz /  
Lerchenfelder Straße 50

# ავსტრია

ათლიანი მილიონი ევრო  
2014 წელს: **436,3** მილიონი ევრო  
ათლიანი მილიონი ევრო სულ  
მოსახლეობა: **51 127** ევრო

THE WORLD BANK

## სარეკონო ბიზნესები

- ყველაზე ძვირი:**
- სახელმწიფო დროშა - 1191 წელი
  - ზოგადი „ტირანოპოლიტიკური“ - 1752 წელი
  - „დასავლური ზოგადი“ ტრადიციის ტრადიცი - 1896 წელი
  - სასტუმრო/საპროფიტო „ვესტბერგი“ - 803 წელი
- ყველაზე დიდი:**
- 2 860-ქვეყნიანი ფარმაცეუტიკული კომპანია მსოფლიოში მსოფლიოში მსოფლიოში
  - ვაჭარების სფეროში მსოფლიოში მსოფლიოში

## მოსახლეობა

ავსტრია | 8 602 000  
**ვიდეო** | 1 797 000


### ზინის ძირა და ღირებულება

ერთსაბიჯიანი ზინის  
საშუალო ტვირთი ძირა: **1150€**

საშუალო ზინის  
საშუალო ფასი: **523 280€**

ქვეყნის ათლიანი  
ფართობი 62% ავსტრიის  
აღმავალი მოდის.

ავსტრიაში  
3000 ავტოზოლიანი 13  
და 2000 ავტოზოლიანი  
34 ავტოზოლიანი.



- ვინის სარეკონო ფართობი **51%**  
მსოფლიოში სარეკონო ფართობი.
- ვინის ტრადიციის **35,4%**  
დასავლური ტრადიციის.
- ვინის უმაღლესი სასტუმრო ფასი  
ავსტრიის ავტოზოლიანი ფართობი  
ავტოზოლიანი. ქვეყნის სასტუმრო ფასი  
**900** უმაღლესი ფართობი.
- ვინის ყველაზე ხანგრძლივი  
ავტოზოლიანი **1000** წელი უმაღლესი.
- ვინის სასტუმრო ტრადიციის **400**  
სასტუმრო ტრადიციის.
- ვინის ტრადიციის ვინის ტრადიციის  
ავტოზოლიანი **20** ავტოზოლიანი.

ავსტრია ერთსაბიჯიანი  
ავტოზოლიანი კომპანიათა  
საშუალო ფართობი, რომელიც  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი.

# ვიდეო

ვიდეო **1716** წელი,  
4-ჯერ ავტო, ვინის  
ავტოზოლიანი.

ყველაზე დიდი  
ავტოზოლიანი 10 000  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი კომპანიათა.

ავტოზოლიანი **5000** სან 600  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი.

ვიდეო ყველაზე დიდი  
**71 284** ტრადიციის  
და ხინის მოსახლეობის  
(ავტოზოლიანი ავტოზოლიანი 12%).

**700** ავტოზოლიანი  
400 ავტოზოლიანი ვინის  
ავტოზოლიანი, სასტუმრო  
ავტოზოლიანი 23 000  
ავტოზოლიანი ფინანსი  
ავტოზოლიანი.

ავტოზოლიანი ფინანსი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
**300 000** ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი და **6000**  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი,  
ავტოზოლიანი და ავტოზოლიანი.

## ტრადიციები

36 ავტოზოლიანი ტრადიციის  
ავტოზოლიანი ვინის, რომელიც  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი.

ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი.

ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი.

**13** ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი ავტოზოლიანი  
ავტოზოლიანი 2015 წელი

იანვარი-აპრილი 2016

1

გამოფენა „კლიმტის, შილეს და კოკოშკას ქალები“ ბელვედერის მუზეუმში 2016 წლის 28 თებერვლამდე გასტანს.

გუსტავ კლიმტი, ეგონ შილე და ოსკარ კოკოშკა – ვენური მოდერნიზმის სამი ყველაზე გამორჩეული მხატვარი „ქალის საკითხს“ განსხვავებული პერსპექტივიდან მიუდგა. გამოფენა მსახველს უჩვენებს განსხვავებული სქესის მქონე ადამიანებს შორის ურთიერთობებს მე-20 საუკუნის დასაწყისში.

2

„მონედან პიკასომდე“ – გამოფენაზე მუზეუმში „ალბერტინა“ 2017 წლის 10 მარტამდე გამოფენს ექსპონატებს მოდერნიზმის პერიოდის უდიდესი საცავებიდან.

მუზეუმის პერმანენტული კოლექციის რეინსტალაცია მოიცავს პერიოდებს იმპრესიონიზმიდან და ფოვიზმიდან ექსპრესიონიზმამდე, ბაუჰაუზამდე და რუსულ ავანგარდამდე. გამოფენის დასკვნითი ნაწილი პიკასოს ნამუშევრებს ეთმობა.

3

ბელვედერის ზამთრის სასახლეში 6 მარტამდე გრძელდება გამოფენა „ბაროკო, ბაროკო“.

მისი თაობის ყველა არტისტისგან განსხვავებით, დანიურ-ისლანდიური ფესვების მქონე შემოქმედი ოლაფურ ელიასონი თითქმის ორი დეკადის განმავლობაში თავის ნამუშევრებში ფიზიკურ და მატერიალურ ექსპერიმენტებს ატარებს.

ელიასონი იყენებს სამეცნიერო, ფსიქოლოგიურ და არქიტექტურულ მიდგომებს, რათა ურთიერთობა დაამყაროს რეალობას, მიმღებობასა და რებრეზენტაციას შორის, რაც ხილული და აღქმადი ხდება მოძრაობების, პროექციის, ჩრდილების და სარკეში ანარკელების მეშვეობით.

„ბუნებრივი“ მასალა, როგორცაა: წყალი, ჰაერი, ნისლი ან ყინული – წარმოქმნის გარემოს, რომელშიც მსახველები ერთდროულად მისი ხელოვნების მონაწილეები ხდებიან. სოლო შოუზე პრინც ეუგენის ზამთრის სასახლეში წარმოდგენილი იქნება ელიასონის ბოლოდროინდელი ნამუშევრები.



4

ზიგმუნდ ფროიდის მუზეუმი გამოფენას – „ეს უფრო ძლიერი სქესია“ უძღვნის ქალებს ფსიქოანალიზის ადრეული ისტორიიდან.

ზიგმუნდ ფროიდის მუშაობაზე და ფსიქოანალიზის განვითარებაზე მთავარი გავლენა მოახდინეს მარი ბონაპარტმა, ჰელენ დეუტშმა, ემა ეკშტეინმა, ანა ფროიდმა, ლუ ანდრეას-სალომემ და საბინა შპიელრეინმა. ამბობენ, ემა ეკშტეინი ამ ირონიული ნართაულით – „ასე რომ, ეს არის ძლიერი სქესი“ ზიგმუნდ ფროიდს მიესალმა. ეს გამოთქმა ლაკონურად გადმოსცემს პრედომინანტური გენდერული როლების შესაძლო ინტერპრეტაციებს. როგორც პაციენტებმა, ამ ქალებმა ზიგმუნდ ფროიდს თავიანთი არაგნობიერის შესახებ აღმოჩენების საფუძველი მისცეს: „ფსიქოანალიზის მამამ“ თავად აღიარა, თუ როგორ განავითარა მათთან ერთად თავისი მეთოდი, რომელიც ცნობილია, როგორც „მკურნალობის მიღება“. ამ ქალთა არანაკლებ შთამბეჭდავი ბიოგრაფიები და ნამუშევრები გამოფენაზე ფროიდის თეორიულ ნაშრომთან ერთადაა წარმოდგენილი.

5

მშვენიერი შესაძლებლობა გეძლევათ, ვალის ცეკვით მოიწონოთ თავი ვენაში ყოველწლიურად გამართულ 150-ზე მეტ საჯარო და დაახლოებით ამდენივე კერძო მეჯლისზე, რომელთა უმეტესობაც წლის პირველ მეოთხედზე მოდის.

სემონს ჰოფბურგის სასახლის სილვესტერბალი ხსნის ახალი წლის ღამეს; ოპერნბალის მეჯლისი, რომელიც 1877 წლიდან იღებს სათავეს, წელს 4 თებერვალს გაიმართება ვენის სახელმწიფო ოპერის ულამაზეს შენობაში; 5 თებერვალს კი – კაფესიდერბალია, რომელიც ამ ქალაქის სასამელოს, ვენური ყავის საპატივცემულოდ იმართება.

6

ლეოპოლდის მუზეუმი თანამედროვე ავსტრიული ხელოვნების მუზეუმია, სადაც 5000-ზე მეტი ნამუშევარია დაცული.

მუზეუმში წარმოდგენილია ისეთი მხატვრების ნამუშევრები, როგორებიც არიან: ოსკარ კოკოშკა, ეგონ შილე, რიჩარდ გერსტილი და საყოველთაოდ ცნობილი ავსტრიელი მხატვარი გუსტავ კლიმტი.

7

მოცარტის სადილი-კონცერტი მხოლოდ ზალცბურგში ტარდება. ამ წარმოდგენის ნახვისას მოცარტის დროში დაბრუნდებით.

ისიამოვნეთ საღამოთი, რომელიც 1790 წელს მომხდარს ჰგავს – სანთლებით განათებულ ბაროკოს სტილის დარბაზში ისტორიული რეცეპტებით მომზადებული კერძებით ისადილებთ, მოუსმენთ მუსიკასებს, რომლებიც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოებებს იმდროინდელ კოსტიუმებში გამოწყობილები შეასრულებენ.

8

ზალცბურგის მირაბელის სასახლეში შლოსკონცერტე არის კონცერტების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სერია, რომელიც მოიცავს წელიწადში 230-ზე მეტ კონცერტს და ტარდება ზალცბურგის ყველაზე ლამაზ საკონცერტო სივრცეში, მირაბელის სასახლის მარმარილოს დარბაზში.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სოლისტები და ორკესტრები მოცარტის და მისი თანამედროვეების ნაწარმოებებს ასრულებენ. ზალცბურგის შლოსკონცერტეს რომელიც კონცერტის მოსმენისას ყველა დარდი უკან დაგრჩებათ და მუსიკის უნივერსალური ენით დატკბებით!

9

ხელოვნების ისტორიის მუზეუმში ვენის საუკეთესო მუზეუმია აქ დაცული ხელოვნების საუკეთესო ნამუშევრების ხარისხითა და რაოდენობით. ის არ ჩამორჩება ლუვრს ან პრადოს ეგვიპტისა და საბერძნეთის შთამბეჭდავი კოლექციებით, დასავლეთის ხელოვნების ნიმუშთა უდიდესი კოლექციით.

მუზეუმში დაცულია პიტერ ბრეიგელის ყოველთაოდ ცნობილი „მონადირეები თოვლში“ – მუზეუმი ბრეიგელის უდიდესი კოლექციითაა ცნობილი და ხელოვნების მრავალი მოყვარული მუზეუმის ამ ნაწილს ვენაში მოგზაურობის „ოქროს გვირგვინად“ მიიჩნევს. აქვეა დაცული რუბენსის, რემბრანდტის ტილოები და დაუვიწყარი ალბრეხტ დიურერის კოლექცია, რომელშიც სხვა ნამუშევრებთან ერთად მისი ცნობილი „ლურჯი მადონა“ შედის.

10

„იზიმიე ცხოვრება!“ – რომაული და ბერძნული ანტიკური ნიმუშები ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმში 3 აპრილამდე იქნება გამოფენილი.

პროექტმა „იზიმიე ცხოვრება!“ ხელოვნების და კულტურის გამოჩენილ ეროვნულ და ინტერნაციონალურ წარმომადგენლებს შესთავაზა, წამოეჭრათ დიალოგი: რა რჩება ჩვენს შემდეგ, როცა ვკვდებით? რა არის მნიშვნელოვანი, როცა ვეჯახებით ფაქტს, რომ ცხოვრება წარმავალია, რა ნაკვალევს ვტოვებთ ჩვენს შემდეგ?

11

ბარბარა კუდენჰოუგ-კალერგი, ქრისტიან ჰიორბიგერი, კარლ მარკოვიცი, რობერტ მენასე, კორნელიუს ობონიამი, არნულფ რეინერი, ბარბარა შტიოკლი, მიშელ ლანდო და იოსეფ ზოტერი – ყველა მათგანი დათანხმდა, გაეკეთებინათ მათი სახიდან ნილაბი და ამ ნილაბებზე საერთაშორისოდ აღიარებულმა არტისტებმა – დანიელ კნორმა, ერიკ ვან ლისჰუთმა, ტერეზა მარგოლესმა, არნულფ რეინერმა, ჰანს შაბუსმა, ჰუბერტ შიბლმა, დებორა შენგლმა, დანიელ სპოერიმ, ქადერ ატიამ და ნაივს ვიდაუერმა იმუშავეს. ათი „ცოცხალი ნილაბი“ ხელოვნების ნიმუშად გარდაიქმნა. ყველა მონაწილე ფოკუსირებული იყო სიკვდილის თემაზე მათ ადრინდელ ნამუშევრებში. Memento Mori-ს ფერები ყოველთვის იყო ხელოვანთა შთავგნობის წყარო.

12

თუ გსურთ, ის ატმოსფერო შეიგრძნოთ, რომელშიც ცნობილი ვენური საცხენოსნო ბალეტი წარმოდგენებს მართავს, ცხენოსნობის ესპანურ სკოლას უნდა ესტუმროთ.

მოცეკვავე ცხენების ისტორიას იქვე, მუზეუმში მოგიყვებიან. თუ ადრე ადგებით, დილის ჯირითშიც მიიღებთ მონაწილეობას და მრავალწლიანი სამწვრთნელო საქმის საიდუმლოებებსაც შეიტყობთ. კლასიკური ვენციური მუსიკის თანხლებით მხედრები და მათი ცხენები მარტივ დასამშვიდებელ ვარჯიშებს აკეთებენ. კუნთების სპეციფიკურად გაზრდილი და გაძლიერებული ცხენების ბუნებრივი მოძრაობები კლასიკური ცხენოსნობის უმაღლესი სკოლის სრულყოფილ ფიგურებამდე ვითარდება.

რუბრიკის ავტორი: მზია ჩიხრაძე

# ურვეულ გასაღწევ ვიდეო გადასინჯეთ ნინოქალაქის არხი



## სალომე დადუნაშვილი

ჩემი მეგობარი **მერაბ ნინიძე** უკვე დიდი ხანია **ვენაში ცხოვრობს**. საქართველოსთვის ბნელ წლებში ევროპაში გადახვეწილი კამკამა ვარსკვლავი ვენაში დარჩენას თითქოს არ აპირებდა, მაგრამ მაინც დარჩა და ახლა მისი ცხოვრება ქართულ-ავსტრიული გადაფრენებისგან შედგება. თამაშობს კინოში აქ და იქ, მასზე წიგნებს წერენ – აქ. საკუთარი ინიციატივით აწყობს პოემების საღამოებს ლიტერატურის მუზეუმში და როცა კითხულობს სიტყვებს, რომლებიც შესაძლოა სხვამ დაწერა, მაგრამ მისია, მერაბისაა, **ისევ კამკამებს** იმ სინათლით, რომლის გამოც სულ ახალგაზრდა ნამდვილ კერპად იქცა ერთი თაობისთვის, დანარჩენებისთვის კი – **ვარსკვლავად**.

თბილისის ერთ-ერთი სასტუმროს ბნელ ბარში ვსხედვართ და ისევ ვენაზე ვლაპარაკობთ. ჩვენ უკვე ვისეირნეთ ამ ქალაქში, ბევრი ვისეირნეთ დიდი ხნის წინათ. მერაბი ისეთია, როგორც მაშინ იყო. ოდნავ მეტი ჭაღარით თმაში და კიდევ უფრო მეტი ფიქრით თვალებში.

როცა პირველად ჩავედი ვენაში, მისი პატარა ბინა შტეფან-სპლაცზე სავსე იყო გიჟური იდეებით, სიგარეტის კვამლითა და დაუსრულებელი საუბრებით.

და ახლაც სიტყვების გზას გაუყევით ვენის წარმოსახვით ტურში.

**დილის 10 საათზე საღამო, შტეფანსპლაცთან შეხვედრებით და „შაველკაში“ ყავას დავლევთ.**

შესანიშნავი იდეაა. მიყვარს „შაველკა“. უკვე ვხედავ, როგორ ვსხედვართ ტყავის მრავალჭირნახულ სავარძლებზე და ყავას მივირთმევთ, ვენური კაფეს ვენურ ყავას, რომელიც შეგიძლია მთელი დღე სვა და არავინ გაგიწყრება. „შაველკა“ ძალიან ჰგავს ბერლინის არაფორმალურ კაფეებს. ან შესაძლოა ბერლინის კაფეები ჰგავს „შაველკას“. ერთი ოჯახის



**მერე ფეხით მივდივართ კარლბლაცისკენ, გზად ჩავუვლით ოპერას, ალბერტინას მუზეუმს და ჩვენს საყვარელ ნაშმარ-კტბე ვხვდებით. ადრეც ხომ ვიყავით ერთად, გახსოვს?**

მფლობელობაში მყოფი ეს სივრცე არ ნებდება მარკეტინგულ მოთხოვნებს და გაზულუქებულ მომხმარებელს კვამლიან სიბნელეს, ინტელექტუალურ საუბრებსა და სათვალისიან გოგობიტების „მრავალფეროვან არჩევანს“ სთავაზობს.

მშრალი ხიდის ვენური ვერსია ალბათ ახლაც იმ საქონლით ვაჭრობს. აქ ახალ ცხოვრებას ეწევა ყველაფერი – ჩრჩილით შეჭმული მელის ქურქიც და უჭუჭრუტანო გასაღებიც. უსახლკარო გასაღებების გადარჩენა კი ჩემი საყვარელი საქმიანობაა.

მერე, როცა მოგვივდება, იქვე ვისადილებთ. ახლა ნაშ-მარკტბე საუკეთესო რესტორნებია. Tewa-ში ორგანული



*Zauberklingsl-ი საოცარი მაღაზიაა, რომლის სახელწოდების-დაშვარად „ჯადოსნური ჟღარუნის“ ხულიგნობის ხასიათზე აყვალას. საკარნავალო კოსტიუმებითა და სასაცილო ქუდეებით გამოტენილი ეს პატარა სივრცე დღესაც ჯადოსნურია ჩემთვის.*

სამზარეულოა, ისრაელის ორიენტალური საკვები თუ მოგვინდება, Neni-ში შევალთ. Orient & Occident-ში თურ-ქული კერძებია. Umar-ში ზოგი სპეციალურად მოდის თევზის საჭმელად.

ნაშმარკტიდან კარგად მოჩანს სახლი, რომელშიც სტალინი ცხოვრობდა სტუდენტობის დროს. იგი, კიდევ სად უნდა წავიდეთ? Zauberklingsl-ში.

შენი გადაღებული ფოტოებიც მაქვს სასაცილო ქუდეებში. Zauberklingsl-ი საოცარი მაღაზიაა, რომლის სახელწოდების-დაშვარად „ჯადოსნური ჟღარუნის“ ხულიგნობის ხასიათზე აყვენებს ყველას. საკარნავალო კოსტიუმებითა და სასაცილო ქუდეებით გამოტენილი ეს პატარა სივრცე დღესაც ჯადოსნურია ჩემთვის.

**შონბრუნის სასახლეში ხომ ვიყავით მე და შენ?**

კი, ვიყავით. სისის სამფლობელოში.

ჰო, ეს რაღაც გარდაუვალია ვენაში. ზაფხულობით ღია აუზს ხსნიან და ეს არის ნამდვილი ცხოვნება. მაგრამ ახლა გვერდზე ჩავუაროთ სასახლეს, სისის ხელი დაგუქნილი და ჩემი სახლისკენ წავიდეთ. აუცილებლად უნდა გაჩვენო ვოტრუბას ეკლესია (Wotruba Church). ეს ეკლესია ჩემს სახლთან ახლოსაა და მე არც კი ვიცი, რომ ის არსებობს.

რა თქმა უნდა, ამდენი გადაპრანჭული სასახლის ფონზე ეს შეიძლება გაურკვეველ შენობად მოგეჩვენოს, ან სულაც დაუმთავრებლად, მაგრამ 20 წელი აქ რომ ვცხოვრობ, ასეთი რამეები უფრო ახდენს შთაბეჭდილებას ჩემზე.

სკულპტორმა ვოტრუბამ ეკლესია, რომლის მშენებლობის დასრულებასაც ვერ მოესწრო, ასიმეტრიულად განლაგებულ ბეტონის 152 ბლოკად ჩაიფიქრა. მშენებლობა 1974-76 წლებში დასრულდა და დიდი დავა გამოიწვია. ვოტრუბას ტაძარი, უპირველეს ყოვლისა, ახალი არქიტექტურის ტაძარია – რაღაც საშუალო სტონჰენჯსა და ანტიკური ტაძრის ნანგრევებს შორის. სკულპტორმა ის შარტრის ტაძრის შთაბეჭდილებით ააგო, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ შარტრი იყო ევროპის ესენცია.

Heurigen-ში, სადაც ახლა ვცხოვრობ, კიდევ ცოტა უნდა წავიხემსოთ. აქ ღვინოს დავლევთ. აქვეა ვენახები, აქვე ყენდება ღვინო და აქვე იყიდება კიდევ. ეს კულტურა არის ძალიან ავსტრიული. კაიზერმა ფრანც იოზეფმა ბეგარისაგან

**ვოტრუბას ტაძარი, უპირველეს ყოვლისა, ახალი არქიტექტურის ტაძარია – რაღაც საშუალო სტონჰენჯსა და ანტიკური ტაძრის ნანგრევებს შორის. სკულპტორმა ის შარტრის ტაძრის შთაბეჭდილებით ააგო, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ შარტრი იყო ევროპის ესენცია.**



*ვოტრუბას ტაძარი*

გაათავისუფლა გლეხები, რომლებიც ღვინოს აყენებდნენ და თავისსავსე ტერიტორიაზე ყიდდნენ. დღემდე არ იხდის გადასახადს. ეს უფრო ღვინის რესტორანია. აქ საჭმელი ძალიან ცოტაა.

ასევე, გადასარეგია ღვინის არხზე სეირნობა, თავისი ბარებით და პატარა კაფეებით. ზაფხულში, რა თქმა უნდა. ვენა არის იდეალური ქალაქი ველოსიპედის მოყვარულისთვის. ველოსიპედისთვის ცალკე გზები გვაქვს.

კარგი ქართული რესტორანიც არის ვენაში – „ანსარი“. მფლობელები ჩემი მეგობრები არიან და ხშირად მივდივარ, ჩვენც უნდა მივიდეთ (Cafe Ansari, Leopoldstadt, Vienna). სამზარეულო შერეულია – ქართულ-ლიბანური.

ჰო, ნანა მესხი და ნასირ ანსარი არიან მფლობელები და შესაბამისად შეაზავეს სამზარეულოც. ხატაპური ყოველთვისაა. მერე შეგვიძლია ან Porgy & Bess-ში (ჯაზ კლუბია), ან Chaya Fuera-ში წავიდეთ.

რა კარგია ასე სეირნობა, ყველაფერს ვასწრებთ.

ჰოდა, ყველაფერს ღამის ბარით დავასრულებთ. Donau-ში წავალთ. ამ კლუბს შესასვლელიც კი არ აწერია. ძალიან კარგი მუსიკაა და მშვენიერი პუბლიკა. არაფორმალური და არა გადაპრანჭული. იქაც რამეს დავლევთ და...

საკმარისია. მშვენიერი გასეირნება გამოგვივიდა. ახლა მთავარია, ეს ყველაფერი 24 საათში ჩავატოთ.



**რომ ჩამოხვალ, უკვე ნამდვილად გავისიქნებო.**

**აუცილებლად გავისიქნებო. ვიკი დაგვიძლია.**





# THONET ანუ ვენური სკანი

თათია სხირტლაძე



**ისინი ვენის ქაზინოს განაყოფად ნაწილს წარმოადგენენ, ისევე როგორც ყავა შედარებით; გრეხილი ხისგან დაზოგადებული ვენური სკანი, იზივთ THONET-ის სკანი №. 14, 20-19 სუპერის შუა წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და აწყობა ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა.**

ამ პოპულარობის უკან არა მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგია და შრომის ეკონომიკური გადანაწილება დგას, არამედ მობილურობის იდეა, რომელიც IKEA-მდე ერთი საუკუნით ადრე ავეჯის დისტრიბუცია და აწყობა ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა.

გრეხილი ავეჯის ტექნოლოგიის დახვეწამ გერმანულ მიხაელ თონეთს იმდენი მეგობარი გაუჩინა, რომ მას მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში რაინის ბოპარტიდან ვენაში, მაშინდელი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დედაქალაქში მოუწია გაქცევა. თონეთმა ხის გრეხის უნიკალური მეთოდი შეიმუშავა, რომლის დროსაც დღე-ნახევრის განმავლობაში ორთქლის საქვაბურში გაჩერებული ხის ნაწილი საქვაბურიდან გამოღების შემდეგ მცირე დროით რემინივით ელასტიკური ხდება და ნებისმიერ ფორმას იღებს.

მიხაელ თონეთის შთამომავლის, ევა თონეთ-შმერცინგის თქმით, Thonet-ის სკანი №. 14 შესაძლოა სართულიდან რომ გადაადგო, არ გატყდება, რადგან მას არც ერთი ზედმეტი დეტალი არ აქვს, იგი იდეალური და მსუბუქია.

თუ სურვილი გაგიჩნდებათ, რომ ქალბატონ ევა თონეთ-შმერცინგს თავად გაესაუბროთ მისი დიდი ბაბუის გამოგონების შესახებ, მიზრძანდით ვენის ცენტრში, თუხლაუბენის 20-ში მდებარე ინტერირის მალაზიაში Viktor Steinwender, სადაც Thonet-ის

*შეხედეთ, ეს ქალბატონი რომელ სკანზე უნდა!*



ავეჯის ძველი და ახალი მოდელების გარდა სხვა მწარმოებლებისა და დიზაინერების ნამუშევრების ნახვა და შექმნა შეგიძლიათ.

გრეხილი ავეჯის ამგვარი წარმოების მეთოდი მიხაელ თონეთმა 25 წლით დააბატენტა, რამაც იგი კონკურენტგარეშე დატოვა და მისი ფირმის ექსპანსიას შეუწყო ხელი. Thonet-ის ავეჯი პირველ მსოფლიო ომამდე ჩეხეთში, უნგრეთსა და პოლონეთში ანუ მაშინდელ ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე დაფუძნებულ Thonet-ის ავეჯის ქარხნებში მზადდებოდა და მთელ მსოფლიოში იყიდებოდა. ვენური სკანის პოპულარობამ თონეთი გრეხილი ავეჯის სინონიმად აქცია.

ვენაში სასწავლებლად ჩასულმა, ავსტრიელი მწერალი და მთარგმნელი უტე აიზინგერი გავიცანი. იგი რამდენიმე წელი საქართველოში ცხოვრობდა და ქართულ კულტურას ნაზიარები ადამიანია. მაშინ მომიყვა უტე: გაცნობილი დავრჩი, როდესაც თბილისში ჩამოსულს, ძველ უბანში მცხოვრები უკლებლივ ყველა ჩემი მეგობრის ბინაში ვენური სკანები და Thonet-ის ავეჯი დამხვდა. ერთი კვირის წინ კი მან ფიროსმანის მიერ 1905 წელს შექმნილი ტილოს რეპროდუქცია გამომიგზავნა – „ქალი ლუდის კაბით“.

შეხედეთ, ეს ქალბატონი რომელ სკანზე უნდა!

## ჰრის ბოტის ჩრუვ პასიჟაჟურ ნაწარმოებთა სია



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯაზმენი, „გრემის“ ჯილდოს მფლობელი, ამერიკელი მესაყვირე და კომპოზიტორი კრის ბოტი (Chris Botti) ექსკლუზიურად SOLO-სთვის ქართველ მსმენელს ყოველთვიურად ფავორიტ მუსიკალურ ნაწარმოებთა სიას სთავაზობს!



### ოქტობერი

CHRIS BOTTI – FAVORITE CHRIS BOTTI RECORDINGS

01. When I Fall In Love – From „When I Fall In Love“
02. Emmanuel – From „Live In Boston“
03. What Are You Doing The Rest Of Your Life ? (Featuring Sting) – From „To Love Again“
04. Smile (Featuring Steven Tyler) – From „To Love Again“
05. Deborah’s Theme – From „Italia“
06. Italia (Featuring Andrea Bocelli) – From „Italia“
07. Hallelujah – From „Live In Boston“
08. Nearness Of You – From „When I Fall In Love“
09. My Funny Valentine – From „Live With Orchestra and Special Guests“
09. Time To Say Goodbye – From „When I Fall In Love“
10. What A Wonderful World (Featuring Mark Knopfler) – From „Impressions“

### ნოემბერი


CHRIS BOTTI – FAVORITE FILM SOUNDTRACKS

01. Thomas Newman – Road To Perdition From „Road To Perdition“
02. Ryuichi Sakamoto – Bibo No Azora – From „Babel“
03. Tan Dun – Only For Love From „The Banquet“
04. Yo-Yo Ma – Gabriel’s Oboe From „The Mission“
05. Gabriel Yared – Hgw Xx/7 From „Lives Of Others“
06. Chris Botti – Sevdah – From „Impressions“
07. Peter Gabriel – Passion From „Last Temptation Of Christ“
08. Chris Botti – Cinema Paradiso – From „When I Fall In Love“
09. John Barry – Chaplin From „The Collection“ – 40 Years Of Film Music (Box Set)
10. Theme From Schindler’s List (Reprise) – From „Schindler’s List“

### დეკემბერი

CHRIS BOTTI – FAVORITE SONGS FROM SOUNDTRACKS

01. Grand Torino – Jamie Cullum From „Grand Torino“
02. Mid Air – Paul Buchanan From „About Time“
03. Someone To Watch Over Me – Sting From „Leaving Las Vegas“
04. The Blower’s Daughter – Damien Rice From „Closer“
05. I Grieve – Peter Gabriel – From „City Of Angels“
06. Alanis Morissette – Uninvited – From „City Of Angels“
07. Both Sides Now – From „Love Actually“
08. Ryuichi Sakamoto – Merry Christmas Mr Lawrence – From „Merry Christmas Mr Lawrence“
09. Shape Of My Heart – Sting From „Leon“
10. Falling Slowly – Glen Hansard From „Once“



# დიდი ქალაქის დიდი აზრები

## აკა მორჩილაძე

ეს იმპერიის დედაქალაქი იყო. კარგა დიდი, შუა ევროპაში ჩამდგარი იმპერიის, რომლის საზღვარიც, ჩვენსკენ მოთვლით, განთქმულ ქალაქ ლემბერგს აქეთაც კი იდო.

საუკუნეების განმავლობაში ეს ნამდვილი, მრისხანე იმპერია იყო, რომელიც დაიქცა, როცა იმპერიების დიდი დაქცევა ატყდა და იმის მერე კი, როგორც ქვეყანა, ეს ამხელა იმპერია გააუქმეს, ესეც გერმანიააო.

მერე ავსტრია ნეიტრალური ქვეყანა გახდა.

ოლონდ, ეს პოლიტიკაა. იმპერიის დაქცევა, და სხვა ასეთები. თუმცა იმპერიებმა იციან რაღაც სიტკბოებები. ეს სიტკბოებები ძალიან დიდხანს ამჩნევია ხოლმე იმპერიათა დაქცევის შემდგომ ყოფას და ხასიათს და ალბათ – მრავალ გულსაც.

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სიტკბოებათა უმრავლესობა ალბათ ვენაში იყო თავმოყრილი. ვენა და ფიქრები მაგიურ მდინარე დუნაიზე, რომელიც იმდენ ულამაზეს ქალაქში ჩამოივლის, სხვა მდინარეებს რომ არ დასიზმრებიათ.

უაზრო, გაუთვითცნობიერებელი ფიქრები. უფრო შეგრძნებები, გემოები, რაღაც ასეთი: დუნაის რომ დაუყვები, იმ პატარა გემის მოაზირს ჩამოყრდნობილი, და უყურებ ნაპირებს. ამ დროს, მგონი, გგონია, რომ ტილოს მსუბუქი კოსტიუმი უნდა გეცვას, ჩალის შლაპა ეშმაკურად გქონდეს მოგდებული კეფაზე და ძველი პაპიროსების მწვეველი ელოდე შეკვეთილ პორტგეინს, რომელსაც აქვე მოგიბრუნებენ. ამ დროს ბუნებრივად გრძნობ იმ ამ ნაპირებს. ამას დიდი ჭკუა არ უნდა. ესაა იმპერიის ძველი გზა და მისი გაცვეთილი ჰარმონია. გაცვეთილობა აქ უვარგისობას არ ნიშნავს.

იმპერია იქით იყოს და, მაინც ეს ძალიან მაგარი რამეა, თუკი ერთხელ მაინც დუნაის ჩამოუყვები ამდენ, დღეს სხვადასხვა ქვეყანაში.

დუნაის ვალსი, ასე ვთქვათ. უფრო სწორად, ლურჯი დუნაი. იოჰან შტრაუსი, ვენა, ვალსები და არა მხოლოდ. იმ დროს ცოცხალი, აღმაფრთოვანებელი და იმედის მომცემი

მუსიკა. ძველი ამერიკული ფილმი „დიდი ვალსი“, მილიცა კორიუსი, ის ხმები და სხვა ათასი მელოდრამატული, მაგრამ გულს დამნდობი ამბავი. ვენის ტყის ზღაპრები. სულ ზღაპრები.

**სიხარულა ითქვას, ვენაში რომ ვიწვინდებ მოვხვდი, გავრი აღზიდი ნახატი მხოლოდ. მხოლოდ რა, ასე დავინახე. დღეს ასეთი ნახატებით მხანებარა მხოლოდის ფანაღვს ფარავან, აი, ეს სახლი ასეთი იქნებოდა. იმ კი, ასე მხოლოდ.**

აი, გრაფი პოტიომკინი რომ ეკატერინე დედოფალს უკრაინის ხედებს უხატავდა, ლამაზი სოფლებით და ასე შემდეგ.

სალამო ხანი იყო და კაფე. ის განთქმული უნგრული გულიაში და ავსტრიული ღვინოები მოიტანეს. ვიტრინის იქით ჩანდა მსოფლიოს სხვა დედაქალაქებისგან განსხვავებით უაღრესად ძვირფასად და კლასიკურად ჩაცმული ხალხი მოვლილი სახეებით, შეხამებული მსუბუქ ნეოკლასიციზმთან და სალამოს, როცა იქითკენ გავბოდიადით, საითაც ვენაში პირველად ჩასული მიბოდიადებს ხოლმე, სახელმწიფო ოპერის წინ განლაგებულიყო თითქოს უხმარ შავ სმოკინგებში გამოწყობილი ორკესტრი და უკრავდა ვალსებს.

ყველაფერი ნახატივით იყო, ვიღაცამ დახატა. არა ჰიტლერმა, ლმერთმა დაგვიფაროს. ისიც აქ ხატავდა რაღაც შენობებს. და ჩვენი სოსოც ამ ქალაქში ჩაისა სომდა ხოლმე სხვის ხარჯზე, მრავალი წლის შემდეგ კი, შუა ვენაში საბჭოთა კომუნდატურა და ჩეკისტები იქ ჩვენებურ სამართალს ჭრიდნენ. ძლივს გადენეს ამ ქალაქიდან, თორემ ჩვენთვის ეგებ უფრო ნაცნობიც ყოფილიყო.

იმ დროს, პირველად რომ მოვხვდი, ვენა უკვე ქართველი განგსტერებისთვის შინაური ქალაქი გახლდათ.

თუმცა ისინი არ გაგახსენდებოდა. ერთი, ჰაიმიტო ფონ დოდერერის ამბავი მოვისმინე მაშინ და სადაც ცხოვრობდა, ის ადგილიც ვნახე და იმის მერე დავინტერესდი მისი ნაწერებით. ხოლო ქართველი განგსტერების გამო კი გამიკვირდა, აქაურობა რატომ უნდა ამოერჩიათ. ალბათ რამე ეკონომიკური იყო. როგორღაც არ ეხამებოდა.

იმას ჰგავდა, ერთი შერიფი ამბობს კორმე მაკკარტის წიგნსა და მერე ფილმში: „მოხუცებისთვის ადგილი აღარ გვაქვს“. ვუყურებ ამ წამლიან, მწვანედ თმაშეღებილ ბიჭებს ჩვენი ტეხასის ქალაქებში და ვფიქრობ, რა ხდება? ვერ გავიგე. ნუ დაახლოებით ასე, ოღონდ ბევრად მაღალკულტურულად, დიადი მუსიკის ჰანგების მოხმობით.

საბჭოთა მოქალაქისთვის, თუ მას მუსიკალურ სკოლაში არ ესწავლა, მუსიკოსი არ იყო, ან მაინცდამაინც სვეცკი ოჯახში არ იზრდებოდა, ავსტრიასთან კავშირი ალბათ შემოიფარგლებოდა ჯერ სამი, მერე კი მეოთხე ფილმით, რომელთაგან პირველი ნახსენები „დიდი ვალსი“ იყო, მეორე – ამერიკული მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“, ჯული ენდრიუსის მონაწილეობით, მესამე – „მაიერლინგი“, რომელსაც უმეცართა საშაყროდ მაიორ ლინგს ეძახდნენ ხოლმე, და მეოთხე კი იყო მილოშ ფორმანის „ამადეუსი“, რომელსაც პერესტროიკამაც მოუსწრო.

მართალია, „ამადეუსი“ ზამთრის პრალაში იყო გადაღებული, რადგან მის დამდგმელთა აზრით, პრალის ადგილები უფრო ჰგავდა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულის ვენას, ვიდრე ჩვენი დროის ვენისა, მაგრამ ეს მაინც იოზეფ მეორის სამეფო კარის და იქ მოხვედრილი გენიოსის ამბავი იყო, ვიდრე საკუთრივ ქალაქისა.

ვენა მოცარტის გარეშე წარმოუდგენელია. ეს ყველამ იცის. ეს სამუდამო ისტორიაა. უფრო სწორად კი, სამუდამო ჰარმონია. იქ არის გარემო, რომელიც ამ ჰარმონიით სუნთქავს.

**თუ ნიავს სწორად დაიჭარ, პისვლავი, რომ განს ჯალოსნარი ფლიტის ხანს მოაქვს. მგონი, მოცარტი სულ რომ არ მოხვედრილიყო ვენაში, ეს ქალაქი განიცდის მისი იქნეობა. ვენა თითქოს მისი მუსიკით გადმოვიდა სანაპიროს სანაპიროში და ანაზა დაახანა ყველაფერი – სულიც, გულიც და იმპერიის ახალი იარის.**

საერთოდ, ვენა იმად, რადაც ჩვენ აღვიქვამთ ხოლმე, იმპერატორ ფრანც იოზეფის ხელში იქცა. მან დაანგრია ქალაქის დამცავი კედლები, მან ააშენა ის, რაც ოდნავ მაინც

ავგაღელვებს ხოლმე ამ ქალაქში ყოფნისას და, საერთოდაც, ამ კაცმა სამოცდარვა წელიწადს იმეფა. ბოლომდე არ ცნობდა ტელიფონს, სძულდა ელექტრობა, არ იყო ფუფუნების ტრფიალი, საკუთარ თავს უკანასკნელ ძველი სკოლის მონარქს უწოდებდა და ფილმი „მაიერლინგიც“, სადაც ომარ შარიფი ტკბილად განასახიერებდა იმპერატორის ერთადერთ, ლიბერალ და თვითმკვლელ ვაჟს, ხოლო კატრინ დენევი – მის საყვარელს, სწორედ მისი უმემკვიდროდ შთენილი ოჯახის ისტორიას ეხებოდა.

ვენის ნამცხვრები, ვენის ნაყინი და ვენის ყავა. ეს ქალაქი დახვეწილობას ეტრფოდა მარია ტერეზას დროებიდან. ეგებ უფრო ადრიდანაც. მუსიკა და ტკბილეულობა, მგონი, ამისთვის მიდიოდნენ ვენაში, სადაც პოლიცია მკაცრი იყო, კანონები – კიდევ უარესი, ადათები – ტრადიციული და ურყევი და რახან იმპერატორი ამდენ წელიწადს წვებოდა ადრე და დგებოდა ადრე, მთელი ქალაქიც ასე იქცეოდა; ასევე იქცევა დღემდე.


ვენური ნამცხვრებიო. ეს ისევ ძველი იმპერიის რეცეპტებია, დღემდე როგორღაც ცოცხალი და მოქმედი, ზახერის ნამცხვარიო, ესტერჰაზის ნამცხვარიო, მედოლის ნამცხვარიო. ასეთები, სულ ნაირნაირი. მგონი, კვლავაც ეგაა: შესაბამისი სამოსი, შესაბამისი გარემო, შესაბამისი მუსიკა.

არ ვიცი, რამდენადაა ეს დღევანდელ ვენაში ცოცხალი და აუცილებელი, თუმცა არსებობს. თუ გამოიჭერ, თუ ჩაავლებ ხელს და თუ იფიქრებ, რომ ასეთი რამეები არ კვდება. მით უმეტეს, მაშინ, როცა უკეთესი არ მოუგონიათ.

რას გაიგებ ქალაქებისას. მით უმეტეს, დღეს, როცა აქ იმპერიული საერთოდ აღარაფერია დარჩენილი რამდენიმე გემოსა და არქიტექტურის გარდა, რომელიც ისევ და ისევ ამ იმპერიის, ცოტა არ იყოს, განსხვავებულ სტილსა და მისწრაფებებზე მიგვანიშნებს.

როგორც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა ისმინებოდეს, ვენაში ჩასვლის გარეშეც, მისგან ძალიან შორსაც, ამ ქალაქის ხსენებისას ჩაგვსმის მელოდიები. ალბათ არც თუ მწყობრი, გაუგებარი, აუწყობელი, მაგრამ მელოდიები, რაღაც შემოქმედებითი ხმაური, რომელიც, ცხადია, გულისხმობს იმ მუსიკას, დიად და გასაოცარ მუსიკას, რომელიც ამ ქალაქში, თუ ამ ქალაქისთვის იშვა. ეს იშვიათი ასოციაციაა, ეგებ ერთადერთიც მსოფლიოში, ეს ქალაქი და მისი გენიოსები. ხშირად ასეთი რამ ყველაფრად ღირს, იმპერიადაც და ალბათ უფრო უარეს რამედაც.


ოდესღაც, ისევ ვენაში, ადრიანად გავიღვიძე. დილის თვითმფრინავის ამბავი მოგეხსენებათ. ძალიან ადრე იყო, მხოლოდ ღია ფანჯარა რომ აკავშირებს ადამიანს სამყაროსთან. ის ქუჩა, ფანჯრიდან რომ ჩანდა, საოცარი ქუჩა იყო. იმისას ახლა ვერ მოვყვები, ამომავალ მშესა და კანტიკუნტ გამვლელებს შორის რა ხდებოდა. თითქოს ნახატით. ისევ, მაშინ რატომღაც ვიფიქრე, რომ ასეთი ქუჩა მხოლოდ აქ შეიძლებოდა ყოფილიყო. ანუ ვენაში. მგონი, სწორედ ეგაა დიდი ქალაქის დიდი ამბავი.



**ვენაში ჩასვლის გარეშეც, პისვან ქალაქ მოსას, ან ქალაქის ხსენებისას ჩაგვსმის მელოდიები, რაღაც შემოქმედებითი ხმაური, რომელიც, ცხადია, გულისხმობს იმ მუსიკას, დიად და გასაოცარ მუსიკას, რომელიც ამ ქალაქში, თუ ამ ქალაქისთვის იშვა.**

# ვენის არქიტექტურული გრაფიკა

ნიკა ჩხაიძე




**„ყველა დროს თავისი ხელოვნება აქვს, ხელოვნებას – საკუთარი თავისუფლება“ – DER ZEIT IHRE KUNST, DER KUNST IHRE FREIHEIT** – იოზეფ მარია ოლბრიხის მიერ „სეცესიონის“ პავილიონზე გაკეთებული ეს წარწერა შშვენიერი შესავალია, როცა მკითხველს ვენის არქიტექტურული გრამატიკის შესახებ მოუთხრობ. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტრედი და უცნაური იმპერიის დედაქალაქის არქიტექტურა კლასიკურ პერფექციონიზმსა და ინტელექტუალურ მოდერნიზმს შორის ჭიდილის დასტურია.


GESAMKUNSTWERK – სხვადასხვა ინტერპრეტაციის მქონე ამ ტერმინის ძირითადი მნიშვნელობაა „სრულქმნილი ხელოვნება“ – ისეთი, როგორც აერთიანებს მხატვრობას, ქანდაკებას, მუსიკასა და ა. შ. სწორედ ამ პრინციპს ემყარება ვენის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ვენა, როგორც მრავალი ევროპული ქალაქი, ე. წ. რადიკონ-ცენტრული (წრეწირისებრი) ფორმისაა. იგი ვითარდებოდა ძველი რომაული ქალაქის, შუასაუკუნეების პერიოდის ცენტრისა და შემდგომ დამცავი გალავნის გარშემო. ეს წრე XIX საუკუნეში მსოფლიოში ერთ-ერთ უღამამეს ურბანულ ანსამბლად – რინგშტრასედ იქცა.

ამჟამად ვენა 23 უბნისაგან შედგება. 1850 წლიდან 1904 წლამდე ქალაქი მხოლოდ დუნაის მარჯვენა სანაპიროზე ვითარდებოდა. 1904 წელს მან მარცხენა სანაპიროს სოფლები შთანთქმა. 1934 წელს ნაცისტურმა მთავრობამ დიდი ვენა შექმნა, რომელიც 26 უბანსა და 97 მცირე ქალაქს აერთიანებდა. მათი ნაწილი 1954 წელს მიმდებარე რეგიონს უკან დაუბრუნდა. ინდუსტრიული საწარმოები, ძირითადად, სამხრეთ და აღმოსავლეთ უბნებშია განლაგებული.

ისტორიული ცენტრი მდინარე დუნაისგან მოშორებით მდებარეობს, თუმცა მათ დუნაის არხი აკავშირებს ერთმანეთთან. ვენის მეორე და მეთორმეტე უბნები არხსა და მდინარეს შორისაა განლაგებული. დუნაის გასწვრივ გაშენებულია ვენის საერთაშორისო ცენტრი და სამხრეთი ნაწილი. ეს ქალაქის ყველაზე ახალაშენებული რაიონებია (21-ე, 22-ე და 23-ე უბნები).





### ანტიკური პერიოდი

ანტიკური წარსულიდან ქალაქს არქიტექტურული ნაგებობები თითქმის არ შემორჩენია. სადაც დღეს Marc Aurel Strasse გადის, „საბაზრო მოედანი“ იყო. აქ მდებარეობდა ვინდობონა, ძველი კელტური დასახლება, რომელიც რომაული ლეგიონის ბანაკად იქცა. ქალაქს საფუძველი სტოიკოსმა ფილოსოფოსმა, იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა დაუდო.

შემდეგ დაიწყო მიგრაციების პერიოდი (Volkerwandeing): კაროლინგები, სლავები, ბავარიელები, შოტლანდიელები, ავარები, ირლანდიელები... აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩა კერტნერშტრასე რომაული პერიოდიდან არსებობს. ცენტრიდან ქალაქის ციტადელამდე მიმავალი მნიშვნელოვანი გზა XIX საუკუნეში სავაჭრო ქუჩად გადაიქცა. 1974 წლიდან კერტნერშტრასე ვენის მთავარი საფეხმავლო ადგილია.



### რომანული და გოტიკური არქიტექტურა

777 წელს დაარსებული წმ. რუპრეჰტის ტაძარი, რომანულ სტილში აგებული და შემდგომ მრავალჯერ გოტიკურად გადაკეთებული, ათვლის წერტილია შუასაუკუნეების ვენის დასათვალისწინებლად: გასეირნება Hoher Markt-ამდე, შემდეგ Tuchlauben-ის გასწვრივ St. Peter's Corer-ამდე. ქალაქს იმ დროს ვენია ერქვა. შოტლანდიელების მონასტრის და წმ. სტეფანეს ტაძრის აგებისა და მათ გარშემო მრევლის შემოკრების მერე, 1147 წლიდან (სპეციალური საბაჟო სტატუსის მიღების შემდგომ) ვენა ევროპის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ცენტრი გახდა. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი შენობებია: St.Michael's Church, Maria am Gestate, Minorite Church.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის გვირგვინია წმინდა სტეფანეს საკათედრო ტაძარი (St.Stephan's cathedral) – ქალაქის სიმბოლო, რომლის მშენებლობაც 1230 წელს დაიწყო. დროდადრო ის ინგრეოდა, იწვებოდა და ისევ აღდგებოდა ხოლმე და ასე მრავალჯერ. მასზე აისახა აღორძინების ეპოქაც, განსაკუთრებით ინტერიერის ორნამენტებსა და სვეტებზე. ტაძარს ევროპაში განთქმული ლეიდეწელების გვარი აშენებდა. გერჰარტ ლეიდეწელი მრავალი ნაგებობის, მათ შორის, სტრასბურგის ტაძრის ავტორია.

### რენესანსი

გვიანდელ შუასაუკუნეებში ვენა ელევანტური და მდიდარი ქალაქი იყო. ოსმალეთის იმპერიის მხრიდან დაპყრობის მცდელობას მოჰყვა კასტილიისა და არაგონის სახლებთან დანათესავება და 1533 წელს ფერდინანდ I ჰაბსბურგი გახდა იმპერატორი საღვთო რომის იმპერიისა, რომლის ტახტი პრაღიდან ვენაში გადმოვიდა.

სწორედ ამ დროს შეიქმნა ვენური რენესანსის გვირგვინი – ჰოფბურგის სასახლე, რომელიც ძველი სასახლის აღდგენის შედეგად აიგო, რა თქმა უნდა, იტალიელი ოსტატების მიერ. ჰაბსბურგების ზამთრის რეზიდენცია, როგორც სხვა ევროპული სასახლეები, მუდმივი აღდგენა-გადაკეთების მიუხედავად, რენესანსულ ნაწილს გარკვეულწილად დღესაც ინარჩუნებს.

### ბაროკო და როკოკო – XVII და XVIII საუკუნეების არქიტექტურა

არქიტექტურული განაშენიანების თვალსაზრისით, ეს პერიოდი (XIX საუკუნის რამდენიმე Revival Style-თან ერთად) ყველაზე ნაყოფიერი და დატვირთულია ვენის ისტორიაში. ასევე თვალსაჩინოდ აისახა ქალაქის ხუროთმოძღვრებაზე მარია-ტერეზიას, „ერის დედის“, ორმოცწლიანი მმართველობის ეპოქა.

შენობების სართულების რიცხვმა 3-იდან 5-მდე მოიმატა. აშენდა ბევრი ტაძარი, კათოლიკური უნივერსიტეტი. ქალაქის საეკლესიო არქიტექტურაში ბაროკოს სტილის დანერგვას კათოლიკურმა რეფორმაციამ შეუწყო ხელი. ის ვენაში იტალიიდან ზალცბურგის გავლით შემოვიდა.

1658 წლიდან კი იწყება Vienna Gloriosa – ბაროკოს სტილის ბრწყინვალე პერიოდი. იმხანად ჰოფბურგის სასახლის ბაროკოს სტილში გადაკეთება მიმდინარეობდა, რაც მთელი ქალაქის არისტოკრატებს შორის ერთგვარი შეკიბრის საბაზად იქცა. ამ პერიოდში უამრავი სასახლე და სახლი აშენდა, მათ შორის, ლობკოვიცისა და ლიხტენშტეინის სასახლეები, რომლებიც ბაროკოს არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშებია.

ბაროკოს შედეგია, ასევე, ბელვედერე – იოჰან ლუკას ჰინდელბრანტის მიერ შექმნილი პრინც ეუგენის საზაფხულო რეზიდენცია: ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი სასახლე, შუაში შესანიშნავი ბაღით.

იოჰან ბერნჰარდ ფონ ერლახი ამ ეპოქის ყველაზე დიდი არქიტექტორი იყო. ვენის სამეფო ოჯახისა და არისტოკრატების საზაფხულო რეზიდენციებს, რომლებიც გალაუნის იქით მდებარეობდა, „ბაღების სასახლეები“ ეწოდებოდა. სწორედ ამ არქიტექტორმა ჩაუყარა საფუძველი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ არქიტექტურულ ნაგებობას – შონბრუნის სასახლეს. ისიც მრავალჯერ გადაკეთდა, მაგრამ ფონ ერლახის იდეა და ოსტატობა მასში მყარად შენარჩუნებულია.



ბაროკოს პერიოდში არქიტექტურა ხელოვნებათაგან უმთავრესად მიიჩნეოდა. ზემოთ ნახსენები ტერმინი – gesamtkunstwerk – მნიშვნელოვანწილად ამ სასახლის კონცეფციას უკავშირდება, რომელიც თავის თავში ხელოვნების ყველა სფეროს აერთიანებდა.

### კლასიციზმი და XIX საუკუნე

ევროპული ქალაქების მსგავსად, ვენა კლასიციზტური თუ სხვა მრავალი revival style-ის წესებით გაშენდა. პერიოდი მარია-ტერეზიას მეფობიდან ვიდრე ფრანც იოზეფის მმართველობამდე არქიტექტურული ინოვაციებით არ გამოირჩევა, თუმცა ამ დროს აგებული შენობები სტილის მხრივ საკმაოდ დახვეწილია. რაოდენობის მიხედვით კი, ისინი ვენის არქიტექტურული იერსახის დომინანტურ ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ Tarroucca palace-I, რომელშიც ამჟამად განთავსებულია ცნობილი მუზეუმი „ალბერტინა“.

ამ დროს ვენა მუსიკის მსოფლიო დედაქალაქი გახდა და ეს შენობები მრავალი მუსიკალური მოვლენისა და დიდებული კომპოზიტორთა მოღვაწეობის მომსწრენი არიან.

ბურჟუაზიული კლასის გაძლიერებამ კლასიციზტურ სტილში აგებული მრავალი საცხოვრებელი სახლი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა შემატა ქალაქს. ამ ეპოქის არქიტექტურის ჩინებული მაგალითია „ფერსტელ პალასი“, რომელშიც ახლა ცნობილი კაფე „ცენტრალი“ მდებარეობს.

რინგსტრასა

ძველი ვენის ცენტრი, ანუ ისტორიული ქალაქის დიდი ნაწილი, ციტადელით შემოფარგლულ დაცულ ტერიტორიას წარმოადგენდა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1850 წელს ვენა გაიზარდა და 35 გარშემოცოფი სოფელი შთანთქმა. 1857 წელს კედელი დაინგრა და მისი ადგილი ულამაზესმა ბულვარმა დაიკავა. მას რინგსტრასე (წრიული ქუჩა) დაარქვეს. ავსტრიის დედაქალაქისთვის ეს ურბანული რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ ბულვარზე ბევრი ულამაზესი და ღირსშესანიშნავი ნაგებობა, მრავალი პარკი თუ მონუმენტი მდებარეობს:



მერიის შენობა, სახელმწიფო თეატრი, უნივერსიტეტი, პარლამენტი, სახვითი ხელოვნებისა და ნატურალური ისტორიის მუზეუმები, ოპერა. ასევე, რინგსტრასეზე გამოდის ჰოფბურგის სასახლის ახალი ფრთა. ბულვარის მშენებლობა ვენის სამეფო კარის მიერ დაარსებული ფონდის ინიციატივით დაიწყო. სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებასა და უძრავი ქონების შექმნაში მრავალი კერძო ინვესტორი მონაწილეობდა. 1885 წელს „ოქროს მილის“ მშენებლობა დასრულდა. ამ დროის დიდმა არქიტექტორმა ოტო ვაგნერმა ქალაქისათვის პირველი „რევოლუციური“ გენერალური გეგმა შექმნა, რომლის მთავარი პრიორიტეტი ტრაფიკის ოპტიმალური მენეჯმენტი და ამით ცენტრსა და პერიფერიას შორის კავშირის გაადვილება იყო.



XX საუკუნე – ვენური მოდერნიზმი: „სეცესიონიდან“ ადოლფ ლოსამდე

XIX საუკუნის ბოლო და XX-ის დასაწყისი მნიშვნელოვანი გარდატეხის ეპოქაა მთელ ევროპაში. ვენის სახელოვნებო სფეროებზე ყოველივე ეს ძალზე მგრძობიარედ აისახა.

Fin-de-siecle Vienna ურთიერთგამომრიცხავი, დაპირის-პირებული, რადიკალური და ინტელექტუალურად შორს-მჭვრეტი იდეების „დიდ სახარშავ ქვაბად“ გადაიქცა.



ფროიდის მიერ ქვეცნობიერის აღმოჩენამ ყველა სფეროში უკიდვარ საზღვრები გახსნა და ხელოვნება ლამის კულტად აქცია. ამ დროს ფრანც იოზეფი იმპერატორია, კარლ ლუგერი – ქალაქის მერი. შეუძლებელია, იმპერიის ცენტრი არ ჩართულიყო ზოგადევროპული განვითარების შეჯიბრში.

1899 წლიდან ვენაში გარე განათება მოეწყო, ამოძრავდა ელექტროტრამვაი, გაშენდა პირველი ე. წ. „მწვანე ბელტი“ ცენტრის გარშემო. ხელოვნებისა და არქიტექტურის მოღვაწეები ჩაბმულნი იყვნენ აღმშენებლობის ორომტრიალში და ეპოქის იდეებს თავიანთ ნამუშევრებში წარმოაჩენდნენ.

1897 წელს „სეცესიონის“ ჯგუფი გამოდის მოთხოვნით, მოხდეს ხელოვნების სრული ინტეგრაცია „ცხოვრებასთან“ – წმინდა და გამოყენებითი ხელოვნების ყოველმხრივი გაერთიანება. ეს იდეა ზემოხსენებულ ტერმინ Gesamtkunstwerk-თან პირდაპირ კავშირშია.

ჯგუფი გუსტავ კლიმტმა, კოლომან მოზერმა, იოზეფ ჰოფმანმა, იოზეფ მარია ოლბრიხმა და სხვებმა დააარსეს, თუმცა ოტო ვაგნერი, ამ მიმდინარეობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, დამუშავებულთა შორის არ ყოფილა.

მოდერნიზმის ეს მძლავრი გაერთიანება კლასიკური ხელოვნების გარდაქმნას ისახავდა მიზნად და ახალი ფორმების ძიებას შეუდგა. ჯგუფის მე-14 გამოფენა იოზეფ ჰოფმანის მიერ შექმნილი გენიალური პავილიონითა და გუსტავ კლიმტის მოხატულობით ამის შესანიშნავი მაგალითი იყო. იოზეფ მარია ოლბრიხის მიერ კარლსპლაცზე აშენებული საგამოფენო დარბაზი კი მოდერნის საუკეთესო მარგალიტია.

ტრიუმვირატის მესამე წარმომადგენლის, ოტო ვაგნერის გენიალური ქმნილებებიც აუცილებლად უნდა დაათვალიეროთ, მათ შორის, კარლსპლაცის სადგური, ავსტრიის საფოსტო ბანკის შენობა და სხვა.

ადოლფ ლოსი, არქიტექტორი, მონაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული მოვლენა ვენის ისტორიაში.




თავიდან ფეხებამდე მოდერნისტი ლოსი ებრძოდა უაზრო ორნამენტრებას, „გადამლაშებულ შელამაზებას“ არქიტექტურასა და დიზაინში. მას თანამედროვე არქიტექტურის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ. ლოსს უდიდესი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ესთეტიკისა და ფორმების, ასევე, ახალი კონტექსტუალური აღქმის დანერგვაში.

ვენაში აუცილებლად უნდა მოინახულოთ მისი რამდენიმე ქმნილება, მათ შორის, Michaelerplatz 3, Goldman und Salatsch-ის ბანკის შენობა (1909). იმხანად ნაგებობის პროვოკაციულმა ფასადმა (ჰოფბურგის სასახლის წინ) დიდი აღშფოთება გამოიწვია. თვით იმპერატორიც კი ამ გზით აღარ დადიოდა.

ასევე, ესტუმრეთ „არტნერ ბარს“. 6 მ სიგრძისა და 4,5 მ სიგანის „სათავსი“, ლოსის ოსტატობის წყალობით, გაცილებით დიდ სივრცედ მოგეჩვენებათ. აქაურობა თავდაპირველად მხოლოდ კაცებისთვის იყო განკუთვნილი. ქალებისთვის კი ის მხოლოდ მანიფესტაციების შედეგად გაიხსნა.





მიუნხადავად ამგვარი კალაქიკისა, ვენა მიინც ერთი არქიტექტურული მთლიანობაა. სწორად ამაშია მისი, როგორც ქალაქის, არქიტექტურული ხასიათი და ბანუშაორებალობა.



**თანამედროვე არქიტექტურა – ჰუნდერთვასერიდან ჯგუფ Coop Himmelb(l)u-მდე**

ვენის თანამედროვე არქიტექტურა დიდებული ისტორიის ღირსეული გაგრძელებაა. II მსოფლიო ომის შემდგომ, დღევანდელ დღემდე ვენაში ისეთი გარემო შეიქმნა, რომელშიც არქიტექტურული ენა თუ სტილი, შესრულების ხარისხი (საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე) იმგვარ არნახულ შედეგებს იძლევა, როგორც ამ ქალაქს შეეფერება.

დარწმუნებული ვარ, ჩემი თაობის ყველა ქართველი არქიტექტორის აღფრთოვანება გამოიწვია ჯგუფ COOP HIMELB(L)AU-ს მიერ შექმნილმა მანსარდამ ფალკენშტრასეზე, ასევე, ჰანს ჰოლენის პოსტმოდერნიზმმა.

თანამედროვე ექსპერიმენტები და გამოგონებები ფანტაზიისათვის სულ უფრო და უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა



– თანამედროვე ვენა არქიტექტურულად ამ მიმართულებით ვითარდება. მაგალითად, მუზეუმების უბანი ბაროკოს არქიტექტურისა და თანამედროვე შენობების (ლაურდისი და ორტენერი) ნაზავის საუკეთესო მაგალითია. ის ყოფილ სამეფო თავლების ტერიტორიაზეა განლაგებული. უბნის რეკონსტრუქცია გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, საცეკვაო ცენტრი და არქიტექტურული ცენტრი ყველა ასაკის დამთვალიერებლისათვის არის ადაპტირებული. აქ უამრავი ღონისძიება და ფესტივალი იმართება.

**ჰუნდერთვასერი**, აქტივისტი და მხატვარი, თავისი ორიგინალური კონცეფციების წყალობით გახდა ცნობილი. ყოველგვარი სტილისა თუ არქიტექტურული წესრიგის გარეშე აგებული მისი შენობები სრულიად ორიგინალური ხედვის გამოხატულებად იქცა. ისინი ანტონიო გაუდის ფორმებსა და ეკოლოგიურ უტოპიას შორის მერყეობენ.

მხატვრის ქმნილებებმა მის დამფასებლებსა და ხელოვნების კრიტიკოსებს შორის მწვავე დაპირისპირება გამოიწვია, თუმცა ამავდროულად ტურისტთათვის „მიზიდულობის ადგილებად“ იქცა.



**ცხოვრების ღონით ვენა კვლავ პირველია!**

2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ცხოვრების ღონით ვენა კვლავინდებურად ლიდერობს. მერსერის გამოკითხვით, ცხოვრების ხარისხზე ზრუნვის თვალსაზრისით, ეს ქალაქი უკვე მედიზედ მეექვსედ აღიარეს სამაგალითოდ.

კვლევა მსოფლიოს 230 ქალაქს მოიცავს და ქალაქი 39 მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ გარემოს დაცვის კუთხით. პირველ ხუთეულში ევროპის კიდეც ორი ქალაქი მოხვდა: მეორე ადგილი ციურიხმა, ხოლო მეოთხე – მიუნხენმა დაიკავა. სხვა მარჯვენებლებს შორის, გათვალისწინებულია გართობისა და დასვენების ისეთი ადგილების ხარისხიანობა და სიმრავლე, როგორცაა: რესტორნები, თეატრები, კინოდარბაზები, სპორტული ნაგებობები; ასევე, სამომხმარებლო საქონლის სიმრავლე და, რაც მთავარია, გარემო პირობები – მწვანე ნარგავების რაოდენობა თუ ჰაერის სისუფთავის ხარისხი. ლონდონური ჟურნალი „მონოკლი“, რომელიც კულტურისა და ცხოვრების

განსხვავებული სტილის შესახებ წერს, 2007 წლიდან ადარებს ერთმანეთს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ ცხოვრების დონეს. შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი უაღრესად ობიექტური კრიტერიუმები, როგორცაა: საცხოვრებელი ბინების ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული მუშაობა, დანაშაულის დონე და ბიზნესის სანდოობა. ამავე დროს, მხედველობაში მიიღება სუბიექტური ფაქტორებიც: შემწყნარებლობა, ადამიანთა ზოგადი გუნება-განწყობა თუ ღამის ცხოვრების მრავალფეროვნება. ბოლო ასეთი კვლევა ხსენებულ ქალაქებში პირველი თავისუფლების მდგომარეობასაც ითვალისწინებდა.

2014 წელს ვენას მხოლოდ მეექვსე ადგილი ეკავა, შემდეგ კი საგრძობლად დაწინაურდა და ახლა მეორეა ტოკიოს შემდეგ.

2015 წელს, „მონოკლის“ გამოკითხვის თანახმად, პირველი სამეული ასე გამოიყურება: ტოკიო, ვენა, ბერლინი.





# გაგონების ევოლუცია ანუ ნუ აცოცდებით ფარდაში ღირაქტორში აღრი

სალომე დადუნაშვილი

აი, წარმოდგინეთ, მთელი წელი დილის 4 საათზე დგებით, ზელთ ცოცხ, თქვეფთ ნალებს, არჩევთ ვაშლს... და ჰოპლა!!! თებერვლის ერთ მშვენიერ დილას ჩამოიფერთხავთ ფქვილს ხელებიდან და, შავ ფრაკში გამოწყობილი, მეჯლისზე გარბიხართ, სადაც კოლეგა მეფუნთუშესთან ერთად დილაშდე ცეკვავთ. მერე ისევ დგებით ყოველ დილით 4 საათზე და ასე, შემდეგი წლის თებერვლამდე, სანამ ვენაში მეჯლისების სეზონი ისევ არ დაიწყება. აბა, როგორია? მგონი, გადასარევი.

არ ვიცი, რა მოქმედებს ასე ადამიანებზე: დუნაის ლურჯი დინება, სტერილურად სუფთა ჰაერში გაფანტული მოცარტისა და შტრაუსის აურა თუ სპორტული ინტერესი, მაგრამ იანვრის ბოლოდან ვენაში ცეკვავს ყველა. აქ, მგონი, უფრო ადვილია, აპყვე ამ საყოველთაო სიგიჟეს, ვიდრე შეეწინააღმდეგო მას. ბოლოს და ბოლოს, ვალსზე გამარჯვებული ადამიანი აღ ჯერ არ მინახავს, ცეკვისგან სიქაგავილი კი – რამდენიც გნებავთ.

რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი მეჯლისი, ისევე როგორც ალბათ ყველაფერი ყველაზე მნიშვნელოვანი ვენაში, ოპერაში იმართება. ვენის სახელმწიფო ოპერის დირექტორის, ბატონი **დომინიკ მიჩერის** კაბინეტის მოსაცდელს სწორედ ამ ღირსშესანიშნავი მეჯლისის სურათი ამშვენებს. ვენის ოპერა მეორე მსოფლიო ომის დროს სერიოზულად დაზიანდა. ანტრექტის დროს შეგიძლიათ შამპანურის ბოკალით ხელში დაათვალიეროთ ფოტოგამოფენა, რომელიც შენობის მდგომარეობას და მისი რეკონსტრუქციის ფაზებს ასახავს; თან ყური დაუვლოთ ვენელი ქალბატონების წუწუნს იმაზე, რომ ტურისტები არას დაგიდევნენ ეტიკეტს, წმინდა პარკეტზე ბოტასებით დააბოტებენ და ვულგარული სელოფის ჯოხების დამალვასაც კი არ ცდილობენ.

საინტერესოა თავად მოსაცდელის სივრცეც. საქმიანი, მოკრძა-ლებული. არაფერი ზედმეტი. არაფერი სუპერთანამედროვე, არაფერი, რაც ფუფუნებაზე მიუთითებს. დიას, ვენის ოპერაში, პრემიერებზეც კი, არ არის მიღებული შლეიფიანი კაბებით მისვლა. დახვეწილი ვენელები ასე არ იქცევიან. დემოკრატია, მუსიკა ყველას. ალბათ ეს არის ვენის ოპერის არაოფიციალური დევიზი. ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საოპერო სივრცეში, სადაც თვე არ გავა, უდიდესმა დირიჟორმა ან სახელგანთქმულმა მომღერალმა არ დაატკბოს მელომანთა ყური, ბილეთის ყიდვა ყველა მსურველს შეუძლია.



ეს ალბათ ერთადერთი ქალაქია, სადაც ფრაზით – „უკაცრავად, მეჯლისზე მაგვიანდება“ ვერავის გააოცებ. კონკიას დაუსრულებელი ზღაპარი – ქალაქი, სადაც შუქნიშნის კაცუნებიც მარტო კი არა, გულისსწორთან ერთად ენთებიან ხან წითელი, ხან მწვანე შუქით. ალბათ ისინიც მეჯლისზე მიიჩქარიან. არ გამიკვირდება, ვენაში არსებობდეს შუქნიშანთა მომვლელების მეჯლისი. რატომაც არა, თუ კონდიტრებისა არსებობს?!





გარდა ამისა, არსებობს ბილეთების გადამყიდველთა დიდი არმია, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ტრიალებს ოპერის გარშემო. რამდენიმე დღით ადრე პარტერის ბილეთების ყიდვა 100 ევროდია შესაძლებელი, მაგრამ თუ წარმოდგენის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მიხვალთ, შესაძლოა იგივე ბილეთი სულ რაღაც 20 ევროდ შეიძინოთ.

**ბატონო მეიერ, საკუთარ თავს უკვე ვენელად მიიჩნევთ?**

დიახ, უკვე კარგად შევეწყვე აქაურობას. 5 წელია აქ ვარ და, მგონი, კარგად გავუე ამ ქალაქს. საფრანგეთში, გერმანიის და შვეიცარიის საზღვრიდან 20 კილომეტრში დავიბადე. ვმუშაობდი საფრანგეთში, იტალიაში. ვენა, ეს სივრცე, ჩემთვის ახლოა, იმიტომ რომ მუსიკალური სივრცეა. იცით, ვენაში ცხოვრება მშვენიერია. ეს ქალაქი ადამიანისთვისაა შექმნილი. სრული სიმშვიდე, მანქანები ცოტაა... 40 წელი პარიზში გავატარე და ამის შემდეგ, დამერწმუნეთ, დიდი ცვლილებაა ჩემთვის. ეს მუსიკის დედაქალაქია ბოლოს და ბოლოს. მე ვამტკიცებ, რომ მსოფლიოს მუსიკის დედაქალაქი. მაგალითად, გუშინ დილით ჩვენი ორკესტრი კრისტიან ტილემანთან გადიოდა რეპეტიციას, შუადღისას მალერის მე-9 სიმფონიას დანიელ ბარენბოიმთან უკრავდნენ, საღამოს კი „ვერტერი“ გვექნება ელინა გარანჩასთან ერთად.

მეტი რა უნდა ვთქვა?! ამ პატარა ქალაქში ყოველ საღამოს 10 000 ბილეთი იყიდება კლასიკური მუსიკის მოსასმენად.

**და რა ქმნის ამ მუსიკალურ ტრადიციას? სულიერი მოთხოვნილება, ამ ქალაქში კონცენტრირებული ტალანტები?**

ეს დიდი ისტორიის შედეგია. ყველა თვლის თავს ვალდებულიად, ბავშვები ოპერაში, კონცერტებზე წაიყვანოს. ასე იზრდება მუსიკალურად განათლებული თაობები. კარგი კითხვაა, ვინაიდან თავიდან მეც სულ იმავეს ვეკითხებოდი საკუთარ თავს. უწყვეტი მუსიკალური ტრადიცია დიდ როლს ასრულებს. უდიდესი კომპოზიტორები: მოცარტი, ჰაიდნი,

ამ პატარა ქალაქში ყოველ საღამოს 10 000 ზიდითი იყიდება კლასიკური მუსიკის მოსასმენად.



გლუკი, ბეთჰოვენი, შუბერტი, ბრამსი, ბრუკნერი, მალერი, რიჰარდ შტრაუსი, შონბერგი, ბერგი – ყველა აქ იყო, ამ ქალაქში მოღვაწეობდა. იცით, ვინ გარდაიცვალა ოპერის წინ, აი, ამ კიბესთან? ვივალდი. მე-18 საუკუნეში ეს ქალაქი იტალიური მუსიკის მექა იყო. ვენა ძალიან ემოციური ქალაქია. და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ემოციას ვენელებში საოპერო ხელოვნება იწვევს.

ყოველ საღამოს 600 იაზ ბილეთს ვყიდით. ფასი 4 ევროა. ეს დასადგომი ბილეთებია, აქედან ადგილების ნახევარი პარტერშია. დგახართ, მაგრამ საუკეთესო ადგილებზე, პირდაპირ პარტერის რიგების უკან, შესანიშნავი აკუსტიკითა და ხედვის კუთხით. უდიდესი მუსიკოსები წლობით იდგნენ ამ ადგილებზე. მაგალითად, ბრწყინვალე დირიჟორი ზუბინ მეტა, რომელიც ვენაში სწავლობდა, ყოველ საღამოს ამ ბილეთით შემოდიოდა ოპერაში. ცოტა ხნის წინათ ვეხუმრებოდი: „უდიდესი კარიერა გაიკეთე, მაგრამ ისევ ფეხზე გიწევს დგომა, თუმცა 20 მეტრი სცენისკენ კი წაიწიე“.

ჩვენთან კრისტიან ტილემანი „ჰენსელს და გრეტელს“ დირიჟორობს; შეგიძლიათ საიმონ რეტლის დირიჟორობით ნახოთ „ნიბელუნგების ბეჭედი“. დღეს ელინა გარანჩას მოუსმენთ, ერთი კვირის წინ ანა ნეტრებკო გყავდა. და ეს ყველაფერი – 4 ევროდ. მოდიხართ წარმოდგენის დაწყებამდე 40 წუთით ადრე და ეს ბილეთი თქვენია. ეს არის საიდუმლოს გასაღები.

ჩვენ დარბაზში ვკრებთ ყველას: ახალგაზრდებსა და მოხუცებს, მდიდრებსა და ღარიბებს, ავსტრიელებსა და უცხოელებს. რა თქმა უნდა, თუ საუკეთესო ბილეთი გსურთ, ამაზე ადრე უნდა იზრუნოთ.

ეს ვენის მუსიკალური წარმატების საწინდარია. თუ ერთ საღამოს გაატარებთ ამ დასადგომ ადგილებზე, მომავლის იმედი მოგეცემათ, ისეთი ენერჯეტიკაა. ეს ქალაქი არასოდეს დანებდება. გარდა ამისა, ჩვენი მთავარი სამიზნე ბავშვებია. ამ სეზონში 26 ათას ბავშვზე გვაქვს გათვლა. სპეციალურად ვდგამთ ოპერებს ბავშვებისთვის. წელს 4 ასეთი წარმოდგენა გვექნება. მათთვის სპეციალური ფასი გვაქვს – 50 ევრო,



დომენიკ მეიერი ვენის სახელმწიფო ოპერის დირექტორი

*ინტარკრატაცია ყველაფერი. გამოვნახის ეპოქის ჩემი საყვარელი თემა. პირველი მონება ილახს და ითვისებს თორიულ განმარტებას, ცოდნას, შამდე ამას ემოციური გააზრება მოჰყვება და მხოლოდ ამის შემდეგ იზრდება და ყალიბდება გამოვნახა.*

როცა ბილეთი, როგორც წესი, 200 ევრო ღირს. ეს კეთდება იმისთვის, რომ ისტორია გაგრძელდეს, ვენის ოპერას ყოველთვის ჰყავდეს მსმენელი. წელიწადში 300 წარმოდგენას ვმართავთ. ვენელებს ისე სჭირდებათ ოპერა, როგორც ჰაერი.



ყოველ საღამოს 600 იაზ ბილეთს ვყიდით. ეს დასადგომი ბილეთებია, დგახართ, მაგრამ საუკეთესო ადგილებზე, პირდაპირ პარტერის რიგების უკან, შესანიშნავი აკუსტიკითა და ხედვის კუთხით.





„ემშაკი მელაკუდას თავდასასავალი“

**ვგრძნობ, რომ ვენაში ძალიან უფრთხილდებიან ტრადიციებს, მაგრამ ეს ბუნებრივად ხდება, განსაკუთრებულ ძალისხმევას ვერ ვამჩნევ.**

ხომ იცით, ნათქვამია: რასაც 5-ჯერ ზედიზედ აკეთებ, უკვე ტრადიციას. აქ ახალ ტრადიციებსაც ვუყრით საფუძვლს. მაგალითად, ჩემი მოსვლის შემდეგ გადავწყვიტე, მეტი დრო დამეთმო ბალეტისთვის. შესანიშნავი მოცეკვავეები გვყავს. 16 წლის განმავლობაში თანამედროვე ბალეტის ფონდის თავმჯდომარე ვიყავი, ბევრს ვმუშაობდი ბალეტის სფეროში. პარიზის ოპერაში ნურიევთან ერთად მიმუშავია და გადავწყვიტე, ყოველ წელს გავაკეთოთ ნურიევის გალა, გავაცოცხლოთ მის მიერ დადგმული ქორეოგრაფია. ამას უკვე 5 წელია წარმატებით ვაკეთებთ. ვენელები ძალიან გახსნილები არიან ახლის მისაღებად. თანამედროვე კომპოზიტორების ოპერებსაც ვდგამთ და მათზეც ის პუბლიკა დადის, რომელსაც კლასიკური მუსიკის წარმოდგენაზე შეხვდებით.

**ერთ ტრადიციამე მინდა გვესაუბროთ: როგორ ახერხებთ 2 დღეში ოპერის დარბაზის სამეჯლისო დარბაზად გადაკეთებას?**

ჰო, ეს ნამდვილი ჯადოქრობაა (იცინის). წარმოდგინეთ, ვაგებთ ახალ იატაკს, რომელიც სცენის სიმაღლეა, და პარტერის სკამებს მის ქვეშ ვაქცევთ. სცენაზე კი დარბაზის ლოჟების სარკისებურ გაგრძელებას ვაშენებთ. როცა დარბაზს უყურებ, უსასრულობის შეგრძნება გიჩნდება. მაგრამ ეს რაა იმასთან შედარებით, რაც ოპერის შენობის დანარჩენ სივრცეებში ხდება. მაგალითად, ჩვენი საყვარელი გარდერობი ბარად გადაიქცევა


ხოლმე. ყველა სართულის სივრცე საცეკვაო დარბაზებადაა გადაკეთებული. აქ დისკოთეკაც კი გვაქვს.

**რა გამოდის, დებიუტანტები ვერ თეთრი კაბებით დაფარვატებენ და მერე დისკოთეკაზე ცეკვავენ?**

(იცინის) ჰო, სწორედ ასეა. მართლა საოცრებაა. თავადაც არ მჯეროდა, როცა პირველად ჩამოვედი. ეს ძლიერი ტრადიციაა, რომელიც უსიტყვოდ უნდა მიიღო. თუ თებერვალ-მარტში, დილას ვინმე ჩაშავებული თვალებით შემოგხვდა, ეს ნიშნავს, რომ ლამის 4 საათამდე მეჯლისზე ცეკვავდა. ამ ტრადიციის ხელის ხლება სასტიკად აკრძალულია.

მაგრამ ჩვენი მეჯლისი, რა თქმა უნდა, ყველაზე პრესტიჟული მეჯლისია. ამ საღამოს 5500 სტუმარს ვმასპინძლობთ. საღამო 3 ნაწილისგან შედგება. პირველი – სტუმრების მოსვლა. მათ შორის არიან რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობისა და პარლამენტის წევრები, უმაღლესი დონის სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან და ვარსკვლავები, რა თქმა უნდა. ამ დღეს მეც კი არ შემომიშვებენ სამსახურში შავი ფრაკის გარეშე. ეს სრულიად წარმოუდგენელია.

დებიუტანტებს თეთრი კაბები აცვიათ, მოწვეულ სტუმარ ქალბატონებს – სამეჯლისო კაბები. დებიუტანტები ვარჯიშს 3-4 თვით ადრე იწყებენ და ათობით რეპეტიციას გადიან. მეორე ნაწილი ოფიციალური გახსნაა, რომელიც 50 წუთს გრძელდება და სწორედ ამ დროს გამოდიან დებიუტანტები. რა თქმა უნდა, ჟღერს ნაციონალური ჰიმნი.



„ელექტრა“

შემდეგ იწყება შოუ, რომელშიც ჩვენი ბალეტის სოლისტები მონაწილეობენ. ვენის ფილარმონიის ორკესტრი, აუცილებლად ვარსკვლავის დირიჟორობით, ასრულებს რამდენიმე კომპოზიციას მოწვეულ მომღერლებთან ერთად. ამის შემდეგ დებიუტანტები პირველ ვალსს ასრულებენ და იწყება მესამე ნაწილი, როცა ჩვენი ბალეტის სოლისტები ყველას საცეკვაოდ იწვევენ... ეს ბედნიერება დილის 5 საათამდე გრძელდება. მართალი გითხრა, როცა აქ ჩამოვედი, ვერ წარმომედგინა, რომ მეჯლისი ამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ეს უდიდესი ემოციაა, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები.

როცა პირველად ხედავ დედას, რომელიც თავისი ქალიშვილის ან ვაჟის პირველ ვალსს უყურებს და ტირის, იმიტომ რომ საკუთარი თავი ახსენდება მათ ასაკში, ყველაფერს ხვდები. ეს არის ზღაპრის ხელოვნება, რომელსაც რუდუნებით ინარჩუნებენ. ამ საღამოს ყველა პრინცი და პრინცესაა. როცა ჩემს სტუმრებს ვპატიჟებ სხვადასხვა კულტურული ინსტიტუციიდან, თავიდან ყოყმანობენ, ჩამოვიდნენ თუ არა, მაგრამ როცა ჩამოდიან, საკუთარ თვალებს არ უჯერებენ.

**დღესდღეობით საოპერო სივრცეში ძალიან მნიშვნელოვანია ახალი დადგმები, რომლებსაც საინტერესო რეჟისორები ახორციელებენ, მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ ახალი ინტერპრეტაციები პუბლიკის გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელია.**

მე ჟურნალისტებისთვის არ ვმუშაობ. მე ვმუშაობ პუბლიკისთვის, ეს სპეციფიკური თეატრია. ჩვენ რეპერტუარი უნდა გვქონდეს, ვერ გავრისკავთ. ეს ფესტივალი არ არის. როცა დადგმა 5 მლნ ჯდება, წარმოუდგენელია, ის ერთი საღამოს შემდეგ მოხსნა, 5 წელი მაინც უნდა გაუძლოს დროს. აქ შენი არტისტული ეგო უნდა დაივიწყო. ეს არის სერიოზული დაწესებულება, რომლის ფუნქციონირებასაც ვერაფრით დავაყენებ რისკის ქვეშ. მაყურებელმა თეატრში უნდა იაროს. შარშან გვექონდა ერთი მსგავსი წარმოდგენა. მან მხოლოდ 5 ჩვენებას გაუძლო. შემდეგ პუბლიკამ, უბრალოდ, შეწყვიტა ბილეთების შეძენა და სპექტაკლის ბედიც გადაწყდა.

**მაინც რატომ დადიან ადამიანები დღეს ოპერაში? ეს პრესტიჟია თუ...**

არა, შესაძლოა ბევრ სხვა ადგილას პრესტიჟის საკითხი იყოს, მაგრამ აქ არა. ვფიქრობ, ვენაში ოპერაში დადიან იმიტომ, რომ ეს უნიკალური ემოცია სჭირდებათ. ეს რიტუალია. მსგავს ემოციებს ვერსად განიცდი. როცა ვენის ფილარმონიულ ორკესტრს უსმენ, ისეთი სიამოვნებაა, რომ შეიძლება იტირო.

**მაინც რით გამოირჩევა უდიდესი დირიჟორი?**

უდიდეს დირიჟორს ნაწარმოების ყოველი წამი წინასწარ ჩაესმის და მან ზუსტად იცის, რა ინტერპრეტაცია სჭირდება; ისიც იცის, როგორ უნდა მიადწიოს ამ ხმოვანებას ორკესტრთან. საკმარისია, ნახევარი საათი დაესწრო მუტის, ტილემანის ან ბარენბოიმის რეპეტიციას და ყველაფერს მიხვდები. ინტერპრეტაცია ყველაფერი. გემოვნების ევოლუცია ჩემი საყვარელი თემაა. პირველი გონება იღებს და ითვისებს თეორიულ განმარტებებს, ცოდნას, შემდეგ ამას ემოციური გააზრება მოჰყვება და მხოლოდ ამის შემდეგ იზრდება და ყალიბდება გემოვნება.



ანა ნეტრებკო – „ანა ბოლეინი“.

**რა არის თქვენი სამსახურის მთავარი პრინციპი: იყო შემოქმედი თუ შემოქმედებით ნატურებს არ მისცეთ ცაში ფრენის საშუალება?**

ოჰ, ეს დიდი სირთულეა. ეს ოპერა ნამდვილი საომარი მოქმედებების ველია. აქ რეალისტი თუ არ ხარ და ორივე ფეხით მიწაზე თუ არ დგახარ, დაილუპები. წარმოიდგინეთ, მხოლოდ წელს 53 ოპერა და 10 საბალეტო წარმოდგენა გვაქვს, რომელიც კვირის ყოველ დღეს იმართება. პარალელურად რამდენიმე პროექტი მზადდება. თან მუდამ ვარსკვლავებთან გაქვს საქმე და მათ განსაკუთრებული პირობები უნდა შეუქმნა. რაც მთავარია, პოზიტიური განწყობა უნდა შეინარჩუნო. მყავს არაჩვეულებრივი გუნდი, რომელსაც ვუთხარა:

„იყავით ზრდილობიანები, განასხვავეთ მნიშვნელოვანი ნაკლებ მნიშვნელოვანისგან, არ გადააქციოთ პატარა პრობლემები დიდ პრობლემებად. დრამა მხოლოდ სცენაზე დასაშვებია და თუ ხედავთ, რომ ფარდაზე მივცოვავ, შეგიძლიათ გამომყვეთ, მაგრამ გთხოვთ, ჩემზე ადრე ნუ დაიწყებთ აცოცებას“.

# ყინულის დადოვანი თბილისი ღიზილით

სალომე დადუნაშვილი



**არსებობენ ადამიანები, რომლებსაც გინდა, რომ დაუჭირო.  
უპირობოდ მიიღო ყველაფერი ხათვან, იმდენად აღვიდა  
გიყურებენ თვალაზრი, ისეთი ნაძვრიანი ხათი ღიზილი.**

ვენის საახალწლოდ მორთულ ქუჩაზე მივრბივარ. მაგვიანდება, სასტიკად მაგვიანდება. ალისას თეთრი კურდღელივით თან საათს დავყურებ, თან ნაბიჯებს ვითვლი. კურდღლისგან განსხვავებით მე თავის მოკვეთა არ მემუქრება, მაგრამ ვენის საბალეტო სცენის დედოფალთან შეხვედრაზე მაგვიანდება და სირცხვილით თავის მოჭრა ნამდვილად გარანტირებული მაქვს.

ქეთი პაპავა მხოლოდ სურათზე მყავს ნანახი, ისიც სასცენო კოსტიუმში. ჩემდა საუბედუროდ, „გრანდ ოტელის“ კაფე მთლიანად სავსეა და სოლიდურ კოსტიუმებში გამოწყობილ მამაკაცებს შორის ჩაკარგულ სილფიდას თვალების ცეცებით ვეძებ. საბედნიეროდ, მე აღმოვჩინე ადვილი საპოვნელი. აქომინებული და თმაგაჩიჩილი პერსონაჟების სიმცირის გამო, აშკარად გამოვიჩინე იქ მყოფთა შორის. დარბაზის

სიღრმიდან შავი ტყავის შარვალში და ფუმფულა სვიტერში შეხვეული სიფრიფანა არსება მიქნევდა ხელს. ქეთი მშვენიერია, დახვეწილი ქართული სილამაზით, მოხდენილ კისერს უზარმაზარი საყელო და ხშირი პრიალა თმებიც კი ვერ მალავს. ასეთ ლამაზ ბალერინას ბოლოს ლონდონში შეეხვები, როცა ელენე გლურჯიძეზე გწერდი სტატიას.

„იცი, ახლა სწორედ იმ პარტიას ვამზადებ, რომლის პრემიერაც ელენემ იცეკვა ლონდონში – „ყინულის დედოფალი“. ძალიან მომწონს, შესანიშნავი ბალერინაა“, – მეუბნება ქეთი და თვალები უბრწყინავს. ქეთი ხშირად იღიმება და უცნაურია, რომ რაც უფრო დიდ სირთულეზე მიაბობს, უფრო მეტად იღიმება და როცა ჩემთვის წარმოუდგენელ საბალეტო თავგადასავლებს ყვება, გულიანად იცინის.

**როგორ მოხდა თქვენი გამგზავრება პეტერბურგში – მშობლებმა თქვეს, ძალიან ნიჭიერია და სასწავლებლად უნდა გაგუშვათო?**

არა, მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს 90-იანი წლები იყო და, რა თქმა უნდა, არც წყალი გვექონდა, არც შუქი, არც გაზი, როგორც ყველას. ჭაბუკიანის სკოლა დაკეტეს. უფრო სწორად, არავინ დადიოდა. მე მამას მაინც დავყავდი და ჩემთვის ვმეცადინებდი. დეიდა ირმა (ირმა ნიორაძე) პეტერბურგში იყო და ყოველ საღამოს დედას ვეხვეწებოდი: „გამიშვი რა, გამიშვი პეტერბურგში“, – ისე მინდოდა ცეკვა. ერთი წლის ხვეწნის შემდეგ დედა დანებდა.

**დეიდა ირმა რომ არ ყოფილიყო, არ გაგიშვებდა?**

ალბათ მაინც გამიშვებდა, იმიტომ რომ მართლა ძალიან მინდოდა ბალეტის სწავლა. დეიდაჩემი ხშირად დადიოდა გასტროლებზე, მე კი, ფაქტობრივად, მარტო ვრჩებოდი. ძალიან მიჭირდა ეს ყველაფერი: საჭმლის გაკეთება, სარეცხის გარეცხვა. თან ამ დროს 10 წლის ვიყავი.

**მე კი ვიცი, რომ ბალერინები თითქმის არაფერს ჭამენ... მაგრამ 10 წლის ასაკში საჭმელს როგორ აკეთებდით?**


(იცინის) ისე, სკოლაში ვჭამდი, მაგრამ დილას ხომ უნდა გამეკეთებინა რამე – ფაფა, მაგალითად. ძალიან მენატრებოდა მშობლები. ზაფხულში, როცა არდადეგებზე 2 თვით ჩავდიოდი თბილისში, ვეჩვეოდი მათთან ყოფნას, იმას, რომ ვიღაც სულ ზრუნავდა ჩემზე და შემდეგ ძალიან მიჭირდა დაბრუნება. არ მინდოდა წასვლა, მაგრამ არ ვაგრძნობინებდი ამას, იმიტომ რომ ვიცოდი; თუ ვიტყვებდი, აუცილებლად დამტოვებდნენ. ამიტომ სულ სიხარულით გავრბოდი და როგორც კი გავივლიდი საპასპორტო კონტროლს, ტირილს ვიწყებდი.

ძალიან რთული იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ დავრჩენილიყავი, ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. ცეკვის ამდენად დიდი სურვილი რომ არ მქონოდა, ვერ გავძლებდი და დავბრუნდებოდი.

**ალბათ ყველა პატარა გოგონას უნდა, რომ ბალერინა გახდეს, მაგრამ თუ გახსოვთ, როდის გაჩნდა ნამდვილი გრძნობა, რომ ეს სწორედ ის არის, რაც მთელი ცხოვრება გინდათ, რომ აკეთოთ?**

კი, ძალიან კარგად მახსოვს. მაშინ ჯერ ვაგანოვოში ვიყავი, ალბათ მე-4 კლასში, და იყო ასეთი მოძრაობა, ძალიან რთული, „ა ლა სეგონდ ტურლიანდ“, რომლის დროსაც ერთი ფეხი უნდა ასწიო, მეორით კი პუანტზე მოატრიალო მთელი სხეული. მახსოვს, გოგოები როგორ ატყუებდნენ მასწავლებელს, როცა ჯერ ფეხის აჭიმვაზე ვვარჯიშობდით – ჩუმად იდაყვს აყრდნობდნენ. ალბათ მეც ასე გავაკეთებდი, მაგრამ ჯერ პატარა ვიყავი და ვერ ვახერხებდი. სამაგიეროდ, როცა დადგა დრო და მოტრიალებაც უნდა გავეკეთებინა, მხოლოდ მე შევძელი, იმიტომ რომ ფეხი უკვე ნავარჯიშები მქონდა.

...და ეს იყო საოცარი შეგრძნება, გამარჯვების შეგრძნება. გადავლახე სირთულე. მაშინ მივხვდი, რომ აუცილებლად მხოლოდ ეს საქმე უნდა ვაკეთო. საერთოდ, მიყვარს სირთულეების გადალახვა, მიყვარს, რთულ პარტიებს როცა ვმეკვამ.



**ყველაზე რთული მაინც რომელი პარტია იყო?**

რაც ვიცეკვე, ჩემთვის ყველაფერი რთული იყო. ადვილად არაფერი გამომიდის, იქნება ეს კლასიკა თუ მოდერნი. ზოგჯერ გამიგია, ამბობენ: „აი, მოდერნი ადვილია“. არა, ყველაფერი რთულია. თუ გინდა რამე კარგად გააკეთო, ბევრი უნდა იმუშაო. ერთადერთი, ნამდვილად არაკომფორტულია სხეულისთვის, როცა კლასიკას და მოდერნს ერთ საღამოს ცეკვავ.

მაგალითად, წინა სეზონზე გვექონდა ეიფმანის სპექტაკლი „წითელი ჟიზელი“. მას პირველი აქტი მთლიანად გაკეთებული აქვს, როგორც კლასიკური „ჟიზელი“, მეორე აქტში კი – სულ მოდერნი, ეიფმანის სტილის რუსული მოდერნი. მერე ისევ კლასიკა. და ეს ძალიან რთულია, ეს გადართვა.



*ავსტრიაში ადამიანები ბავშვს ფიქრობენ. ამასი ცუდი არაფერია, მამრამ საბალეტო სკოლაში ბავშვები იზვიათად შაყავთ, მომავალზე ფიქრის გამო – ბალეტი ხომ რთული სფეროა. ვინა კი მაინც ოპერის დედაქალაქია. თუცა ქათის ქუჩაში ბავშვების კი ცნობენ და უნდათ, კრინცისა ბალერინასთან სურათი გადაიღონ.*

სცენაზე, მარტოები, ღამის 2 საათამდე ჩვენვე ვმღეროდით და ვიმეორებდით მოძრაობებს, იმიტომ რომ აღარც ორკესტრი იყო და არც პიანისტი. იმიტომ, რომ ყველაფერი უნდა ყოფილიყო იდეალური. ეს არანორმალურია, მაგრამ ეს სკოლა იმდენად გაძლიერებს, რომ აქ ყველაფერი ადვილი მგონია.

**როგორ მოხდა, რომ მარიას სათაყვანებელი თეატრიდან წამოხვედით?**

ჩემი ნატვრა ხომ იყო მარიას თეატრი. ზუსტად ორ წელიწადში ჩემი ნატვრა იყო, მარიას თეატრიდან გავქვედულიყავი. ჩემი იქ ყოფნა 5 წელს გაგრძელდა. ძალიან რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. მეგობრები, მთელი ჩემი ცხოვრება იქ იყო, მაგრამ ძირითადი სცენა რემონტის გამო იხურებოდა და იყო გაურკვეველი სიტუაცია. გადავწყვიტე, რომ ეს იყო ნიშანი და გავგზავნე ჩემი რეზიუმე სან-ფრანცისკოში, ვენაში, ბერლინში. არავინ იცოდა, არც დედამ. და პირველი, ვინც მიპასუხა, იყო ვენა. ამ დროს ოდიციები უკვე ჩატარებულია და უკვე ყველა თეატრმა იცის, ვისთან მუშაობს. ვენიდან მომწერეს: „კასტინგი უკვე დავასრულეთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მაინც მოხვიდეთ და სცადოთ“; და თარიღი, როდის იყო მათი ბოლო სამუშაო დღე. მაშინ ვაშინგტონში ვიყავით გასტროლებზე და როგორც კი ჩამოვფრინდით, ჩუმად ავიღე ბილეთი და ვენაში ჩამოვედი. გავიარე ოდიცია და მითხრეს: „იცით, ძალიან მოგვეწონეთ, უბრალოდ, დასი უკვე შევსებულია და თუ ვინმე წავიდა, აუცილებლად დაგირეკავთ“.

გამოვედი და მოხდა საოცრება: 2 საათში დამირეკეს და მთხოვეს, მივსულიყავი. როცა თეატრში მივედი, „შალბ სოლისტის“ კონტრაქტი უკვე გამზადებული დამხვდა. მაშინდელმა დირექტორმა მითხრა, რომ როგორც კი გავედი, ერთ-ერთმა გოგონამ დაწერა განცხადება წასვლის შესახებ და მე მის ადგილზე მიმიწვიეს. არც კი მჯეროდა, მერეც სულ ვეკითხებოდი დირექტორს, ეს როგორ მოხდა-მეთქი, მართლაც ასე დაემთხვა ყველაფერი. გადავწყვიტე, რომ ეს ბედი იყო და დავრჩი. მერე იმდენად კარგად აეწყო აქ ყველაფერი, რომ დავრჩი და დავრჩი (იგინის).

ახლა ძალიან ბევრს ვცეკვავ, ძალიან კარგი რეპერტუარი გვაქვს. გასტროლები ისე ხშირად არ არის, როგორც მარიას თეატრში, მაგრამ ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. მაშინ ვერც კი ვხვდებოდი, რომელ ქვეყანაში ვიძინებდი და რომელში ვიღვიძებდი. ამას მხოლოდ მაშინ შეგიძლია გაართვა თავი, როცა ძალიან ახალგაზრდა ხარ და ოჯახი არ გყავს. ვერ ვხვდები, გოგონები როგორ ტოვებდნენ ამდენი ხნით ბავშვებს. მე ჯერ შვილი არ მყავს. მგონია, რომ ამ პროფესიაში ბავშვი ან ძალიან ახალგაზრდამ, 18-19 წლის ასაკში უნდა გააჩინო, ან როცა კარიერას დაასრულებ.

**ბალერინას კარიერა ნამდვილად ძალიან მოკლეა, ამიტომ ალბათ სრულ თავდადებას მოითხოვს. რადგან ცხოვრების ეტაპებზე ვსაუბრობდით, იქნებ საეტაპო სპექტაკლებზე გველაპარაკა.**

ჩემთვის საეტაპო იყო ანა კარენინას პარტია. ოპერაცია გადავიტანე მენისკზე და როცა თეატრში დავბრუნდი, ვიგრძენი, რომ დირექტორი მზოგავდა, არ მტვირთავდა. ისეთ პარტიებს მაძლევდა, ფაქტობრივად, პენსიაზე რომ ცეკვავენ (იგინის). ალბათ უნდოდა, ფორმაში ნელ-ნელა შევსულიყავი და მე კი ეს ძალიან არ მომეწონა. ავირჩიე ყველაზე რთული სპექტაკლი და ვუთხარი, რომ მუხლი არ მტკივა და მინდა ამ პარტიაზე ვიმუშაო-მეთქი. მან ქორეოგრაფს დაურეკა – ბორის ეიფმანი იყო ქორეოგრაფი – და ბორია დათანხმდა. მუხლი სასტიკად მტკიოდა, სულ შეხვეული მქონდა, მაგრამ ექიმმა მითხრა, რომ ეს ტკივილი უნდა გადამელახა, ეს ერთადერთი გზა იყო. თუ არა და, ძალიან დიდი დრო დამჭირდებოდა რეაბილიტაციისთვის. თან ძალიან მომწონდა ეს სპექტაკლი. ბუნებრივია, წიგნიც წაკითხული მქონდა და ეს პერსონაჟი ძალიან მიყვარდა. ბავშვობიდან ვოცნებობდი და ვფიქრობდი, რომ ეს სახე ძალიან მომიხდებოდა. და მოხდა ისე, რომ ვიცეკვე... სწორედ ამის შემდეგ შემომთავაზეს სოლო კონტრაქტი. შემდეგ იყო ისევ ბორის ეიფმანის სპექტაკლი „წითელი ჟიბელი“, რის შემდეგაც პირველი სოლისტის კონტრაქტი გამიფორმეს. ასე რომ, ჩემთვის ეს ორი სპექტაკლი აღმოჩნდა ეტაპობრივი ამ დრომდე.

ქეთის უკვე რეპეტიციაზე ეჩქარება. ოპერისკენ მივსეირნობთ და ვსაუბრობთ.

ვენაში გატარებული 10 წლის შემდეგ სახელმწიფო საოპერო თეატრში ყველაზე მაღალ პოზიციას მიაღწია და ავსტრიაში უკვე ისე გრძნობს თავს, როგორც სახლში. საქართველო მაინც ენატრება, ენატრება სიტბო და სტუმრად დაუპატიჟებლად მისვლა. ალბათ ამიტომ, ვენაშიც არაფორმალურ ადგილებში ურჩევნია სიარული. ბარში „მედუზა“ ან ფრანგულ რესტორანში „ლა ბოლი“. ამბობს, რომ მისი მეგობარი ბიჭიც კი, რომელიც ნახევრად ავსტრიელია და ნახევრად ჩეხი, შეიცვალა საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, უფრო გახსნილი გახდა და თბილისის გულმხურვალე პროპაგანდას ეწევა.

ავსტრიაში ადამიანები ბევრს ფიქრობენ. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ საბალეტო სკოლებში ბავშვები იზვიათად შეყავთ, მომავალზე ფიქრის გამო – ბალეტი ხომ რთული სფეროა. ვენა კი მაინც ოპერის დედაქალაქია. თუმცა ქეთის ქუჩაში ბავშვებიც კი ცნობენ და უნდათ, პრინცესა ბალერინასთან სურათი გადაიღონ.

ირუი კილიანი, პატრიკ დე ბანა, ელენ პიკე, ვილდონი – ყველა ამ თანამედროვე ქორეოგრაფთან ქეთიმ უკვე იმუშავა.

იგი ოცნებობს, რომ ნოემიერიის „ქალი კამელიებით“ და მატს ეკის „კარმენი“ იცეკვოს და სპეციალურად მისთვის დაიდგას „მედეა“. ეს აუცილებლად მოხდება. მანამდე კი ზაფხულში დუნაიზე კატერით სეირნობს და მთებში ლაშქრობებს აწყობს. თხილამურებზე ჯერ არ დგება, ბალერინასთვის ეს მეტისმეტად სარისკო სპორტია. „აი, გავალ პენსიაზე და ვისწავლი“, – ლიმილით ამბობს. ტანსაცმლის დიზაინზეც ოცნებობს. მით უმეტეს, კარგად იცის, რა სჭირდება ბალეტის კოსტიუმს იმისთვის, რომ კომფორტული იყოს.


ტრადიციული საახალწლო კონცერტებისთვის, რომლებიც პირველ იანვარს ტელევიზიით 80 ქვეყანაში გადაიცემა, კოსტიუმებს საუკეთესო დიზაინერები ქმნიან. მაგრამ ვივინ ვესტუდის კორსეტებიდან რკინების ამოღება გახდა საჭირო, ვალენტინოს მიერ მოფიქრებული ქეთის ვარცხნილობა კი იმდენად მაღალი იყო, რომ პირუეტის შესრულება შეუძლებელი გახდა. დიზაინერი დანებდა და ჩანაფიქრი გაამარტივა. „ახლაც, როცა ქორეოგრაფი მუსიკას გვასმენინებს და ჩანაფიქრს გვიხსნის, მე უკვე ვხედავ კოსტიუმებს“, – ამბობს ქეთი. ასე რომ, ვინ იცის, რა მოხდება მომავალში?!

უახლოეს მომავალში კი ქეთი, ტრადიციულად, ოპერის მეგ-ლისზე იცეკვებს, თუმცა ალბათ სახლში მალე წავა. „პირველად, როცა „ოპერბალზე“ აღმოჩნდი, თავი კონკია მეგონა. საოცრებაა ეს გარდაქმნა და ამდენი სილამაზე“, – ამბობს იგი. წელსაც რამდენიმე მეჯლისზე მიიწვიეს. თან პარალელურად „ევგენი ონეგინი“ ტატიანას ცეკვავს.

„მოკლედ, იმედია გადავრჩები“, – ისევ ღიმილით ამბობს, ხელს მიქნევს და ოპერის სამსახურებრივ შესასვლელში უჩინარდება.

ხომ ვამბობდი: რაც უფრო დიდია სირთულე, მით უფრო მეტად ღიმილიანია ქეთის სახე.





ევგენია პრიმავესის პორტრეტი, 1913-14

# ოქროში მოქცეული ფარაბი

მარიკა ხალიკაშვილი

გუსტავ კლიმტი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დედაქალაქის აყვავებისა და ხელოვნების დეკადანსის ეპოქაში ცხოვრობდა. ვენის „არტ ნუვოს“, „მოდერნისა“ და „სეცესიონის“ მოძრაობათა წევრის შემოქმედება ჰაბსბურგების ეპოქას ემთხვევა. ყველა ადამიანის ცნობიერებაში არსებობს ასოციაციები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის გახსენებისას ამოტივტივდება – ავსტრიაზე საუბრისას შეუძლებელია, გვერდი აუარო სიმბოლისტს, რომელმაც ორი საუკუნის გასაყარზე მხატვრობაში გადატრიალება მოახდინა.

## გამოფენა – კლიმტის, შილეს და კოკოშკინს ქალაქი

მეოცე საუკუნის დასაწყისში მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა მრავალი სოციალური, ეკონომიკური და ფილოსოფიური ცვლილებით იყო პროვოცირებული. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მოძრაობა გენდერული თანასწორობისკენ, რაც ურთიერთსაპირისპირო აზრებს და მძაფრ დებატებს წარმოშობდა.

მეორე მხრივ, სექსუალური თავისუფლება შეიძლება განიხილოს, როგორც ქალისა და მამაკაცის საერთო მიზანი, რადგან ორივე სქესი ცდილობდა, თავი დაეღწია მე-19 საუკუნის შეზღუდული მორალური ტაბუსგან. გუსტავ კლიმტი, ეგონ შილე და ოსკარ კოკოშკა – ვენური მოდერნიზმის სამი ყველაზე გამორჩეული მხატვარი – თემას, რომელსაც ზოგადად უწოდებენ „ქალის საკითხს“, განსხვავებული პერსპექტივიდან მიუდგნენ. ვენაში, ბელვედერის სასახლეში მოწყობილი გამოფენა წარმოადგენს ამ განსხვავებებისა და მსგავსებების სიღრმისეულ კვლევას მხატვრობაში. ის მნახველს აჩვენებს მეოცე საუკუნის დასაწყისში ურთიერთობების მრავალფეროვნებას ქალსა და მამაკაცს შორის, სადაც ასევე გაშლილია თანამედროვე სექსუალური იდენტობის საწყისების თემა.



ივლითი, 1901



ბარონესა ელიზაბეთ ბახოფენ-ბეხტის პორტრეტი, 1889

პორტრეტი კლიმტის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, თუმცა ავტობორტრეტი არასოდეს შეუქმნია. მას შემდეგ, რაც ვენის უნივერსიტეტის მთავარი შენობის გასაფორმებლად მიღებული შეკვეთა – ტილოები: „ფილოსოფია“, „მედიცინა“ და „იურისპრუდენცია“ – პუბლიკამ პორნოგრაფიად აღიქვა, კლიმტს საზოგადოებრივი შეკვეთების შესრულებაზე აღარასდროს უთქვამს თანხმობა. მან სოციუმს პასუხი გასცა 1899 წელს, ნამუშევრით „შიშველი სიმართლე“ – შიშველი წითური ქალი, რომელსაც ხელში ჭეშმარიტების სარკე უჭირავს, საზოგადოებას შილერის სიტყვებით მიმართავს: „თუ შენი საქმით და ხელოვნებით არ ძალგის ყველას

მოეწონო, ჯობს, ცოტას მოსწონდე, რადგან მოსწონდე ბევრს – ეს ბოროტებაა“.

ვენაში ხშირად შენიშნავთ პოსტერებზე გამოსახულ კლიმტის ქალთა პორტრეტებს. ისინი დღესაც ავსტრიის განუყოფელი ნაწილია. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მხატვარმა 50-მდე პორტრეტი შექმნა, თუმცა კლიმტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში განსაკუთრებული როლი ორმა ქალმა ითამაშა: ემილია ფლოგემ – მისმა საყვარელმა ადამიანმა და ადელ ბლოხ-ბაუერმა – მისმა მუზამ.

ბოჭემიდან ჩამოსული ოქროზე მომუშავე გრავიორის ვაჟის, გუსტავ კლიმტის პირადი ცხოვრება ბურუსით მოცული რჩება, თუმცა გარდაცვალების შემდეგ კლიმტს 14 უკანონო შვილის მამობას აბრალებდნენ, რომლებიც ქვეყანას მენატრე ქალებთან ურთიერთობის შედეგად მოეკლნენ. გამოუსწორებელი მექალთანის იარაღის მიღმა არსებობდა პლატონური ძაფები, რომლებიც გუსტავ კლიმტს თავისი ძმის, ერნსტის ქვრივის დასთან, ემილია ფლოგესთან აკავშირებდა. ძმის გარდაცვალების შემდეგ გუსტავი ფლოგების ოჯახს ხშირად სტუმრობდა და ემილიას პორტრეტიც არაერთხელ დაუხატავს.

მხატვარზე 12 წლით უმცროსი მოდის დიზაინერი და ვენის ბოჭემური საზოგადოების აქტიური წევრი ემილია ფლოგე იქცა კლიმტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევრის („კონცა“) შთაგონების ობიექტად, თუმცა მათი კავშირის დასტურად შემორჩენილ არც ერთ წერილს არ აქვს ინტიმური ხასიათი. კლიმტი და ფლოგე ისეთ უწყინარ თემებზე საუბრობდნენ, როგორცაა, მაგალითად, მორიგ სპექტაკლზე დასწრება ან ფრანგულის გაკვეთილები.

პირველი პორტრეტი, რომელზეც კლიმტმა ფლოგე აღბეჭდა, 1902 წლით თარიღდება. ფლოგეებს ის არ მოეწონათ; მეტიც, მათი სახლის კედლებზე პორტრეტისთვის ადგილი ვერ მოიძებნა. დიდი სიყვარულის მიუხედავად ვერც კლიმტის ცხოვრებაში მოინახა ოფიციალური სტატუსი ემილია ფლოგესთვის. მხატვარს დაქორწინების სურვილი არასოდეს გამოუთქვამს, არც ემილია გათხოვილა. თავად გუსტავიც სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე ემილიას უხმობდა, რომელსაც თავისი ქონების ნახევარი უანდერძა.



წყლის გველი, 1907

უცნობია, იყო თუ არა მხატვრის სიყვარულის ობიექტი მეორე ქალი, რომელიც კლიმტის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს. გუსტავ კლიმტმა ფერდინანდ ბლოხისგან მიიღო შეკვეთა, შეესრულებინა ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი.

მეუღლეზე 18 წლით უფროსი გავლენიანი ებრაელი მეწარმე მზად იყო, 4000 კრონა გაემეტებინა მოდერნისტი მხატვრის ნამუშევარში. უკვე საკმაოდ აღიარებულმა მხატვარმა ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტებზე რამდენიმე წელი იმუშავა. ადელის პირველი პორტრეტი ამ ჟანრში კლიმტის მოღვაწეობის ერთგვარი კულმინაციაა.

ეს პორტრეტი ვენის გარეშე არ შექმნილა. ხელოვანმა შეძლო ლიტერატურით გატაცებული რომანტიკოსი ქალისა და, ამავე დროს, მდიდრული სალონის თავდაჯერებული მეპატრონის ტილოზე აღბეჭდვა.

ნამუშევრის შთაგონების წყარო რავენის სან ვიტალეს ტაძრის მეექვსე საუკუნის მოზაიკა გახდა, რომელზეც დედოფალი თეოდორაა გამოსახული. კლიმტმა მოახერხა, შეერწყა არტისტული ტრადიცია, ოქროში მოქცეული ფერები და აბსტრაქცია ისე, რომ ადელ ბლოხ-ბაუერის ექსპრესიული სახე თანამედროვე ვენელი ქალის ერთგვარ სიმბოლოდ ექცია. მან ადელ ბლოხ-ბაუერის ორი პორტრეტი შექმნა. თუმცა არსებობს კიდევ ერთი ნამუშევარი, სახელწოდებით „ივდითი – საბედისწერო ქალი“, რომლის დანახვისასაც შეუძლებელია იგივე პერსონაჟი არ ამოიცნო.

**„მათ, ვისაც სურთ, იცოდნენ რაიმე რა ხანაზე... დაკვირვებით უნდა შეხედონ რაღა ნახატებს, იქ ეძებონ და გაიგონ, ვინ ვარ და რა მინდა“**

კიდევ ერთი გატაცება, რომლის დასრულების შემდეგ ხელოვანმა გრაფიკული ნამუშევარი – „შიშველი ქალი“ დახატა, ცნობილი კომპოზიტორის, გუსტავ მალერის მომავალ მეუღლეს უკავშირდება. ალმა მარია შინდლერი, „ავსტრიის სეცესიონის“ ვიცე-პრეზიდენტის, კარლ მოლის გერი, მხატვარმა მათთან სტუმრობისას გაიცნო. კლიმტზე 17 წლით უმცროსი, მუსიკით გატაცებული ალმა შინდლერისთვის მხატვარი პირველი დიდი სიყვარული იყო. მათი ურთიერთობა და საიდუმლო შეხვედრები ხანმოკლე გამოდგა.

იტალიაში მოგზაურობისას კარლ მოლმა კლიმტი აიძულა, მათი სახლიდან წასულიყო და მომავალში ალმასგან თავი შორს დაეტოვებინა. ვენეციიდან ვენაში კლიმტი თავისი ცხოვრების მეგზურთან, ემილია ფლოგესთან დაბრუნდა. მათი ურთიერთობა მხატვრის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პროვოკაციული და ამოუცნობი ავსტრიელი მხატვარი წერდა: „მათ, ვისაც სურთ, იცოდნენ რაიმე შესახებ... დაკვირვებით უნდა შეხედონ ჩემს ნახატებს, იქ ეძებონ და გაიგონ, ვინ ვარ და რა მინდა“.




ემილია ფლოგეს პორტრეტი, 1902

# BERGGASSE 19

აკა მორჩილაძე



ვენა, საშუალო კლასის ჩვეულებრივი უბანი, ცრუ ბაროკოს თარგზე ნაგები სახლი, ბერგასე 19, მესამე სართული: ეს იყო მისამართი, რომელზეც აბოლებდნენ ექიმისა და მოაზროვნის მიმდევრები და რომელიც მთელი მსოფლიოს მეცნიერებმა, მეცნიერებით დაინტერესებულმა მილიონებმა, უბრალოდ, მაფიქრალმა ადამიანებმა და უამრავმა კიდევ სხვამ იცოდა.



ასე იყო ორმოცდაშვიდი წლის განმავლობაში, სანამ ამ სახლში მცხოვრებ კაცს შეზრდილი ადგილისა და ქუჩის დატოვება არ მოუხდა და დაღლილმა, მრავალი ავადმყოფობით ტანჯულმა და მოხუცებულმა, ლონდონში არ გაღია თავისი ცხოვრების ბოლო თვეები, რახან იმ ქალაქში, რომელთან ერთადაც მას ტყუპი ძმასავით მოიხსენიებდნენ ლამის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, აღარ დაედგომებოდა.

იმ მესამე სართულზე, ძველ კარზე დაფა მიეკრათ, პროფ. დოქტორი ზ. ფროიდი, მიღების საათები 3-იდან 4-მდე. ეს მიღების საათები საკმაოდ პირობითი რამ იყო, რადგან ექიმი, რომელიც ადამიანის ტვინზე ფიქრობდა, მის განკურნებას და გათავისუფლებას ცდილობდა, დღედაღამ მუშაობდა.

სიტყვით მკურნალი დოქტორი ფროიდი ქალაქ ვენიდან – ასეთი იყო სიტყვათა შეთანხმება, რომელიც იმ დროის მსოფლიოს ლამის ყველა კუთხე-კუნჭულში გაისმოდა. ფსიქონალიზმი, ფროიდის მასწავლებლის, ბრეიერის მოძღვრება, სწორედ ბერგასეზე მცხოვრებმა წვეროსანმა კაცმა აქცია მსოფლიოს წამლობის ხელობად. ეს კაცი, რომელიც თითქმის შეუსვენებლივ ეწეოდა სივარებს, თითები და წვერი ერთთავად თამბაქოთი ჰქონდა ჩაყვითლებული, ფიქრობდა ბევრს, სწავლობდა ბევრს, წამლობდა ბევრს, წერდა ბევრს და მიდიოდა სულ უფრო წინ და წინ თეორიაში, რომლის პირდაპირი მტკიცებულებები ეგებ არც გააჩნდა და გონებაჭვრეტითად უფრო გამოიყურებოდა, სამყაროს ახალი სულთამპყრობელი შეიქნა.

**ფროიდის დროება ისედაც იყო გამოგონებათა, წინსვლათა, ყოველდღიურ აღმოჩენათა ეპოქა. პეცნიარაბა გაზათაბის პირვანი გვარდების სტაპარი იყო. ღოქტორი ფროიდი ქალაქ ვენილან კი – აბ ეპოქის ნახვლირი გპირი, ანლა ეგავ ერთ-ერთი ათავარი რაქისორის კი: გაღაგტრიარაბანი, ღაგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი, გიგაოჭირაბანი.**



ამბები; მაგრამ რახან მაინც ვენაში ვართ და იქ ვხედავთ ამ კაცის სილუეტს, რომელიც მთლად ბავშვი აღმოჩნდა ამ ქალაქში, ფესვით კი მორავიელ ებრაელთა ოჯახიდან იყო. ალბათ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დოქტორი ფროიდი ვენას იმგვარად შეეზარდა, იმ გაქანებული ოქროსფერი იმპერიოზის უკანასკნელი ტკბილი ათწლეულების დროებაში ადამიანები ამ არშიებიანი ვენის, მისი ნამცხვრებისა და ნაყინების, მისი ჯადოსნური და უკიდველური მუსიკის გამო კი არ მიდიოდნენ ხოლმე ამ ქალაქში, არამედ ბევრად უბრალო და ქიმიური რამის გამო.

ერთადერთი, უბრალო და მოკლე წინადადება, რომელსაც ვენისკენ დაძრული იმ დროს ჯერ ტურისტებად არწოდებულნი ტურისტები წარმოთქვამდნენ, დაახლოებით ასე უღერდა: „წავიდეთ ვენაში, ვენაში დოქტორი ფროიდი“.

ნახავდნენ ამ ვარაყიან ქალაქში დოქტორ ფროიდს თუ ვერ ნახავდნენ, არანაირი მნიშვნელობა არ ეძლეოდა, ფროიდი მისგან არც თუ ხშირად ნაქები ვენის ერთგვარ ბრენდად ქვეულიყო და მის ერთ-ერთ, იმხანად კი წამყვან მაგიას წარმოადგენდა, განსაკუთრებით „სომერების ასნის“ გამოსვლის შემდეგ.

ფროიდი ცხოვრობდა თავისი მოუცლელი, ფიქრიანი, გვარიანად მღელვარე ცხოვრებით. მის თეორიათა და მკურნალობის მეთოდთა ერთგვარი სკანდალურობის, ინტიმურობის, იქამდე წარმოუდგენლობის მიუხედავად, იმის მიუხედავად, თუ რას წერდა ის ადამიანის შესახებ, ეს ლამის ყველაზე გავლენიანი კაცი, რომელიც ყოველთვის საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო, გახლდათ თავმდაბალი, იოლად დასაყაბულებელი, კეთილგანწყობილი, მეგობრული, სადად და გასაგებად მოლაპარაკე ხუთ ენაზე და ნამდვილი მეცნიერისა და ექიმის სამაგალითო ტიპს წარმოადგენდა.

თუმცა ამბობდნენ, რომ მას ჰქონდა ფობიები, მას ტანჯავდა აუხსნელი წარმოდგენები და სხვა უამრავი რამ, რასაც ღიად გამოთქვამდა. სამაგალითოდ საკუთარი ტელეფონის ნომრის შემზარავი შიშიც საკმარისია, რომლის ციფრული წყობის გამოც ექიმი ფიქრობდა, რომ სამოცდაერთი წლისა მოკვდებოდა. ამბობდნენ, ფროიდს არ უყვარდა თვალეზში ყურება და ამიტომაც მოიგონა ცნობილი ტახტი, რომელზეც პაციენტს აწვენდა, თვითონ კი მის უკან იჯდა ხოლმე.

ასე ამბობდნენ. უამრავ რამეს ამბობდნენ.

ის ერთგული ქმარი და კარგი მეოჯახე იყო, თუმცა კოკაინი, რომელსაც ოდესღაც სამკურნალო საშუალებად ცდიდა, საბოლოოდ არასდროს გასულა მისი ცხოვრებიდან. ფროიდს ეშინოდა იარაღის, მას არ უყვარდა გაშლილი სივრცე და, საერთოდ, მას უამრავი რამ არ უყვარდა.

**ის განიცდიდა, როცა აკურნალობდა ისეთი ეჭვიანური არ იყო, როგორიც, პისივა აზრით, უნდა ყოფილიყო. გავრს და ღილხანს განიცდიდა.**

ის კი მუშაობდა და მუშაობდა.

მოკლედ, ჩვენ ვიცით, ვინ იყო დოქტორი ფროიდი, რა იყო მისი ხელობა, რას თხოვდა ის ადამიანის და მისი გონების, ხასიათის თუ ტვინის, მისი მისწრაფებების, მათი მართვის თუ უმართავობის შესახებ. ისიც ვიცით, რამსიგრაძე და რა სიღრმითა და ძალით გადმოსწვდა მისი მეცნიერება მეოცე საუკუნეს, როგორ იმოქმედა კულტურაზე, მეცნიერებაზე, ეგებ საერთოდაც ყველაფერზე.

ვიცით, რომ მისი დროება ადამიანის ტვინზე, მის აზროვნებაზე მძაფრი დაკვირვების და გზების ძიების დროება იყო ამერიკისა და ევროპის დიდ სამეცნიერო ადგილებში; ვიცით, როგორ იმუშავა მან და, საერთოდ, უამრავი რამ ვიცით, თუ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს ფროიდის ცხოვრებისა და საქმიანობის

ფროიდმა ევროპის პოლიტიკური ისტორიის რამდენიმე ეპოქაში იცხოვრა. იმპერიები, რესპუბლიკები, ევოლუციები, არეულობა... საბოლოოდ კი, დაკარგული და გაუქმებული სამშობლო და ქალაქი, რომელიც ფაშისტებმა დაიკავეს, რაც მას, როგორც ებრაელს, მოსპობით ემუქრებოდა. ფროიდი ვენიდან არ გაქცეულა. გარშემო ასეთი ამბავი იყო, ის კი, ოთხმოცს გადაცილებული და ავადმყოფი, მაინც იჯდა ბერგასეს 19 ნომერში, იმ მესამე სართულზე.


მანამდე იჯდა, სანამ ერთ დღეს ეს-ეს-ის რაბში არ მოვიდა. ჰოლში შემოხორიალებულ რაბს დოქტორის ცოლმა მართამ თავისი ჰამბურგული სიმშვიდით მოსთხოვა იარაღის საკიდთან დატოვება. ოფიცერმა ფროიდი ბატონ პროფესორად მოიხსენია და ჩხერკის აუცილებლობა დაასაბუთა.

საბოლოოდ სპერანაზა სახლიდან იქ ნაპოვნი მთელი ფული წაიღო. ეს ალბათ ბევრი არაფერი იყო, მაგრამ ოჯახს კი სჭირდებოდა. „რა უცნაურია, – თქვა დოქტორმა ფროიდმა ქალაქ ვენიდან, – ერთ ვიზიტზე ამდენი ფული არასოდეს ამიღია, ამათ კი აიღეს“.

ფროიდი ვენას არასდროს ადიდებდა, მეტიც, ძვირიც უთქვამს, მაგრამ ქალაქიდან წასვლას არ აპირებდა, ეს ჩემი საგუშავაა და აქ უნდა ვიყო. საბოლოოდ, როგორც იქნა, დაარწმუნეს. საბერძნეთის უფლისწულ გეორგიოს ცოლმა მარი ბონაპარტემ პარიზისკენ დაძრა ექიმის ოჯახი, ამერიკის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა კი ფაშისტურ ბერლინში „ჩააწყო“ „ყველაზე დიდი ცოცხალი კაცის“ ლონდონში გაშვება. იმის შერე, აბა, რამდენმა წყალმა ჩაიარა.

ჩვენ მოვხვდებით ვენაში, გავივლით იქ, გამოვივლით. ისევე, როგორც სხვა ათას რამეზე, ვიფიქრებთ ამ ქალაქზე, მის წარსულ სიდიადესა და ათასგვარ წვრილმანზე, რომლებიც გულს გვწყვეტს დღევანდელი სამყაროს ოდინდელ საოცარ ქალაქებში. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ამ მისამართზე მისვლა ალბათ აუცილებელია.

**ეს ხოა ია კაცის სახლია, როგორც ახლან ხანს იყო აბ ქალაქის სიბოლო. აბი ხოა ერთად პოიხსანიავლან ია უახავარ წინადადაბანი: ღოქტორი ფროიდი ქალაქ ვენილან.**



მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ფსიქიატრის, ავსტრიელი ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939) თეორია არაცნობიერ სექსუალურ მისწრაფებებსა და ადამიანის მიერ გათავისებულ სოციალურ ნორმებს შორის დაპირისპირებაზეა აგებული. მის ნაშრომებში ყველაზე მეტად სექსუალობის თეორია იქცევს საზოგადოების ყურადღებას. მართალია, ფროიდი ფსიქოანალიზის პირველადი მომხიენი არ არის (იდეა მან თავისი მასწავლებლის, იოზეფ ბრეიერისაგან ისესხა), მაინც ფსიქოანალიტიკოსთა მსოფლიო მოძრაობის ფუძემდებლად მიიჩნევა.

ცივილიზებული ადამიანი ლიბიდოს ჩახშობის შედეგად მიღებული პროდუქტია. ფროიდს მიაჩნდა, რომ არაცნობიერსა და რაციონალურ ცნობიერებას შორის კონფლიქტმა შესაძლებელია პათოლოგია (ნევროზი) გამოიწვიოს. ტანჯვა, რომელსაც ეს კონფლიქტი აყენებს ადამიანს, კაცობრიობის ელიტარულ ნაწილში შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას განაპირობებს. მხოლოდ ცივილიზებული ადამიანი ახერხებს სუბლიმაციას ანუ სექსუალური იმპულსების შემოქმედებით ენერჯიად გარდაქმნას.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამომხმარებლო საზოგადოების საფუძველში ფროიდიზმიც დევს. თუ სურვილების დათრგუნვას ნევროზამდე მივყავართ, მაშინ მოთხოვნილებათა ნაწილი აუცილებლად უნდა დაკვიპყოფილოთ, რათა თვითშეზღუდვით გამოწვეული გვერდითი მოვლენები ავიცილოთ. სწორედ ამან დაამყარებული თანამედროვე რეკლამის მთავარი გზავნილები.

ფსიქოანალიზიც თავიდანვე პოპულარობით სარგებლობდა, რადგან ადამიანებს სთავაზობდა სექსუალურ თავისუფლებას, როგორც ახალ სამომხმარებლო ტრენდს. თუმცა თავად ფროიდი, ვიქტორიანული მორალისტი, მთელი ცხოვრება მეუღლის ერთგული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მათი ურთიერთობა სულაც არ ყოფილა მგზნებარე და ვნებიანი.

ფროიდს სურდა, კაცობრიობისთვის ირაციონალური ინსტინქტების გონების ძალით მართვა ესწავლებინა, არადა, მისი თეორია სექსუალური რევოლუციისა და სამომხმარებლო საზოგადოების განვითარების საძირკვლის მთავარ ქვაკუთხედად იქცა. სამყაროს მოწესრიგების მცდელობისას მეცნიერები ზოგჯერ მწარე შედეგებს იღებენ, ხანდახან – სარკასტულსაც.



## გამომგონებლის დღე კინოვარსკვლავის პატივსაცემად

XX საუკუნის 40-იან წლებში „მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალის“ ტიტულის მფლობელმა ავსტრიელმა ქალბატონმა, ჰოლივუდის კინოეკრანებს კლარკ გიბლსა და სპენსერ ტრეისისთან ერთად რომ ამშვენებდა, გამოიგონა ტექნოლოგია, რომელიც WI-FI-ს, BLOOTOTH-სა და საზღვაო ტორპედოს მართვას დაედო საფუძვლად.

ჰედვიგ ევა მარია კისლერი (1914-2000) ვენაში, ებრაულ ოჯახში დაიბადა. 1933 წელს ფილმმა „ექსტაზი“ გოგონას მსოფლიო აღიარება და პრონაცისტი იარაღის მწარმოებელი მილიონერი ქმარი „აჩუქა“. 1937 წელს კინოვარსკვლავი ქმარს ამერიკაში გაექცა.



1977 წელს  
კინოვარსკვლავი  
კრამით –  
გამომგონებელი  
„ოსკარით“  
დააჯილდოეს.


2014 წელს იგი  
„დიდების დარბაზში“  
შეიყვანეს.

გერმანულენოვან  
ქვეყნებში ჰადი ლამარის  
დაბადების დღე –  
9 ნოემბერი გამომგონებელთა  
დღედ გამოაცხადეს.

მას თავბრუდამხვევი კარიერა ელოდა. კისლერმა ფსევდონიმად ჰედი ლამარი აირჩია... II მსოფლიო ომის საშინელებებმა და იმ გემის ჩაძირვამ, რომელზეც 77 ბავშვი იმყოფებოდა, ჰედი ლამარს გადააწყვეტინა, საკუთარი წვლილი შეეტანა ფაშიზმის დამარცხებაში. კინოვარსკვლავს მშვენიერ თავში ბრწყინვალე იდეა დაებადა, რომელიც მეგობარს, კომპოზიტორ-ავანგარდისტს ჯორჯ ანტიელს გაანდო: ტორპედოების რადიომართვის ისეთი მეთოდის შემუშავება, რომლის ჩახშობა-დაჭერაც შეუძლებელი იქნებოდა. სიხშირეების მრავალჯერადი ცვლისას გადამცემისა და მიმღების კავშირის სინქრონიზება ამგვარ ეფექტს იძლეოდა. 1942 წელს მეგობრებმა გამოგონება („კავშირის საიდუმლო სისტემა“) დააპატენტეს. სქემა იმდენად რთული იყო, რომ მისი დანერგვა ამერიკის ფლოტში მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შეძლეს.

გამოგონებამ უნიკალური მნიშვნელობა შეიძინა ინტერნეტის ეპოქაში. რადიოკავშირი მობილურ გაყვებისა და კომპიუტერებს შორის WI-FI-ს და BLOOTOTH-ის მეშვეობით იმ ტექნოლოგიით ხორციელდება, რომლის საფუძვლესაც ლამარის გამოგონება წარმოადგენს.

## არასრულობის ლოგიკა



კურტ ჰედელი (1906-1978), დიდი ავსტრიელი მათემატიკოსი და ლოგიკოსი, ერთდერთხელ დაემორჩილა დედის რჩევას და დიდსულოვან, მოსიყვარულე, ჯკვიან ქალზე დაქორწინდა: ადელი ლამაზი და დიდგვაროვანი არ იყო, მოცეკვავის საეჭვო წარსულიც ჰქონდა, მაგრამ გენიოს ქმარს სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობისა არაფერი გაეგებოდა. ინტუიციამ, რომელიც ჰედელს მათემატიკური აბსტრაქციების ამოხსნის საშუალებად მიაჩნდა, მეცნიერი არ დააღალატა...

კურტ ჰედელს პარანორმული ეჭვები ტანჯავდა, რომ მისი მოწამვლა სურდათ, ამიტომ ჭამაზე უარს ამბობდა. ადელი მას კოვზით კვებავდა, გენიოსის სიმშვიდეს იცავდა და ბედნიერი იყო... ერთხელ, როცა 30-იან წლებში გერმანული წარმოშობის, მაგრამ ებრაული გარეგნობის მქონე ჰედელს ნაცისტები ხულიგნები აუხირდნენ, ადელმა ისინი ქოლგით მოიგერია.

მათემატიკასა და ლოგიკაში ჰედელის წვლილი შეუფასებელია. მან დაამტკიცა, რომ პირველი რიგის ნებისმიერი ლოგიკური სისტემა ან არასრული უნდა იყოს, ან წინააღმდეგობრივი. აინშტაინის ფარდობითობის თეორიისათვის ჰედელმა მათემატიკური მოდელი ააგო, რომლის მიხედვითაც დრო წრეზე მიედინება, რაც დროში მოგზაურობის შესაძლებლობას იძლევა. ჰედელმა ეს მათემატიკურად დაამტკიცა; ფიზიკოსები მიიჩნევენ, რომ რეალურ სამყაროში ამის განხორციელება შეუძლებელია.

კურტ ჰედელმა გამოიტანა ონტოლოგიური დასკვნა ღმერთის არსებობის შესახებ: თუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სრულქმნილი არსება, რომლის მყოფობაც სრულყოფილების ერთ-ერთი გამოვლინებაა, იგი აუცილებლად უნდა არსებობდეს. მან ლოგიკურად დაამტკიცა, რომ თუკი არსებობს ასეთი ინდივიდი, მხოლოდ მაშინ არსებობს ყველაფერი სხვა.

„აბსტრაქტული სამყაროს მცველი“ ადელი 1977 წელს გარდაიცვალა. მალე კურტ ჰედელმა, ფაქტობრივად, შიმშილისგან დაღია სული – ძლიერი გონების ადამიანების ვერ ცოცხლობენ მოსიყვარულე მფარველის გარეშე.

## „სულელთა ხალისუფლავა სულელთა სასარგებლოდ“

ასე დაახასიათა დემოკრატია ავსტრიელმა მეცნიერ-ეკონომისტმა იოზეფ შუმპეტერმა. იგი თავის ეკონომიკურ თეორიაში მოგებას განიხილავდა, როგორც მეწარმეთა ჯილდოს ახალი საქონლის, ბაზრებისა თუ შრომის მეთოდების შექმნისათვის: ახალი საქონელი უფრო ძვირადღირებულია, ის წარმოებას უფრო იაფი უჯდება; ახალი ბაზრები საშუალებას აძლევენ მათ აღმოჩინებას, მაღალი ფასები დააწესონ; ამდენად, მეწარმე მოგებას იღებს ინოვაციებისაგან. მათ პრაქტიკაში დანერგვას კი დემოკრატიული საზოგადოება უზრუნველყოფს, რომელიც თავის წევრებს კანონიერი ექსპერიმენტების განხორციელების საშუალებას აძლევს.



რატომ მოიხსენია მეცნიერმა ასე ავადებულად დემოკრატიული საზოგადოება? არისტოკრატი შუმპეტერი ელიტარული აღზრდის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული იყო. ინოვატორ კაპიტალისტებს იგი მეწარმეთა ელიტას უწოდებდა, თუმცა მიიჩნევდა, რომ საზოგადოება იმ ელიტარულმა ჯგუფებმა უნდა მართონ, რომელთაც აქვთ მზაობა და საკუთარი მისიის შეგნება. „ბირჟა წმინდა გრაალის შემცველად ვერ გამოდგება“, – შუმპეტერს სწამდა, რომ ღვთივმონიჭებული ძალაუფლება უფრო მაღალი კატეგორიაა, ვიდრე კაპიტალის დაგროვებით შექმნილი, მორალურად მოწყვლადი მდგომარეობა. დემოკრატია მან ვაჭრობას შეადარა, რომლის დროსაც პოლიტიკოსები ამომრჩეველს საკუთარ საქონელს სთავაზობენ, ყველაზე კადნიერი და მჭევრმეტყველი კი იმარჯვებს.

ამდენად, დემოკრატიულ საზოგადოებას ლაქლაქა სულელები მართავენ, განურჩეველი სულელების საამებლად, რომელთაც უშუალოდ არ შეუძლიათ სულელთა მართვა. რადგან არ არსებობენ ძალები, რომელთაც კლასების მართვა ხელეწიფებათ (არისტოკრატია პროცესისგან ჩამოშორებულია), შუმპეტერი კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობას ვერ ხედავდა, თუმცა სტალინური სოციალიზმისაც არ სჯეროდა. გენიალური შუმპეტერის წინასწარმეტყველების მიუხედავად დემოკრატია და კაპიტალიზმიც გადარჩა. ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით მათ ბუნებაშია ძველი მეთოდების ნგრევა-ჩანაცვლება, დემოკრატიის ერთიანი ცნობიერებიდან გამოცდილებათა ამოქანავა და მუდმივი ინოვაციებისკენ სწრაფვა.

## ბუხრის საჩხრეკი მაცნიაში არგუმენტი


როგორ გავარჩიოთ მეცნიერული ცოდნა არამეცნიერულისაგან? ამ თითქოსდა მარტივ კითხვაზე ფილოსოფიას ზუსტი პასუხი დღემდე არ გააჩნია.

XX საუკუნის დასაწყისში ვენა ამ პრობლემის კვლევის ცენტრად იქცა. ფილოსოფოს მორის შლიკის (1882-1936) ხელმძღვანელობით, ე. წ. „ვენის წრე“ ამუშავებდა ლოგიკური პოზიტივიზმის თეორიას, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული ნებისმიერი გამონათქვამი ექვემდებარება ლოგიკურ (მათემატიკა) ან ექსპერიმენტულ (ფიზიკა) შემოწმებას (ვერიფიცირებას); ამასთან, გამოხატვის ენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ცოდნის გადმოცემის ინსტრუმენტს. კონცეფციას საფუძვლად დაედო ავსტრიელი ფილოსოფოსის, ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“, რომელშიც განხილულია ლინგვისტიკის, როგორც სამყაროს შეცნობის ინსტრუმენტის მნიშვნელობა.

დიდი ავსტრიელი ფილოსოფოსი კარლ პოპერი (1901-1994) საპირისპირო თეორიას ამუშავებდა. იგი მიიჩნევდა, რომ ცოდნა მეცნიერულია, თუ ის თავად შეიცავს მისივე უარყოფის შესაძლებლობას. ე. ი. მეცნიერებამ უნდა აღწეროს პირობები, რომლებშიც ჰიპოთეზა შეიძლება უარყოფილ იქნას. მაგ., აინშტაინის „ფარდობითობის თეორია“ უარყოფის რამდენიმე შესაძლებლობას შეიცავდა. პოპერის აზრით, ნებისმიერი მეცნიერული ცოდნა არასრულყოფილია, სწორედ ეს იძლევა მისი შევსება-განვითარების შესაძლებლობას.

1946 წელს ვიტგენშტაინი და პოპერი სადისკუსიოდ კემბრიჯში შეხვდნენ ერთმანეთს. კამათი 10 წუთს გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ვიტგენშტაინი ხელში ნერვულად ათამამებდა გახურებულ ბუხრის საჩხრეკს. დისკუსიის დასასრულს ვიტგენშტაინმა პოპერს სთხოვა, რომელიმე მორალური გამონათქვამი მოეყვანა მაგალითად. პოპერმა უპასუხა: „ნუ შევაშინებთ გარშემომყოფებს ბუხრის საჩხრეკით“. ვიტგენშტაინმა საჩხრეკი მოისროლა და...

კარი გაიჭახუნა. ეს იყო ლოგიკური პოზიტივიზმის, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობის, დასასრულის დასაწყისი. საზღვარი მეცნიერულსა და არამეცნიერულს შორის, ფილოსოფიური თვალსაზრისით, კვლავაც დაუდგენელია.



რუბრიკის ავტორი:  
ალექსანდრე ბახუტაშვილი

ბიძინა ბარათაშვილი

2015 წლის ნოემბერში კინოეკრანებზე „ბონდიანას“ 24-ე ფილმი – „Spectre“-ი გამოვიდა, რომელშიც ჯეიმს ბონდის მორიგი თავგადასავლის დიდი ნაწილი ავსტრიაში ვითარდება. დენიელ კრეიგის ბონდი ადრეც ყოფილა ამ ქვეყანაში: 2008 წელს მან ბრეგენცის მუსიკალურ ფესტივალზე ატეხილი სროლით „ტოსკას“ პრემიერა ჩაშალა („Quantum of Solace“). იან ფლემინგის გმირისთვის ეს ავსტრიაში მეოთხე ვიზიტი იყო.

პირველად ბონდი ავსტრიაში 1977 წელს ჩავიდა – მაშინ აგენტ 007-ს როჯერ მური თამაშობდა. ფილმში „The Spy Who Loved Me“ თხილამურებზე შემდგარი ბონდი ალპებში უმოწყალოდ გაუსწორდა რუს „კოლეგას“, მოგვიანებით კი მისი ჭირისუფალი ანა აღმამოვაც (მსახიობი – რინგო სტარის მეუღლე ბარბარა ბახი) მოაჯადოვა...

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ალბათ 1987 წელს გამოსული სურათი „The Living Daylights“ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ამ ფილმის დიდი ნაწილი ვენაშია (პრატერის პარკი, შონბრუნის სასახლე) გადაღებული; მეორე ის, რომ ტიმოტი დალტონის პარტნიორად აქ 1918-21 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალი გიორგი კვინიკაძის შვილიშვილი, ფრანგი მსახიობი მარიამ დ'აბო გვევლინება.

რატომ იზიდავს ასე ძლიერ ინგლისელ ჯაშუშს ავსტრია?

იმიტომ, რომ ეს ქვეყანა, კერძოდ კი, ვენა ოდითგანვე ითვლება ჯაშუშური საქმიანობის ერთგვარ „ცენტრად“ მსოფლიოში. როგორც ამბობენ, ამჟამად ვენაში დაახლოებით 2-3 ათასი აგენტი და ინფორმატორი საქმიანობს. მათი უმეტესობა ეკონომიკური და ტექნოლოგიური ჯაშუშობითაა დაკავებული, რადგან პოლიტიკურმა გარკვეულწილად აქტუალობა დაკარგა.

საერთაშორისო ჯაშუშობის ცენტრად ვენა XIX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა. მაშინ აქ თავს იყრიდა ათასი ჯურის ავანტიურისტი უზარმაზარი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ყველა კუთხიდან. იმპერიის დაშლამ და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ცენტრალურ ევროპაში შექმნილმა ქაოტურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა ის, რომ თითქმის ყველა მოწინავე სადაზვერვო სამსახურმა შტაბ-ბინა ავსტრიის დედაქალაქში გადაიტანა.


ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ვენა საბოლოოდ ჩამოყალიბდა ევროპაში აგენტურული საქმიანობის ცენტრად. მესამე რაიხის დროს გერმანელებმაც ჯეროვნად შეაფასეს მისი შესაძლებლობები ამ კუთხით.

ფაშისტების დამარცხების შემდეგ ვენა დაიყო ოთხ ზონად, სადაც მოკავშირე ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები ერთმანეთის შიშით ჩაებნენ საინფორმაციო ომში, ქალაქი კი ისევ ორმაგი აგენტებისა და ინფორმატორების ცენტრად გადაიქცა.



ამას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ იმხანად ვენა გაიქცა ლტოლვილებით, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად ნებისმიერ ავანტიურას თანხმდებოდნენ. ამ მრავალენოვან კონგლომერატში ადვილად იძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ძვირფას ინფორმაციას ჩალის ფასად ყიდდნენ. იმ პერიოდის ავსტრიული რეალობა შესანიშნავადაა აღწერილი გრემ გრინის რომანის მიხედვით გადაღებულ თრილერში „The Third Man“ (1949).

კანის ფესტივალის გრან პრის მფლობელი ფილმი ბრიტანელებმა თავიანთ კინოსტორიაში საუკეთესოდ დაასახელეს, ოპერატორის ოსტატობა კი „ოსკარით“ შეფასდა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ორსონ უელსს, რომლის პერსონაჟიც დღემდე შედის „კინემატოგრაფის 100 ბოროტმოქმედის“ სიაში...



რა გასაკვირია, რომ CIA-სა და KfB-ს აგენტებმა ამგვარ ფონზე ვენაში თავიანთ „ელდორადოს“ მიაგნეს! 40-იანი წლების ბოლოდან „ცივი ომის“ დასასრულამდე, პრაქტიკულად, ყველა დიდი ოპერაცია თუ პოლიტიკური მკვლელობა ავსტრიაში დაიგეგმა. აქვე ხდებოდა „ჩავარდნილი“ აგენტების გაცვლის პროცედურაც.

ყველაზე ცნობილი ჯაშუშური დეტექტივების სერიის (S.A.S. 1965-2013; საერთო ტირაჟი – 150 მილიონი ეგზემპლარი) შემქმნელის, ფრანგი ჟერარ დე ვილიეს მიერ გამოგონილი პერსონაჟი, თავადი მალკო ლინგე თვითონ არის ავსტრიელი, ვენიდან 200 კმ-ში, ლიცენში მდებარე საგვარეულო სასახლეში ცხოვრობს და SIA-ს დავალებების შესრულებიდან მიღებულ ჰონორარებს სწორედ ამ შატოს სარემონტო სამუშაოებს ახმარს.

მალკოს თავგადასავლებზე 200 რომანი დაიწერა, დავალებებს ის ვენის კოფი ჰაუზებში ლებულობს, იქიდან Austrian Airlines-ის რეისებით მიემგზავრება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ნებისმიერ მტერს ამარცხებს და გზად ყველა ეროვნებისა და ჯურის ქალბატონების გულებს იპყრობს. სხვათა შორის, თბილისშიცაა „ნამოფი“ (N176. Le Printemps de Tbilissi, 2009)... კოფი ჰაუზი შემთხვევით არ გვიხსენებია: ერთ-ერთი ვერსიით, ვენელთა ეს სიამაყე ჯაშუშურ ელფერს ატარებს – პირველი კოფი ჰაუზი თურმე ავსტრიელ ჯაშუშს დაუარსებია.

1683 წელს, თურქული ექსპანსიისგან გათავისუფლებაში შეტანილი წვლილისთვის, ვინმე იური ფრანც კულჩიციკის ჯილდოდ ყარა-მუსტაფას არმიის მიერ ქალაქის საბჭოსთვის დატოვებული 300 ტომარა ყავა მოუთხოვია, 3 წლის შემდეგ პირველი კოფი ჰაუზიც (Hof zur Blauen Flasche) გაუხსნია, მოგვიანებით კი მწარე სასმელისთვის რძე და შაქარი დაუმატებია და სახელგანთქმული „ვენური ყავის“ ავტორიც გამხდარა. ზოგიერთი მკვლევარი მასვე მიაწერს კრუასანის გამოგონებას!

როდესაც 1955 წელს ავსტრიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მოკავშირეებმა ძირითადი კონტინგენტი ოფიციალურად კი გაიწვიეს, მაგრამ რეალურად მაინც დატოვეს ვენაში გარკვეული რაოდენობის აგენტურა.

### ქვეყნის ნაიტრალური სტატუსის გაყარება ავტომატურად გამოიწვია ვენის, როგორც ევროპის ჯაშუშური დელაქანაჟის, სტატუსის განმტკიცება. ახანტავი აზრადღვანე ნფორმაციისა და თანხების გაცვანს, საიღაპრო ოპერაციებისა და ავტორიტეტის დაგეგმვას.

წიგნში „ჩრდილების ქალაქი“ („Die Schattenstadt“) ჟურნალისტი ემილ ბობი ამტკიცებს, რომ უცხოეთის ყველა საელჩოში საერთაშორისო ორგანიზაციების და კორპორაციების საკვანძო პოზიციები ჯაშუშებს უკავიათ. მისი თქმით, სპეცსამსახურები განსაკუთრებული ყურადღებით „მუშაობენ“ პოლიტიკოსების, პოლიციელების, კაბარეს მსახიობებისა და



### „მასაზე კაცი“ და ვენა

კლასიკად ქცეული ფილმი სწორედ ავსტრიის დედაქალაქში გადაიღეს 1948 წელს. ვენის სტუმრებს დღეს შეუძლიათ ჰარი ლამის ნაკვალევს გაჰყვნენ და ფილმში ასახული არაერთი ადგილი მოინახულონ. საგანგებო ტური ქალაქის ძველი უბნების დათვალიერებას გულისხმობს – იქნება ეს ჯერ კიდევ 1830 წელს, ქოლერის ეპიდემიის დროს მოწყობილი საკანალიზაციო არხების დღემდე ხელუხლებლად დატოვებული სისტემა, თუ ის ქუჩაბანდები, თავის დროზე მაწანწალების, ათასი ჯურის თაღლითებისა და ჯაშუშების სათარეშოდ რომ იყო ქცეული.

ფილმის თემაზე მოწყობილ მუზეუმში კი არამარტო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანის უამრავ ფოტოს, ნივთსა თუ საგანს დაათვალიერებთ, არამედ ფილმისთვის ანტონ კარასის მიერ დაწერილ მუსიკასაც შეგიძლიათ მოუსმინოთ.

ბილეთის ფასი: 8,50 ევრო

Third Man Museum  
Pressgasse 25

ფსიქოანალიტიკოსების გადაბირებაზე. „დაზვერვა ვენაში კერძო სექტორის დონეზე ფუნქციონირებს, – წერს ბობი. – აგენტებს უყვართ სამუშაოდ ავსტრიაში ჩამოსვლა. მათ ცხოვრების მაღალი დონე და ჩინებული გეოგრაფიული მდებარეობა ხიბლავთ. ზოგიერთები კი პენსიაზე გასვლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას აქ დასახლებას ამჯობინებენ!“

დღეს ვენა ევროპის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო ცენტრია, სადაც სტუმართმოყვარე და გულგრილი ხალხი ცხოვრობს, ამდენად, თუ სპეცაგენტები ავსტრიის წინააღმდეგ არ მუშაობენ, მათი აქტივობა აქ დიდად არავის ანაღვლებს.

# ავსტრიული უცნაურობები

ავსტრიელებზე უამრავი კლიშე არსებობს და, მათ შორის, ურთიერთგამომრიცხავიც: ამბობენ, **ზედმეტად თავშეკავებული ხალხია**, მაგრამ შენიშვნის მოცემას არასოდეს დაგამადლიან და წითელზე თუ გადაკვეთე ქუჩა, პირდაპირ მოგახლიან, რასაც თქვენზე ფიქრობენ. ავსტრიელები უაღრესად უშუალოები და გულისხმიერები არიან და გაჭირვებაში ხელსაც უყოყმანოდ გამოგიწვდიან.

● ხელის ჩამორთმევა აქაც მისაღმების ჩვეული ფორმაა, თუმცა სიტყვიერად სხვა გავრცელებულ მისაღმებებთან ერთად (Hello, Guten Tag) პირწმინდად ავსტრიულად ითვლება Grüss Gott.

● თუკი ვახშამზე შინ დაგაპატიჟეს, ცხადია, დროზე მისვლა არ გაწყენთ და თან აჯობებს, ხელცარიელიც არ მიხვიდეთ: პატარა თაიჯული ან ბოთლი ღვინო ამ შემთხვევაში ზედგამოჭრილი იქნება.


● ვიდრე სუფრასთან ჭამას შეუდგებოდეთ, კარგი იქნება, თუ იტყვიოთ: Mahlzeit ან Guten Appetit.

თუ რამე შეგეშალათ, ნუ იღელვებთ – გაგებით მოეკიდებიან, რადგან საზღვარგარეთ ავსტრიელებიც მოგზაურობენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, რაღაც-რაღაცები მაინც წინასწარ უნდა გაითვალისწინოთ:

როცა კაფეში ყავის დასალევად შეხვალთ, მუსტად მიუთითეთ, რომელ ყავას ისურვებდით. ვენაში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ყავის შემდეგი სახეობები: Melange – ყავა ქაფიანი რძით, Kleiner/grosser Brauner – მეტ-ნაკლებად ნაღებიანი და Einspänner – ათქვეფილი ნაღებითა და შაქარყინულით, რომელსაც ცალკე ტიქით მოგართმევენ.

ჩვეულებრივ, კაფე-რესტორნებში ანგარიშს ყველა ცალ-ცალკე ასწორებს და მომტანიც გეკითხებათ: Zusammen (გამოითქმის ცუზამენ) ანუ ერთად? თუ Getrennt (გამოითქმის გეთრენტ) ანუ ცალ-ცალკე? თუკი პასუხობთ: Zusammen, – ეს ნიშნავს, რომ დანარჩენებსაც თქვენ პატივით და მათ დანახარჯს თქვენ იხდით.





# Sisi

## კახკახა და დროჟანი ტრეპიკური შტრიხებით

მარია შალიკაშვილი

**„რა დაგაზია!“ – ეტიკატი დივიფიყა და ხანააღა ნაპოიქანა ირანის შაჰა, როდესაც დედოფანი ელიზაბეთი ვირვინად ნახა. მისი თვანისპოგჩადი აგვანიერაგის, ქარიზაატული გუნეგისა და იღუბანღის შესახებ იმ დროს პთადი ევროპა საუბროგდა.**

1.72 მ სიმაღლის ქალი მხოლოდ 50 კილოგრამს იწონდა. თავის მთავარ სიამაყედ კოჭე-ბამდე თმა მიაჩნდა, რომლის მოვლასაც ყოველდღიურად ორ საათს უთმობდა (ამ დროს თან ენების შესწავლით იყო დაკავებული). „საკუთარი ვარცხნილობის მონა ვარ“, – ხუმრობდა დედოფალი. სადა მაკიაჟი და ბუნებრივობა სისის სავიზიტო ბარათი იყო, თუმცა სახის ნატურალური საცხები, ლოსიონები, ეთერზეთები ჰაბსბურგების სასახლეში ყოველდღიურად მიჰქონდათ. იგი პარფუმერიას მხოლოდ თმაზე იპყრებდა. ფიგურის შესანარჩუნებლად ძმრის საფენებში შეფუთულს ეძინა, იცავდა დიეტას და ცხენით ჯირითობდა, ტანვარჯიში და ფეხით სიარული მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და თავდაცვის საშუალება იყო.

სალამოს თეთრ კაბაში გამოწყობილი ულამაზესი ქალი გრძელი ხავერდოვანი თმით, რომელშიც ბრილიანტის ვარსკვლავებია ჩამაგრებული – ეს პორტრეტი ორი საუკუნის შემდეგაც ისეთივე აქტუალურია, როგორც მაშინ, როდესაც ცნობილი მხატვრის, ფრანც ქსავერ ვინტერჰალტერის წინ ავსტრია-უნგრეთის დედოფალი ელიზაბეთი პოზირებდა. ამ მხატვრის მიერ შექმნილი ტილოების წყალობით, მომხიბვლელი დედოფლის სახე დღესაც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ეს პორტრეტები მისი მეუღლის, მეფე ფრანც იოზეფის ახირება იყო.

სისის ავსტრიაში დიდად არ სწყალობდნენ, თუმცა ძალიან უყვარდათ უნგრეთში. პოლიტიკა არასდროს აინტერესებდა, მაგრამ



**1.72a სიბაღის სისი ახლოდ 50 კილოგრამს იწონიდა. თავის მთავარ სიბაგყად კოჭაბაღი თბა პიარნა, რომლის მოვლასაც ყოველდღიურად ორ საათს უთმობდა. „საკუთარი ვარცხნილობის პონა ვარ“, – ხაზრობდა დედოფალი.**

უნგრელებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში დედოფალმა ელიზაბეთმა დიდი წვლილი შეიტანა.

თავისუფლებისა და დროსტარების მოყვარულ ექსცენტრიკულ, სიმპათიურ ბავარიის ჰერცოგს 1837 წლის შობის კვირადღეს, გამთენიისას მიუნხენში ქალიშვილი – ამაღლია ევგენია ელიზაბეთი შეეძინა. ის თითქოსდა ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა. ჩვილ გოგონას ნაპოლეონით ერთი კბილი ჰქონდა, თუმცა სილამაზის, ტიტულისა და ერთი შეხედვით იდეალური ქორწინების მიუხედავად, დედოფლის გვირგვინის ქვეშ მდგარი გოგონა, მეტსახელად „სისი“, ტრაგიკული ბედის მატარებელი იყო. შვილების არისტოკრატიებად გაზრდა და შემდგომ მათი სახარბიელო დაოჯახება დედის – ლუდოვიკას მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა; ალბათობა, რომ ავსტრიის იმპერატორი მის უფროს ქალიშვილზე, ჰელენაზე იქორწინებდა, დიდ გამართლებად მიაჩნდა.

თუმცა 23 წლის სასიძოს ჰელენას ნაცვლად ერთი ნახვით შეუყვარდა 15 წლის სისი, რომელიც „ბად იშლსში“ დაგეგმილ ნიშნობაზე დას თან ახლდა. „ან სისი, ან არავინ“, – განაცხადა მეფემ. ფრანც იოზეფის ნიშნობის შესახებ მეორე დღესვე გამოაცხადეს.

ხალხმრავალი საქორწილო ცერემონია ერთი წლის შემდეგ, 1854 წელს ვენაში, ჰოფბურგის ახლოს, ავგუსტინელების ეკლესიაში ჩატარდა. თავისუფლების მოყვარული სისისთვის აუტანელი იყო ჰაბსბურგების ვენის რეზიდენციაში ცხოვრება, მაგრამ ქორწინების დასაწყისში ის ყველანაირად ცდილობდა, მოლოდინი გაემართლებინა, მისდამი მტრულად განწყობილი დედამთილის მიერ დადგენილი მკაცრი წესები დაეცვა და დისციპლინირებული დედოფალი გამხდარიყო. ჰოფბურგის სასახლეში მას ერთადერთ იმედად ფრანც იოზეფი ჰყავდა.

ავსტრიის საიმპერატორო ტახტზე ფრანც იოზეფი 18 წლის ასაკში ავიდა და მისთვის დამახასიათებელი ცივი გონებითა და დოგმატური, სასტიკი მეთოდებით თითქმის შვიდი ათწლეულის განმავლობაში მართავდა ქვეყანას.

სისი ფრანც იოზეფის ცხოვრების დიდი სიყვარული იყო, თუმცა, სატრფიალო მიმოწერას თუ არ ჩავთვლით, იმპერატორი მისთვის თითქმის ვერასდროს იცლიდა. დედოფალი კი ნელ-ნელა მეღანქოლის ბურუსში იძირებოდა. ქალი ვერ ეგუებოდა ქმრის მოსაწყენ და ინდიფერენტულ პიროვნებას. თავდაჭერილი, მარტოსული ქმრის გაგება მან მხოლოდ წლების შემდეგ შეძლო.



ავა გარდნერი სისის როლში, „მაიერლინგი“, 1968 წელი, რეჟისორი – ტერენს იანგი.



რომი შნაიდერი სისის როლში, „სისი“, 1955 წელი, რეჟისორი – ერნსტ მარიშკა.

მემკვიდრეზე მეოცნებე ავსტრიის სამეფოს იმედები სისიმ პირველად ორი ქალიშვილის – სოფიასა და ჰეიზელის დაბადებით გაუცრუა, თუმცა 1858 წელს ავსტრიას ტახტის მემკვიდრე აჩუქა – პრინცი რუდოლფი. სამწუხაროდ, შვილებზე ზრუნვით მარტობის შეგსება დედოფალმა ვერ მოახერხა. მათზე მეურვეობა ჰერცოგინია სოფიამ თავის თავზე აიღო. ცხოვრებამ პირველი დიდი დარტყმა სისის 1857 წელს მიაყენა – მისი უფროსი ქალიშვილი სოფია 2 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

როცა პირველად მექალთანე მეუღლის თავგადასავლების შესახებ შეიტყო, დედოფალმა ვენიდან გამგზავრება გადაწყვიტა. ამას თან დაერთო შესუსტებული ჯანმრთელობა და ტუბერკულოზი. იგი ჯერ მადეირას სარეაბილიტაციო ცენტრში გაჩერდა, შემდეგ კი ვენეცია და კორფუ მოინახულა. მოგზაურობა მისი ცხოვრების მთავარ ნუგეშად იქცა. სამეფო კარიდან მოშორებით გატარებულმა ორმა წელიწადმა სისი თავდაჯერებულ, ძლიერ ქალად აქცია.

ამასობაში დუალისტურმა მონარქიამ ჰაბსბურგების იმპერია ორ ნაწილად გაყო, ვენა და ბუდაპეშტი თანასწორუფლებიან დედაქალაქებად იქცა.

**პრინცი რუდოლფის სიკვდილის შემდეგ სისი თავის თავში ჩაიკაბა. 52 წლის დადოფალს სამეფო კარზე „ქალი შაკვაბში“ შუაჩაქვს.**

უნგრეთის მუდმივი გულშემატკვირის, სისის პირველი დიდი პოლიტიკური ტრიუმფიც სწორედ ეს იყო – 1867 წელს ფრანც იოზეფი უნგრეთის მეფედ აკურთხეს, ზუსტად 10 თვეში კი ქვეყანას მათი ქალიშვილი – ვალერი მოევილინა. სისიმ მას „უნგრელი ბავშვი“ შეარქვა და უნგრული ტრადიციებით აღზარდა.





სისის მუზეუმი ჰოფბურგის სასახლეში, კაიზერის აპარტამენტები

უმთავრესი საბედისწერო თავადასავალი სისისთვის 1889 წლის მაიერლინგის ტრაგედია გახდა. იმ ავბედით დღეს მისმა ვაჟმა რუდოლფმა, შეყვარებულთან ერთად, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დედოფალი ეჭვობდა, რომ ეს მკვლელობა იყო, თუმცა ამის დამტკიცება ვერ მოახერხა. მას შემდეგ დედოფლის პოემებსა და ლექსებს თვითმკვლელობა ლაიტმოტივად გასდევდა.

იგი ოფიციალურ მიღებაზე ბოლოს 1896 წელს ნახეს. ბუდაპეშტის სასახლის ერთ-ერთი სტუმარი მასზე წერდა: „აი ისიც, სამეფო ტახტზე ატლასის შავ უნგრულ კაბაშია გამოწყობილი.“

შავ თმას შავი ვუალი უფარავს, რომელშიც შავი მარგალიტებია ჩამაგრებული. ამ სიმუქეში ერთადერთი ნათელი წერტილი მისი მარმარილოსავით თეთრი სახეა...“

მის სიცოცხლეს რომ საფრთხე ემუქრებოდა, იცოდა, თუმცა გაფრთხილება არ გაითვალისწინა და 1898 წელს ინკოგნიტოდ გაემგზავრა ჟენევაში. სასტუმროდან 10 სექტემბერს, ზუსტად 13 საათსა და 30 წუთზე ფრეილინასთან ერთად გამოვიდა... ქალები ჟენევის ტბის ნაპირს მიუყვებოდნენ, როდესაც 25 წლის

**ვენაში  
ჰაბსბურგების  
საუაფხული  
რაზიდანციის,  
„შონბრუნის“  
საკონდიტრო  
აბჟამად კაფეა  
ჩაანაცვლა,  
რომელშიც დღესაც  
შესაძლებელია  
სისის საყვარელი  
დასარტის –  
„დაბაჟრული იაბის“  
დაბამოვნება. ეს  
იყო ერთადერთი  
მატრონოშიული  
სიამოვნება,  
რომელზეც სისი  
უარს ვერასოდეს  
ამბობდა.**

იტალიელმა ანარქისტმა ლუიჯი ლუკენიმ დედოფალს ალესილი სამკუთხა ქლიბი გულში ჩასცა...

60 წლის სისი რამდენიმე საათში გარდაიცვალა. სამუდამო პატიმრობამისჯილმა ლუკენიმ 12 წლის შემდეგ საკანში თავი ჩამოიხრჩო. დედოფალი ელიზაბეთი ვენაში სამეფო პატივით დაკრძალეს.

სამეფო ოჯახების მკვლელობები ხშირად აღნიშნავენ დედოფალი სისისა და ბრიტანეთის პრინცესა დაიანას ბიოგრაფიების მსგავსებას: ორივე მეოთხე შვილი იყო ოჯახში; ორივეს შემთხვევაში თავდაპირველ სამეფო სარძლოდ მათი და მიიჩნეოდა; ორივე ადრეულ ასაკში გათხოვდა; არც ერთი არ უყვარდა დედამთილს; მათ ქორწინებებში არსებობდა სხვა ქალი და შემდგომ – სხვა მამაკაცი (დაიანასთვის – დოდი ალფაედი, სისისთვის – ჯულიუს ენდრესი, უნგრელი გრაფი); ორივეს კვებით დარღვევები ჰქონდა, ორივეს ჰყავდა დაახლოებული საყვარელი მუსიკოსი (ელტონ ჯონი – იოჰან შტრაუსი), თავგადაკლული თაყვანისმცემელი (ჯონ ტრავოლტა – ირანის შაჰი); ორივემ მოხიბლა მსოფლიო და ხალხმა ორივეს უწოდა გამორჩეული სახელი (გულების დედოფალი – დედოფალი-ფერია); დაბოლოს, ორივე მათგანი ტრაგიკულად დაიღუპა.

# ავსტრიული ახვილოვისლოყვარაობის პირველი ფურცელი

მარინა ყიფშიძე

ავსტრია-უნგრეთის ვრცელ იმპერიაში ამ დაუმორჩილებელ ქალს, ბერტა ფონ ზუტენერს, ხშირად მოლაღატედ იხსენიებდნენ. როცა სახელი გაითქვა და თვით პრეზიდენტები ეპატიუებოდნენ მიღებაზე, ბერტა ავტორიტეტად კი აღიარეს, მაგრამ მისი ხედვა კაცობრიობის მომავლის შესახებ მშვენიერ უტოპიად შერაცხეს.

ალბათ პაციფიზმი ისევე ძველია, როგორც სამყარო, როგორც ადამიანი. იშვიათად, მაგრამ მაინც, მშვიდობისმოყვარე ქალთა სახეებიც ახსოვს ისტორიას. თუმცა ბერტა ფონ ზუტენერმა ყველა საზღვარი მოარღვია, ყველა მასშტაბი უარყო და განგაშის ხმა ჯერ ევროპას, მერე მსოფლიოს დასცა.

ის XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქოს წინასწარვე ხედავდა დამლუპველი გლობალური ომების დამაბრმავებელ ცეცხლს. „მაგრამ რომელი წინასწარმეტყველი შეუწყნარებიათ თავის მამულში?!“ ავსტრია-უნგრეთის ვრცელ იმპერიაში ამ დაუმორჩილებელ ქალს ხშირად მოლაღატედ იხსენიებდნენ. როცა მან მსოფლიო სახელი გაითქვა და თვით პრეზიდენტები ეპატიუებოდნენ მიღებაზე, ბერტა ავტორიტეტად კი აღიარეს, მაგრამ მისი ხედვა კაცობრიობის მომავლის შესახებ მშვენიერ უტოპიად, აუხდენელ ბოდეად შერაცხეს.

**მისა მოღვაწეობა  
პირველი მსოფლიო ომის  
ნაოწყობა რუსეთში  
ათწლეულით მიაფარა.  
ბერტა „პაციფისტთა დედამ  
პიირნავა.**



როგორც ყველა მოღვაწე, ახალგაზრდა ბერტა, უპირველესად, საკუთარ კლასს დაუპირისპირდა: ავსტრიელი გენერალი, გრაფი ფრანც იოზეფ კინსკი ქალიშვილის დაბადებამდე მცირე ხნით ადრე გარდაიცვალა – 1943 წელს; ბერტა კი რუღეტის მოყვარულმა დედამ და მეურვემ აღზარდეს. ოჯახი სამეფო კარზე მიღებული იყო და მილიტარისტულ-ნაციონალისტური სულისკვეთებით ამაყობდა. სწორედ ამ საყოველთაო სულისკვეთებას ებრძოდა ბერტა თავისი ცხოვრების მეორე ნახევრის განმავლობაში.

ქალიშვილმა უნაკლო განათლება მიიღო. 70-იანი წლების დასაწყისში უფროსი ქალბატონი კინსკის მოთამაშის უკურნებელმა სენმა კუდი მოიქნია და სიღატაკემაც არ დააყოვნა. ბერტამ საკუთარი შრომით თავის რჩენა გადაწყვიტა და ბარონ ფონ ზუტენერის ოჯახში გუვერნანტად მოეწყო. აქ მასა და შვიდი წლით უმცროს არტურ გუნდაკარს შორის ტრფობა გაჩაღდა. ვაჟის მშობლებმა უმზითვო გუვერნანტი აიძულეს, ზუტენერთა სახლობა დაეტოვებინა. მაგრამ ბერტა ძლიერი ქალი იყო, ისეთი, როგორებიც არასოდეს ნებდებიან. იგი პარიზში გაემგზავრა და ალფრედ ნობელის მდივანი-ეკონომი გახდა, რომელიც იმხანად ჭკვიან, განათლებულ თანაშემწეს ეძებდა. იქნებ მითია, მაგრამ ბიოგრაფები აღნიშნავენ, ნობელს ქალი თავდავიწყებით შეუყვარდაო.

**1913 წელს ბერტას ჰაბსბურგი კაციფისტური მოძრაობის „გენერალისიმუსის“ ტიტული მიანიჭეს. 1914 წლის 14 ივნისს იგი ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა კენაში. რამდენიმე დღის შემდეგ კი კირველი მსოფლიო ომი დაიწყო...**

არავინ იცის, რას გაექცა პარიზიდან ბერტა კინსკი; ამბობენ, ნოსტალგიამ შემოუტიაო. იქნებ სიყვარულის დედაქალაქში საბოლოოდ მიხვდა, რომ არტური მისი ცხოვრების მამაკაცი იყო და სხვათა ნებას არ უნდა დამორჩილებოდა.

ბერტამ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა რამდენიმე წლით ადრე, გერმანიის ჩრდილოეთში დასასვენებლად ყოფნისას გაიცნო. მისი ჩანაწერები სავსეა ისეთი მონათხრობებით, რომლებიც მხოლოდ ოჯახისათვის ძალზე შინაურ ადამიანს თუ შეეძლო დაეწერა.

როგორც ქართველთა წესი იყო, დედოფალმა ბერტა პირადი ღირსებების გამო შეიყვარა და სამეგრელოში სტუმრადაც გულიანად დაპატიჟა. საქართველო იქცა 1976 წლიდან უჩუმრად ჯვარდაწერილი არტურისა და ბერტასთვის საიდუმლო კუნძულად, რომელსაც ისინი შეეფარნენ და სადაც წყვილმა საკუთარი დანიშნულებისა და შესაძლებლობების აღმოჩენა ხელახლა დაიწყო. როგორც ბერტა წერს, მათ წინაშე „მოულოდნელობებით აღსავსე ახალი სამყარო გადაიშალა“.

სამეგრელოში დასახლებული ზუტენერები ცაიშში, მეუნარგიების მამულში თავს მშვიდად და დაცულად გრძობენ. ბავშვებს უცხო ენებს ასწავლიან, იონა მეუნარგიას

**ბიოგრაფები აღნიშნავენ, ნობელს ქალი თავდავიწყებით შეუყვარდაო. არავინ იცის, რას გაექცა პარიზიდან ბერტა კინსკი; იქნებ სიყვარულის დედაქალაქში საბოლოოდ მიხვდა, რომ არტური მისი ცხოვრების მამაკაცი იყო და სხვათა ნებას არ უნდა დამორჩილებოდა.**



**ბერტა ფონ ზუტენერი, ნობელის პირადი მდივანი და სამეგრელოს სტუმრადაც გულიანად დაპატიჟა. საქართველო იქცა 1976 წლიდან უჩუმრად ჯვარდაწერილი არტურისა და ბერტასთვის საიდუმლო კუნძულად, რომელსაც ისინი შეეფარნენ და სადაც წყვილმა საკუთარი დანიშნულებისა და შესაძლებლობების აღმოჩენა ხელახლა დაიწყო. როგორც ბერტა წერს, მათ წინაშე „მოულოდნელობებით აღსავსე ახალი სამყარო გადაიშალა“.**



„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნაში ეხმარებიან. არტური აღფრთოვანებულია ქართველთა ბუნებითაც და რუსთაველის პოემითაც („ვერაფერს ამნაირს ვერ იპოვით დასავლეთის ლიტერატურაში“). საღამოები დადიანთა სასახლეში, არისტოკრატიული-ინტელექტუალური საუბრები – ეს წყვილისათვის იდეალური გარემოა, რომელიც შემდგომში დაწერილ წიგნებში აისახება...

არტური ავსტრიული გაზეთებისათვის რეპორტაჟებს წერს რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ და სწორედ ამ დროს ბერტასაც უჩნდება წერის სურვილი. ხუთი წლის შემდეგ, როცა სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი გარდაიცვალა, ბერტა და არტური თბილისში გადავიდნენ და საქართველოში კიდევ ოთხი წელი იცხოვრეს. მათ შემოქმედებაში ეს ქვეყანა რეალური ამბებისა და ერთგვარი ფანტასმაგორიული სურათების ერთობლიობას ქმნის.

სამშობლოში დაბრუნებული ბერტა აღფრთოვანებულია საერთაშორისო არბიტრაჟის შექმნის იდეით, თავის მოთხრობებში, ესეებსა და რომანებში აკრიტიკებს ნაციონალიზმს, ანტისემიტიზმსა და მილიტარიზმს. თუმცა საყოველთაო ცნობადობა ბერტას ერთმა მთავარმა რომანმა („ძირს იარაღი“) მოუტანა, რომელიც 16 ქვეყანაში გამოიცა. მასზე თვით ლევ ტოლსტოიმაც კი დაწერა საქები სიტყვა და ეს ნაწარმოები ზემოქმედების ძალით ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხს“ შეადარა.

როგორც ბიჩერ სტოუმ აღძრა მსოფლიო აზრი ადამიანთა მონობის წინააღმდეგ, ისე ბერტა ფონ ზუტენერმა დაანახვა ევროპას მიმდინარე თუ მოსალოდნელი ომების ზემოქმედება

**2006 წელს იუნესკომ ბერტა ფონ ზუტენერისათვის მშვიდობის დარბეზი ნობელის პრემიის მინიჭების 100 წლისთავი აღნიშნა.**


თითოეული ადამიანის ბედისწერაზე. წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ლიბერალური, მშვიდობისმოყვარე ჯგუფები ბერტასთან დაახლოებას ცდილობენ და მას 1891 წელს რომის სამშვიდობო კონგრესზე იწვევენ. მალე ბერტა თავად აარსებს „ავსტრიის სამშვიდობო საზოგადოებას“, ორგანიზებას უკეთებს და თავდაცვით მონაწილეობს მშვიდობის კონგრესებში. ის არა მარტო პაციფისტაა, არამედ ფემინისტა ერთ-ერთი წინაპარცაა.

პარიზში ყოფნისას წყვილი კვლავ აღადგენს მეგობრობას ალფრედ ნობელთან. ლიბერალურად მოაზროვნე მსოფლიო ისმენს ბერტას ლექციებსა და გამოსვლებს. ამერიკაში მოგზაურობისას მას თვით თეოდორ რუზველტი მასპინძლობს. იგი შეუპოვარია, მისი ერთუზიანობა გადამდებია. და ამ ქარიზმას ვერც ალფრედ ნობელი უძლებს. მათი მიმოწერა და ურთიერთობა ათწლეულების განმავლობაში გრძელდება და 1905 წელს ნობელი თავად აარსებს პრემიას მშვიდობის დარგში... ადვილი გამოსაცნობია, ვის ენიჭება ის პირველად. ვივარაუდოთ, რომ ბერტას დამსახურებაცაა, თუკი ავსტრია დღეს მუდმივი ნეიტრალიტეტის ქვეყანაა.

1913 წელს ბერტას ჰაბსბურგის პაციფისტური მოძრაობის „გენერალისიმუსის“ ტიტული მიანიჭეს. 1914 წლის 14 ივნისს იგი ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა ვენაში. რამდენიმე დღის შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო...

მაგრამ ის სამყარო, რომელიც მშვიდობას მიეღობოდა, მადლიერია ამ ქალბატონისა, თუნდაც მისი ხმა უდაბნოში მლაღადებლისას ემსგავსებოდა.

„ფორმულა 1“-ის რკოდები – ჩაბი თაობა ან რომანტიკული პარანატივით მოცული სპორტის სახეობის შესახებ პირველად ჯონ ფრანკენბერგის ფილმმა „გრან პრი“ დააფიქრა.



# ნიკი დაუდა „ფორმულა 1“-ის დიდ ავიასპიანს

## ბიძინა ბარათაშვილი

ახლაც აუხსენელია, რატომ ვაგროვებდი სლოვაკურ ყოველკვირეულ ჟურნალ Start-ში „უნახავი“ რბოლების შესახებ დაწერილ წერილებს, რატომ შემეყვარდა „სუპერშვედი“ რონი პეტერსონი, ან რატომ მაქვს დღემდე შენახული ყვითელ ფონზე დასტამებული რბოლების ტექნიკური შედეგები? მთავარი ისაა, რომ იმ გაცრეცილმა ფურცლებმა ჩემს ცხოვრებაში შემოიყვანა ახალი გმირები, მათ შორის, ნიკი ლაუდა!

არ არსებობს ავტოსპორტის ისტორიაში არც ერთი პილოტი, რომლის სახელიც ასე ორგანულად ქვეულიყო ვაჟკაცობისა და წარმატების სინონიმად. მანქანის სწრაფად და რისკიანად ტარებისას ჩვენში დღემდე ხშირად გაიგონებ ვარიაციებს თემაზე: „სად მიქრი, ნიკი ხარ, ლაუდა?!“

ლაუდამდე „ფორმულა 1“-ში ავსტრიელთა სიამაყე 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი იოჰენ ფონ რინდტი იყო – II მსოფლიო ომის დროს ჰამბურგის დაბომბვის შედეგად დაღუპული გერმანელი მამისა და ავსტრიელი დედის ვაჟიშვილი, რომელიც ბაბუამ გრაცში გაზარდა. „ლოტუსის“ ეს უშიშარი პილოტი მისთვის ტრიუმფალური წლის 5 სექტემბერს იტალიაში, მონცას ავტოდრომზე გამართულ ტესტირებას ემსხვერპლა.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დაღუპულ სპორტსმენს ასპარეზობის დასრულებამდე 4 რბოლით ადრე დაგროვილი ქულები ეყო ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტულის მოსაპოვებლად. დაახლოებით ასეთი რამ 1978 წელსაც განმეორდა – ისევ „ლოტუსში“ და ისევ მონცაზე – რბოლას ამჯერად შვედი რონი პეტერსონი შეეწირა და ისე გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი! ალბათ სიმბოლურია, რომ „ფორმულა 1“-ში ნიკი ლაუდას დებიუტი ფონ რინდტის დაღუპვის შემდეგ სეზონში, 1971 წელს ერთგვარი „ავსტრიული ესტაფეტის“ გადაცემით შედგა.

ლაუდა მდიდარი ოჯახიდანაა – მისი ბანკირი მშობლები ავსტრიის ქალაქის ინდუსტრიის დიდი ნაწილის მფლობელები იყვნენ. ოჯახს არ მოსწონდა მისი გატაცება. ნიკის მთავარი მოწინააღმდეგე მამამისი იყო. ნამდვილი ლაუდა ის მაშინ გახდება, როდესაც მისი

ლაუდა არასოდეს ცნობდა ავტორიტეტებს. მან ენცო ფარარის პირდაპირ მისწერა, რომ მისი მანქანა არაფრად ვარგოდა! 1982 წელს კი, სამწლიანი უთმობის შემდეგ, რომ დაენის „მაკლარენში“ გადასვლის სანაცვლოდ იმ დროისათვის ასტრონომიული თანხა – 5 მილიონი მოსთხოვა: რბოლისთვის ერთ დოლარს ავიღებ, დანარჩენი ჩემი სახელის საფასურია!


სახელი პრესის ეკონომიკურ განყოფილებაში გამოჩნდება და არა სპორტულში! – ამბობდა იგი და შვილისთვის ფულის მიცემას კრძალავდა. მიუხედავად ამისა, 12 წლის ნიკის ნათესავები უკვე ანდობდნენ მანქანის პარკირებას, 14 წლისა საოჯახო ფირმის სატვირთო მანქანას ატარებდა, გამომუშავებული ფულით კი თავისი პირველი ავტომობილი, 1949 წლის „ფოლკსვაგენ ხოჭო“ შეიძინა.

ახალგაზრდობაში მომავალი ჩემპიონი ხშირად ხვდებოდა ავარიებში. თავის მეგობარ პეტერ დრექსლერთან ერთად ბავშვობიდანვე იპარავდა მამის კუთვნილ Austin Cooper S1300-ს, რომელიც ბოლოს დაამტვრია კიდეც; „ფორმულა 3“-ის რბოლაში ასპენში ისე ეფექტურად ამოყირავდა, რომ ტელევიზიით აჩვენეს, ზოლდერში კი სასწრაფო დახმარების მანქანას შეასკდა!





ნიკი ვერ იტანს კლასიკურ ჟირონიას, მან მხოლოდ თვალბრუნების ოპერაცია გაიკეთა მხედველობის გაუმჯობესების მიზნით; დამწვარი ყურის თაობაზე კი აღნიშნა: ახლა ძალაფრებით უფრო აღვივლად ვსაუბრობო!



ერთმლიონიანი კაპი

მისი წითელი კეპი უბრალოდ ქუდი როდია. ავარიის შემდეგ ნიკიმ წითელი კეპის ტარება დაიწყო ნაიარევი სახის დასაფარად, თუმცა მისმა კომერციულმა ნიჭმა აქაც იჩინა თავი და მან მალევე დაიწყო ქუდზე სარეკლამო ნიშნების განთავსება. 1976 წელს ესენი იყვნენ: Parmalat, Viessmann, Oerlikon, დღეს – საინვესტიციო კომპანია Aabar-ი. მისივე მტკიცებით, ამჟამად ქუდს ლაუდასთვის წელიწადში ერთი მილიონი ევრო მოაქვს!

მოგვიანებით გამოაცხადა, რომ ალარ სურდა ყოფილიყო „ფსიქოპათი ორ ათეულ ასეთივე ფსიქოპათს შორის“ და „ფორმულა 2“-ში გადაბარგდა. იგი თავიდანვე „რენტ-დრა-ივერად“ ჩამოყალიბდა. ოჯახის ავტორიტეტის გამო ბანკები იოლად აძლევდნენ კრედიტს, ის კი ჩაფხუტზე იწერდა მათ რეკლამას. პირველი კრედიტი 1970 წელს აიღო „პორზე 908“-ის შესაძენად. წლის ბოლოს ბოლიდი იმავე ფასად გაყიდა, თან სარბოლო რეპუტაციაც აიმაღლა. დადგა „ფორმულა 1“-ში გადასვლის დრო...

ნიკი ვერ შეაშინა რბოლებში წარუმატებელმა დებუტმა, სამი წელი ჩრდილში გაატარა (1971-73 წწ. – 2 ქულა 28 რბოლაში), მერე „ფერარიში“ ჩაირიცხა, სადებიუტო ჩემპიონატშივე გაიმარჯვა ესპანეთისა და ჰოლანდიის ავტოდრომებზე და საერთო მე-4 ადგილი დაიკავა.

1975 წელს იგი ერთ-ერთი ფავორიტის რანგში შეხვდა, 5 ეტაპი მოიგო, 19,5 ქულით გაასწრო ემერსონ ფიტიპალდის და პირველი საჩემპიონო გვირგვინიც ჩამოართვა. მომდევნო სეზონში ნიურბურგრინგზე განცდილი საშინელი კატასტროფა ცალკე საუბრის თემაა. პირველ ავგისტომდე გამართულ 9 რბოლაში ლაუდას 5 მოგება, 2 მეორე და 1 მესამე ადგილი დაუგროვდა – ტიტულის შენარჩუნება ფორმალურად ჩანდა. საგულისხმოა, რომ ნიკი კოლეგებისგან გერმანიის „გრან პრის“

**ნიკიმ თავისი პირველი მჯობე მარლბენ კანუსი, რომელმაც ორი ვაჟი გაუჩინა, მსახიობ კარტ იურბანს „ნაართვა“; 60 წლის ასაკში კი მათი მჯობე – ბირმითა, რომელიც მის კომპანიაში გახდინა მჯობე, ტყუპები – მათსი და მია არუა. მარლბენა მათორაის სანაცვლოდ სიცოცხლის ბოლომდე რჩანა მოსთხოვა, ბირმითა კი 1997 წელს ლაუდას თავისი თირკმელი გადაუნერგა.**

ბოიკოტირებას ითხოვდა ტრასის უსაფრ-თხოების მიზნით, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. მეორე წრეზე ავსტრიელის ბოლიდი ბრეტ ლანუერის „ფორდს“ შეეჯახა და ცეცხლი მოედო. ლაუდამ უმძიმესი დამწვრობა მიიღო და ერთხანს კომაშიც იყო. სანამ ექიმები მისი გადარჩენისთვის იბრძოდნენ, ჯეიმს ჰანტმა ჩემპიონატში ჩამორჩენა შეამცირა...

ეს ყველაფერი დეტალურადაა აღწერილი რონ ჰოვარდის ფილმში „Rush“, სადაც ლაუდას როლს დანიელ ბრული ასრულებს. ნახევრად დამწვარმა ნიკიმ 42 დღეში გამონახა უკან დასაბრუნებელი ძალები და ვიცე-ჩემპიონობას მხოლოდ იმიტომ დასჯერდა, რომ არ ისურვა ფუძის ტრასაზე ბოლო ეტაპის გავლა წვიმიან ამინდში. ამისთვის ბევრმა გაკიცხა, „ფერარიში“ მშიშარაც კი უწოდეს! ასეთი დაუმსახურე-ბელი შეურაცხყოფისგან სხვა ალბათ დეპრესიაში ჩავარდებოდა, ნიკიმ კი უკვე 1977 წელს მოიპოვა პირველობა 3 რბოლაში, დაიბრუნა საჩემპიონო ტიტული და... „ფერა-რისთან“ კონტრაქტი გაწყვიტა!

„ბრებში“ გატარებული მომდევნო 2 წარუ-მატებელი სეზონიდან ლაუდას მხოლოდ მილიონიანი ხელფასი და „მანქანა-ფენის“ მართვა თუ გაახსენდება. მაშინ კონსტრუქტორმა გორდონ მარიმ „ლოტუსთან“ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად შედეგთის

გრან პრიზე გამოიყვანა ბოლიდი, რომელსაც უკან ვენტილატორი დაუყენა. მანქანას მაშინვე შეარქვეს „ფენი“. ექსპერიმენტმა ლაუდას მოსახვევებში უზარმაზარი უპირატესობა მიანიჭა და იოლად გაამარჯვებინა, მაგრამ კონკურენტების საჩივარმა „ბრებში“ სიახლის დანერგვის საშუალება ალარ მისცა და ნიკის რბოლისთვის თავის დანებება გადააწყვეტინა.

ლაუდა არასოდეს ცნობდა ავტორიტეტებს. მან ენცო ფერარის პირდაპირ მისწერა, რომ მისი მანქანა არაფრად ვარგოდა! 1982 წელს კი, სამწლიანი უქმობის შემდეგ, რონ დენისს „მაკლარენში“ გადასვლის სანაცვლოდ იმ დროისათვის ასტრონომიული თანხა – 5 მილიონი მოსთხოვა: რბოლისთვის 1 დოლარს ავიღებ, დანარჩენი ჩემი სახელის საფასურია!

ამ დროისათვის ლაუდას მიტოვებული ჰქონდა „ფორმულა 1“ და საკუთარი ავიაკომპანიის – Lauda Air-ის საქმეებით იყო დაკავებული. ტრასაზე დაბრუნება სწორედ ამ პროექტის ფინანსურმა პრობლემებმა აიჭულა.


დენისის შეთავაზება დროული გამოდგა. ამასთან, კონტრაქტორი იტოვებდა უფლებას, 4 რბოლის შემდეგ გაეწყვიტა კონტრაქტი, თუ ლაუდა სასურველ შედეგებს ვერ მიაღწევდა. ნიკიმ უკვე მესამე რბოლაში – ლონგ ბიში – დაიბრუნა პოდუმი, 1984 წელს კი

„მაკლარენთან“ ერთად 5 ეტაპზე გაიმარჯვა და მესამედ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა, როდესაც თანავუნდელ ალენ პროსტს 0,5 ქულით გაუსწრო! ტრასაზე ბოლო წარმატებას მან 1986 წლის 25 ავგისტოს მიაღწია ჰოლანდიურ ზანდვორტში და საბოლოოდ გადაინაცვლა „დიდ ავიაციაში“!..

ნიკის კარიერა და ხასიათი ერთგვაროვანი არაა, ტრასებზე მიღებული პრიზების მიმართაც არ ჰქონია დიდი სენტიმენტები – 1975 წლის ჩემპიონობის შემდეგ მოპოვებული ყველა თასი მან თავისი სახლის გვერდით მდებარე ავტოფარების მფლობელს აჩუქა, სანაცვლოდ კი მოითხოვა, რომ იმ დღის შემდეგ მისი მანქანა უფრო ხარისხიანად და უფასოდ გაეყრებოდა!

„დიდი ცირკის“ ისტორიაში ლაუდაზე ნიჭიერი, ქარიზმატული და წარმატებული პილოტებიც ყოფილან. მშობლიურ ავსტრიაშიც კი, სადაც იგი ეროვნულ გმირად ითვლება, ბევრს არ მოსწონს მისი პირდაპირობა, სიხისტე და პრაგმატიზმი; არც კოლეგებისა და გულშემოტიკვირების საყო-ველთაო სიყვარულით ყოფილა შედგმეტად განებვირებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ცხოვრებაში ყველა წარმატებას მან თავისი სისხლით და ხასიათის სიმტკიცის ხარჯზე მიაღწია, ხოლო დაბრკოლებების გადალახვისა და ბედის შემობრუნების უნარით ნიკი ლაუდას ნამდვილად ვერავინ შეედრება.

**1979 წელს ნიკი ლაუდას ავიაკომპანია Lauda Air-ი, 2003 წელს, ახალი ავიაკომპანია Niki დაარსა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. იგი თავადაც ფლობს სამგზავრო თვითმფრინავების პილოტირების უფლებას და ერთხანს საკუთარი ავიაკომპანიის რაინდას ახორციელებდა.**



# ბენიარაბის ჰოლისტიკური კონსულტინგის კონსულტინგის

## თქვენი სხივით

სულ რაღაც ერთი კვირა ამ ულამაზესი ტბების ნაპირას და არამარტო ტანსაცმელი შეგეკვრებათ თავისუფლად, თქვენი კანიც კი ახლებურად დაიწყებს სუნთქვას, **დაივინებთ უძილობას და შფოთვის და სიცოცხლის ხალისს დაიბრუნებთ.** მსოფლიოში საუკეთესოდ მიჩნეული ავსტრიული სამედიცინო სპა კლინიკა ძალების აღდგენის ოაზისია.

ჰოლისტიკური კონცეფცია ათწლეულების მანძილზე ჩატარებულ კვლევებს ემყარება და მას საფუძვლად მაირის საყოველთაოდ აღიარებული თერაპია უდევს: დეტოქსიკაციის, სწორი კვებისა და სულიერი გაჯანსაღების პროგრამა, ისევე როგორც უახლესი ტიპის „მოძრაობის თერაპია“ და ჯანმრთელი ძილის მეთოდები.

## ლანსერჰოფი – აღდგენითი მედიცინა მამაკაცებისათვის

რყვეები საფონდო ბირჟაზე თუ ზარალი კომერციული საქმიანობისას ბევრ მამაკაცს აიძულებს ირწმუნოს, რომ უპირველესი ფასეულობა – ჯანმრთელობაა. მამაკაცთა სამომავლო მედიცინის კონცეფცია ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად სასიცოცხლო ძალების აღდგენით თერაპიას მიიჩნევს.

ბოლო ხანებამდე მამაკაცების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უკვე გამოვლენილი ავადმყოფობის მკურნალობას გულისხმობდა და მრავალი სპეციფიკურად მამაკაცური დაავადებაც განცალკევებულად იკურნებოდა. ლანსერჰოფის გუნდი ჰოლისტიკური მიდგომის უპირატესობას აღიარებს. მამაკაცთა აღდგენითი მედიცინის მოდელი ფიზიკური ფაქტორების ანალიზს, ემოციური წნეხისა და სტრეს-ფაქტორების კვლევას ითვალისწინებს.

ფიზიკურ-მენტალური გამოკვლევის მეთოდოლოგიის ამო-სავალი მაინც სისხლის ანალიზია, რომლის მიხედვითაც დგინდება მეტაბოლიზმისა თუ ანთების პარამეტრები, მესხიერების მარკერები, ბოლოგური ასაკი და ოპტიმალური სტატუსი. შემდეგი საფეხური უკვე გულის რიტმის 24-საათიანი მეთვალყურეობაა, რომლის შედეგი მიუთითებს გულის მუშაობის ავტორიზაციის, ინდივიდუალურ ენერჯიაზე, სტრესის დონეზე, ძილის ხარისხსა და არითმიის შესაძ-ლებლობაზე.

ლანსერჰოფში დაინერგა ახალი, მამაკაცთათვის უმნიშვნელოვანესი სამედიცინო-კვლევითი დარგი – ფსოქონეგროლოგიკა. სტრესი უარყოფით გავლენას ახდენს იმუნური სისტემის ფუნქციონირებაზე, ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ანთებით პროცესებს, არაერთი დაავადების გამომწვევია და სწრაფ დაბერებასაც იწვევს.

სულიერი სიმშვიდე-სიჯანსაღე კი დაავადებათა მთავარი ხელშემშლელია. ლანსერჰოფში მკურნალობა პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობის ხანგრძლივ მდგრადობას უზრუნველყოფს. მოძრაობის თერაპია პირადი მწვრთნელის მეთვალყურეობით მიმდინარეობს, კვების სწორად დაგეგმვა კი Foodscan-ის მეთოდით ხდება – ზუსტად ადგენენ შეუთავსებლობას ამა თუ იმ საკვებთან. სტუმარს დიეტას ინდივიდუალურად ურჩევენ.

**303ა მაირი – ბრძოლა გამოფიტვის წინააღმდეგ**

ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრძნობლად იმატა სტრესით გამოწვეულმა დაავადებებმა, რასაც „ვივა მაირის“ კლინიკაში გამოფიტვის სინდრომი დაარქვეს: ენერჯის ნაკლებობა, უძილობა, არაჯანმრთელი ძილი, დეპრესია, თავის ტკივილები თუ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. გამოფიტვა მეტწილად განიხილება, როგორც საერთო სისუსტის, დაღლილობისა და უსასობის განცდის გამოვლინება. ვივა მაირში მკურნალობის უმთავრეს საშუალებებად რეგენერაციასა და რელაქსაციას მიიჩნევენ. კლინიკა ულამაზეს ადგილას, ვორთერზეც ტბის პირას მდებარეობს, თუმცა ის არ არის გამაჯანსაღებელი სპა – აქაური მკურნალობა მკაცრი რეჟიმითაა ცნობილი.

დაჩქარებული რიტმი და საქმიანი გარემო დასვენების, მოდუნებისა თუ ძალების აღდგენის საშუალებას ნაკლებად იძლევა, რასაც შედეგად ორგანიზმის გამოფიტვა მოსდევს.

სხეულის ჯანსაღი რიტმის საზომი ჩვენზე გულისცემაა, ხოლო სუნთქვის სიხშირე – სტრესის დონის გამომხატულება. ამ რიტმებზე მეთვალყურეობა გამოიყენება დიაგნოზის დასასმელად და სტრეს-ფაქტორების გამოსავლენად. გულის მუშაობის კონტროლი შეუცვლელი საშუალებაა სტრეს-ფაქტორების გასარკვევად და სტრესის სიმძიმის დასადგენად. თუ ძალების აღდგენას ძილშიც ვერ ვახერხებთ, ამით ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ჯანმრთელი ძილი „ვივა მაირის“ კლინიკაში სტრესებთან გამკლავების უპირველეს საშუალებად მიიჩნევა, რადგან ის განსაზღვრავს ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობასაც.

„ვივა მაირის“ კლინიკა თავისებური მექაა მათთვისაც, ვისაც საჭმლის მონელების პრობლემები აწუხებს. კლინიკაში გასწავლიან, როგორ იკვებოთ სწორად – როგორ დაღვწოთ საჭმელი აუჩქარებლად და რა მიერთვით საღამოობით. აქ არამარტო გამაღიზიანებელ საკვებზე ამბობენ უარს, არამედ გადატვირთული კუჭ-ნაწლავის დასვენებაზეც მზრუნავენ, რაც ძალიან მცირე ულუფებით კვებას გულისხმობს.

თავიდან ყველას აწუხებს შიმშილის გრძნობა, მაგრამ ესეც გვარდება ინდივიდუალურად შერჩეული პროგრამების წყალობით, რაც დიეტის გარდა შხამებისაგან გამწმენდ აბაზანებსა და სხეულის დამამშვიდებელ მასაჟებსაც გულისხმობს. მეოთხე დღეს ენერჯის უჩვეულო მოზღვაებას იგრძნობთ, ხოლო ექვსიოდე კვირის შემდეგ ყველა უსიამო შეგრძნება უკვალოდ გაგიქრებათ.



მამაკაცებისთვის შექმნილ სამედიცინო პროგრამას საფუძვლად ლანსმედის უაღრესად წარმატებული კონცეფცია უდევს, რომელიც დაავადების თავიდან აცილებისკენა მიმართული. საბოლოო მიზანი იმგვარი ცხოვრების წესის შერჩევაა, რომელიც მამაკაცებს სრულყოფილი და ჯანმრთელი ცხოვრების საშუალებას მისცემს.

Lanserhof Lans, Kochholzweg 153  
6072 Lans bei Innsbruck, Austria  
www.lanserhof.com

სტრესულ ვითარებაში მოხვედრილი ადამიანის ორგანიზმი სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას გამოყოფს, მათ შორის, კორტიზოლს, ადრენალინსა და ნორადრენალინს, რომლებიც მას სტრესთან გამკლავებაში ეხმარებიან. მაგრამ თუკი ამ ნივთიერებებს ორგანიზმი სათანადოდ ვერ იყენებს, ისინი ჯანმრთელობას აზიანებენ. ადრენალინისა და ნორადრენალინის მოჭარბება მაღლა სწევს სისხლის წნევას, ახშირებს გულისცემას და ჭარბ ოფლიანობას იწვევს; კორტიზოლის სიჭარბე კი შიმშილის გრძნობას და რაიმე ტკბილის ჭამის სურვილს აძლიერებს, რის შედეგადაც ადამიანი საბოლოოდ წონაში იმატებს; შესაბამისად, სტრესი წონის მატების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

**მკურნალობის 4 პრინციპი**

მკურნალობის მეთოდები „ვივა მაირში“ სტრესისაგან გათავისუფლებას, ორგანიზმის გაწმენდას, ვარჯიშსა და ჩანაცვლებით თერაპიას ეფუძნება. ყველაფერი ინდივიდუალურად მიესადაგება პაციენტს და ზუსტად გაიწერება დროში; დამატებით იყენებენ ნატუროპათიურ საშუალებებს; არავითარი ნამცხვარი, ტკბილეული, ალკოჰოლი. აქაური საუზმე (დილის 7-იდან 9 სთ-მდე) გულისხმობს მხოლოდ ერთ ნაჭერ თხის ყველსა და ცხვილ პურს; სადილი – თევზს ან ხორცს ბოსტნეულთან

ერთად, ხოლო ვახშამი (სალამოს 6-იდან 8-მდე) – თხელ წვნიანს. მკურნალობის კიდევ ერთი ქმედითი საშუალება ფრანც მაირის ინდივიდუალური, გამატუტიანებული დიეტაა, რომელიც ორგანიზმის დაწყნარებასა და ჰისტამინის დონის დაქვეითებას უწყობს ხელს.

მოთმინებისა და თავშეკავების შედეგად თქვენი სხეული განახლდება, კანი აბრუნდება სირობილეს შეიძენს და სისხლიც თავისუფლად იმოძრაავს.

მაირის მეთოდით მკურნალობის პერსონალური მოდელებია: გამაქტიურებელი, დაბერების საწინააღმდეგო, ენერჯით დამუხტავი და ორგანიზმის გამწმენდი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამწმენდ ანუ დეტოქსიკაციის მოდელს, რომელიც ერთი ნაბიჯით უსწრებს ყველა სხვას და მკურნალობის სრულ სპექტრს მოიცავს. სასურველია, აქ ორი კვირა მაინც დაყოთ, რის შემდეგაც აუცილებლად იგრძნობთ უკეთესობას და იმისთვისაც მოემზადებით, როგორ აიცილოთ არასასურველი სტრესები სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში.

ერთადგილიანი ნომრის ღირებულება 195 ევროდან იწყება, თუმცა სხვადასხვა მომსახურების ხარისხის შესაბამისად, ჯამში 800 ევრომდეც კი ადის. კლინიკა კრძალავს ბავშვებითა თუ შინაური ცხოველებით სტუმრობას.

- პირველადი სამედიცინო შემოწმება – 170/340 ევრო.
- ნახევარსაათიანი სამედიცინო კონსულტაცია – 170 ევრო.
- 45-წუთიანი სარელაქსაციო თერაპია ექიმის მეთვალყურეობით – 255 ევრო.
- მანუალური დიაგნოსტიკა და მკურნალობა – 170 ევრო.

სხვადასხვა ღირებულებისაა მასაჟიც, რომლის სპექტრი მოიცავს ლიმფურ სადინრებს, ხერხემალს, ქვედა კიდურებს, თავსა და კისერს, ლიპო-ლაზერულ მასაჟებს, გამწმენდ მასაჟებს და ასე შემდეგ. საშუალო ფასი 120 ევროა.

Seepromenade 11, 9082,  
Maria Worth, Austria  
[www.vivamayr.com](http://www.vivamayr.com)



**მაირის განსაკუთრებული დიეტა – იზრძენით თავი მსუბუქად!**

გამონახეთ დრო საკუთარი თავისთვის – მიირთვით მხოლოდ მცენარეული საკვები და ახლებურად აღიქვით ცხოვრება. ამაში მაირის სამკურნალო დიეტა დაგეხმარებათ. მცენარეული დიეტა და მიზანმიმართული თავშეკავება ახლებურ სიმსუბუქეს შეგმატებთ – ვეღარ იგრძნობთ საკუთარი სხეულის სიმძიმეს, უფრო ყურადღებიანი და გაწონასწორებული გახდებით.

მკურნალობის საფუძველი ჯანსაღი მცენარეული საკვებია, ხოლო რამდენადაც წელიწადის ცივ თვეებში ცხელი კერძები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „მაირშიც“ სწორედ ენერგოტევად, ვიტამინებით მდიდარ საკვებსა და უგემრიელესი ჩაის ფართო არჩევანს გვთავაზობენ. აქ ხუთ საათზე ჩაის სმა გამორჩეული, სასიამოვნო შთაბეჭდილებაა. თბილ პლედში გახვეულს, შეგიძლიათ ვორთერზეც ტბის ულამაზესი ხედებითაც დატკბეთ.

- გამაჯანსაღებელი სითბო და სრული რელაქსაცია საუნაში, სპაში, სანაპირო საუნასა თუ დახურულ საცურაო აუზში.
- უამრავი შემოთავაზება სხეულის გასაჯანსაღებლად და გასალამაზებლად – მაგალითად, ცხიმის თერმული მოცილება და კავიტაციური მკურნალობა.
- სახის კანის მოვლა-გაწმენდა.

მაირის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად კლინიკაში წინდაწინ, სულ ცოტა, ერთკვირიანი სტუმრობა მაინც უნდა დაჯავშნოთ. თუმცა გაგრძელება შესაძლებელია ექიმის კონსულტაციის მიხედვით.

**ოთახის საფასურში შედის:**

- მაირის დიეტა;
- ტუტენაჯერი ხსნარები;
- მცენარეული ჩაი;
- მინერალური წყალი;
- გამაჯანსაღებელი საუნითა და დახურული აუზით სარგებლობა;
- ტბისპირა საუნა (მაისიდან ოქტომბრამდე);
- ველოსიპედის დაქირავება.

ერთი კვირის საფასური ერთი ადამიანისთვის 1600 ევროდან იწყება.



The Original F.X. Mayr  
Health Center  
Maria Worth-Dellach  
Karnten, Austria  
[www.original-mayr.com](http://www.original-mayr.com)



**თერმული წყლები და სპა – საუკეთესო რელაქსაცია**

ტიროლში, სასტუმრო **SPORTRESIDENZ ZILLERTAL**-ში შეძლებთ დიზაინერ მატეო ტუნის მიერ დეკორირებული კერძო სპა იქირავოთ, მშვენიერ მთებზე გამავალი ხედი. არჩევანი მრავალფეროვანია: საუნა, გალვანური ჰიდრომასაჟი, მზიანი ტერასა, აუზი Infinity Pool, ველნესი და იოგა.

[www.sportresidenz.at](http://www.sportresidenz.at)

ტიროლში, პერტიზაუში, სასტუმრო **KRISTALL**-ი შეყვარებული წყვილებისთვისაა განკუთვნილი. აჰენზეეს ტბიდან 300 მეტრში რომანტიკულ, ფერადოვან გარემოში პირადი სპა და ველნესი, გურმანული მენიუ, ორადგილიანი აბაზანები და ბალდახინიანი ხის საწოლები დაგხვდებათ.

[www.kristall-pertisau.at](http://www.kristall-pertisau.at)

კარტინიაში, გაილტალის ველზე, ბიო-სასტუმრო **DABERER**-ში ტყით გარშემორტყმულ ქოხში საუნა, სპა, ნაძვების აბაზანა, გახურებული ღუმელი, სარელაქსაციო ოთახი და ჩაის ბარი დაგხვდებათ. შეგიძლიათ ჭის წყალშიც ჩაყვინთოთ.

[www.biohotel-daberer.at](http://www.biohotel-daberer.at)

გემო ავსტრიის თერმული კურორტი გეინბერგი (**GEINBERG**) პრივატულ სპა ვილებში განლაგებულ ფინურ საუნას, ორთქლს, ჰამამის, გოგირდის აბაზანს, ჯაკუზისა და გარე აუზს გთავაზობთ ინდივიდუალური მექისის მიერ ჩატარებული რიტუალებით, ახალი ხილით, ეგზოტიკური ჩაითა და ლაუნჯით.

[www.geinberg5.com](http://www.geinberg5.com)

ბურგენლანდში, სიმშვიდის ოაზისში, გემოვნებით გაფორმებულ **ARKADENHOF**-ის სუიტებში პროფესიული მასაჟით, ლიმფოდრენაჟით, სამკურნალო მანიკურ-პედიკურით, გარე თერმული აუზით ისიამოვნებთ. შეგიძლიათ პეიზაჟების შესასწავლად ველოსიპედიც შეუკვეთოთ.

[www.der-arkadenhof.at](http://www.der-arkadenhof.at)

ქვემო ავსტრიაში, ბად ერლახში, რომანტიკულ სპა Linsberg Asia-ს თერმულ წყლებზე ბუდისტური სიმშვიდე, საკუთარი ორთქლის აბანო, ხმოვან-ფერადოვანი საუნა, პრივატული ველნესი გელოდებათ შამპანურის ბოთლსა და ხილთან ერთად.

[www.linsbergasia.at](http://www.linsbergasia.at)

ზალცბურგის მხარეში, ბერგჰაიმში სასტუმრო Gmachi-ის მფლობელებმა ელემენტური სუიტების დიზაინი მოცარტს მიუძღვნეს: აქ პარტიტურებითა და მუხის ხით დამშვენებული აბაზანა, ინფრაწითელი საუნა და კონტრასტული შაპი გაგაოცებთ, ფართო აივნებიდან კი მშვენიერი ბალის ცქერით დატკბებით.

[www.gmachl.at](http://www.gmachl.at)

შტირიის პიოლაუბერგში, სასტუმრო **RETTET**-ში შეგიძლიათ რომანტიკული განმარტოებისათვის მდიდრული სპა-სუიტი დაჯავშნოთ. ლოგინში მირთმეულ საუმესთან ერთად წყვილის პირად განკარგულებაშია დიდი საუნა, ჯაკუზი, გარე აუზი, მგრძნობიარე მასაჟის ოსტატი და ყვავილებიანი აბაზანა.

[www.retter.at](http://www.retter.at)

**ვისაც სიზმვიდესა და სიჩუბეობი დასვენება-მანტვირთვა სურს, მათ ავსტრიული სასტუმროები გამოორჩაულ სპა-მომსახურებას სთავაზობენ.**



# ავსტრია

# სამთო-სათხილამურო კურორტების ძველანა

## წინო დარასალი

**ავსტრია საოცნებო ქვეყანა** იმ ტურისტებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ ზამთრის კურორტებზე დასვენება და **თხილამურებით სრიალი**, თუმცა არა მხოლოდ მათთვის. ავსტრიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ალპებს უკავია, რაც ყველა სირთულის ტრასების მოწყობის საშუალებას იძლევა.

ავსტრია – სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრია ევროპასა და მთელ მსოფლიოში: აქ 50-ზე მეტი სასრიალო ზონაა, აქედან 7 – მთელი წლის განმავლობაში ღიაა; 800-ზე მეტი სხვადასხვა სახის კურორტი სახელგანთქმულია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ალტურვილი ტრასებითა და ფერდობებით, ხარისხიანი სერვისებით, ასევე, მყუდრო სასტუმროებითა და სტუმართმოყვარე მასპინძლებით.

ტურისტებს ავსტრიაში მხოლოდ სამთო თხილამურებით სრიალი როდი იზიდავს: ამგვარ დასვენებას შეგიძლიათ შეუთავსოთ ცხენებით გასეირნება, აუზში ცურვა, კლუბებში, საცეკვაო მოედნებზე გართობა და სხვა. დაინტერესებულ მოგზაურებს შეუძლიათ კურორტის შემოგარენის ყველა ღირსშესანიშნაობაც დაათვალიერონ, მატარებლით გაემგზავრონ ბალცბურგში, ვენაში, ციურიხში, ვენეციაში, ბავარიის სამეფო სასახლეებში...

ავსტრიის კურორტები ორ დიდ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ტბიანი – იმ დამსვენებლებისთვის, რომლებსაც სურთ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაიუმჯობესონ თერმულ წყლებზე და კარგად დაისვენონ მყუდრო გარემოში; მეორე კატეგორიაა სამთო-სათხილამურო კურორტები

– მათი ალტურვის, ფერდობთა მრავალფეროვნებისა და მომსახურების ხარისხით ავსტრია დამაჯერებლად ლიდრობს თავის „ალპურ“ მეზობლებს შორის. მთებში მდებარეობს პატარა სოფლები, სადაც საკურორტო სეზონი ზამთარ-ზაფხულ გრძელდება: წლის ცივ სეზონზე აქ თხილამურებით სრიალებენ, ხოლო თბილ სეზონზე ტბის ნაპირას ისვენებენ, ფეხით ლაშქრავენ საინტერესო ადგილებს.

ადგილობრივ სამთო-სათხილამურო კურორტებზე ყველა კატეგორიის სასტუმროა წარმოდგენილი: სასტუმრო სახლებიდან დაწყებული, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებით, მდიდრული კოტეჯებითა და აპარტამენტებით დამთავრებული.

სრილის შემდეგ დასვენების და გართობის საშუალებები (აპრე სკი) ავსტრიაში ყველანაირ გემოვნებას და მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ესენია: მთელ ევროპაში ცნობილი, ალპებში საუკეთესო დისკოთეკები, პომპეური რესტორნები, შოპინგის ფართო შესაძლებლობები და სხვა. ავსტრიის სამთო-სათხილამურო კურორტებს ანალოგი არ აქვს მსოფლიოში დამსვენებელთა სხვადასხვაგვარი ჯგუფებისთვის გამომწვევი მრავალფეროვანი პროგრამების მხრივ.





ტიროლი ალპების და ალპები ტიროლის გარეშე წარმოუდგენელია. ძღვეამოსილი მწვერვალები, ველური გამოქვაბულები და სნოუპარკების საოცარი პეიზაჟები სწორედ აქ გაგრძნობინებთ ალპების გულის ცემას. ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზამთრის სეზონზე სწორედ ტიროლში ხდება.



სნოუპარკები – ავსტრიის ზამთრის სკორტულ რეგიონში მათი არსებობა უკვე ჩვეულებრივი, სტანდარტული ამბავია. ამ მოთხილამურებისა და სნოუბორდისტებს ყველაფერი აქვთ თავიანთი ილეთებისა და ნახტომების შესასრულებლად. განსაკუთრებული სიამოვნება და დაუვინყარი შამრძნებები ღრმა თოვლიანი სრიალის მოყვარულებს ელით ტიროლის ხეობაში არსებულ კიტცტალში.

ზამთრის კურორტების მხრივ „მოწინავე“ რეგიონია ულამაზესი ტიროლი. 3500 საბაგიროდან და 22 000 კმ ტრასიდან, რომელსაც დღეს ეს ქვეყანა სთავაზობს სამთო თხილამურებით სრილის და სნოუბორდის მოყვარულებს, ნახევარზე მეტი სწორედ ტიროლშია თავმოყრილი. აქ ბევრი „გაერთიანებული“ კურორტია, მათგან ზოგიერთს შეუძლია იამაყოს მეზობლად მდებარე 3-5 პატარა სოფლით, რომლებსაც შესანიშნავი სასრიალო ფერდობები და დაბინავების მრავალფეროვანი შესაძლებლობები აქვთ.

ტიროლის ფედერალური მიწის დედაქალაქი – ინსბრუკი ექვსი სასრიალო ზონითაა გარშემორტყმული, რომელიც მთლიანობაში 53 საბაგიროს ითვლის. აღსანიშნავია, რომ ერთი აბონემენტით შესაძლებელია ყოველდღე ახალ-ახალ ფერდობებზე სრიალი მთელი შვებულების განმავლობაში.

**ფინენბრუნი**

ფინენბრუნის პარკი Powaiara უნიკალურია. ამ ადგილზე თანაარსებობენ ფრირაიდის და ფრისტაილის ზონები. 600 მეტრის სიგრძეზე ერთდროულად 6 წინაღობა ერთ ხაზშია მოთავსებული: დროპი (4-მეტრიანი), ოთხი პაუდერკიკერი და კორნერჯამპი. გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფრირაიდერები თავიანთი ოსტატობის დასამტკიცებლად სწორედ აქ იკრიბებიან, ზღვის დონიდან 830-2020 მეტრზე.




შტუბაის ხეობის ყინულოვანი გამოქვაბული და სნოუპარკი აისმრაბის სადგურის შორიანლოს, დიდი ყინულის ქვაბა მოქცეული. ბავშვებსა და უფროსებს იმ ზღაპრული სამყარო ელით. ახლად ნარმოქმნილი ყინულის მღვიმე 3000 მეტრზე საოცარ ემოციებს ბადაბს. აქ მოხვედრა ოჯახის ყველა წევრისთვის დაუვინყარი იქნება.



**ცილარტალი**

ცილერტალის Vans-penken პარკი, უდავოდ, ევროპის საუკეთესო ფრისტაილ-პარკების ლიდერია. ეს არის უზარმაზარი ტერიტორია ფრისტაილის მოყვარულთათვის 6 სექციით (დამწყებებისა და პროფესიონალებისათვის). აქ კვირაში რამდენჯერმე უფასო ფოტოსესიასაც სთავაზობენ მსურველებს. ადგილი ზღვის დონიდან 630-2590 მეტრზეა.



არაჩვეულებრივი სამთო-სათხილამურო ტრასები, თანამედროვე საბაგიროები, მთის მყუდრო ქოხები, მრავალფეროვანი თერმული წყლები და მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ზალცბურგი – სწორედ ეს კომბინაცია ქმნის ალპების გულში მდებარე ზალცბურგის მხარის უნიკალურობას ტურისტული რეგიონის თვალსაზრისით. და მნიშვნელობა არ აქვს, დასვენების რომელ ვარიანტს ამოირჩევთ – სპორტულს თუ უბრალოდ დასვენებას – **ზამთრის სიამოვნება გარანტირებულია.**



**ზამთარი ციფრებში**

უკვე მრავალი წელია ზალცბურგის მხარე ზამთრის სპორტის წამყვანი მიმართულებაა. საკმარისია, ციფრებს შევხედოთ და ყველაფერი გასაგები ხდება: სპორტის მოყვარულებს აქ ელით **2000** კილომეტრზე გადაჭიმული ფანტასტიკურად მოვლილი სათხილამურო ტრასები და **560**-ზე მეტი საბაგირო. ხოლო როდესაც თოვლი დნობას იწყებს, **1600** კილომეტრზე მეტი ტრასა (არსებული სათხილამურო ტრასების 80%) ხელოვნური თოვლით იფარება.



როდესაც მოცარტის ქალაქი თვალისმომჭრელად თეთრ საბურველში ეხვევა, იქ ჩასული ადამიანი ნამდვილ ზღაპარში ხვდება. ცნობილი ღირსშესანიშნაობები, ტრადიციული საშობაო ბაზრობა, სადღესასწაულო მუსიკა და უმაგრესი სათხილამურო წერტილები მსოფლიოს ყველა კუთხიდან თავს უყრის სტუმრებს.

ზალცში მდინარის პირას გასეირნებისას (სანაპირო იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობაა) უმალ ხდები აქაური ისტორიის ნაწილი და თან გაოცებს მისი თანამედროვე აქცენტები.

მირაბელის სასახლის პარკიდან თვალწინ გეშლება არაჩვეულებრივი ხედი ზალცბურგის სიმბოლოზე – მე-11 საუკუნის ჰოენშალცბურგის ძლევაშობის ციხესიმაგრეზე. ეს ციხესიმაგრე მენსსბერგის მთას ამშვენებს, სადაც მოდერნიზმის მუზეუმსაც უდევს ბინა.

*ვისაც სურს, კულტურა, შოპინგი და თხილამურებით სრიალი ერთმანეთს შეუთავსოს, მათთვის სპეციალური უფასო ავტობუსი – SKI SHUTTLE-ი გადის (ყოველდღე, დაკავშირდნ მარტინ ჩათვლით, მირაბელკლავიდან ან სასტუმროდან) ზალცბურგიდან ფლაკაუში, რომელიც ყველაზე დიდი სამთო-სათხილამურო კურორტია.*

**„რუი ლაპა“**

ძველ ქალაქში სიცოცხლე სწორედ იმ ქუჩაზე ჩქეფს, სადაც მოცარტი დაიბადა. გეტრადიდასე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ხალხმრავალი სავაჭრო ქუჩაა. ადგილობრივი ზამთრის კულმინაცია ყველასთვის საყვარელი საშობაო ბაზრობაა. ძველი ტაძრის წინ ხელოსანთა ნაკეთობები და მადისაღმძვრელი „გემრიელობები“ იყიდება. სწორედ ზალცბურგიდან მოდის ყველაზე ცნობილი საშობაო სიმღერა. იოზეფ მორეს „ჩუმი ღამე“ პირველად ობერნდორფის კაპელაში შესრულდა 1818 წელს.



**VIA CULINARIA**

გურმანებისთვის ზამთარში აქტუალურია Via Culinaria – 200 გასტრონომიული რეკომენდაციით და 7 გურმანული მარშრუტით. მთელ ავსტრიაში სხვაგან ვერსად ნახავთ ამდენი ტიტულოვანი მზარეულის კულინარიულ ხელოვნებას. ზალცბურგის მხარის ცნობილი მზარეულები თავიანთ საიდუმლოებებს უზიარებენ სტუმრებს მათივე თანამონაწილეობით.

*SKI TOUR – სათხილამურო ალპინიზმის მეორე სახელია. თავიდან მთაზე აღიხარ თხილამურებით, მერე კი ხიობაში ეშვები გაუკვალავ ტრასებზე და ხელუხლებლ ტერიტორიაზე. თუ მცა ასეთი ტურები რაკომენდაბულია მხოლოდ გამოცდილ ადგილობრივ გამყოლთან ერთად. ასე უფრო უსაფრთხოება და უფრო მხიარულიც, მაშველებზე ხომ აქაური რელიეფის ყველა თავისებურება იციან. სპი-ტურებისათვის 2 ადგილს მირჩავთ: კიტცბალის მყინვარს ტიროლში და რაუჩიარტალს ზალცბურგში.*



# ZELL AM SEE/KAPRUN

მყინვარი, მთა და ტბა: ალპური ზამთარი 100%-იანი თოვლის გარანტიით. ცელ ამ ზეე/კაპრუნი წლის ნებისმიერ დროს საუკეთესო ტურისტული მიმართულებაა ავსტრიის ცენტრში. ალპებში სხვაგან არსად არის ერთმანეთთან ასე ახლოს განლაგებული ამდენი ღირსშესანიშნაობა და გასართობი ადგილი. ძღვევამოსილი მთები, ცელერ ზეს ტბა, მყინვარის

მარადიული ყინული (კიტცმტაინზორნი) და ნაციონალური ნაკრძალის ველური ბუნება წლის ნებისმიერ დროს აღფრთოვანებაში მოგიყვანთ. 365 დღის განმავლობაში რეგიონი მრავალფეროვან აქტიურ გაართობას და მთელი ოჯახისათვის მხიარულებას, საოცარ დასვენებას და, ასევე, კულინარიულ და კულტურულ აღმოჩენებს გთავაზობთ.

**ბავშვებთან ერთად საოჯახო დასვენებისთვის კოკულარული ადგილები**  
**კაკალი და ზაე:**  
**ციმბისთვის სასრილო ფარდობები,**  
**საბავშვო პროგრამა მრავალფეროვანი ბართობით, კათილ-მონყობილი სასტუმროები და ყველაზე ხელსაყრელი ფასები.**



სოფლები – კაპელი და ზეე ბავშვებს და უფროსებსაც მრავალ გასართობს სთავაზობენ. განსაკუთრებით მომხიბვლელია ტურისტებისთვის სასტუმროები, რომლებიც კაპელის Sunny Mountain გაერთიანებაში შედის.

აქ უფასოდ შემოგთავაზებენ ბავშვების მეთვალყურეებს და დამსვენებლებისთვის მოწყობილ საბავშვო ბაღებს.

ზეეში ჩამოსულ ოჯახებს შთამბეჭდავი შოუები ელოდებათ – Fire On Ice, ღამის სრიალი და უზარმაზარი ყინულის მოედანი.



# KITZBUEHEL

კიტცბუელი ალპების ყველაზე ლეგენდარული სპორტული ცენტრია. ის ყველაზე ელიტარულ სპორტულ ზამთრის კურორტად ითვლება. მსოფლიო თასის ეტაპის ფანტასტიკური ტრასა, ძვირფასი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები და რესტორნების დიდი მრავალფეროვნება აქ ყოველწლიურად ძალიან ბევრ ტურისტს იზიდავს.

ეს სამთო-სათხილამურო რეგიონი, რომელიც დაახლოებით 170 კილომეტრ სხვადასხვა ხან-დამზღობისა და დაშვების ტრასას ითვლის, ცნობილია თავისი პატარა მყუდრო რესტორნებითა და ტავერნებით ტიროლურ სტილში. კიტცბუელს სტუმართმოყვარეობა მთელ ალპებში გამოარჩევს.

კიტცბუელში 6 ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა. Tennerhof, A-ROSA, Schloss Lehenbeg, Grand Tiroia Das Tiroi „კემპინსკის“ ჯგუფიდან ისეთი მაღალი დონის მომსახურებას სთავაზობენ დამსვენებლებს, რომ ყველა მოლოდინს აჭარბებს.

არაჩვეულებრივ ძველ ქალაქს გარს ერტყმის ელეგანტური სასტუმროები ავსტრიული კაფე-ბითა და ღამის ბარებით. აქ ტრადიციული ტიროლური ნაკეთობების ჯიხურები მშვიდობიანად თანაარსებობენ ისეთი ცნობილი ბრენდული ბუტიკების გვერდით, როგორიცაა: Boss, Louis Vuitton, Moncler, Bogner, Swarovski, Sportalm და სხვა.



**კიტცბუელი მურმანებისთვის ნამდვილი სამოთხეა.**  
**აქაურ 8 რესტორანს ყველას ერთად 12 „ზხარაულის ჩაჩი“ აქვს.**  
**ეს არის კულინარიული ხარისხის ნიშნის ყველაზე დიდი კონცენტრაცია ავსტრიაში.**





ეს ადგილი, სპორტული ფანატებიდან დაწყებული, უბრალოდ, კარგი ცხოვრების მოყვარულებით დამთავრებული, ყველასთვის ერთნაირად საუკეთესოა. გართობების ჩამონათვალი მართო თხილამურებით სრიალით არ შემოიფარგლება. ადრენალინი გარანტირებული გაქვთ სნოუტუბინგზე, ატრაქციონზე Flying Fox ან Snowmobile City-ში სტუმრობისას. შუალამედე შეგიძლიათ გაერთოთ ლამის პარკში ან განათებულ საციგაო მთებზე. ზამთრის ლაშქრობების გარდა შეგიძლიათ გამცილებლებთან ერთად ცხენებით ისეირნოთ.

გაატარეთ თქვენი ზამთრის შვებულება „სათხილამურო ცირკში“ ზაალბახ ჰინტერგლეემ ლეოგანგ ფიბერბრუნში. ეს არის იდეალური ადგილი სათხილამუროდ 270-კილომეტრიანი ტრასით, რომელსაც 70 საბაგირო ემსახურება.

ლურჯი ტრასა	90 კმ
წითელი ტრასა	95 კმ
შავი ტრასა	15 კმ

15 წლამდე მოზარდებისთვის სრიალის და სხვა სათმო აქტივობების დროს სავალდებულოა დამცავი ჩაფხუტი. ამ სავალდებულო წესზე კასუსის მხმობლობა ბავშვის აღზრდელს და ინსტრუქტორებს ეკისრებათ.



**ზაალბახ ჰინტერგლეემი მანსაკუთრებული კირობები**  
**შაქმნილი: სამთო სათხილამურო სკოლები ბავშვებს უკვე 3 წლის ასაკიდან ასწავლიან პირველ ბრუნებს და ხომალს თოვლზე. თქვენს საფულეს ამ სასიამოვნო სიურპრიზი ელის: ბავშვებისა და 19 წლამდე მოზარდებისათვის მთელი დღე სრიალი მხოლოდ 10 ევრო ღირს. „მალალი საზონის“ დაწყებამდე კი 1999 წელს და მოგვიანებით დაბადებული ბავშვები კვირობით ტრასაზე უფასოდ სრიალებენ. 21 მარტიდან უკვე საუბრეო ბონუსი მოქმედებს.**

**გზავსაშვირობა** – ავსტრიის მთებში ტრასის გარეთ სრიალი, სკი-ტურები, სნოუბორდით სრიალი მოუშვადებელ ტრასებზე მხოლოდ გამყოლთან ერთადაა რეკომენდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებებს ზვავის შემთხვევაში და სწორ მოქცევას, რომ თავად არ გახდეთ ზვავის გამომწვევი.


**სამთო-სათხილამურო სერვისი** – სპორტული ინვენტარის კარგად მომზადებაში, სამაგრების მყარად დაყენებაში, კანტების დამუშავებასა და თხილამურების გაპოხვაში სპეციალისტები დაგეხმარებიან სპორტულ მალაჩებში, გაქირავების პუნქტებსა თუ საბაგიროების ქვედა სადგურებზე.

**გზავის ბალიში** – ღრმა თოვლში სეირნობის მოყვარულთათვის და სნოუბორდისტებისთვის, რომლებიც ტრასებს გარეთ სრიალებენ, შექმნილია ზვავ-საწინააღმდეგო ზურგჩანთა, რომელიც საფრთხის შემთხვევაში დამცავი ბალიშის ფუნქციას ასრულებს და გადარჩენის შანსს 90 პროცენტით ზრდის. ზვავში მოყოლილმა მხოლოდ თასმა უნდა გამოსწიოს და ბალიში გაიბერება.

**თხილამურების და სნოუბორდის გაშვება** – სავალდებულო არ არის, დასასვენებლად საკუთარი თხილამურებით გაემგზავროთ. ალპებში სავსებით გონივრულ ფასებში შესაძლებელია სრიალისთვის საჭირო ყველა ნივთის ქირაობა. უკეთესია ინვენტარის წინასწარ შეკვეთა ინტერნეტით. ეს მარტივი გასაკეთებელია მობილური აპლიკაციის საშუალებით.

**ლაშქრობები და ტურები გაუკვალავ თოვლში** შეუდარებელი სიამოვნებაა, თუ ოპტიმალურად ხართ ეკიპირებული. დაიქირავეთ ადგილობრივი გამყოლები. მათ არა მხოლოდ ის იციან, რას მიაქციონ ყურადღება, არამედ ყველაზე ლამაზ და სხვებისგან დაფარულ ადგილებს გაგაცნობენ.

## გსურთ, 3 დღეში შეიძინოთ თხილამურებით სრიალი?



ავსტრიაში ეს შესაძლებელია! არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ხართ: დამწყები სპორტსმენი, ყოფილი მოთხილამურე თუ სრულიად გამოუცდელი – მრავალრიცხოვან სათხილამურო სკოლაში ძალიან მოკლე დროში ჩადგებით სპორტულ ფორმაში და სრიალით ისიამოვნებთ. სერტიფიცირებული კურსების წყალობით წარმატება ნებისმიერს გარანტირებული აქვს. სულ რაღაც 3 დღეში დამწყები მოთხილამურეები უკვე დამოუკიდებლად

ახერხებენ ლურჯ (მარტივ) ტრასებზე სრიალს. სწავლების დღიური ღირებულება, ინვენტართან ერთად, 130 ევროა. წარუმატებლობის შემთხვევაში თანხა უკან გიბრუნდებათ.

ძველი სპორტსმენებიც კი ხშირად მიმართავენ სათხილამურო სკოლებს სრიალის გახსენების სურვილით. ამიტომაც ამ კატეგორიისთვის გახსნილია კურსები პროფესიონალი ინსტრუქტორების მონაწილეობით.

## თითრი ხალოვნება

ავსტრია და თხილამურებით სრიალი ისევე განუყოფელია, როგორც ბრაზილია და ფეხბურთი. თხილამურები ავსტრიელებს არ გამოუგონიათ (ცნობილია, რომ ქვის ხანის ადამიანმა უკვე იცოდა მათი გამოყენება), თუმცა თხილამურებით სრიალი სწორედ მათ გადაექვს განსაკუთრებულ ფენომენად შემოქმედებითი მიდგომით, თავგადასავლების და სიცოცხლის სიყვარულით; ავსტრიელებმა შექმნეს სათხილამურო სპორტი და იმის შეგრძნება, რომ შეუძლიათ მთების სამყაროს მონუსხვა. მე-19 საუკუნის ბოლოს ავსტრიის ალპებში სათხილამურო სპორტის რამდენიმე

ცენტრი ყალიბდება: მიურზულაგში, ლილიენფელდში, ზალცბურგსა და ვორარლბერგის რეგიონში. პირველი საერთაშორისო სათხილამურო შეჯიბრიც ავსტრიაში, მიურზულაგში (შტირია) ჩატარდა 1893 წელს. სათხილამურო ინსტრუქციებიც ავსტრიაში შემუშავდა 1922 წელს. ავსტრიელმა ჰანეს შიდესმა დააარსა მსოფლიოში ცნობილი არლბერგის სათხილამურო სკოლა. 1950-იანი წლების შემდეგ სათხილამურო სპორტი მასობრივი გახდა, რასაც ხელი შეუწყო სათხილამურო სკოლების ფართო ქსელმა და საბაგიროების ინფრასტრუქტურის განვითარებამ.



მთაში დასვენების მსურველებს უნდა გაითვალისწინონ სარჩები: SKI PASS (კვირაში 250 ევრო), სრიალისას მთაში სალილი (დღეში კაცზე მინიმუმ 30 ევრო), ალპარკვილობის იჯარა (კვირაში 100 ევრო), ინსტრუქტორის დაქირავება (200 ევროდან კვირაში), ასევე სარჩები აკრე სკისათვის. საყურადღებოა, რომ საზონამდე კართი წლით აღდა უკვე შესაძლებელია ტურის დაჯავშნა, რაც დასვენებას მნიშვნელოვნად აიუფავს. ფასი დამოკიდებულია საზონაზე – არდადეგების კვირობებში და ახალ წელს დასვენება ძვირია; შადრახით იაფია დაკაზმარში, იანვრის მეორე ნახევარსა და მარტში. სწორი დამაგვრის შემთხვევაში კასტრიაში დასვენება გუდაურსა და ბაჰრინაზე შეუძლებელია აღმოჩნდეს.



ქეთი ბაქრაძე

ამ მხარეში თითქმის ყველა რესტორანს STUBE ჰქვია (რაც გერმანულად თბილ საცხოვრებად ოთახს ნიშნავს) და მართლაც ყველაზე თბილი, მყუდრო გარემოა.

ჩემი მოგზაურობა ამ შესანიშნავ მხარეში საშობაო პერიოდს დაემთხვა. თბილისიდან მიუნხენის გავლით ჩავფრინდი ინსბრუკში და უეცრად ზღაპარში აღმოვჩნდი: თვალწინ აღმიდგა კადრები სხვადასხვა ფილმიდან, კადრებს თან სდევდა მუსიკაც...

ინსბრუკიდან ცილერტალის ხეობაში, დაბა მაირჰოფენში გავემგზავრეთ, სასტუმროში დავბინავდით და ქუჩაში სასეირნოდ გამოვედით. სადღესასწაულო გარემომ ხალისიან განწყობაზე დამაყენა: ბევრი

თოვლი, ტიროლური სიმღერა, რომელსაც სულ ვმღეროდით სკოლის გუნდში, როდესაც ავსტრიელი ან გერმანელი სტუმრები გვეწვეოდნენ ხოლმე, გლინტეინის თავბრუდამხვევი სუნი, ცხენებზემულ მარხილებზე მიმაგრებული ზარების ხმა, ლამაზად მორთული პატარა კაფეები და რესტორნები... – ყველა მათგანში შესასვლელად მიწევდა გული.

როგორც იქნა, ერთ რესტორანზე შევაჩერე არჩევანი – Wirtshaus zum Griena ხის მყუდრო ქოხს ჰგავს. მისი კონცეფცია ძველებური გლეხური ქოხი და კერძებიც ძველი ტრადიციებით და რეცეპტებით მზადდება. ამ მხარეში თითქმის ყველა რესტორანს stube ჰქვია (რაც გერმანულად თბილ საცხოვრებელ ოთახს ნიშნავს) და მართლაც ყველაზე თბილი, მყუდრო გარემოა. ძირითადად, ყველაფერი ხისაა: დაუმუშავებელი ხის მაგიდები, სკამები, კერძებიც ხის დაფებით მოაქვთ.

მაირჰოფენში სასტუმროების დიდი არჩევანია, მათგან Elisabeth-ი ერთ-ერთი საუკეთესოა. სასტუმროში შესვლისთანავე ხვდები, რომ ნამდვილად ალპებში ხარ. მთიდან ჩამოსული დაღლილი სტუმრისათვის Elisabeth-ში იდეალური გარემოა: უზარმაზარი სპა ცენტრი რამდენიმე ტიპის აბანოთი (ორთქლის, არომა თუ ფინური), მასაჟი, აუზი. დატვირთული დღის



ბოლოს კი, სასტუმროს რესტორანში 5-კერძიან ვახშამზე საბოლოოდ დარწმუნდებით, რომ ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ.

ჩემი აზრით, ადგილები, სადაც აუცილებლად უნდა მოხვდეთ, არის: Neue post – არაჩვეულებრივი სასტუმრო, რომლის რესტორანში ტრადიციული ავსტრიული კერძები მზადდება; Adlerblick – ულამაზესი ადგილი, საიდანაც უმჯობესია დღის სინათლეზე დატკბეთ ხედებით, თან აქ უგემრიელეს ტიროლურ კერძებს შემოგთავაზებენ; და, რა თქმა უნდა, Wirtshaus zum Griena, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

და აი, ისიც – ცნობილი საბავირო Penken Bahn. ის ევროპაში ყველაზე საშიში (სიმაღლის მხრივ) საბავიროების ათეულშია. Penken Bahn-ი ორ ხეობაზე გადადის და 2095 მ სიმაღლეზე ადის, საიდანაც თვალწარმტაცი პანორამა იშლება. აქ მოთხილამურეთა განკარგულებაშია მწვანე, ლურჯი, წითელი და შავი ტრასები: მწვანე და ლურჯი – დამწყებთათვის, წითელი – გამოცდილი მოსრიდელებისათვის, ხოლო შავი – ექსტრემის მოყვარულთათვის. აქ არის ცნობილი შავი ტრასა სახელად „ხარაკირი“ – ციცაბო ფერდობი, რომელიც თითქმის სულ ყინულითაა დაფარული.

დილიდან მთაზე გასულები, ტრასებზევე საუცხოო კაფეებსა და რესტორნებში დაისვენებთ; მათ უმეტესობას გარეთ დასაჯდომი ადგილები აქვს – რა ჯობია შუადღის მზებზე ნებივრობას და თან ცხელი გლინტეინის სმას! რაც მთავარია, უკან დაბრუნებისას – ისევ Penken Bahn-ი, ორი ხეობა... როგორც კი საბავიროდან გადმოხვალ, მუსიკა ისმის. Après ski აქაც „ძალაშია“, ავსტრიის, საფრანგეთისა თუ შვეიცარიის თითქმის ყველა კურორტის მსგავსად. ოჯახური დასვენებისთვის კი უფრო დაბა ფიუგენს და იქ მდებარე სასტუმრო Hells-ს გირჩევთ. სასტუმროში ყველაფერია იმისათვის, რომ ოჯახის თითოეულმა წევრმა თავი კომფორტულად იგრძნოს: ბავშვების

ცილერტალის ხეობაში კიდეც რამდენიმე სანიტარკასო ადგილია – მაგალითად, კურორტი ჰინტარტუსსი, რომლის მყინვარზე მაისშიც სრიალებენ. ასე რომ, ვისაც ბაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში თხილამურები მოეწონება, შუაშია ჰინტარტუსსი ჩავიდა.



მაირჰოფენი ავსტრიაში ერთადერთი კურორტია, რომელიც მთელი წლის მანძილზე გალით სათხილამუროდ მარანტირებად ტოვობს, 1 საშვი 489 ჯმ-იან ტრასაზე, 177 საბავირო (რომლებსაც საშუალოდ საათში 300 000 ადამიანი გადაჰყავს).


გასართობი ოთახი, სპა ცენტრი, საპარაკმახერო, ბარი, ღვინის მარანი... და, რაც მთავარია, აკვაპარკი სასტუმროსთან ახლოს, 10 წუთის სავალზე. ნამდვილად შესანიშნავი გარემოა დასასვენებლად.

ცილერტალის ხეობაში მოგზაურობისას აუცილებლად მიირთვით ვაშლის ან ხაჭოს შტრუდელი და მსხლის არაყი (Williams Birne) დააყოლოთ.

P. S. სიმღერა ტიროლელ გოგო-ბიჭებზე კი სულ თან დაგდევს: „Uli uli halala halala“...

ბიუჯეტი: 6-დღიანი SKI PASS (საშვი) – 230,50 ევრო (ღირებულებაში შედის უფასო სათხილამურო ავტობუსი); 7 ღამე, დილის საუზმის ჩათვლით – საშუალოდ 224 ევრო; 7 ღამე, ნახევრად პანსიონი 4-პარსკვლავიან სასტუმროში – 560 ევრო.





გაკურინი – გულაური – LECH



GERMKNÖDEL INDEX

რამდენად ძვირი დაგივდებათ სამთო-სათხილამურო დასვენება ავსტრიაში, გერმკნოდელის (Germknödel) ინდექსის მიხედვით შეგიძლიათ განსაზღვროთ – ასე ჰქვია ფუნტუშას ყაყაჩოთი და ვანილის სოუსით.

გერმკნოდელის ინდექსის მიხედვით შეძლებთ ავსტრიის 20 პოპულარულ სამთო კურორტზე არსებული ფასები ერთმანეთს შეუდაროთ, რადგან ეს ფუნტუშა მოთხილამურეთა საყვარელ წასახემსებლად მიიჩნევა. მისი ღირებულება 4-იდან 10 ევრომდე მერყეობს და, ზოგადად, ფასების ერთიან სურათს ქმნის.



LECH AM ARLBERG	10 €
MAYRHOFEN	8.90 €
TIROLER ZUGSPITZAREBA	7.50 €
ST.ANTON AM ARLBERG	7.30 €
ISCHGL-SAMNAUN	7.20 €
TIROLER ZUGSPITZAREBA	7.50 €
ST.ANTON AM ARLBERG	7.30 €
ISCHGL-SAMNAUN	7.20 €

მაკა ეკიზაშვილი

„სოდომი და გომორა დახურეს“, – ვეგებები სასტუმრო Romantic Hotel Krone-ს მისაღებთან ახალჩამოსულ მეგობრებს და ვცდილობ ხმაში ტრემორი არ გამეპაროს. პასუხად ათიოდე წყვილი თვალი მიყურებს და ვიცი, რომ ზოგიერთი მათგანისთვის გაუგებარია, კარგი ამბავია ეს თუ ცუდი. საქმე ისაა, რომ ძალიან მინდა, ავსტრიის ალპებში მდებარე ეს კოხტა საკურორტო სოფელი ლეხი (Lech, Vorarlberg) ახალბედა „ლენხელებისთვისაც“ ისეთივე საყვარელი და კომფორტული გახდეს, როგორც ჩემთვის თავდაპირველად გახდა და უკვე მერამდენედ, მასპინძელივით ვიქცევი.

ცხადია, მის რეპუტაციას არაფერი ემუქრება. ლეხი თანაბრად გვიმასპინძლებს და თავს დაგვამასხორებს ყოველ ჩვენგანს – დამწყებ და გამოცდილ მოთხილამურეს, მოციგურავეს, ბობსლეისტს, გურმანს, მსმელს, ზარმაცს (დროდადრო მაინც), ენთუზიასტს და სპორტული ჟინით განსაკუთრებით შეპყრობილს. შესაბამისად, იმ დღეს „კრონეს“ მისაღებში მდგომი და ლეხში ნამყოფი, ამ ახალ ამბავს, ასე თუ ისე, მშვიდად შეხვდა. წლების წინ „კრონეს“ სარდაფში შემთხვევით აღმოჩენილმა, ბოლში, გამაყრუებელი მუსიკის, ალკოჰოლის და ენდორფინების ორომტრიალში გახვეულმა ღამის

კლუბმა ჩვენგან „სოდომი და გომორას“ სახელი მხოლოდ იმიტომ დაიმსახურა, რომ სხვა მხრივ დახვეწილი ლეხისგან კონტრასტისთვის გაგვესვა ხაზი. ამ ბარში თავს გადახდენილი ისტორიები კი ერთმანეთის მონაცოლით ვიცით მხოლოდ.

ლეხი ავსტრიის დასავლეთში, გერმანიისა და შვეიცარიის საზღვრებთან ახლოს, არლბერგის მთაზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მას სხვა ავსტრიული კურორტებისგან განასხვავებს შედარებით მოკრძალებული ზომა, მზიანი ამინდები, სიმშვენიერე და, ჩემი დაკვირვებით,

მაღალი ფასებიც. მის გამორჩეულობას მაშინვე შეამჩნევთ – არა იმიტომ, რომ აქ ცნობილი ხალხი ჩამოდის სასრიალოდ ან ჰოლივუდის ფილმები გადაუღიათ, არამედ იმიტომ, რომ ლეხი ენატრებათ და აქ ჩამოსვლას ელოდებიან. ლეხში ყოველ წელს ბრუნდებიან ისინი, ვისაც ამ ადგილმა, ბაკურიანის და გუდაურის მსგავსად, თხილამურები შეაყვარა და ვინც ჩამოსვლისთანავე ელოდება მეორე დღის გათენებას, რომ აქაურობის „რიტუალების“ შესრულებას შეუდგეს. ეს რიტუალები, როგორც ხვდებით, ინდივიდუალურია ან ჯგუფური. ლეხს შუაზე ყოფს მდინარე, სახელად, რალა თქმა უნდა, ლეხურა (კნინობითი



ფორმა – ავტ.), რომლის ფსკერზეც უამრავი მონეტაა, მათ შორის, ლარებზეც. არა მგონია, ლეხის მუდმივი მოსახლეობა 2000 ადამიანს აღემატებოდეს, რომელთა უმეტესობას, ვეჭვობ, Muxel-ების ოჯახები შეადგენენ (ამ გვარისაა ლეხის მერიც და მთავარი ექიმიც).

„ასე მგონია, საშობაო მოსალოც ბარათში შევდივართ“, – მახსოვს თავის დროზე (ჯერ კიდევ „სოდომი და გომორას“ არსებობისას) ნინოს ამ დროულად ნათქვამმა მომწვეტა GPS-ს და არლბერგის მთის მორიგი მოსახვევიდან მთებს შორის დათოვლილ ნაძვებში ჩაფლული მართლაც ზღაპრული სოფლის პეიზაჟში შესვლა მეც გამოვცადე. ნინოსგან, რომელსაც ესთეტიკის შეგრძნების განსაკუთრებული უნარი აქვს და, აქვე დაავძენ, GPS-ს არ საჭიროებს მოგზაურობისას, ეს მართლაც საყურადღებო შეფასებაა. ამ პირველი ეფექტისთვისა და ლოგისტიკური მოსაზრებებისდა გამო, ლეხში უმჯობესია სამხრეთიდან მოხვდეთ, თუ მანქანით მოდიხართ – ინსბრუკის აეროპორტიდან (40 წთ) ან მიუნხენის აეროპორტიდან (2.5 სთ). მიუნხენიდან კილომეტრების მხრივ უფრო მოკლე, დროის მხრივ კი უფრო გრძელი გზაც არსებობს (3.5 სთ), ხოლო ციურიხიდან დაახლოებით 2.5 სთ-ია საჭირო. თვითონ ლეხში მანქანა არ დაგჭირდებათ, რადგან მიმდებარე სოფლებში, მაგალითად, St Anton-ში და თუნდაც ინსბრუკში ტაქსით ან ავტობუსითაც მოხვდებით.

ლეხის ცენტრში, ლეხურას ნაპირზე მდებარე სასტუმრო „კრონე“ ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდაა მიჩნეული. ხარისხით, მომსახურებით, კვებითა და SPA აუზით, სავარაუდოდ, არც ერთი სხვა სასტუმროც არ გაგიცრუებთ მოლოდინს. ამ კუთხით მე სამზე ვაგებ პასუხს, ესენია: Krone, Plattenhof-ი და Kristberg-ი. Kristberg-ს ლეხელი 1964 წლის მსოფლიო ჩემპიონი ეგონ ციმერმანი ფლობს. ციმერმანმა იმით გაითქვა სახელი, რომ მთიდან მთაზე გადახტა თხილამურებით. წარმატებულად, რა თქმა უნდა.

სათხილამურო კურორტის შესაბამისად, ლეხში დღე საბაგიროსკენ მსვლელობით იწყება. ამ დროისთვის სათხილამურო აღჭურვილობის საკითხები უმჯობესია, მოგვარებული იყოს. თუ თქვენს თხილამურებთან ძლიერი ემოცია არ გაკავშირებთ და აეროპორტებში თან არ ატარებთ, გირჩევთ, თხილამურები ლეხშივე იქირაოთ. სასტუმროებში და ძირითად საბაგიროებთან Ski-depot-ში საშუალება გექნებათ ყოველდღე ახალი თხილამურები მოსინჯოთ და თუ რომელიმე განსაკუთრებით გასიამოვნათ, შეიძენთ კიდევ.

ბოლო გამოშვების Fischer-ის, Rossignol-ის თუ Blizzard-ის თხილამურების სხვადასხვა სასრიალო პირობებში გამოცდა, დამეთანხმებით, მეტად სასიამოვნო საქმიანობაა და საღამოს – შესანიშნავი გასარჩევი თემა.

ისევ დილას თუ დავუბრუნდებით: როგორ სასრიალო დღეს დაგვემავთ, თქვენი ნებაა. ლეხის და მისი მიმდებარე სოფლების მთებზე, რომლებზეც საბაგიროებით მოხვდებით, უხვადაა ლურჯი, წითელი და შავი ფერის on piste (გაკვალი) და off piste (გაკვალი) ე.წ. ტრასები. დამწყებ მოთხილამურებს, რომლებსაც მათი მასწავლებლები თან გაიყოლებენ, სწრაფად ემშვიდობებით, რადგან, მათგან განსხვავებით, თქვენ იცით, როგორი დღე ელით და ამ თემაზე დიდად არ გსურთ ყურადღების გამახვილება. „კრონედან“ გამოსულები (ან ავტობუსით, ან ფეხით აქ მოსულები), ლეხურაზე ხიდს გადავივლით და ერთ-ერთ ძირითად საბაგიროს მიადგებით, რის შემდეგაც გადაწყვეტთ, რომელ ფერდობებზე და ტრასებზე (ან სულაც ერთ მათგანზე) ისრიალებთ.

თუ უფრო გამოკვეთილი გეგმა გჭირდებათ, მაშინ სცადეთ White Ring-ი, რომელზეც „კრონეს“ მოპირდაპირე მხარეს გონდოლის საბაგირო აგიყვანთ და მას მერე იმ საბაგიროებით უნდა იხელმძღვანელოთ, რომლებზეც White Ring-ის ნიშანია. ამ გზას სხვადასხვა მთაზე გადაჰყავხართ; თითქმის მთელ დღეს მონადომებთ და ლეხსაც წრეს დაარტყამთ. White Ring-ის პირველი საბაგირო საკმაოდ დრამატულია, რადგან ლეხის ყველაზე მაღალ მთაზე აჰყავხართ.

თუმცა დაგეგმილი ყოველთვის ვერ ხორციელდება – მაგალითად, მაშინ, როცა საბაგიროზე ამხედრებულს, ასე, 11 საათზე ტექსტური შეტყობინება მოგდის ნინოსგან: „Rudalpe, cappuccino...“ Rudalpe-თი ყველაფერი ნათქვამია და მეც, ჩემზე უფრო მიზანდასახულ ენთუზიასტებთან ბოდიშის მოხდით, იქით მივეშურები. Cappuccino-ს დალევა, როგორც მიხვდით, პირობითია. აქ სატყელო ყველაზე გემრიელია და აქაურ Apfelsaftgeschpritzt-ს (გაზირებული ვაშლის წვენი) საუკეთესო გემო აქვს მთელი არლბერგის მასშტაბით. მთავარი ხიბლი კი ის არის, რომ მზის გულზე გაშლილ ბანზე, მუსიკის თანხლებით, თქვენს კერძს და სასმელს შეექცევით (მერე რა, რომ 11 საათია?) და თან ხალხს ათვალიერებთ. გულახდილები

ვიყოთ და, ეს საქმიანობა დასაძრახი სულაც არ არის. ტიროლის ნაციონალურ ყავისფერ ტყავის შარვლებში გამოწყობილ მიმტანებს აკვირდებით და ცდილობთ გამოიცნოთ, რომელი უფრო მოგიხდებოდათ – გრძელი, მუხლამდე თუ „შორტი“. Rudalpe-ს ერთი მინუსი (ან პლუსი) აქვს: შუაგულ ტრასაზეა. ისინი, ვინც აქ ფეხით ამოსულან, მგონი, დღემდე არ მპატიობენ. ამგვარად, სადილზე შესაკრებად, მზის და მუსიკის თანხლებით, Ober-Lech-ს გირჩევთ, სადაც გონდოლის საშუალებით შემოგიერთდებიან ყველანი: გამოცდილები, გამწარებულ-ამაყი დამწყებები მასწავლებლებით, მსმელები და ზარმაცები. სრიალის შემდეგი ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი რიტუალია Après Ski – სახლში არმისული, ქუჩაში ბარში შეყვინება. სასრიალო დღის დამთავრების აღსანიშნავად საუკეთესო ადგილი „კრონეს“ სასტუმროსთანაა. სასმელი კი, რა თქმა უნდა, Fig Vodka (ლეღვის არყიანი ლიქიორი), რომელიც რამდენიც არ უნდა დალიოთ (საუბარი ათეულებზეც), მაინც არ ჩაგეთვლება დაღვევამი ვახშამდე. „კრონე“-სთან ბარში გაჟღერებული იმ წლის ლეხის გერმანულენოვანი ჰიტები კი მთელი წლით შეიძლება აგეკვიტოთ.

Après Ski-ს შემდეგ არა მგონია, ვინმემ გულგრილად ჩაუაროს ლეხის მაღამიებს, რომლებიც მთავარ ქუჩაზეა ჩამწყობილი. აუზი, მასაჟი და წყალთან ნებივრობა თუ გსურთ, ვახშამდე დროს გამოყოფაც მოგიწევთ. საგახშობდ რესტორნის პოვნა არ გაგიჭირდებათ. აუცილებელი ავსტრიული კერძების გასასინჯად გონდოლის საბაგიროს გვერდით, Ambrosius რესტორანს ეწვიეთ. თუნდაც მისი სახელი რად ღირს – Fux Restaurant+Bar+Kultur, სადაც პირველად გავსინჯე ნიანგის ხორცი. არ მომეწონა. აქ ნაკლებად ნაციონალური გარემოა და, ძირითადად, ბარის გამო მოდიან.

დაბოლოს, ღამის ცეკვა-თამაშ-დაღვევისთვის ადგილებსაც მარტივად მიავნებთ. და ვინ იცის, იქნებ რომელიმე სასტუმროს ბარის სარდაფში თქვენთვის სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინოთ თქვენი „სოდომი და გომორა“.



მსოფლიო ჩამპიონმა, ლეხელმა ანონ ციმერმანმა სახალი, რომ მთიდან მთაზე გადახტა თხილამურებით.

# ფონ ტრაპების ნაგდვირი აბჯავი

# THE SOUND OF MUSIC



ცხოვრებაში ხშირად ხდება, როდესაც ამა თუ იმ რაღაცის ფაქტის ან პიროვნების შესახებ საზოგადოებას აზრი ლიტერატურული ნაწარმოებისა თუ კინოფილმის მიხედვით ექმნება. ავსტრიის ანშლუსი, გერმანიის ოკუპაცია, ტიროლური იოდლი ჩემი თაობის ყველა ბიჭმა ფონ ტრაპების ქალიშვილების სიყვარულის თანხლებით გაიცნო. ალბათ, ამიტომაც მიიქცია ჩემი ყურადღება წელს ოქტომბერში კანის საერთაშორისო ტელე-ბაზრობაზე ნანახმა ჰოლანდიელი ბენ ვერ-ბონგის ახალი ფილმის ანონსმა: „ფონ ტრაპების ოჯახი“.

## ბიძინა ბარათაშვილი

ჩემთვის კლასიკური მუსიკისადმი სიყვარულის ჩანერგვას ბაბუაჩემი ბავშვობიდან უშედეგოდ ცდილობდა. აქცენტი თავიდანვე ავსტრიაზე კეთდებოდა. მოცარტი, ჰაიდნი, შუბერტი, მამა-შვილი შტრაუსები – ჩვენი საუბრების ხშირი თემა იყო. მეც სულგანაბული ვისმენდი საოცარ ისტორიებს, მაგრამ... მაინც „ბითლზისკენ“ ვიხრებოდი!

ბოლოს ისევ კინემატოგრაფმა გვიშველა – კინოთეატრ „კოსმოსში“ ნანახ „დიდ ვალსში“ ფერნან გრავიესა და მილიცა კორიუსის მიერ ჩიტების სტვენის აკომპანემენტით შესრულებულმა „ვენის ტყის ვალსმა“ ყველაფერი თავის ადგილებზე დააყენა! მერე კი „მუსიკის ჰანგების“ ჯერი დადგა. მთლიანად ავსტრიისა და იტალიური მუსიკალური ხელოვნებისადმი ინტერესი სწორედ რობერტ უაიზის უკვდავმა ფილმმა გამიჩინა.

ცხოვრებაში ხშირად ხდება, როდესაც ამა თუ იმ რეალური ფაქტის ან პიროვნების შესახებ საზოგადოებას აზრი ლიტერატურული ნაწარმოებისა თუ კინოფილმის მიხედვით ექმნება. ავსტრიის ანშლუსი, გერმანიის ოკუპაცია, ტიროლური იოდლი ჩემი თაობის ყველა ბიჭმა ფონ ტრაპების ქალიშვილების სიყვარულის თანხლებით გაიცნო. ალბათ, ამიტომაც მიიქცია ჩემი ყურადღება წელს ოქტომბერში კანის საერთაშორისო ტელე-ბაზრობაზე ნანახმა ჰოლანდიელი ბენ ვერ-ბონგის ახალი ფილმის ანონსმა: „ფონ ტრაპების ოჯახი“.

ფონ ტრაპების ოჯახი, 1965.



თავიდან გამიკვირდა – ვერაფრით მიხვდით, რა საჭირო იყო კლასიკად ქვეყლი ისტორიის ახლებური ვარიანტის გადაღება. საეჭვოდ მეჩვენა მთავარი როლების შემსრულებელთა ანსამბლიც (მეთიუ მაკფედინი, ივონ კატერფილდი, ელიზა ბენეტი), განსაკუთრებით კრისტოფერ პლამერისა და ჯული ენდრიუსის დუეტის ფონზე.

დაინტერესებულმა, წყაროებს გადავხედე და ოჯახური ანსამბლის უდავო ნიჭიერებასთან ერთად ბევრი გამოაგნებელი ფაქტიც აღმოვაჩინე. თურმე ახალი ფილმი ეფუძნება ერთ-ერთი ქალიშვილის მემუარებს, რომლის მიხედვითაც, ფონ ტრაპების ისტორია სრულიად სხვაგვარად წარმოჩინდება. რეალობისა და ფანტაზიის განმასხვავებელ დეტალებს მკითხველს ქვემოთ გავაცნობთ, ახლა კი უბრალოდ ვიტყვით, რომ ნამდვილი მარია სულაც არ ჰგავდა ჯული ენდრიუსისეულ პერსონაჟს: არც ქმარი ჰყვარებია თავდავიწყებით, არც შვილებივით მომადლებული მუსიკალობით გამოირჩეოდა და საკმაოდ მძიმე ხასიათიც ჰქონია; პირქუში კაპიტანი გეორგი კი პირიქით – „ბუნჩულა“ ბიძია ყოფილა, ოჯახთან ერთად სიმღერა ყველაფერს ერჩივნა და საამისოდ მუდამ გიტარას დაეძებდა...

**ან ყველაფერმა ფონ ტრაპებს იმდენად დიდი ცნობადობა და ფინანსური კეთილდღეობა მოუტანა, რომ სიმართლის თქმა ნახევარი საუკუნით მაღალი იყო!**

რატომ არ გააპროტესტეს ფონ ტრაპებმა მათი ისტორიის დამახინჯება, რატომ დუმდნენ ამდენ ხანს მარია და მისი შვილები? პასუხი მარტივია: ჯერ ერთი, შელამაზებამ ფონ ტრაპებს გლამურულობა შემატა; მეორეც ის, რომ მშობლიურ ავსტრიაში 50-იან წლებში გადაღებული 2 წარუმატებელი ფილმის შემდეგ ამერიკულმა ვერსიამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. რიჩარდ როჯერსისა და ოსკარ ჰამერსტაინის მიუზიკლმა ჯერ ბროდვეი დაიპყრო, სადაც 1443 წარმოდგენას გაუძლო და „ტონის“ 8 პრემია მოიპოვა, რობერტ უაიზის ეკრანიზაციამ კი ამას „ოსკარის“ 10 ნომინაცია და 5 მოოქრული ქანდაკება დაუმატა.

სურათის ყოველ იუბილეზე ჯული ენდრიუსს, პლამერსა და მათ 7 „შვილს“ ხან ოპრა უინფრის შოუში პატივებენ, ხანაც ბროდვეის თეატრების სცენებზე უწყობენ შეხვედრებს. საოცარი რამ მოხდა: ავსტრიიდან ოკეანის გადაღმა გადახვეწილი ოჯახი ფილმმა „გააამერიკელა“ და ისე დააბრუნა უკან – დღეს ზალცბურგში ჩასულ ტურისტებს, პირველ რიგში, „მუსიკის ჰანგების“ მიხედვით შედგენილ ექსკურსიაზე გამგზავრებას სთავაზობენ და არა რეალური ფონ ტრაპების საცხოვრებლის მონახულებას!

უყურადღებობას მარიასა და გეორგის შთამომავლები არც დღეს უჩივიან. ამერიკამ ისინი XX საუკუნის ავსტრიული მუსიკის სიმბოლოდ აქცია, ყოველწლიურად ათიათასობით ტურისტი სტუმრობს საგვარეულო რანჩოს ვერმონტში, მათი სიმღერები ახლაც პოპულარულია. ამჟამად ოჯახურ ტრადიციას ვერნერ (ფილმში მას კურტი ჰქვია) ფონ ტრაპის შვილიშვილები აგრძელებენ. 1997 წელს მათ აღადგინეს ოჯახური ანსამბლი The Von Trapp Children და დიდი წარმატებით ასრულებენ ოჯახურ რეპერტუარს ოთხ ხმაში.



**ფილმი და რეალობა**

ფილმში მოქმედება ვითარდება ავსტრიის ანშლუსის დროს ანუ 1938 წელს. რეალობაში მარია კუჩერა ფონ ტრაპების ოჯახში 1926 წელს მოხვდა, თანაც არა ყველა შვილის, არამედ თავისი სეხნია მარიას აღმზრდელად;

მარიამ და გეორგმა იქორწინეს არა 1938 წელს, არამედ 11 წლით ადრე;

1938 წლისთვის ოჯახში 10 შვილი იზრდებოდა: 7 შვილი გეორგს პირველი მეუღლისგან ჰყავდა, 3 – მარიამ გაუჩინა;

გეორგს შეუყვარდა მარია და არა პირიქით! ასაკში სხვაობა 25 წელი იყო. „მე არ მიყვარდა გეორგი. მისი შვილების გამო გავყევი ცოლად. შემდგომში ვცდილობდი შემეყვარებინა ფონ ტრაპი და, მგონი, შევძელი კიდეც“, – წერს მარია თავის წიგნში. ქორწინებასაც იგი მხოლოდ მონასტრის ილუმენიას რჩევით დათანხმებულა.

ბავშვები მარიას გამოჩენამდეც სწავლობდნენ მუსიკას, აღმზრდელმა მათ მხოლოდ მადრიგალები შეასწავლა;

ოჯახი არ გაქცეულა ავსტრიიდან. ისინი სრულიად ლეგალურად გაემგზავრნენ ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეში. შესაბამისად, არც მთიანი უღელტეხილები გადაუვლიათ – კომფორტულად იმგზავრეს მატარებლის პირველი კლასით. ფონ ტრაპს არ უყვარდა ფაშისტები, მაგრამ სამშობლოს მიტოვებას არ ფიქრობდა;

ოჯახი არ გადასულა შვეიცარიაში. გეორგს, რომელიც ხორვატიის ქალაქ ზადარში დაიბადა, 1920 წლიდან, ანუ ამ მხარის იტალიასთან მიერთების შემდეგ, ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა, ისევე როგორც მისი ოჯახის ყველა წევრს. იტალიაში ფონ ტრაპებს ელოდათ იმპრესარიო, რომელსაც უნდა დაეგეგმა მათი გასტროლი აშშ-ში და ეზრუნა ვიზეზზე;

კადრი ფილმიდან „ტრაპების ოჯახი“, 2015



კადრი ფილმიდან „მუსიკის ჰანგები“, 1965

**1938 წლისთვის ოჯახში 10 შვილი იზრდებოდა: შვიდი შვილი გეორგს პირველი მეუღლისგან ჰყავდა, სამი – მარიამ გაუჩინა.**

ფილმის პირველ ნახევარში გეორგ ფონ ტრაპი დისციპლინაზე შეშლილ, მუსიკის მოძულე ცივ, პირქუშ პიროვნებად გვევლინება, მარიას წიგნისა და შვილების მოვლებების მიხედვით კი, ის იყო რბილი, კეთილი მშობელი – თავადაც უკრავდა რამდენიმე ინსტრუმენტზე და შვილებსაც ასწავლიდა.

**მარია – პირიქით, საკმაოდ ხისტი, ჭირვანი ხასიათით გამოირჩეოდა. მისივე თქმით, აღვიდავ ბავშვები, ახსნებდავ კარავს... „მას საშინელი ხასიათი ჰქონდა, თუმცა მანა წყნარდებოდა. ქარიზმაღს უცაზ ცვლიდა აზიანი დიდილი!“ – იხსენავს უმცროსი მარია ფონ ტრაპი.**

კინოში ფონ ტრაპების ყოფა გლამურული და უდარდელია. სინამდვილეში 1930 წლის ეკონომიკურმა დეპრესიამ და ლონდონის ბანკის კრახმა ისინი მნიშვნელოვნად დააზარალა. გეორგმა მოსამსახურეები დაითხოვა და ოჯახთან ერთად სახლის მეორე სართულზე გადავიდა საცხოვრებლად, პირველი კი კათოლიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს მიაქირავა. ოჯახური ანსამბლის გასტროლებიც სწორედ ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიგეგმა.

**გადაღების ადგილები**

1 ფონ ტრაპების სახლისკენ ნონბერგიდან მიმავალი გზა არაა იმდენად თვალსასერიო, ამიტომ გადაღება წარმოებდა ვიკლერ ტერასზე (ძველი ქალაქის ზემო შემოვლით გზაზე).

2 სიმლერას „I Have Confidence in Me“ მარია ასრულებს ზალცბურგის ცენტრში (რეზიდენციის მოედანზე, რეზიდენცბრუნენის შადრევანთან და ტაძრის მოედნის თაღთან), ავტობუსში კი კაპიტელპლაცზე ჯდება.

ამავე სიმღერის ბოლოს მარია გაივლის ჰელბრუნის ხეივანს და ფრონზურგის სასახლეს, რომელიც ამჟამად მუსიკის აკადემია მოცარტუმს ეკუთვნის. ამავე შენობის ფასადია გამოყენებული ფონ ტრაპების სახლის გარე ხედისთვის და აქედანვე გამოჰყავს ოჯახს ავტომობილი უცხოეთში გასაქცევად.



3 პირველი სიმღერა „The hills are alive“ გადაღებულია უნტერსბერგში (გერმანიის მხრიდან) შეპენბერგის მახლობლად მდებარე მელვეგში.

4 სიმღერა „Do-Re-Mi“ მარიასა და ბავშვების შესრულებით მოიცავს მთელ ზალცბურგსა და ზალცკამერგუტს, მათ შორის, მოცარტის ხიდს ზალცახზე. შემდეგ ისინი ისტორიული მატარებლით ადიან შაფბერგზე, აღმოჩნდებიან ვერფენზე, საიდანაც იშლება ხაზნფერფენის სასახლის საოცარი ხედი, ბოლოს კი – ისევ ვინკლერ ტერასის გავლით მირაბელის სასახლის ტერიტორიაზე გაშლილ ჯუჯების ბაღში. ველოგასეირნება მონდმეც ტბის გარშემოა გადაღებული.




5 ვერტმფრენიდან გადაღებული საწყისი კადრები. ზალცამერგუტის ტბა, ფუშლისა და ანიფის სასახლეები.



6 ძალიან ბევრი სცენაა გადაღებული ლეოპოლდსკრონის სასახლეში. აქაა ვენციური დარბაზი, სადაც მარია პირველად შედის კაპიტანთან ერთად; აქვე იმართება მეჯლისი. ტბაზე გამავალი სახლის შიდა ფასადი, საიდანაც უნტერსბერგის შესანიშნავი პანორამა იშლება.



7 ფანჩატური, სადაც ჯერ ლისელი და როლოფი გამოუტყდებიან ერთმანეთს სიყვარულში, შემდეგ კი – მარია და კაპიტანი, თავდაპირველად ლეოპოლდსკრონის პარკში იდგა, მაგრამ ტურისტების მოზღვაგების გამო, ჰელბრუნის პარკში გადაიტანეს.



**„მუსიკის ჰანგების“ კვანდაკვად**

გაჰყევით ტრაპების ოჯახის ნაკვალევს და იმოგზაურეთ ზალცბურგსა თუ მის შემოგარენში.

**მირაბელის ბაღები**

დაბეჭივით გირჩევთ, საკუთარი თვალით იხილოთ მირაბელის ბაღები, სადაც სიმღერა „დორე-მი“ შესრულდა და არამარტო იმ ცნობილი კიბის საფეხურები, არამედ პეგასის შადრევანიც მოინახულოთ.

**ჰელბრუნის სასახლის როტონდა**

ესტუმრეთ ჰელბრუნის სასახლის ბაღებს და აუცილებლად მოინახულოთ ამ ფილმის მოყვარულთათვის საგანგებოდ აღდგენილი როტონდა, სადაც ბარონ ფონ ტრაპის უფროსი ქალიშვილი დაუვიწყარ სიმღერას ასრულებს, თავად ბარონი კი პირველად ჰკოცნის მარიას.

**მონაქმის მონასტარი**

მთების ძირში მდებარე, დღემდე მოქმედი მონაქმის მონასტრის ფოტოების გადაღებაც უთუოდ მოგიწოდებათ: სწორედ ამ მონასტერში ცხოვრობდა თავიდან მარია და მერეც, ბარონ ფონ ტრაპზე სწორედ იქ დაიწერა ჯვარი. მონასტრის სენაკებში შესვლა აკრძალულია, თუმცა შეგიძლიათ მთავარ ტიშკართანაც მიხვიდეთ და ექსკურსიის დამთავრების შემდეგ გოთიკურ ტაძარში ღვთისმსახურებას დაესწროთ.

**ექსკურსიის ხანგრძლივობა – 4 საათი; ღირებულება – 40 ევრო.**



# სივოცხლის სიყვარულის ფილოსოფია

სალომე დადუნაშვილი



ვიტრინებიდან მკვეთრი, ნათელი ფერების თბილი სინათლე იღვრებოდა. **ოქროსფერი სამაჯურების** სიბრტყეზე ზოგან, ლაჟვარდისფერ ფონზე, ალფონს მუხას გრეხილი ყვავილების ღეროები ლივლივებდნენ; ზოგან **მონეს ნახატებით ინსპირირებული** დუმფარები ისვენებდნენ ტბის ზედაპირზე; ფერად ვიტრინებში სკარაბეები მატრიოშკებთან ერთად ცეკვავდნენ **გრიფონების მშვიდი გამოხედვის** ფონზე.

იმ დღეს ვენაში ძალიან აცივდა. მოულოდნელად ისეთმა ძლიერმა ქარმა დაუბერა, რომ „ფრაივილეს“ მაღაზიაში ბურთივით შემავლო. ინტერვიუზე ადრე მივედი. ვენის ცენტრში განლაგებული ულამაზესი შენობის მიგნება არც ისე რთული აღმოჩნდა, ამიტომ დარჩენილი 15 წუთის გატარება იქვე, პირველ სართულზე განთავსებულ მაღაზიაში გადაწყვიტე. მაღაზიაში თბილოდა, მაგრამ არა მხოლოდ გათბობის სისტემის გამართული მუშაობისა და კეთილგანწყობილი გამყიდველის


ლიმილის გამო. ვიტრინებიდან მკვეთრი, ნათელი ფერების თბილი სინათლე იღვრებოდა. **ოქროსფერი სამაჯურების** სიბრტყეზე ზოგან, ლაჟვარდისფერ ფონზე, ალფონს მუხას გრეხილი ყვავილების ღეროები ლივლივებდნენ; ზოგან **მონეს ნახატებით ინსპირირებული** დუმფარები ისვენებდნენ ტბის ზედაპირზე; ფერად ვიტრინებში სკარაბეები მატრიოშკებთან ერთად ცეკვავდნენ **გრიფონების მშვიდი გამოხედვის** ფონზე.

არ ვიცი, წარმოიდგენდნენ თუ არა ფრიდრიხ ვილე და მისი მეუღლე, სიმონ გრუნბერ-ვილე 1951 წელს, როცა საიუველირო ბრენდის შექმნა გადაწყვიტეს, რომ მათი ოჯახური კომპანია სულ მალე მსოფლიოს დაიპყრობდა. ერთი რამ ცხადია: ადამიანებმა, რომლებმაც ხელოვნებისადმი თავიანთი გულწრფელი სიყვარულის დაფიქსირება სამკაულებში გადაწყვიტეს, სწორ გზას მიაგნეს.

შენობა, რომელშიც „ფრაივილეს“ ისტორია დაიწყო, უცვლელია. უცვლელია მისი პრინციპები და საქმისადმი მიდგომაც. მუდმივ განახლებას მხოლოდ კოლექციები განიცდის.

ფრიდრიხ ვილე მაღალი, წარმოსადგევი მამაკაცია, ცოცხალი გამოხედვითა და დაუოკებელი ინტერესით ყველაფერი ახლის მიმართ.

თუ რამე შემთხვევით ჯერ არ იცის, სასწრაფოდ უნდა მოძებნოს ინტერნეტით და შეისწავლოს. ყველაფერში შეიძლება ახალი იდეის პოვნა. ჩვენი საუბარი 2 საათს გაგრძელდა და აქედან ერთი საათის განმავლობაში ბატონი ვილე თავის ცოდნას ამოწმებდა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ასე რომ, რესპონდენტი დროებით მე აღმოვჩნდი. ინფორმაციის რაოდენობა, რომელსაც ეს ადამიანი ფლობს, გამაოგნებელია.



ფრიდრიხ ვილე

## ზიზნის ვარ განაქთიჯ, თუ ათილი სილი არ ჩაღი.

„ჩვენი მთავარი მიზანია, ხელოვნება, მისდამი სიყვარული მთელ მსოფლიოში გავავრცელოთ. როცა თემას ვირჩევთ, ყველა დეტალს ძალიან დიდხანს ვამუშავებთ. ერთად ვიკრიბებით და ყველას თავისი იდეის დაცვა უწევს. ეს ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ძალიან გვიყვარს ის, რასაც ვაკეთებთ და ხშირად ვკამათობთ. ჩემი თანამშრომლები ჩემი მეგობრები არიან.“

ყოველთვის ვიტყვი ჩემს სიტყვას, მაგრამ თუ უმცირესობაში ვარ, მათ აზრს დავეთანხმები. არასოდეს ვაკეთებთ ხელოვნების ნიმუშის ზუსტ ასლს, თუნდაც ეს კონკრეტული მხატვრისადმი მიძღვნილი კოლექცია იყოს. თემას ძალიან კარგად ვსწავლობთ და მისი ინსპირაციით ვქმნით ჩვენს სამკაულებს.“

„ფრაივილეს“ ფერადი ემალით დაფარული სამკაულები და აბრეშუმის შარფები შეუცდომლად ამოსაცნობი ვიზუალის მქონე ნივთებია. წარმოუდგენელია, ერთხელ მაინც ნახო ამ ბრენდის სამკაული და ხელმეორედ მარტივად ვერ ამოიცნო, თუნდაც სხვა მოტივებით შემკული.







„ავსტრიული იმპერია უდიდესი იყო და ამიტომაც გვსურს, ჩვენი არსებობით მის დიდებას სახელი გავუთქვათ და გავუხანგრძლივოთ. მიგვაჩნია, რომ ავსტრიული ხელოვნება ნამდვილად ევროპული ხელოვნებაა და მისი პროპაგანდით ევროპული ღირებულებების პროპაგანდას ვეწევი. ხელოვნების საოცარი მოღვაწეები ცხოვრობდნენ ავსტრიაში და ისინი იმსახურებენ ამ პატივს. სეცესიონი, რომელიც ვენის ცენტრში დგას, ხელოვნების კიდევ ერთი შესანიშნავი ახალი მიმართულების მანიფესტია. მას გუსტავ კლიმტის „ბეთჰოვენის ფრიზი“ ამშვენებს. სწორედ ახლა გამოვუშვით კოლექცია, რომელიც კლიმტის „კონას“ ეძღვნება. ჩვენთვის, ავსტრიელებისთვის „კონა“ „მონა ლიზაა“. მაგრამ კლიმტი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ლამაზი ნახატები, რომლებიც ახლა ყველა საფოსტო ბარათს ამშვენებს. ის იყო მოაზროვნე, ფილოსოფოსი და ხელოვანი“.

სუფთად ავსტრიული წარმოშობის ეს კომპანია კიდევ იმითაა უნიკალური, რომ დღემდე სრულად ოჯახი მართავს. როგორც მოგვიანებით მიხვდით, ის ადამიანებიც, რომლებიც „ფრაივილეში“ მუშაობენ, ასევე, ოჯახის წევრები ხდებიან. აქ მხოლოდ თანამომრეები მუშაობენ. ადამიანები, რომლებიც დილას შეიძლება მატარებელს შეახტნენ, რათა მიუნხენში ეგვიპტური ხელოვნების გამოფენა ნახონ. მეორე დღეს კი, ამ შთაბეჭდილებებით და ახალი წიგნებით დატვირთულები, უკვე სახელოსნოში ეგვიპტოლოგიის გიგანტური მასშტაბების მცირე სამკაულზე გადმოტანას ღამობენ.

„ფრაივილეს“ კოლექციები შთაგონებულია ჰუნდერტვასერის, ეკონ შილეს შემოქმედებით ან ვენეციით; სამკაული შეიძლება სარა ბერნარის სახელს ატარებდეს, ეძღვნებოდეს კლიმტს, რუსულ დეკორატიულ მოტივებს ან, უბრალოდ, სიცოცხლის სიყვარულს, მაგრამ საერთო ყოველთვის ისაა, რომ ადამიანები, რომლებიც მათ ქმნიან, ხელოვნებას ეთაყვანებიან და სურთ ყველგან თან ატარონ, ხელზე ან საკინძეზე შებმული“.



ბატონმა ვილემ ყოველი დილა ოჯახთან ერთად საუზმით უნდა დაიწყო. თავისუფალ დღეს შესაძლოა გოლფიც ითამაშოს. შემდეგ სიამოვნებით წავა გამოფენაზე და საღამოს მეგობრებთან ბანქოს თამაშში გაატარებს. ამ ყველაფერს თავის განუყოფელ პარტნიორთან და მეუღლესთან ერთად აკეთებს.

„ავსტრიელებს გვიყვარს ტრადიციები. ჩვენი სიყვარული მუსიკისადმი ერთ-ერთი მათგანია. მეჯლისებიც იგივე ისტორიაა (იცინის). მაგალითად, მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის ვცეკვავთ ვალსს ახალ წელს, როცა საათი 12-ს ჩამოჰკრავს. მართალია, მას იმის ატანა უწევს, რომ ფეხს ვაბიჯებ... ჩემი მეუღლე სიხარულით აფორმებს მეჯლისებს და ქმნის კოსტიუმებს. იგი ნამდვილი ხელოვანია. აი, მას ნამდვილად არ აინტერესებს, გაიყიდება თუ არა ჩვენი სამკაული. მთავარია, თავად მოსწონდეს“.

ბატონი ვილეს კაბინეტის თავზე, დიზაინერების სართულზე, ქალაქის მაკეტებით დაფარულ მაგიდასთან ორი შესანიშნავი ქალბატონი მუშაობდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე კომპანიის ოფისი კი არა, უბრალოდ, მხატვრის სახელოსნოა. გარემო იმდენად თბილი და ოჯახური იყო, რომ როცა ზურგს უკან მძიმე აბიჯების ხმა მომესმა და ოთახში მშვიდად შემობრძანდა ავსტრიული ჯიშის უზარმაზარი ფუმფულა ნაგაზი, არც კი გამიკვირდა. ძალღმა აინუნშიაც არ ჩამავდო და მშვიდად გაემართა თავისი ადგილისკენ, მაგიდის ქვეშ. მისთვის პატრონის – დიზაინერი ქალბატონის სამსახურში სიარული ჩვეული საქმეა.

მშვიდი ბედნიერების განცდა, გულწრფელი ინტერესი მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესისადმი, ცოდნა, რომელიც შენს მოვალეობებს სცდება... ალბათ ეს არის ის თვისებები, რომლის მიხედვითაც „ფრაივილეში“ თანამშრომლებს არჩევენ.

„თუ საკმარისად ბრძენი ხარ, ბედნიერებას ყველგან იპოვი. ის აქ არის, ჩვენ გვერდით. აი, მაგალითად, თუ რთული დღე მაქვს, ერთ ბოთლ შამპანურს გავხსნი და ყველაფერი უკეთ მეჩვენება (იცინის). ჩვენ „სიცოცხლის სიყვარულს“ კოლექციაც მივუძღვევით. ამით საფრანგეთს – ჩვენთვის უსაყვარლეს და უდიდეს ბაზარს – პატივი მივაგეთ. ფრანგული ფილოსოფია ახლოსაა ჩვენთან და მისი არსი ჩემთვის ბედნიერების ძიებაა“.

# Gute Reise!





უძრავი ქონება  
REAL ESTATE

იცხოვრე უკეთესად  
BETTER LIVING

[www.m2.ge](http://www.m2.ge) ☎ 2 444 111

